



კონფლიქტის ეკონომიკა

# აფხაზეთის ეკონომიკა

თანამედროვე მდგრადიზამია და  
განვითარების პერსპექტივები



ISBN 978-9941-26-782-6



# აფხაზეთის ეკონომიკა

თანამდეროვა გდგომარეობა და  
განვითარების პერსპექტივები



გამომცემლობა „ანდერსალი“  
თბილისი 2020

ნინამდებარე მონოგრაფიულ კვლევაში გაანალიზებულია აფხა-ზეთის ეკონომიკის ფორმირების ისტორიული ნანამძღვრები და გე-ოგრაფიულ-რესურსული პოტენციალი, თანამედროვე აფხაზეთის ეკონომიკური მდგომარეობა რუსეთ-საქართველოს 1992-1993 წლების მდგომარეობა და ომის შემდგომ პერიოდში, აფხაზეთის მაკროეკონომიკური განვითარების პარამეტრები, შრომითი რესურსები და დემოგ-რაფიული მდგომარეობა, დარგობრივი სტრუქტურა; დადგენილია ცალკეული დარგის განვითარების პერსპექტივები, საინვესტიციო აქტივობა და საგარეო ვაჭრობა; შესწავლილია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გზები.

ნაშრომში დასაბუთებულია აფხაზეთის ეკონომიკის კრიმინალუ-რი ბუნება და რეგიონი ნარმოდგენილია, როგორც რუსეთის მიერ უკანონო ფულის გათეთრების ობიექტი.

ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერების, მკვლევრებისა და ყველა იმ პირისთვის, რომელიც დაინტერესებულია აფხაზეთის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობით. აფხაზეთის ეკონომიკის კვლევის პროცესში ის ჯეროვან დახმარებას გაუნივერსალი დარგის სპეციალის-ტებსა და სტუდენტებს.

### ავტორები:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის გამგე, ეკონომი-კის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **თეიმურაზ შენგელია** (მთავარი რედაქტორი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის მოწვეული პრო-ფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი **ბონდონ გასვიანი** (პროექტის ხელმძღვანელი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი **ხათუნა ბერიშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი **ლალი ხიხაძე**

© ავტორთა კოლექტივი, 2020  
გამომცემლობა „ანივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-782-6

## **რეცენზიანტი:**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი  
**ირმა დიხამინჯია**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი  
**მადონა გელაშვილი**

ნაშრომი გამოიცა „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ საგრანტო დაფინანსებით. ავტორები მადლობას უხდიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერისთვის.

## შინაარსი

<b>თავი I. აფხაზეთის ეკონომიკა: ფორმირების</b>	
<b>ნანამძღვრები და თანამედროვე მდგომარეობა</b>	<b>.....5</b>
1.1 აფხაზეთის ეკონომიკის ფორმირების ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძვლები.....5	
1.2 აფხაზეთის ეკონომიკის რესურსული პოტენციალი.....10	
1.3 აფხაზეთის ეკონომიკა 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომამდე .....14	
1.4. აფხაზეთის ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები .....18	
1.5 აფხაზეთის ეკონომიკური პოტენციალის ანალიზი .....28	
1.6 რუსეთის ფედერაციის როლი აფხაზეთის ეკონომიკურ ექსპანსიაში .....39	
<b>თავი II. ოკუპირებული აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: ანალიზი, შედეგები და პერსპექტივები</b>	<b>.....47</b>
2.1 აფხაზეთის მოსახლეობა და შრომითი რესურსები.....47	
2.2 მშპ და სახელმწიფო ბიუჯეტი.....59	
2.3 აფხაზეთის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა და სექტორული განვითარება .....61	
2.4 აფხაზეთში ბიზნესის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები .....123	
2.5 საინვესტიციო აქტივობა აფხაზეთში .....143	
2.6 აფხაზეთის საგარეო ვაჭრობა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობა .....152	
<b>თავი III აფხაზეთის ეკონომიკის კრიმინალური ბუნება</b>	<b>.....160</b>
3.1 აფხაზეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობა: მითი და რეალობა .....160	
3.2 ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმი .....172	
3.3 ფულის გათეთრების პირობები რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში .....175	
3.4 რუსეთის მიერ აფხაზეთის ექსპანსიის ეკონომიკური საფუძვლები .....179	
3.5 ფულის გათეთრების ინსტიტუციური საფუძვლები ოკუპირებულ აფხაზეთში .....185	
3.6 ოკუპირებული აფხაზეთი, როგორც ფულის გათეთრების საერთაშორისო დერეფანი .....199	
<b>დასკვნები</b> .....216	
გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები	.....228
პროექტში მონაწილე ავტორების შესახებ	.....232

# თავი I.

## აფხაზეთის ეკონომიკა: უორმილების ნაცვლადღვები და თანამადროვა მდგომარეობა

### 1.1 აფხაზეთის ეკონომიკის ფორმირების ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძვლები

აფხაზეთი (აფხ. Аҧсны [აფსნგ]) საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილია, განთავსებული ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომლის საერთო ფართობია 8,7 ათ. კვ. კმ. მდებარეობს მდინარეებს ენგურსა და ფსოუს შორის. აფხაზეთის ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, საქართველოს ეს ტერიტორია იმართება მარიონეტული დეფაქტო ხელისუფლებისა და რუსეთის იმპერიალისტური ძალების მიერ. საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა რუსეთის ფედერაციამ და მასთან სხვადასხვა გარიგების სანაცვლოდ — ნიკარაგუამ და ნაურუმ. აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ გადის საკუპაციო ხაზი.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი არქეოლოგიურად დადასტურებულია ქვედა პალეოლიტის პერიოდიდან (იაშთვის ნამოსახლარი) [16]. უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულიდან აფხაზეთში განვითარებული იყო ეკონომიკის სხვადასხვა დარგი. მათ შორის: სოფლის მეურნეობა - მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, კერამიკის წარმოება, ქვის, სპილენძისა და ბრინჯაოს დამუშავება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისტორიულად აფხაზეთი ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკურად აქტიური რეგიონია.

ანტიკური ეპოქის დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოში ყალიბდება კოლხეთის სამეფო, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიასაც მოიცავს. ძვ. წ. VI-V საუკუნეებში აქ არსებული დასახლებების ბაზაზე წარმოიქმნა ძველბერძნული ახალშენები: დიოსკურია, გიენოსი, ტრიგლიტი, პიტიუნტი და სხვები, რომლებიც გამოირჩეოდნენ ვაჭრობითა და ზღვაოსნობით. ძვ. წ. I საუკუნეში კოლხეთის სამეფო დასუსტდა და დაიშალა. ამის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე აფსილების, აბაზგების და სანიგების სამთავროები წარმოიქმნა, ხოლო მთიან ზონაში — მისიმიანთა სვანური გაერთიანება. III-IV საუკუნეებში ჩამოყალიბდა ლაზთა სამეფო, რომელმაც თავისი ძალაუფლების ქვეშ მთელ კოლხეთთან ერთად გააერთიანა აფხაზეთის ტერიტორიაც. V-VI საუკუნეებში აფხაზურმა ტომებმა დასავლეთით გადაინაცვლეს. ამ პერიოდში ლაზიკის საზღვარი თანამედროვე სოჭის ჩრდილოეთით გადიოდა. VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამთავრო, რომელმაც გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო. ახალ პოლიტიკურ ერთეულს „აფხაზთა სამეფო“ ეწოდებოდა და დედაქალაქი ქუთაისში ჰქონდა. IX-X საუკუნეებში აფხაზეთი ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა საერისთავოს სახით. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, XVII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავრო, რომელიც XVII—XVIII საუკუნეებში ფორმალურად იმერეთის სამეფოში შედიოდა. 1810 წელს აფხაზეთის მთავარმა რუსეთის მფარველობა მიიღო. 1864 წელს რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება [16].

1918 წლის 13 სექტემბერს მიღებული „საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ“ კანონის თანახმად, აფხაზებს ეროვნუ-

ლი უმცირესობის წარმომადგენლებისთვის გათვალისწინებული 26 ადგილიდან ჰქონდათ 3 ადგილი.

1918-1921 წლებში აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა ავტონომიის სტატუსით. ეს აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვალში მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ეხება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას. კერძოდ, კონსტიტუციის მეთერთმეტე თავის 107-ე მუხლში ნათქვამია:

#### „თავი 11. ავტონომიური მმართველობა

**მუხლი 107.** საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთს/სოხუმის ოლქი/, სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას/ზაქათალის ოლქი/ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

**მუხლი 108.** წინა მუხლში მოხსენებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებული იქნება ცალკე კანონით [16].“

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის გამო ავტონომიური მხარეების შესახებ დებულებების შემუშავება ცალკე კანონის სახით შეუძლებელი გახდა. აფხაზეთი დანარჩენ საქართველოსთან ერთად გახდა საბჭოთა რუსეთის მიერ ანექსირებული ნაწილი. საბჭოთა ხელისუფლება აფხაზეთში დამყარდა 1921 წლის 4 მარტს. 1921 წლის 26 მარტს აფხაზეთის რევკომმა მიმართა ლენინსა და სტალინს და მოითხოვა აფხაზეთის სსრ-ს შექმნა და მისი შეერთება რუსეთის ფედერაციისთვის. 1921 წლის 31 მარტს გამოცხადდა აფხაზეთის სსრ-ს შექმნა. იმავე წლის 16 დეკემბერს საქართველოსა და აფხაზეთის სსრ-ებს შორის გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი,

ფაქტობრივად, შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. აფხაზეთის სსრ-ს მიეცა საქართველოს სსრ-ს წარმომადგენლობით ორგანოში დეპუტატთა 1/3-ის არჩევის უფლება, აფხაზეთის სსრ-მ შეინარჩუნა საკუთარი კომისარიატები, გარდა საგარეო საქმეთა კომისარიატისა. 1922 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს სსრ-სთან გაფორმებული ხელშეკრულება.<sup>[8]</sup> 1922 წლის მარტში შექმნილ ამიერკავკასიის სფსრ-ში აფხაზეთი შევიდა, როგორც საქართველოს სსრ-ს ნაწილი. საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის აფხაზეთი მოხსენიებულ იქნა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა. 1926 წლის 5 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ-ს კონსტიტუცია, რომელშიც დაფიქსირებულ იქნა, რომ აფხაზეთის სსრ სამოკავშირეო ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სსრ-ში და, შესაბამისად, ამიერკავკასიის სფსრ-ში.

1931 წლის 11 თებერვალს საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილებით აფხაზეთის სსრ-მ მიიღო ავტონომიის სტატუსი და დარჩა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში, როგორც აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, სამართლებრივი მდგომარეობა დაფიქსირებულ იქნა სსრ კავშირის 1936 წლის, საქართველოს სსრ 1937 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1937 წლის კონსტიტუციებში, შემდეგ კი — სსრ კავშირის 1977 წლის, საქართველოს სსრ 1978 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციებში [16].

აფხაზური სეპარატიზმი საბჭოთა წლებში იძენს ორგანიზებულ ხასიათს. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ერთ-ერთი სერიოზული გამწვავება ემთხვევა სსრკ-ის ახალი 1978 წლის კონსტიტუციის მიღების პერიოდს და მისი საბაბი ხდება აფხაზეთის სტატუსის საკითხი. 1985 წლიდან დაწყე-

ბული „პერესტროიკის“ შემდეგ საქართველოში დაიწყო ღია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რასაც მკვეთრად დაუპირის-პირდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა. ამან, თავის მხრივ, რუსეთის მიერ აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა არჩევნები. 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მიიღო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფო-ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

ამან კიდევ უფრო გააძლიერა რუსეთის აგრესია. ამ აგრესის მეტ-ნაკლებად შეკავებისა და გამოსავლის პოვნის მიზნით, ქართული მხარე წავიდა კაპიტულანტურ დათმობაზე: 1991 წლის 9 ივლისს მიღებულ იქნა აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი, რაც საპედისნერო შეცდომად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ კანონის მიხედვით აფხაზეთის ასარ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა, აფხაზების სახით დაეთმო უმცირესობას:

- მოსახლეობის 47 % (ქართველები) პარლამენტში წარმოდგენილ იქნა 26 დეპუტატით;
- 17 % (აფხაზები) — 28 დეპუტატით;
- დანარჩენი (სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობა) — 11 დეპუტატით.

ამავე კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო მხოლოდ აფხაზი, მას ეყოლებოდა ორი მოადგილე — ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნების; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი.

ამ დათმობების შედეგად, აფხაზეთის ასარ ხელისუფლება უამრავ არაკანონიერ ქმედებას ახორციელებდა, იღებდა ანტიკონსტიტუციურ სამართლებრივ აქტებს. განსაკუთ-

რეპით აღსანიშნავია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის დადგენილება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე იურიდიული ძალის არმქონედ და გაუქმებულად გამოცხადდა საქართველოს კანონები. რუსეთის ზენოლით 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შეწყდა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღდგენილ იქნა აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია.

## 1.2 აფხაზეთის ეკონომიკის რესურსული პოტენციალი

გეომორფოლოგიურად აფხაზეთი ძირითადად მთაგორიანი რეგიონია. დაახლოებით 74% მთებს უჭირავს, დანარჩენი — ვაკე-დაბლობებს. მთიან ნაწილში ქედები და მათ შორის მოქცეული ხეობები ჭარბობს. ქედებიდან უდიდესია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გადაჭიმული კავკასიონის ქედი. მისი მთავარი მწვერვალებია: აგეფსთა (3257 მ), ფსიში (3970 მ), ერწახვი (3910 მ), დომბაიულგენი (4046 მ), გვანდრა (3985 მ), ასევე კლუხორისა (2781 მ) და მარუხის (2746 მ) უღელტეხილები [17]. მთავარი ქედი ციცაბოდ ეშვება მდინარეების საკენის, ჩხალთისა და ბზიფის ხეობებისკენ. აფხაზეთის მთიანი შუა ნაწილი უჭირავს კავკასიონის გვერდით ქედებს: გაგრის, ბზიფის, კოდორისა და სვანეთ-აფხაზეთის ქედებს, რომლებსაც, თავის მხრივ, მრავალი განშტოება აქვთ, გაგრის მერიდიანულ ქედს, რომელიც მდინარეების გაგრიფშისა და უოეკვარის ხეობებს ბზიფის ხეობისაგან გამოყოფს. აფხაზეთის თითქმის ცენტრალური ნაწილი ხიფსთის, ააფსთის, გუმისთის, კელასურისა და ბზიფის აუზების წყალგამყოფს უჭირავს. ქედის დასავ-

ლეთ ნაწილი კირქვებითაა აგებული და რელიეფის კარსტული ფორმებით ხასიათდება. აფხაზეთის შუა, მთიანი ზოლის აღმოსავლეთი ნაწილი მდინარეების კოდორისა და ენგურის ღრმა ხეობებს შორის აღმართულ კოდორისა და სვანეთ-აფხაზეთის ქედებს უჭირავს.

მდინარეების ბზიფისა და კოდორის სათავეები ძირითადად ძლიერ დანაოჭებული, ქვედაიურული, შავი თიხა-ფიქლებით და შუაიურული ვულკანური ქანებით არის აგებული. შუაიურული ასაკისაა აგრეთვე ქალაქ ტყვარჩელის მიდამოები, მდინარეების ფსოუსა და ბზიფის აუზების ქანახშირის შემცველი თიხები და ქვიშაქვები. აღმოსავლეთით კირქვებს ცვლის თაბაშირიანი ფერადი თიხები და ქვიშაქვები, ხოლო ჩრდილოეთით — თიხები, ქვიშაქვები და თხელშრეებრივი კირქვები. აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში გავრცელებული ცარცული და პალეოცენურ-ეოცენური ქანები ძირითადად კირქვებით და მერგელებით არის ნარმოდგენილი, ხოლო ოლიგოცენური და ნეოგენური ასაკის ნალექები — ქვიშაქვებით, თიხებით და კონგლომერატებით. ეს უკანასკნელი შედგება კავკასიონის ამგებელი ქანების გადანარეცხი მასალებისაგან. აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში ზედაიურული, ცარცული, პალეოგენური და ნეოგენური ასაკის ქანები სუსტად არის დანაოჭებული.

აფხაზეთის წიაღისეულიდან აღსანიშნავია ტყვარჩელისა და ბზიფის ქანახშირის საბადოები, მდინარე ბზიფის სათავეში ვერცხლისწყლის საბადო. მრავლადაა ტყვიის, თუთიის, სპილენძისა და სხვა ლითონების მადანგამოვლინებები. არალითონური წიაღისეულიდან გვხვდება ძირითადად ბარიტი (ბზიფის, კოდორის, მოქვისა და ააფსთის ხეობებში) და თაბაშირი, ხოლო საშენი და შესამოსი მასალიდან — კირქვა, სააგურე თიხა, სერპენტინიტი, დიაბაზი და დიორიტი. განსაკუთრებით უხვად არის სამკურნალო მინერალური წყლები: ნახშირორჟანგიანი მინერალური წყაროები მდინარეების კოდორის, საკენის, გვანდრას, ჩხალთის, ბზიფის,

ავადპარისა და სხვა ხეობებში, ხოლო თერმული სამკურნალო წყლები — ტყვარჩელის, სოხუმის, ახალი ათონისა და გაგრის მიდამოებში.

აფხაზეთის მთავარი მდინარეები კოდორი, ბზიფი, ღალიძეა, გუმისთა, მოქვი და სხვები მიეკუთვნებიან შავი ზღვის აუზს. სასაზღვრო მდინარეებია ენგური და ფსოუ. მდინარეებზე ბევრი წყალვარდნილი და ჭორომია, ახასიათებთ სწრაფი დინება, შესართავებთან ქმნიან მცირე დელტებს. მთავარი მდინარეები შერეული საზრდოობისაა: უმთავრესად წვიმის წყლით, ზემოთ — თოვლისა და ყინულის დნობის წყლით. მინისქვეშა წყლებით საზრდოობის როლი დიდია კარსტულ ზონაში. დონეების მაქსიმუმი გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისშია, მინიმუმი - ზამთარში. აფხაზეთში ბევრი ტბაა: რინა, ადუედა, აძიუ, დერიკვარაძიში, ყვარაში, პატარა რინა, ამტყელი, ცისფერი ტბა და სხვა. ისინი მაღალ მთებშია განლაგებული. ზღვისპირა ვაკე დაბლობზე ლაგუნური (ინკითის, ბებესირის, პაპანწყვილის) და ნამდინარევი ტბებია. ზოგი ტბა დონისა და სარკის ფართობის მკვეთრი ცვლილებადობით ხასიათდება. ტბების ნაწილი მდიდარია იქთიოფაუნით.

აფხაზეთში 2000-ზე მეტი სახეობის მცენარეა, მათ შორის 150 სახეობის ხე და ბუჩქოვანი მცენარე. მთავარი ჯიშებია მუხა, რცხილა, ნაბლი, ნიფელი, იფანი, ცაცხვი, მურყანი. მდიდარია გარეული ხეხილით (ლელვი, პანტა, მაჟალო, ხურმა, ზღმარტლი, ტყემალი). ქვეტყეში იზრდება მარადმწვანე (შქერი, წყავი, ბაძგი, ბზა) და ფოთოლმცვივანი (თხილი, იელი, მოცვი) ბუჩქოვანები. ნოტიო ხეობებში გვხვდება რელიქტური უთხოვარი, ხშირია ლეშამბო: ეკალლიჭი, სურო, ღვეტკეცი, უსურვაზი. ზღვისპირა ვაკე-დაბლობებისა და გორაკ-ბორცვიანი მთისნინეთების ბუნებრივი მცენარეულობა მკვეთრად სახეშეცვლილია, უმეტესად გაჩეხილია. ამჟამად ჭარბობს მეორეული დაჯგუფებები და კულტურული ნაკვეთები: ბაღები, ბოსტნები, ჩაისა და ციტრუსოვანთა

პლანტაციები. აფხაზეთის ტერიტორიის დაახლოებით 55% ტყით არის შემოსილი. დაბალმთიან ზონაში გავრცელებულია წიფლნარი, მასთან ერთად იზრდება რცხილა, წაბლი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, სოჭი და სხვა. ქვეტყები ხშირია ბზა, თაგვისარა, შექრი, წყავი და მოცვი. საშუალმთიან ზონაში შერეული ტყებია გაბატონებული. აქ ტიპურია წიფლნარ-სოჭნარი და წიფლნარ-ნაძვნარი, გვხვდება ნაძვნარ-სოჭნარიც. წიფლნარი ზოგან ტყის ზედა საზღვრამდე ადის. მთის ტყეებს ზემოთ სუბალპური ტანბრეცილა ტყეების, ბუჩქნარებისა და მაღალბალახეულობის ზოლი აკრავს. სუბალპური ტყეები ძირითადად შედგება მთის ნეკერჩხლისა და არყის ტანბრეცილა ხეებისაგან. ბუჩქოვანებიდან იზრდება ლვია, მოცვი, დეკა, ასკილი, მაღალბალახეულში ნაირბალახი ჭარბობს. აფხაზეთის კირქვიანი ქედების სუბალპური და ალპური მდელოები მდიდარია მცენარეთა ენდემური სახეობებით. მაღალმთის მდელოები წარმოადგენს საზაფხულო საძოვრებს. აფხაზეთი მდიდარია ძვირფასმერქნიანი, სამკურნალო ნაყოფის მომცემი, საკვებად ვარგისი, თაფლოვანი და მთრიმლავი მცენარეებით.

აფხაზეთის ტერიტორიაზე გვხვდება ბარისა და მთის ტყის ცხოველთა სახეობები. სუბალპურ და ალპურ მდელოებზე ბინადრობს ჯიხვი და არჩვი, რინის ტყეებში ცხოვრობს კავკასიური ირემი. მრავალგანაა შველი, გარეული ღორი. XX საუკუნის დასაწყისში მოისპო კავკასიური დომბა. ფართოდაა გავრცელებული მგელი, ტურა, მელა, მაჩვი, კვერნა (თეთრყელა და ყვითელყელა), დედოფალა; ზოგან გვხვდება წავი, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — ევროპული წაულა. ტყეებში ბინადრობს მურა დათვი, ფოცხვერი და ტყის კატა. ახლო წარსულში იყო ამიერკავკასიური ჯიქიც. ბევრია კურდლელი, კავკასიური ციყვი, ალთაური ციყვი (აკლიმატიზებულია), ძილგუდა ტყის დათვი, ყვითელყელა თაგვი, ჩიათაგვი, ბუჩქნარისა და ჩვეულებრივი მემინდვრია, აკლიმა-

ტიზებულია ნუტრია. მრავალგანაა ცხვირნალა, მღამიობი, პონტური ზღარბი, თეთრმუცელა კბილთეთრა, დიდი კბილ-თეთრა და სხვა. ფრინველებიდან მაღალ მთებში ბინადრობს კავკასიური შურთხი, კავკასიური როჭო, მაღრანი, ალპური ჭყა, ბევრია მწყერი, ტყის ქათამი, ყურყუმელა, იხვი, თოლია, ყანჩა, ოფოფი, ნამგალა, ძერა, ქორი, მიმინო, არწივი, ორბი, ბატყანძერი, ბუ, ზარნაშო, ყვავი, ყორანი, მოლალური, სკვინჩა და სხვა.

მდინარეებსა და ტბებში არის კალმახი, კოლხური წვერა, კოლხური ლორჯო, მურწა, ლოქო, გამბუზია. ზოგ მდინარეში შავი ზღვიდან შედის ორაგული, სვია, ატლანტური ზუთხი, ფორეჯი და სხვა.

### 1.3 აფხაზეთის ეკონომიკა 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომამდე

აფხაზეთზე მოდიოდა ყოფილი სსრკ-ს ჩაის დაახლოებით 23% და ციტრუსების 25%, ტუნგის პლანტაციების 18%. ამავდროულად, რესპუბლიკა აწარმოებდა ჩაის პროდუქციის 16-17%, ციტრუსის და ტუნგის 20-22% და მაღალი ხარისხის ყვითელი თამბაქოს 45-50%. ამდენად, ჩაის, თამბაქოს ნედლეულის, ღვინის, ეთერზეთების, დაკონსერვებული ხილისა და ბოსტნეულის წარმოებაში აფხაზეთმა საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. ამ პერიოდში ეს იყო ძირითადი საექსპორტო პროდუქცია [14, გვ. 205-206].

80-იან წლებში ციტრუსის წარმოება საშუალოდ 80,120 ათას ტონას შეადგენდა, ჩაის მზა პროდუქტები - 80-100 ათას ტონას, თამბაქო - 6-7 ათას ტონას. ასევე განვითარდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგები: მარცვლეულის მოშენება (სიმინდი), მევენახეობა, ტექნიკური კულტურების მოშენება, აგრეთვე მეფრინველეობა და მეცხოველეობა.

მთიანი რელიეფის გამო აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მცირეა - მთლიანი ტერიტორიის 24.3%, მაგრამ პროდუქტიულია. ექსპერტების აზრით, ყოფილ საბჭოთა კავშირში საშუალოდ 100 ჰექტარზე პროდუქციის მთლიანი ღირებულება დაახლოებით სამჯერ ნაკლები იყო, ვიდრე აფხაზეთში. 100 ჰა მრავალწლიანი სოფლის მეურნეობის პლანტაციების საფუძველზე, ეს განსხვავება კიდევ უფრო არსებითი იყო [14, გვ 212].

ყოფილი სსრკ-ს ეკონომიკაში აფხაზეთის ყველაზე ძვირფას სიმდიდრედ ითვლებოდა მრავალწლიანი სასოფლო პლანტაციები, რომლებიც მოშენდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მრავალწლიანი პლანტაციების გაფართოება დაფინანსდა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მიერ. მიწის შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, ყურადღება გამახვილდა სოფლის მეურნეობის რაციონალურ სისტემაზე. სოფლის მეურნეობაში მიწის გამოყენება ორგანიზებული იყო ისე, რომ გაშენებული მიწის თითოეული ჰექტარისთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა წარმოების მოცულობის ზრდა. სოფლის მეურნეობის სექტორში პროდუქციის წარმოების ორგანიზების ძირითადი ფორმა იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული (სახელმწიფო მეურნეობები, მეურნეობათაშორისი საწარმოები, საგანმანათლებლო მეურნეობები) და კოლექტიურ-ფერმერული კოოპერატივის სექტორი. ამ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე მოდიოდა აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო მიწის 95%. მხოლოდ 4% იყო ინდივიდუალური შინამეურნეობების განკარგულებაში [14, გვ. 216].

1990 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 93 კოლექტიური მეურნეობა (მათ შორის 2 თევზის მეურნეობა), 56 სახელმწიფო მეურნეობა და 18 სამეურნეო საწარმო. ინდუსტრიაში დასაქმდა დაახლოებით 60 ათასი მუშავი. მანქანა-ტრაქტორების პარკი ჯამში 2500-2700 ერთეულს შეადგენდა.

საბჭოთა პერიოდში აფხაზეთი საბჭოთა კავშირში სპეციული კლიმატური პირობების გამო გახდა საკავშირო მნიშვნელობის დიდი სარეკრეაციო ზონა. ამასთან დაკავშირებით, 1978 წელს სამრეწველო მიზნით ტყის ჭრა აიკრძალა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აფხაზეთისთვის, როგორც სარეკრეაციო რეგიონისთვის.

საკურორტო ინდუსტრიის ცენტრალიზებული დაფინანსების პირობებში მაღალი იყო ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური ეფექტიანობა. ეს მიღწეულ იქნა საკურორტო კომპლექსების შექმნის წყალობით, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში კურორტის რესურსების თანაბრად გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდნენ. ეს მომსახურება ორიენტირებული იყო საბჭოთა ბაზარზე, დაცული იყო გარე კონკურენციისგან, რამაც შექმნა გარკვეული უპირატესობა. ამ პერიოდის განმავლობაში აფხაზეთში ფუნქციონირებდა 138 ობიექტი, სადაც მთელი წლის განმავლობაში 800 ათასზე მეტი ადამიანი ისვენებდა.

რაც შეეხება ომის (1992-1993) წინა პერიოდის მრეწველობას, ის შეესაბამებოდა აფხაზეთის ბუნებრივ პირობებსა და ეკონომიკურ რესურსებს. დარგში იქმნებოდა რესპუბლიკის ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი. ყოფილი სსრკ სტატისტიკის უწყების თანახმად, 1980-იან წლებში აფხაზეთის ასსრ ინდუსტრიული წარმოება შეადგენდა სსრკ-ს მთელი სამრეწველო წარმოების 12% -ს. დაახლოებით 500 ინდუსტრიული საწარმო მუშაობდა რესპუბლიკაში, სადაც დასაქმებული იყო 30.9 ათასი ადამიანი. დარგის სტრუქტურებში მონინავე ადგილს იკავებდა კვების, მსუბუქი მრეწველობა, ენერგეტიკა და მანქანათმშენებლობა. ამ დარგების მთლიანი წილი მრეწველობაში 1990 წელს შეადგენდა 87% -ს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა დონის სუბიექტების პოლი-

ტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია ორი მიზნის მიღწევას ემსახურებოდა:

1) სოციალური სამართლიანობის იდეალებზე დაყრდნობით რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობის მიღწევა;

2) ეროვნული ეკონომიკური მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში პრიორიტეტული მდგომარეობის მიღწევის მიზნით.

საბჭოთა კავშირის, როგორც იმპერიის, არსებობა შესაძლებელი გახდა ერთიანი ეროვნული ეკონომიკური კომპლექსის შექმნის წყალობით, რომელიც ქვეყნის ყველა რეგიონს ეკონომიკურ ორგანიზმთან აკავშირებდა, რომლის ნებისმიერი ელემენტი ვერ იარსებებდა მთლიანობიდან იზოლირებულად. ამ პოლიტიკამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, რომელიც ასაზრდოებდა საბჭოთა იმპერიას კოლონიური კულტურებით.

აფხაზეთის ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განპირობებულია იმ წარუმატებელი ტრანსფორმაციით, რომელიც უკავშირდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, რომელიც დაემთხვა რუსეთ-საქართველოს ომს (1992-1993), რამაც ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნულ ეკონომიკას დიდი მატერიალური ზიანი მიაყენა.

1995 წლის იანვარში ჩატარებული აფხაზეთის დეფაქტო რესპუბლიკის სპეციალური სამთავრობო კომისიის შეფასებით, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, ეკონომიკისადმი მიყენებულმა ზიანმა 11.3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა [14, გვ. 51-52]. დსთ-ს ომის შემდგომი სანქციები ასევე უარყოფით როლს ასრულებდა აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებაში. ტერიტორია აღმოჩნდა იზოლირებულ მდგომარეობაში ნორმალური ეკონომიკური განვითარების-გან, რამაც გამოიწვია ომის შედეგად დაზარალებული ეკო-

ნომიკის ვარდნა, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარე-სება და მისი იძულებითი მიგრაცია.

მოსახლეობის ყველაზე აქტიური და პოტენციურად წარმატებული ნაწილი, რუსეთის აგრესიისა და ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად, მის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა. სე-რიოზული პრობლემები წარმოიშვა აფხაზეთში მოსახლეობის დარჩენილი ნაწილის ეკონომიკურ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

#### **1.4. აფხაზეთის ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები**

აფხაზეთს აქვს უნიკალური კლიმატი და ბუნება, რაც საშუალებას იძლევა განვითარდეს ტურიზმი და დასვენების ინდუსტრია. ბუნებრივი რესურსებიდან ინდუსტრიის განვითარებისთვის ყველაზე პერსპექტიულია ნახშირის, დოლომიტის, გრანიტის, მარმარილოს, ტუფის, ბარიტის და ტყვიის მარაგი. რესპუბლიკას აქვს მინერალური და თერმული წყლები, ხოლო მთიან მდინარეებს აქვთ ჰიდროენერგეტიკის განვითარების პოტენციალი.

##### **სოფლის მეურნეობა**

მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, აფხაზეთი აგრარული რეგიონი იყო, ამიტომ ტრადიციული უნიკალური პრაქტიკითა და ტექნოლოგიით სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ ადგილს იკავებდა მის ეკონომიკაში.

კ.დ. კუდრიავცევი 1922 წელს გამოქვეყნებულ „აფხაზეთის ისტორიის“ მასალების კრებულში [8] აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში „მიწა არის ქვეყნის მთავარი შემოსავლის ობიექტი“. ავტორი გვაწვდის საინტერესო სტატისტიკას (გასათვალისწინებელია, რომ ეს სტატისტიკა ასახავს აფხაზეთის ინდუსტრიალიზაციის საწყის პერიოდს):

- 1910 წელს მხოლოდ ოჩამჩირის ნავსადგურიდან ექსპორტზე გადიოდა 3 მილიონზე მეტი ფუთი სი-მინდი (თითქმის 50 ათასი ტონა), ამჟამად იწარმო-ება 16,7 ათასი ტონა;
- ყოველწლიურად აფხაზეთში იწარმოებოდა 2,5-დან 3 მილიონამდე ვედრო ღვინო. ამჟამად აფხა-ზეთიდან ექსპორტზე დაახლოებით გადის 20 მი-ლიონი ბოთლი ღვინო, აქედან აფხაზეთში მოყვა-ნილი ვენახებიდან — დაახლოებით 700 ათასი ბოთლი;
- სმელი და ახალი ხილის ექსპორტი წელიწადში 100 ათას ფუთს აღემატებოდა (16 000 ტონაზე მეტი). შედარებისთვის, ამჟამად აფხაზეთიდან ექ-სპორტზე გადის 3 500 ტონა ციტრუსი;
- დაფნის წლიური ექსპორტი 2 000 ფუნტს (32 ტო-ნას) აღწევდა. ამჟამად დაფნის ფოთლის ექ-სპორტირება არ ხდება;
- 1914 წელს შეგროვებული თამბაქოს ღირებულება აღემატებოდა 7 მილიონ რუბლს (დღევანდელი კურსით 5.46 მილიარდი რუბლი). ამჟამად თამბა-ქო ექსპორტზე არ გადის საერთოდ;
- 1917 წელს აფხაზეთში ცხენების რაოდენობა 15,7 ათას თავამდე აღწევდა. ამჟამად 2 ათასია;
- კამეჩების რაოდენობამ 28 ათას თავამდე მიაღწია, დღეს ეს დარგი არ არსებობს;
- პირუტყვის მთლიანი სულადობა 103 ათასი თავი იყო, ამჟამად - 90,7 ათასი; წელიწადში 150-200 ათასი ფუთი ღორის ხორცის (3.2 ათასი ტონა) ექ-სპორტი მხოლოდ ოჩამჩირიდან ხდებოდა, ამჟამად - 0,5 ათასი ტონაა [8].

აფხაზეთის ეკონომიკის მეორე ყველაზე მნიშვნელოვა-ნი ინდუსტრიის - ტურიზმის განვითარება მრავალი თვალ-

საზრისით არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. განვითარებული ტურისტული ქვეყნების (იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი და ა.შ.) მიმზიდველობა მდგომარეობს არა მხოლოდ კლიმატური პირობებისა და კულტურული ძეგლების დიდი რაოდენობით არსებობაში, არამედ მაღალი ხარისხის კულინარიაშიც.

ეკონომიკის ორგანიზაციას აფხაზურ სოფლებში დამასიასითებელი თვისებები გააჩნდა. ერთი მხრივ, ეკონომიკა ინდივიდუალური იყო (ამიტომ მე -20 საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა კოლექტივიზაციამ გამოიწვია აფხაზეთის მოსახლეობის უარყოფითი რეაქცია), მეორე მხრივ, არსებობდა ინდივიდუალური ეკონომიკის (yaaხა) კოლექტიური ურთიერთდახმარების სისტემა და გლეხების დროებითი გაერთიანება ზაფხულის საძოვრებში.

ინდივიდუალური ეკონომიკის ორგანიზებით, აფხაზურმა ოჯახმა საკუთრებაში არსებული მიწის ზონები დაანაწილა თავიანთი ფუნქციების შესაბამისად: წინა ეზო - ამჟარხა, აშტა, აგეარპ; ვენახი - აკეათა; ხეხილის ბალი - აბაზა; სახნავი მიწა - ამხურტა, ალატარტა, საძოვარი - ახეკტა (ბუანია. აფხაზების ეკონომიკისა და კულტურის ისტორიიდან) [4].

ინდივიდუალური მეურნეობის არსებობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ზრდის ერთ-ერთი გზაა, რომლის მოთხოვნა მსოფლიო ბაზრებზე წარმოუდგენელი სიჩქარით იზრდება.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში ამჟამად თავს იყრის უამრავი პრობლემა:

დღევანდელი აფხაზი გლეხისთვის საჭიროა შემდეგი საკითხების გადაწყვეტა: პირველ რიგში, ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციები (მიწის დამუშავების ტექნიკა, ცხოველების რეპროდუქცია, ტუმბოები, წყლის მი-

ლები, სარწყავი წყლის მილები, სათბურის და სხვა ტექნიკის გამოყენება დიდ თანხებს მოითხოვს). უმეტეს საკარმიდამო მეურნეობებში გლეხები მიწას ძველი გუთნის დახმარებით ამუშავებენ, ხოლო ირიგაციის სისტემის სრული მოშლის პირობებში მორწყვის მთავარი გზაა «*Ապսահքա*» — აფხაზების ისტორიული წარსულისათვის დამახასიათებელი წვიმის მოსვლის წარმართული რელიგიური ცერემონია.

მცირე ოდენობის სოფლის მეურნეობის ტექნიკა კონცენტრირებულია სახელმწიფო საწარმოთა ხელში, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები არაეფექტურიანია. არარენტაპელური სახელმწიფო სექტორის პირობებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა გახდეს გლეხების საკუთრება საკრედიტო მექანიზმების გამოყენებით ან იმავე პრივატიზაციით, რასაც ეკონომიკურად დაუძლურებული ადგილობრივი ხელისუფლება ძლიერი ბიუროკრატიის პირობებში ვერ ახერხებს.

მცირე ზომის მიკროტრაქტორები (კერძოდ, ისინი უმეტეს შემთხვევაში საჭიროა გლეხებისთვის) დღეს აფხაზეთში 500000-დან 700000 რუბლამდე ღირს. აფხაზეთის დეფაქტო მთავრობა ბოლო ათი წლის განმავლობაში ძირითადად ინვესტირებას ახდენდა ხილის კომპანიებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროექტებში, რომელთა ნაწილი უშედეგო აღმოჩნდა.

სასოფლო სამეურნეო პროდუქტების იმპორტი აფხაზეთში ხორციელდება თურქეთიდან და რუსეთიდან, არაოფიციალურად-საქართველოდან, რადგანაც აფხაზეთს არ გააჩნია იმის რესურსები, რომ დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, ხოლო იქ წარმოებული პროდუქცია არაორგანიზებულობის გამო ვერ ხვდება ადგილობრივ ბაზარზე.

მოუგვარებელია ე.ნ. საშუალავლო ვაჭრობის პრობლემა. ამ ფენომენიდან, რომელსაც გრძელი ისტორიული ფესვები აქვს, ჩნდება უსამართლო კონკურენცია. ამ ტიპის ვაჭრო-

ბა აფხაზეთში XIX საუკუნის ბოლოდან ვითარდება. ქართველი, აფხაზი, თურქი, სომეხი, ებრაელი ვაჭრები ყიდულობდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აფხაზეთის სოფლებში და ქალაქის ბაზრებზე ორჯერ ან ბევრად მეტ ფასად ყიდდნენ. დღესდღეობით, იგივე ხდება.

## მეცხოველეობა

მეცხოველეობა (ან მესაქონლეობა) ყოველთვის იკავებდა ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს აფხაზების ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა პერიოდამდე აფხაზეთში მეცხოველეობა თავისებურებებით ხასიათდებოდა: გლეხები ამჯობინებდნენ წვრილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებას (ცხვარი და თხა). აფხაზების მიერ ეს აიხსნებოდა იმით, რომ „აფხაზეთი ძირითადად მთიანი რელიეფით ხასიათდება, რომლის პირობებშიც რთული იყო მსხვილფეხა საქონლის შესანარჩუნებლად სტაბილური საკვები ბაზის შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ბარი თივის, სილოსის და სიმინდის გაშენების საშუალებას იძლევა, მოსავლის ოდენობა საკმარისი არ არის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოსაშენებლად. ნ. ბუანია ნაშრომში „აფხაზთა ეკონომიკისა და კულტურის ისტორიან“ აღნიშნავს, რომ: მხოლოდ მე -19 საუკუნის ბოლოს აფხაზებმა მეგრელებისგან მიიღეს ჩვეულება, მთებში გაერეკათ ძროხები. მანამდე აფხაზები მხოლოდ თხას, ცხვარსა და ცხენებს მიერეკებოდნენ ალპურ მდელოებზე“ [4].

საბჭოთა პერიოდში აფხაზეთში მესაქონლეობასთან დაკავშირებული მიდგომები შეიცვალა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება შესაძლებელი გახდა, რადგან საკვების მინოდება განხორციელდა ცენტრალიზებულად სსრკ-ს სხვა რეგიონებიდან.

გაზაფხულზე აფხაზეთში დიდი რაოდენობით პირუტყვის მფლობელებს ორგანიზებულად მიჰყავდათ თავიანთი საქონელი ზღვის წყლის დასალევად. ჯერ კიდევ ფლავიუს არიანი 134 წელს აღნიშნავდა: „ზღვისპირა მაცხოვრებლები მთელ პირუტყვს ზღვის ნაპირისაკენ მიერეკებიან და ის აშკარად მას სიამოვნებით სვამს. ისინი იმასაც ამბობენ, რომ ეს სასმელი მისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე სუფთა წყალი [4].“

უძველესი დროიდან აფხაზეთის მთის საძოვრები დაპირისპირების საგანი გახდა მთავრებს, დიდებულებსა და გლეხებს შორის. ყველა საძოვარი გადანაწილებული იყო და მათი საზღვრების დარღვევას შეიძლება მეპატრონეებს შორის დაპირისპირება გამოეწვია. XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან აფხაზეთის მთის საძოვრები 3 წლის ვადით იჯარით გადაცეცემოდა მფლობელებს - 1887 წლის 29 ივნისს რუსეთის იმპერიის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე - მოიჯარე შეიძლება ყოფილიყო როგორც სოფლის თემები (აკვატა), ასევე კერძო პირები. ბზიფის მთისწინა სოფლებში იყო მუდმივი საძოვრები: „ხუაპცევების მთა“ (Хеапаа ရყშხა), „აჭანდარელების მთა“ (Ачандараа ရყშხა), „ავათხარელების მთა“ (Отхараа ရყშხა) და სხვები. მხოლოდ „ავათხარას მთის“ საძოვრებზე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სეზონზე 10,000-მდე თხა და ცხვარი ძოვდა. მხოლოდ ბენიას გვარის წარმომადგენლების პირუტყვის ფარა ათას სულს აჭარბებდა. ლაქტაციის პერიოდში აფხაზური თხის რძის მოსავლიანობა შეადგენდა დღეში ერთ-ნახევარ ლიტრს [4].

აფხაზებს პქონდათ საძოვრების საფასური ან გადასახადი, რომელსაც ეწოდება აჯხევ (სიტყვასიტყვით უმი ხორცი). მას იხდიდნენ ნატურით, მოგვიანებით კი — ფულადი თანხით. მაგალითად, ს. ბუანია წიგნში „აფხაზთა ეკონომიკისა და კულტურის ისტორიიდან“, აღნიშნავს, რომ სოფელ

ჯგირდის მკვიდრი ს. ბუაზ ამიჩბა გუარაპის საძოვრებზე, აძოვებდა ორ-სამ ათას წვრილ რქოსან საქონელს. საძოვრების საფასურის შეგროვება, ნათქვამია ს. ბუანიას წიგნში შეადგენდა, ხუთ კაპიკს ერთი თხის ან ცხვრის ძოვებაზე, ერთ რუბლს ერთი ცხენისთვის. გუაზ ამიჩბას და შემდგომში მისი ვაჟის შმაფის შემოსავალი ხუთ-ექვსჯერ აღემატებოდა იმ ოდენობას, რაც შექონდათ ხაზინაში [4].

XIX საუკუნეში იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეული მთავრები აცხადებდნენ თავიანთ უფლებებს ზოგიერთ მთის საძოვრებზე და გლეხებს აიძულებდნენ საძოვრების საფასურის გადახდას. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა, დაკავშირებული აბუუისკის მთავარ გრიგორი ჩაჩბასთან, დამთავრდა იმით, რომ მწყემსი სოფელ ატარადან ფიზიკურად გაუსწორდა გ. ჩაჩბას და გააძევა შოუდიდის მთის საძოვრებიდან [4].

დღეს ოუპირებულ აფხაზეთში ხორცი ძირითადად იმპორტის გზით შემოდის. აფხაზ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მეცხოველეობის განვითარებისათვის საწყის ეტაპზე აფხაზეთის ხელისუფლებამ აუცილებელია გამოყოს მიზნობრივი სესხები იმ მიზნით, რომ შეიქმნას რძისა და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების მცირე მეურნეობები ბზიფისა და კოდორის ხეობებში. ამ რაიონებში მეცხოველეობის მეურნეობების არსებობა გააადვილებს ზაფხულში წვრილფეხა რქოსანის გადაადგილებას მთის ალპურ საძოვრებამდე. კოდორის ხეობაში ასეთი ნაბიჯი ასევე იქნება წებელდისა და დალის უგულებელყოფილი ტერიტორიების განვითარების საფუძველი. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ეს ტერიტორიები განიხილებოდა ყველაზე მჭიდროდ დასახლებულად აფხაზეთის ცენტრალურ ნაწილში. მხოლოდ წებელდაში ცხვრობდა 10000-მდე ადამიანი (1,500 კომლი), ხოლო მეურნეობებში 150000-მდე პირუტყვი იყო. მოსახლეობის ძირითად ნაწილს აბორიგენი ქართველები - სვანები შეადგენდა.

დღეს აფხაზეთი ახდენს ნახევრად მზა ხორცპროდუქტების იმპორტირებას ძირითადად რუსეთის ფედერაციიდან.

## რძის პროდუქტების წარმოება

აფხაზეთში რძის მეურნეობის მთავარ პროდუქტად ითვლება ყველი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აფხაზების დიეტაში.

ს. ბჟანიას თანახმად, აფხაზეთში ცნობილია შემდეგი სახეობის ყველი:

- 1) ashəaza (ახალი პირველი ყველი);
- 2) ashəeilletə (ცნობილი გლეხის ყველი, რომელიც გამოირჩევა მაღალი გემოთი და ცხიმის შემცველობით; უმეტეს მომხმარებელთათვის ცნობილია, როგორც „სულგუნი“);
- 3) ashəuygrutç (დაფქული ყველი);
- 4) atazyla (პირველი ყველი ცხელი ნულით შემდგომი დამუშავების გარეშე, ციცაბო დამარილებული, კარგად დაჭერით ჭურჭელში შებრანული და შებოლილი; განსხვავებით „ashəeilletə“ ჯიშისგან, „ატაზილას“ ყველი არის გახეხილი, არ არის ბლანტი);
- 5) atskiyashə (რიტუალური სამარხვო ყველი );
- 6) aхмасиа (ცხევრის რძის ყველი, რომელიც მზადდება როგორც მოხმარებისთვის, ასევე რიტუალის ღოცვისთვის. ეს ყველი მდიდარია ცხიმიანი გემოთი და გემრიელია პირველი ყველის მსგავსად, რომელიც სულგუნის ყველის ნედლეულს ემსახურება);
- 7) atsargəashə;
- 8) achair (მზადდება შერეული, კომბინირებული რძის პროდუქტებისგან - ძროხის და კამერის რძით, მანონი, პირველი ყველი - მარილის ან თუნდაც წიწაკის დამატებით).

თანამედროვე აფხაზეთში ყველის წარმოების მთავარი პრობლემა ის არის, რომ ის სათანადო პირობებში არ არის შენარჩუნებული, არ იძლევა ფერმენტაციის (დუღილის) პროცესის დასრულების საშუალებას [4]. დღეს ყველი ძირითადად იწარმოება საოჯახო მეურნეობებში ადგილობრივი მოხმარებისათვის. რაც შეეხება რძის ინდუსტრიის პერსპექტივებს, აფხაზეთში არსებობს ყველა წინაპირობა მისი განვითარებისთვის, მაგრამ არ არსებობს ამის მატერიალური რესურსები.

## მევენახეობა

მევენახეობა ალბათ ერთადერთი სოფლის მეურნეობის სექტორია აფხაზეთში, რომელიც მეტ-ნაკლებად ვითარდება. ბოლო 10 წლის განმავლობაში მრავალი ახალი ვენახი და რამდენიმე კერძო მინიქარხანა გამოჩნდა ღვინის წარმოებაში. ამავდროულად, დაბალხარისხიანი ალკოჰოლური სასმელების იმპორტირება რუსეთიდან კვლავაც გრძელდება, რაც არა მხოლოდ ზიანს აყენებს ჯანმრთელობას, არამედ უარყოფითად მოქმედებს აფხაზეთის კურორტის იმიჯზე. ასევე აქტიურია ალკოჰოლური სასმელების ადგილობრივი არაკეთილსინდისიერი მწარმოებლების საქმიანობა.

## ციტრუსების, ჩაის, დაფნის ფოთლის წარმოება

XX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში საქართველოს სსრ-ს, რომელშიც შედიოდა აფხაზეთის ასსრ, ევალებოდა მთელი საბჭოთა კავშირისათვის მიეწოდებინა ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების ნაყოფი. საქართველოს სსრ საბჭოთა კავშირში ერთადერთი გახდა, რომელიც აწარმოებდა ინდუსტრიული მოცულობის ჩაის, მანდარინს, ლიმონს, ფორთხვალს, მაღალი დონის საექსპორტო თამბაქოს და იშვიათი სახეობის ხეებს, კერძოდ, ტუნგს, კეთილშობილ დაფნას, ევკალიპტს.

დღეს ოკუპირებულ აფხაზეთში არ არსებობს ციტრუსების ექსპორტის პირობები (ფორთოხალი, მანდარინი, ფეიხოა და ლიმონი), უფრო მეტიც, ადგილობრივი გლეხების-თვის არ არის შექმნილი ციტრუსების შიდა ბაზარზე რეალიზაციის შესაძლებლობები.

1810 წელს, რუსეთის იმპერიაში შესვლის დროს, აფხაზეთი იყო ის მხარე, სადაც ჩატარდა კულტივირებული ჩაის ბუჩქის გაშენების ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტები. სტატიაში „მოგზაურობა აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში. ჩაის კულტურის პერსპექტივების საკითხის შესახებ აფხაზეთში“, რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების „იზვესტიაში“, აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 1848 წელს მ. ს ვორონცოვმა, როგორც კავკასიის „ნამესტნიკმა“, ბრძანა ყირიმში მისი მამულიდან ჩაის ბუჩქების გაგზავნა სოხუმის ბოტანიკურ ბაღში ექიმ ბაგრიანოვ-სკისთან, სადაც ის შემდეგ მოუშენებიათ ქალაქის მახლობლად მდებარე პლანტაციებში. ასე რომ, ჩაის მზარდი კულტურა აფხაზეთში 170 წლისაა. რაც შეეხება დაფნისა და ევკალიპტის ფოთლებს, მათი ინდუსტრიული შეგროვება აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დროს ინტენსიურად მიმდინარეობდა, ხოლო დღეს არ წარმოებს [17].

## **1.5 აფხაზეთის ეკონომიკური პოტენციალის ანალიზი**

საბჭოთა პერიოდში, აფხაზეთის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობას, განვითარებულ ენერგეტიკას, მსუბუქ და კვების მრეწველობას, მანქანათმშენებლობას და სამშენებლო მასალების წარმოებას. დასასვენებელი ინდუსტრია წარმოადგენდა ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ დარგს. სსრკ-ს დაშლამ გამოიწვია მასში შემავალი ყველა რესპუბლიკის ეკონომიკური კრიზისი, განსაკუთრებით დაზარალდა აფხაზეთი, როგორც საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი მთავარი საკურორტო ცენტრი. ვითარება გამწვავდა აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთ-საქართველოს 1992-1993 წლების სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად. გარდა დიდი ადამიანური დანაკარგებისა, განადგურებისა-გან მიყენებულმა ზარალმა, აფხაზი მეცნიერების სხვადასხვა შეფასებით, 11.3 მილიარდ დოლარამდე შეადგინა. ომის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდნენ ქალაქები სოხუმი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი და მრავალი სოფელი.

ომის შედეგად საწარმოების უმეტესობა გაჩერდა ან განადგურდა. ეკონომიკის გაჯანსალებას ხელი შეუქმალა დსთ-ს ქვეყნების სანქციებმა, რომლებიც მიიღეს 1996 წლის იანვარში, რომელთაგან ყველაზე რთული რუსეთთან სატრანსპორტო კავშირების ჩაკეტვა იყო (1995 წელს დაწესდა აკრძალვა მგზავრებისა და ტვირთების გადამზიდავ გემებზე). ომის შედეგად დაირღვა ტრადიციული საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა გარე დაფინანსების წყაროები. მთავარი ამოცანა ოკუპირებულ აფხაზეთში არა ეკონომიკური განვითარება, არამედ დარჩენილი მოსახლეობის გადარჩენის უზრუნველყოფა იყო.

ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობა კვლავაც განიცდის სოციალური დაშლის პროცესს, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და „ახალი აფხაზების“ გაჩენა ქვეყნის

გადაუჭრელი პოლიტიკური სტატუსის ფონზე, ზრდის სოციალურ დაძაბულობას. იზრდება მოსახლეობის გაღატაკების პროცესი. მოსახლეობის ცხოვრების დონის შენარჩუნების-თვის ოკუპანტმა რუსეთმა გააფართოვა აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მიღება, რამაც შესაძლებელი გახადა მოსახლეობის ნაწილისთვის რუსეთის პენსიების მიღება. რუსული პენსიისა და შეღავათების მიღების მსურველთა რაოდენობა მოსახლეობის 25% -ზე მეტია, ხოლო საშუალო ხელფასი ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში კატასტროფულად დაბალია.

განათლების სისტემამ არ განიცადა ფუნდამენტური ცვლილებები. ყველაზე დიდი უნივერსიტეტია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1997 წელს შეიქმნა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია.

## ეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკის სფეროს რეანიმაციის მიზნით შემუშავებული „2000—2020 წლების აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია“ და „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“ დამტკიცებულია აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის მიერ. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები გულისხმობენ აფხაზეთის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას. აფხაზეთში ჯერ არ მომზდარა სრული პრივატიზაცია, თუმცა შემუშავებულია და ძალაშია „კანონი პრივატიზების შესახებ“. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის პრივატიზებას, საკურორტო რაიონებში მისი ძალიან მაღალი ღირებულების პირობების გათვალისწინებით. მიღებული კანონი „იჯარის შესახებ“ საფუძველს იძლევა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის იჯარით გაიცეს საკურორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში.

მაკროეკონომიკური აღრიცხვის სისტემით დადგენილია, რომ მშპ-ს 60%-ზე მეტი უზრუნველყოფილია ვაჭრობით. ტურიზმი, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლების მესამედს შეადგენს, უზრუნველყოფს მშპ-ს მხოლოდ 10%-ს.

რუსეთ-საქართველოს ომის წლებში ციტრუსის და ჩაის პლანტაციები თითქმის მთლიანად განადგურდა, მინის 60% სასოფლო სამეურნეო თვალსაზრისით აუთვისებელია. დღეისათვის ჩაი და ციტრუსები მცირე მოცულობებით ინარმოება ძირითადად კერძო მეურნეობებში, ხოლო არარეგულირებადი რეალიზაციის ბაზრის პირობებში ამ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი უკანონოდ იქნა ექსპორტირებული რუსეთში.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სექტორია სატყეო მეურნეობა. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ტყის მრავალი სახეობა ღირებულია, ხოლო ძვირფასი ხის ექსპორტი ასევე უკანონოდ ხორციელდება თურქეთისა და რუსეთის ავეჯის ქარხნებში.

## **მსუბუქი, კვების და გადამამუშავებელი საწარმოები**

აფხაზეთის მსუბუქი, კვების და გადამამუშავებელი საწარმოები ორიენტირებული უნდა იყვნენ წარმოებული სოფლის მეურნეობისა და სხვა ნედლეულის გადამუშავებაზე. ყოველივე ამის შემდეგ ისინი შეძლებენ უზრუნველყონ შიდა ბაზრის უმეტესი ნაწილი და საკურორტო სექტორი საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

ა. ორლოვის მიერ სოხუმის ეკონომიკურ კვლევაში, რომელიც 1982 წელს გამოქვეყნდა სათაურით „საბოლოო შედეგების ეფექტურობისთვის“, მოცემულია იმ საწარმოთა სია, რომლებიც საბჭოთა პერიოდის განმავლობაში მუშაობდნენ აფხაზეთის დედაქალაქში:

- ✓ თევზის ქარხანა;
- ✓ ტყავის ქარხანა;
- ✓ „აფხაზვინოკომბინატი“ (წარმატებით ფუნქციონირებს);
- ✓ „აფხაზხლები“;
- ✓ საკონდიტრო ქარხანა;
- ✓ საკონსერვო ქარხანა;
- ✓ ხორცის გადამაზუშავებელი ქარხანა;
- ✓ რძის ქარხანა;
- ✓ აფხაზეთის ბეჭდვის ასოციაცია;
- ✓ ლუდის და ხილის წყლის ქარხანა;
- ✓ სუვენირების ქარხანა;
- ✓ მშრალი ყინულის და ნახშირორჟანგის ქარხანა;
- ✓ დივერსიფიცირებული სამრეწველო კომპლექსი.

რა თქმა უნდა, ამჟამად არ უნდა იყოს ილუზია, რომ ზემოაღნიშნული ინდუსტრიები წარმატებით შეიძლება განვითარდეს აფხაზეთის სახელმწიფო ადმინისტრირების ქვეშ. ამოცანა გაცილებით რთულია - ისეთი პირობების შექმნა, რომ თავად ბიზნესმა შეძლოს ამ სფეროების დაუფლება საერთაშორისო ბაზრებზე შესვლის პერსპექტივით, რაც ოკუპაციის პირობებში შეუძლებელია.

## **მომპოვებელი მრეწველობა**

აფხაზეთში ნავთობპროდუქტების წარმოება და გაზის საბადოების ექსპლუატაცია არ მიმდინარეობს, ნახშირის წარმოების შესაძლებლობები არ აღუდგენიათ, ამიტომ ტყვარჩელის თბოელექტროსადგური არ მუშაობს, სოხუმშიალჰესი და მცირე ჰიდროელექტროსადგურების ნაწილი დაზიანებულია. ელექტროენერგიის მთავარი მიმწოდებელი არის ენგურჰესი, რომელსაც აქვს ოთხი კასკადური სადგური. ჰიდროელექტრო-

სადგურის კაშხალი მდებარეობს დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მდინარე ერისწყლისა და გალის წყალსაცავის ელექტროგადამცემი და კასკადური სადგურები (წყალი მათ გვირაბში შედის) აფხაზეთის ტერიტორიაზეა. ელექტროენერგიის გამომუშავებაა 3.2-3.5 მილიარდი კვტ. საათია. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ნახევარს აფხაზეთი მოიხმარს, რის ხარჯები ქართული მხარის მიერ ითარება. აფხაზეთისათვის განკუთვნილი, 20%-მდე - გადის კრასნოდარის მხარეში. ყოველივე ეს ხდება იმ პირობებში, როდესაც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული რუსეთის სამხედრო ბაზები, ფაქტობრივად, უფასოდ ღებულობენ საქართველოდან ელექტროენერგიას [18].

აფხაზეთში 2007-2009 წლებში ოკუპანტი რუსეთის მსხვილი ინვესტიციები ჩაიდო საბინაო და ქალაქური ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. მშენებლობის შედარებით სწრაფი ტემპითა სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში, როგორც აფხაზეთის მთავარ საკურორტო ცენტრებში. მიწის პრივატიზაციის კანონმდებლობის არარსებობა ანელებს მშენებლობის პროცესს.

## ბუნებრივი რესურსები

აფხაზეთის დეფაქტო კონსტიტუციის მეხუთე მუხლში ნათქვამია: „მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები ხალხის საკუთრებაა, რომელიც გამოიყენება და დაცულია აფხაზეთის რესპუბლიკაში, როგორც მისი მოქალაქეების ცხოვრებისა და საქმიანობის საფუძველი“.

გლობალიზაციით გამოწვეული გარემოსდაცვითი პრობლემების გათვალისწინებით, წყალი ხდება უმნიშვნელოვანესი რესურსი. აფხაზეთის წყლის რესურსების გამოყენება, მათ შორის მინერალურის, უნდა განხორციელდეს ექ-

სკლუზიურად გარემოსდაცვითი პირობების მკაცრი დაცვით. აფხაზ მეცნიერებთა ნაწილს [17] მიაჩნია, „რომ ნორვეგიის „ხალხის ნავთობის ფონდის“ მსგავსად, აფხაზეთის მინერალებისა და სასმელი ნყლის მოპოვებისა და რეალიზაციიდან მიღებული თანხები შეიძლება დაგროვდეს სპეციალურ საბანკო ანგარიშებზე, მოქალაქეების სოციალური უფლებების უზრუნველსაყოფად და ხელფასების და პენსიების გაზრდის მიზნით. იგივე უნდა გაკეთდეს ხეტყის, ქვანაბშირის, ინერტული მასალების და თავად ზეთისხილის მიმართებაში“ [17], რაც ოკუპაციის პირობებში არარეალურია, რადგანაც „ნორვეგიული სოციალისტური სასწაული“, თვისობრივად და შინაარსობრივად განსხვავდება „აფხაზური სოციალისტური სასწაულისგან.“

ჯერ ერთი, ნორვეგიაში შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მიდის „ხალხის ნავთობის ფონდში“, მიღება ნავთობის მოპოვება-გადამუშავების შედეგად, რომელიც გამოიყენება მოქალაქეების სოციალური უფლებების უზრუნველსაყოფად და ხელფასებისა და პენსიების ზრდის-თვის. ე.ი. თავად მოქალაქეები პასუხისმგებელნი არიან საპენსიო და სხვა შეღავათებზე. ამავე დროს, ისინი თავად არიან ამ ფონდის ბენეფიციარები, რომელთა თანხები გამოიყოფა მნიშვნელოვან სოციალურ საჭიროებებზე. ცნობილია, რომ აფხაზეთს ნავთობის მარაგები არ გააჩნია, ხოლო ბუნებრივი ნყლის მარაგებით აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებულია დაუსაბუთებელ და გადაჭარბებულ ოპტიმიზმთან. ჯერ კიდევ 1926 წელს, აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების იზვესტიის მესამე ნომერში, მ. იუშკინმა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ზეთი შავი ზღვის სანაპიროზე“. ამ ნაშრომის ქვეთავში „აფხაზეთი და დასავლეთ საქართველო ნავთობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით“ [17] მოცემული ინფორმაცია ემყარება ბუტოვისა და კარკის გეოლოგიურ ძიებას, პროფესიონალურ ბოგდანოვიჩის ხელმძღვანელობით, რომელშიც ასახულია შავი ზღვის საქარ-

თველოს შელფის ნავთობის მარაგები, თუმცა შემდგომმა გე-ოლოგიურმა კვლევებმა ეს ჰიპოთეზა არ დაადასტურა.

დეფაქტო აფხაზეთის არსებული სტატისტიკის მიხედ-ვით, აფხაზეთში მუშაობს დაახლოებით 40 ათასი ადამიანი, ხოლო 53 ათასი პენსიონერია (აქედან მხოლოდ 36 ათასამდე ადამიანი იღებს ასაკის პენსიას.) ყოველწლიურად დაახლოე-ბით 53-70 მილიონი რუბლი გამოიყოფა ბიუჯეტიდან აფხა-ზეთის 53 ათას პენსიონერზე. საპენსიო ფონდის წლიური ბიუჯეტი 1 მილიარდ 100 მილიონ რუბლს აღწევს. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე აფხაზ მეცნიერებს მიაჩინათ, რომ აუცილებელია ამ სფერო-ში ნორვეგიული გამოცდილების გამოყენება, სოციალური სამართლიანობის მისაღწევად ნორვეგიულის მსგავსი ეროვ-ნული ფონდის შექმნა, რაც აბსურდის თეატრს ემსგავსება.

ტყის რესურსებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, აფხაზეთიდან უპირატესად რუსეთში ხის ძვირფასი ჯიმების ექსპორტი ხორციელდება უსისტემოდ, ყოველგვარი გარე-მოსდაცვითი რეგულაციების გარეშე ნადგურდება ტყის მა-სივი და მასთან ერთად ფლორა და ფაუნა, რაც, საბოლო ჯამში, ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიგვიყვანს.

კ. დ კუდრიავცევის თანახმად, XX საუკუნის დასაწ-ყისში სატყეო მეურნეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფ-ხაზეთისათვის. „ტყეები, - წერდა კ. დ კუდრიავცევი, ფარავს აფხაზეთის მთლიანი ტერიტორიის 60% -ს. აქედან, ბზიფის, მურავიევის, პიშიშის, ტკვარჩელის, ოქუმის და სხვა სახელ-მწიფო სატყეო მეურნეობები, რომელთა რიცხვი 21-ია, მოი-ცავს ტყის ძვირფას სახეობებს: კაკალს, მუხას, დაფნას, ალუბალს და ა.შ. აქედან მხოლოდ ერთი ბზიფის მეურნეობის ქონება შეფასებულია 100-120 მილიონ რუბლად (დღევანდე-ლი კურსით დაახლოებით 9 მილიარდი რუბლი). შედარების-თვის, აფხაზეთის თანამედროვე ბიუჯეტი არ აღემატება 6 მილიარდ რუბლს, აქედან 3 მილიარდი რუბლი რუსეთის სუბსიდიაზე მოდის). 1914 წლამდე აფხაზეთის პორტებიდან

(სოხუმი, გუდაუთა, ოჩამჩირე, გაგრა) ყოველწლიურად ექ-სპორტზე გადიოდა: კაკლის დაფები, ფიცრები, მუხისგან მი-ღებული პროდუქტები (100 ფუნტზე მეტი კოვზი - დაახლოე-ბით 1,600 კგ) და სხვა პროდუქცია - დაახლოებით მილიონი ფუთის (16 380 ტონა). გარდა ამისა, ექსპორტზე 400-500 ათა-სი ფუთი შეშის ექსპორტი ხორციელდებოდა (დაახლოებით 8 190 ტონა)“ [18].

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ტყის რესურ-სები განახლებადია. ამ შემთხვევაში, განახლებული რესურსე-ბის გამოყენებაში ყველაზე მაღალი გარემოსდაცვითი სტან-დარტების შექმნა, ლეგიტიმაცია და შენარჩუნება არის სახელ-მწიფოს პრიორიტეტული ვალდებულება, რაც კარგად ჩანს ფი-ნეთის გამოცდილებიდან, მაშინ როდესაც აფხაზეთში მიმდინა-რეობს ტყის მასივების უსისტემო ექსპლუატაცია მათი განუ-ახლებელი გაჩანაგების გზით. ტყის რესურსების მტაცებლური მოხმარება, როგორც ეს მოხდა აფხაზეთის უახლესი ისტორიის განმავლობაში, აუცილებელია შეწყდეს, აუცილებელია დად-გეს მისი რეპროდუქციის საკითხი, რაც ოკუპაციის პირობებში შეუძლებელია.

## ალტერნატიული ენერგიის წყაროები

აფხაზეთის ბუნება და კლიმატური პირობები საშუა-ლებას იძლევა წარმატებით განვითარდეს ალტერნატიული ეკოლოგიური ენერგიის წყაროები - მინიჰიდროელექტრო-სადგურები, ქარის გენერატორები (ქარის ტურბინები) და მზის პანელები, აგრეთვე გამოყენებულ იქნეს ალტერნატიუ-ლი ენერგიის სხვა ექსპერიმენტული წყაროები (კინეტიკური, ზღვის ტალღების ენერგია და ა.შ.). ეს მიმართულება თანა-მედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალპრიორი-ტეტულია და განვითარებული ქვეყნების მიერ ხდება მისი წახალისება. მაგალითად, შვედეთში 1 350 მცირე პიდროე-

ლექტროსადგური ფუნქციონირებს, რომლებიც ერთობლივად გამოიმუშავებენ ქვეყნის ელექტროენერგიის 10%-ს. დანიამ მოიპოვა ინდუსტრიული ქარის გენერატორების უმსხვილესი მნარმოებლის რეპუტაცია 5 842 მეგავატი ( 2019 წელს) და ა.შ. აფხაზეთის მთის მდინარეები ელექტროენერგიის წარმოების საშუალებას იძლევიან, რაც შესაძლებელია მინიჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით. ქარის გენერატორების მშენებლობა ყველაზე ეფექტურია ბზიფისა და კოდორის ხეობებისთვის.

ალტერნატიული, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის განვითარება აფხაზეთში წამდგილად არ გამოიყენება ფანტასტიკად. შესაძლებელია ჰიდროელექტროსადგურების, ქარის გენერატორების და მზის პანელების, როგორც ენერგიის ალტერნატიული წყაროების, გამოყენება, რასაც ესაჭიროება დიდი მოცულობის ინვესტიციები, რაც მიღწევადია დეოკუპირებულ აფხაზეთში, არც ერთი თავმოყვარე ინვესტორი ეკონომიკურ ურთიერთობებს არ ამყარებს ოკუპანტ რეჟიმებთან, ამიტომ აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებამ ამ სფეროში აუცილებელია სერიოზულად გადახედოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიდგომებს.

რ. დბარის მოსაზრებთ, „შეუძლებელია სახელმწიფოს აშენება „ეთნოგრაფიული“ მეთოდების გამოყენებით“, აუცილებელია თანამედროვე რეალობის გათვალისწინება და მსოფლიოს ინტეგრაციული პროცესების ადეკვატური აღქმა [19].

## ტრანსპორტი

ტრანსპორტის მთავარი სახეობა აფხაზეთში არის საავტომობილო. ცენტრალური მაგისტრალი ზღვის სანაპიროს გასწვრივ გადის, რომელიც სოხუმს კოდორის ხეობას აკავშირებს და, ამდენად, სტრატეგიული მნიშვნელობისაა. დღეი-

სათვის გზების და ხიდების უმეტესობა განადგურებულია, ხოლო საზღვაო ფლოტი, გარდა რამდენიმე კატარლისა, რეალურად არ არსებობს.

აფხაზეთის რკინიგზის სიგრძე 239 კილომეტრია. გზა გადის ზღვის სანაპიროზე (სოჭი-სოხუმი-სამტრედია), აქვს ფილიალი ოჩამჩირიდან ტყვარჩელამდე. 1992 წლიდან დაიხურა აფხაზეთის გავლით სატრანსპორტო-სარკინიგზო მაგისტრალი დანარჩენი საქართველოსკენ. ომამდე გზა სრულად ელექტრიფიცირებული იყო; ამჟამად სარკინიგზო მაგისტრალის უმეტესობა ელექტრიფიცირებულია, სარკინიგზო მაგისტრალის ნაწილი განადგურდა, რის გამოც გაუქმდებულია. 2004 წელს ოკუპანტმა რუსეთმა აღადგინა უშუალო კომუნიკაცია მოსკოვსა და სოხუმს შორის, 2008 წელს სამხედრო მიზნით შეკეთდა რკინიგზის მონაკვეთი ფსოუსა და სოხუმს შორის; აღდგა სოხუმსა და ოჩამჩირეს შორის სარკინიგზო მიმოსვლა. აფხაზეთის ლოკომოტივების და ვაგონის პარკი გაცვეთილია და თითქმის სრულ განახლებას საჭიროებს. აფხაზეთის რკინიგზა სახელმწიფო საკუთრებაშია, რომელსაც მართავს „აფხაზეთის რესპუბლიკის რკინიგზის მმართველი სახელმწიფო კომპანია“, რომელიც 2009 წელს გადაეცა რუსეთს დროებითი ადმინისტრირებისთვის.

აფხაზეთში, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, საზღვაო ტრანსპორტს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მთავარი ნავსადგური სოხუმია, გარდა ამისა, ოჩამჩირეში არის სამი პატარა ნავსადგური, სადაც განთავსდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზა. გაგრასა და ახალ ათონში განთავსებული პორტები განკუთვნილია მსუბუქი (საექსკურსიო) კატარლებისთვის. 2008 წლის ზაფხულში რეგულარულად დაიწყო საზღვაოსნო კომუნიკაცია სოჭსა და გაგრას შორის. პორტები სახელმწიფოს საკუთრებაშია, ტრანსპორტირებას ამჟამად ახორციელებს სახელმწიფო კომპანია. საპაერო ტრანსპორტი 2009 წლამდე არ ფუნქციონირებდა.

## **კომუნიკაცია**

მუდმივი სატელეფონო კომუნიკაციების სფეროში, სახელმწიფო ასევე ინარჩუნებს წამყვან პოზიციას, კერძო სექტორში დომინირებს ფიჭური კომუნიკაციების ოკუპანტი რუსეთის კომპანიები.

## **სახელმწიფო ფინანსები**

ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი ემყარება მრავალფეროვან საგადასახადო სტრუქტურას. ძირითადი საგადასახადო შემოსავლის განაკვეთები, ზოგადად, რუსულის მსგავსია, მაგრამ გარკვეულილად დაბალია. მაგალითად, სამემოსავლო გადასახადია 10%, დღგ -10%, მოგების გადასახადი - 18%. ამ გადასახადების გარდა, არსებობს პოლიციის შენახვის გადასახადი, მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების გამოყენების გადასახადი, ქონების გადასახადი, სხვადასხვა აქციზის გადასახადები. 2018 წლის ბიუჯეტის ყველა ხარჯის 30% -ზე მეტი გამიზნული იყო ინვესტიციებისთვის და, შესაბამისად, სახელმწიფო არის ძირითადი ინვესტორი. ხარჯების მესამედი მიედინება თავდაცვასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, მიუხედავად ამისა კრიმინალი მნიშვნელოვნად გაზრდილია. აფხაზეთში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა უკონტროლო კრიმინოგენური სიტუაცია.

1993 წლამდე მოქმედებდა აფხაზეთის ცენტრალური და ოთხი რეგიონული ბანკი. მაგრამ, უკვე 1994 წელს, აფხაზეთის ცენტრალურმა ბანკმა დაარეგისტრირა ცამეტი კომერციული ბანკი, რომელთა ნაწილი ასოცირდება რუსეთის საბანკო კაპიტალთან, ზოგიც - თურქულთან. 1995 წელს აფხაზეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის საფუძველზე შეიქმნა აფხაზეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკი. ამრიგად, აფხაზეთში ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა. 2008 წელს საბანკო სისტემას წარმოადგენდნენ აფ-

საზეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკი და 14 კომერციული ბანკი, მათ შორის სომხეთის შემნახველი ბანკი, რომლის აქტივები აღემატება მთლიანი საპანკო აქტივების 46% -ს (2018 წლის დასაწყისში). აფხაზეთის ფულადი ერთეულია რუსული რუბლი, გაცვლითი კურსი შეესაბამება რუსული რუბლის გაცვლით კურსს.

## 1.6 რუსეთის ფედერაციის როლი აფხაზეთის ეკონომიკურ ექსპანსიაში

რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის ოკუპირების შემდეგ, აფხაზეთ-რუსეთის საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2015-2018 წლებში წელიწადში დაახლოებით 3.3-3.5 მილიარდ რუბლს შეადგენდა. აფხაზეთის საგარეო სავაჭრო ბალანსი უარყოფითია (2017 წელს იმპორტი 7-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს).

აფხაზეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან რუსეთი და თურქეთი. სამრეწველო პროდუქტები ექსპორტის 10% -ზე ნაკლებს შეადგენს, დანარჩენი 90% სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე (ციტრუსები, ხილი, ჩიი, ბოსტნეული), ხოლო ექსპორტის 20%-მდე ხეტყის ექსპორტზე მოდის. ექსპორტის შემოსავლებში ასევე შედის აფხაზეთის მთავრობის მიერ დაწესებული სრულიად უკანონო იჯარის გადასახადი თურქული კომპანიებისათვის, რომლებიც ანარმონებენ თევზჭერას აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში.

დღეისათვის აფხაზეთის დეფაქტო მთავრობა რუსეთის ეკონომიკასთან ინტეგრაციას ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ სფეროდ მიიჩნევს, რასაც ხელი შეუწყო რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ. როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე 1991 წლის შემდეგ ეკონომი-

კურად აფხაზეთი ყოველთვის რუსეთზე იყო ორიენტირებული.

რუსეთი ასევე დაინტერესებულია აფხაზეთთან ეკონომიკური კავშირების გაფართოებით, რაც მისი ეკონომიკური ექსპანსიის წყაროდ მიაჩნია. 2008 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთმა თავის სამხედრო ბაზები განათავსა გუდაუთაში, ოჩამჩირესა და გალში, რის სანაცვლოდ უკვე 2009 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას აფხაზეთის რუსეთის მიერ ერთჯერადი ფინანსური დახმარების გამოყოფაზე 2 მილიარი რუბლის ოდენობით. 2009 წელს თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე (გუდაუთის და ოჩამჩირის საზღვაო სამხედრო ბაზები, გალის სასაზღვრო ჯარის მომსახურება) რუსეთმა მოახდინა აფხაზეთის სარკინიგზო ქსელის აღდგენა.

ამავე წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროსა და რუსულ კომპანია როსნეფტს შორის აფხაზეთში ნავთობისა და გაზის საბადოების შესწავლისა და განვითარების მიზნით, რაც არარეალიზებადი პროექტი აღმოჩნდა [18].

თანამედროვე აფხაზეთის ეკონომიკა განვითარების რთულ ეტაპს გადის. ეს ეტაპი ხასიათდება, ერთი მხრივ, ეკონომიკის სტაგნაციითა და დეპრესიით, რაც გამოწვეულია 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომით აფხაზეთის ტერიტორიაზე და ომის შემდგომი განვითარების შედეგებით, აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური სანქციების გამოყენებით, დსთ-ს ქვეყნების მხრიდან დაწესებული შეზღუდვების რეჟიმით. 1992 წლის შემდგომი პერიოდი ხასიათდება აფხაზეთის საბაზრო ეკონომიკად გადაქცევის რთული და უსისტემო მცდელობით, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ახალი, ნაწილობრივ კრიმინალიზებული სისტემის შექმნით, რომელიც არააღეკვატურია საბაზრო ეკონომიკური პირობებისთვის.

1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთის ტერიტორიაზე დიდი მატერიალური ზიანი მიაყენა მის ეკონომიკას, რომლის ჯამური ღირებულება 11.3 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 2011 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე 15-ჯერ მეტია. რესპუბლიკაში, ფაქტობრივად, დაშლის პირასაა საწვავის და ენერგეტიკული კომპლექსი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სამშენებლო და აგრონიდუსტრიული კომპლექსი, საცხოვრებელი და კომუნალური მომსახურება.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ეკონომიკური აღდგენა რთულ პოლიტიკურ გარემოში მიმდინარეობდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობაზე.

აფხაზეთის ეკონომიკა 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების პირველი ათწლეულის დასაწყისში ხასიათდებოდა ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ვარდნით. ბევრმა საწარმომ მთლიანად შეაჩერა წარმოების პროცესი. საწარმოთა ტექნოლოგიური ჩამორჩენა სწრაფად იზრდება. ყოველწლიურად ძირითადი საშუალებების ფიზიკური და მორალური ცვეთა პროგრესირებს, ხოლო მათ სწრაფ ამორტიზაციას ვერ აკომპენსირებს ინვესტიციები.

აფხაზეთის ენერგეტიკული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ინვესტიციური შიმშილის გახანგრძლივების გამო კრიტიკულ ნიშნულს მიუახლოვდა.

სოციალური სფერო ხასიათდება ცხოვრების დაბალი დონით, ხელფასებით, პენსიიებით, დაბალი სოციალური შეღავათებით, ტოტალური უმუშევრობით, გაზრდილი კრიმინალითა და ტოტალური კორუფციით.

1992-1993 წლების ომის შედეგი იყო აფხაზეთის მოსახლეობის მკვეთრი შემცირება, ძირითადად ადგილობრივი ქართველების დეპორტაციის ხარჯზე. თუ 1986 წლის 1 იანვარს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენდა 530 ათას ადამიანს, მათ შორის 128 ათასი ადამიანი იყო ქალაქ სოხუმში, 2003 წლის აღწერის მიხედვით, მოსახლეობამ მხოლოდ 214.0 ათასი ადამიანი შეადგინა. 2011 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემებით კი აფხაზეთის მოსახლეობა გაიზარდა და შეადგინა 242.8 ათასი ადამიანი, მათ შორის სოხუმის მოსახლეობამ შეადგინა 62.9 ათასი ადამიანი [ 1 ].

აფხაზეთის ომის შემდგომ ეკონომიკური აღდგენას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დსთ-ს ქვეყნების ეკონომიკურმა სანქციებმა. 1996 წლის იანვარში დაწესდა აკრძალვა აფხაზეთთან სავაჭრო, ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სხვა კავშირების განხორციელებაზე. მხოლოდ 2008 წლის მარტში ოკუპანტებმა რუსეთმა მოხსნა ეკონომიკური სანქციები აფხაზეთის წინააღმდეგ და დსთ-ს სხვა ქვეყნებსაც მოუწოდა ასევე გაეუქმებინათ რესპუბლიკაში შეზღუდვების რეჟიმი.

დსთ-ს ქვეყნების მიერ დაწესებული შეზღუდვების რეჟიმმა თორმეტი წლის განმავლობაში მოახდინა რესპუბლიკის ეკონომიკის პარალიზება და გამოიწვია კრიზისის გაღრმავება. უფრო მეტიც, პოლიტიკური მოგვარების პროცესის არასრულყოფილების გამო, აფხაზეთის ეკონომიკას დაეკისრა დამატებითი ტვირთი, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფისა და გაძლიერების საჭირობასთან.

აფხაზეთში ვითარების ფუნდამენტური ცვლილება დაკავშირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის რესპუბლიკის საერთაშორისო სტატუსის აღიარებასთან. რუსეთის ფედერაციამ პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით აფხაზეთის რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით აღიარა სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ხოლო 2008 წლის 9 სექტემბერს ოკუპირებულ ტერიტორიასთან ოფიციალურად დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფოების ფინანსური მოსყიდვით რუსეთმა მიაღწია აფხაზეთის ნაწილობრივი საერთაშორისო აღიარებას, მისი დამოუკიდებლობა აღიარეს ნიკარაგუის, ვენესუელის, სირიის მარიონეტულმა და დიქტატორულმა რეჟიმებმა, აგრეთვე ნაკლებად ცნობილმა ჯუჯა სახელმწიფო-კუნძულებმა ნაურუმ, ვანუატუმ.

რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, ოკუპაციის პროცესის გასამყარებლად დამყარდა რუსეთ-აფხაზეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები. ხელმოწერილ იქნა ამ ურთიერთობის ძირითადი დოკუმენტი: „რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება“. ხელი მოეწერა რიგ ხელშეკრულებებს, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- შეთანხმება რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ეს შეთანხმება მიზნად ისახავს რუსული კაპიტალის აფხაზეთში შემოდინების სტიმულირების სამართლებრივი ბაზის შექმნას, რუსი ინვესტორებისათვის უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საიმედო და ეფექტური სამართლებრივი საშუალებები;

- შეთანხმება რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო მისიების გაცვლის შესახებ. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს ოკუპანტსა და ოკუპირებულ ტერიტორიას შორის სავაჭრო პოლიტიკას. დღეს აფხაზეთის გაყიდვების ოფისები რუსეთში ფუნქციონირებს;

- შეთანხმება რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთის რესპუბლიკისათვის დახმარებას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ამ შეთანხმების

განხორციელების ფარგლებში, შემუშავდა ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც ორიენტირებულია რესპუბლიკის 2010-2012 წლების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ჯამურად, ამ მიზნით გამოიყო 10.9 მილიარდი რუბლი, რაც, ფაქტობრივად, აფხაზეთის კორუმპირებული და მარიონეტული ხელისუფლების მოსყიდვის მექანიზმია [20].

ყოვლისმომცველი გეგმის ღონისძიებების განხორციელება მიზნად ისახავს როგორც არსებული შენობა-ნაგებობების რესტავრაცია-შეკეთებას, ასევე სოციალურ-კულტურული და ინდუსტრიული სფეროს ახალი ობიექტების შექმნას. ყოვლისმომცველი გეგმის განხორციელების ღონისძიებათა ჩამონათვალი მოიცავს 10 ნაწილს:

1. საგზაო ინფრასტრუქტურა (გაგრის შემოვლითი გზის კაპიტალური რემონტი 9.1 კმ სიგრძით, 800 და 930 ხაზოვანი მეტრის 2 გვირაბის ჩათვლით სოხუმი-გალის გზა 85 კმ სიგრძით, ადგილობრივი გზების შეკეთება 60 კმ სიგრძით, 130 ავტობუსის შეძენა);

2. საცხოვრებელი და კომუნალური მომსახურება (სოხუმსა და გაგრის რეგიონში წყალმომარაგების სისტემის რემონტი, სოხუმში წყალსარინების სისტემები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები და ლიფტები; ენერგოსისტემის რეკონსტრუქცია და რემონტი, მოწყობილობების შეძენა);

3. აგროინდუსტრიული კომპლექსი (4 მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობა, 2 თევზის მეურნეობა, 4 საკვები მეურნეობა, 3 ბოსტნეულის მეურნეობა, 3 სალორე მეურნეობა, 1 ყვავილების მეურნეობა, 1 სანერგე, 2 ხილისა და ბოსტნეულის მაღაზიები, მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მათ შორის ვაშლის ხეები (200 ჰა), თხილი (150 ჰა), ციტრუსის (150 ჰა), ფეიხოა, ხურმა (150 ჰა). 500 ერთეული სოფლის მეურნეობის აპარატის შეძენა);

4. მრეწველობა (სოხუმის რძის ქარხნის რემონტი და მოდერნიზაცია, სოხუმის ხორცის გადამამუშავებელი ქარხა-

ნა, საკონდიტრო ნაწარმის ქარხანა, გამაგრილებელი სასმე-ლების ქარხანა, 7 საცხობი, 2 ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა);

5. ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები (ძირითადი რემონტი და ლოგისტიკური უზრუნველყოფა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის ღია ინსტიტუტის, იუსტიციის სახლის, სახელმწიფო არქივისა და ა.შ.);

6. ჯანმრთელობის დაცვა (რესპუბლიკური საავადმყოფოს რემონტი, რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერი, ტუბერკულოზის საავადმყოფო, გუდაუთის ცენტრალური საავადმყოფო; რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მშენებლობა; კომპიუტერული ტომოგრაფიის, 32 სასწრაფო დახმარების, 7 ინტენსიური თერაპიის სატრანსპორტო საშუალების, სხვა სამედიცინო აღჭურვილობის შეძენა);

7. განათლება (10 სკოლამდელი დაწესებულების, 15 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი რემონტი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ტექნიკური აღჭურვილობა, რომელსაც 9 ენობრივი ლაბორატორია აქვს);

8. კულტურა (აფხაზეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის რემონტი, რუსული დრამატული თეატრი, 5 საოლქო კულტურული სახლი, რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, სახელმწიფო მუზეუმი, კულტურული ობიექტების ტექნიკური აღჭურვილობა);

9. ფიზიკური აღზრდა და სპორტი (რესპუბლიკური სტადიონის რეკონსტრუქცია, სოხუმის საქალაქო სტადიონის რეკონსტრუქცია, 4 საოლქო სტადიონი, 10 საბავშვო სპორტული მოედნის მშენებლობა, 5 სპორტული და ფიტნეს ცენტრი, 3 რეგიონალური სპორტული სკოლის და 1 საცურაო აუზის ძირითადი რემონტი);

10. ნორმატივული და მეთოდოლოგიური დახმარების განვის ღონისძიებები, აგრეთვე ორგანიზაციული მხარდაჭერა აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის გაუმჯობე-

სების მიზნით (ბუღალტრული აღრიცხვისა და სტატისტიკური სისტემის რეფორმირება, მიწის კადასტრის შემუშავება, ტერიტორიული დაგეგმვისა და მიწათსარგებლობის სისტემის შემუშავება, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სისტემის შემუშავება [20].

ყოვლისმომცველი გეგმის განსახორციელებლად შეიქმნა მთავრობათაშორისი კომისია ოკუპანტი რუსეთისა და აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის წარმომადგენლობით. კომისიის სხდომებზე განიხილება რუსეთის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსებით, რომელთა ნაწილის აფხაზეთის ხელისუფლების მიერ უკანონო მითვისება ხდება, სხვა ღონისძიებების დაფინანსების საკითხები.

## თავი II.

### ოკუპირებული აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი შეიძლება შემდეგნაირად დახასი- ათდეს:

#### სოციალურ-ეკონომიკური მდგრადარიცხავა: ანალიზი, შედეგები და პერსპექტივები

ოკუპირებული აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

- ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის მიხედვით, აფხაზეთი მიეკუთვნება გარდამავალ ეკონომიკას;
- საწარმოო ძალების განვითარების დონით - მიისწრაფის ინდუსტრიულისკენ;
- ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის ხარისხით - ნაწილობრივ ღიაა;
- განვითარების სფეროთი - განვითარებად დონეზეა; აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი სტრატეგიული ორიენტირი გრძელვადიან პერიოდში უნდა გახდეს ეკონომიკის ზრდის ინოვაციურ, სოციალურზე ორიენტირებულ მოდელზე გადასვლა, რისი შესაძლებლობებიც ოკუპაციის პირობებში ბუნდოვანია.

#### 2.1 აფხაზეთის მოსახლეობა და შრომითი რესურსები

ისტორიული წყაროებით, პირველი მაცხოვრებლები საქართველოს (აფხაზეთის) ტერიტორიაზე გამოჩნდნენ სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთის იახუშას მთის ფერდობზე, სადაც მდებარეობდა პირველყოფილი ადამიანების ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი პალეოლიტური სადგომი.

აფხაზი და ქართველი ისტორიკოსების მიერ არაერთ ნაშრომში დადგენილია, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ეთ-

ნიკურ შემადგენლობაში ყველაზე რადიკალური ცვლილებები განხორციელდა 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობისა და დასრულების შემდგომ. აფხაზებისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც არ სურდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩენა, გადავიდა ოსმალეთის იმპერიაში. მხოლოდ 1877 წელს მუჰაჯირობის შედეგად აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა თითქმის განახევრდა.

ქართველი და აფხაზი ხალხების ერთიან ისტორიაზე, მათ საერთო ბედზე, რუსეთის ცარიზმის ისტორიულ ზრახვებსა და მისწრაფებაზე სამხრეთ კავკასიაში მეტყველებს მუჰაჯირობის პოლიტიკა. რუსეთი მე-19 საუკუნეში ცდილობდა გადასახლების გზით გაექრო აფხაზები, როგორც ერი, რის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები გ. წერეთელი, ს. მესხი, გ. გურიელი და სხვები. იგივე პოლიტიკა ხორციელდება დღეს, როდესაც ხდება აფხაზთა სრული ასიმილაცია, მათი ეთნიკური ნიშნების გაქრობა. ცივილიზაციული სამყარო ვალდებულია გაიღალაშეროს რუსეთის ამ მეტად საშიში იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რადგან აფხაზები გაიზიარებენ მათი მონათესავე შაფსუების ბედს, რომლებმაც განიცადეს იმპერიალისტურ რუსეთში სრული ასიმილაცია, დაკარგეს ენა, თვითმყოფადობა, კულტურა.

საქართველოში მუჰაჯირობამ ფართო მასშტაბი მიიღო რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ. 1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით საქართველოს შეუერთდა ისტორიული ქართული პროვინციები. ამ ტერიტორიების ძირითადად მაჰმადიან მოსახლეობას უფლება ეძლეოდა 3 წლის განმავლობაში თურქეთში გადასახლებულიყვნენ. მუჰაჯირობის შედეგად თითქმის მთლიანად დაიცალა მურღულის ხეობა, იძულებითი მიგრაცია მოხდა ქვემო გურიიდან, გონიოს უბნიდან, ქვემო აჭარიდან. სულ გადასახლდა 150 ათასზე მეტი ადამიანი. ქართული საზოგა-

დოების მოწინავე ნაწილმა დაიწყო ბრძოლა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად დიდი მუშაობა ჩაატარეს გ. წერეთელმა, ს. მესხმა, გ. გურიელმა და სხვებმა. ქართულმა პრესამ ფართო კამპანია გააჩაღა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. ამის შედეგად მუჰაჯირთა ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა. ქართველი მუჰაჯირები დასახლდნენ შავი ზღვის სანაპიროზე (ჭანეთში), დასავლეთ თურქეთში, მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ნაწილი კი — სტამბოლში და სხვა ქალაქებში. მუჰაჯირებს სურდათ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ რუსეთის იმპერიამ, საქართველოსადმი მტრული პოლიტიკური ზრახვებით, მათი შემოშვება აკრძალა [20].

აფხაზეთში მუჰაჯირობა დაიწყო XIX საუკუნის I ნახევარში პროთურქული ორიენტაციის აფხაზი ფეოდალების პოლიტიკური მარცხისა და სახალხო აჯანყების მკაცრად ჩახშობის შედეგად. ყირიმის ომის (1853-1856) დროს თურქთა მიერ აფხაზეთის ოკუპაციას მოჰყვა აფხაზთა მასობრივი გადასახლება ოსმალეთში: 1867 წელს ფართო ხასიათის მუჰაჯირობა დაკავშირებული იყო სამთავროს გაუქმებასთან (1864), 1866 წელს დიდ სახალხო აჯანყებასთან. ყველაზე უფრო დიდი გადასახლება მოხდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს (დაახლოებით 50 ათასი). მუჰაჯირობის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გავერანდა და გაუკაცრიელდა. გადასახლებულთა ძირითადი მასა დღესაც ცხოვრობს თურქეთში, ნაწილი — სირიაში, იორდანიასა და სხვა ქვეყნებში; მუჰაჯირ აფხაზთა რაოდენობა თურქეთში 100 ათასს აღწევს, არაბულ ქვეყნებში — დაახლოებით 15 ათასს. ისინი ცხოვრობენ უმთავრესად სოფლად, შენარჩუნებული აქვთ საკუთარი ენა და ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები. უბიხების მუჰაჯირობის ისტორია დეტალურად აქვს გადმოცემული აფხაზ მწერალ ბაგრატ შინქუ-

ბას, რომელიც ეყრდნობა უკანასკნელი უბისის მონათხრობს, ჩანერილს აფხაზი ენათმეცნიერის შარას კვაცბას მიერ [20].

ის, რასაც მეფის ცარიზმა ვერ მიაღწია მე-19 საუკუნეში, ელცინ-პუტინისტური რუსეთის მიერ განხორციელდა მე-20 საუკუნის ბოლოს. საუბედუროდ, ჩვენი საერთო ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწილი იმპერიალისტური რუსეთის მიერ მოსყიდულ აფხაზ სეპარატისტებს ავიწყდებათ.

აფხაზეთის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, მოსახლეობა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის 245 246 ადამიანი.

მათ შორის:

ქალაქის მოსახლეობა - 123 485 ადამიანი (50.4%);

სოფლის მოსახლეობა - 121 761 ადამიანი (49.6%).

დასაქმებული მოსახლეობის საერთო რაოდენობა ეკონომიკის სექტორების მიხედვით შეადგენს 43 051 ადამიანს.

### ცხრილი №1. დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა აფხაზეთში 2018 წელს

დარგები	%
მრეწველობა	5
ვაჭრობა	6
მშენებლობა	4
კურორტები და ტურიზმი	6
მომსახურება	22
მართვა	43
სხვა სფეროები	14

2018 წლის მონაცემებით აფხაზეთის რესპუბლიკაში საშუალო ხელფასი შეადგენდა 10 557 რუბლს. საშუალო ყოველთვიური საარსებო მინიმუმი 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენდა 7 042.3 რუბლს.

აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსული არმიის მიერ ქართული მოსახლეობის იძულებითი დეპორტაციის შემდეგ, 2011 წელს ჩატარებული აღწერით აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობამ შეადგინა - 240 705 ადამიანი. წინა აღწერის მიხედვით, რომელიც თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის მიერ 2003 წელს ჩატარდა, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 215 972 ადამიანს. 1992-1993 წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქართული მოსახლეობის განდევნა აფხაზეთიდან და რუსეთის მიერ საქართველოს ამ ტერიტორიის ოკუპაცია, იქ მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა განახევრდა - 1989 წლის საბჭოთა საყოველთაო აღწერის დროს ის შეადგენდა 525 061 ადამიანს, საიდანაც ქართველები 239 872, ანუ მოსახლეობის 45,68% იყო, ხოლო აფხაზები 93 267 ანუ 17.8% იყო.

1990-იანი წლებში, აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. აფხაზ მოსახლეთა წილი 1989 წელს შეადგენდა რესპუბლიკის მთლიანი მოსახლეობის 17.8% -ს.

1992-1993 წლების აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, ორივე მხარემ მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა, ხოლო აფხაზეთში მყოფი ქართული მოსახლეობა, რომელიც კონფლიქტამდე ეთნიკურ უმრავლესობას წარმოადგენდა, ისევე როგორც ბევრი რუსი, ბერძენი და ესტონელი, ფიზიკური განადგურებისა და გენოციდის შიშით იძულებული გახდა დაეტოვებინა რეგიონი.

**ცხრილი №2. მოსახლეობის რაოდენობა 1989-2018 წლებში  
01 იანვრის მდგრადი რეალური**

წელი	მაცხოველების რაოდენობის მიზანმიზნები	მაცხოველების რაოდენობის მიზანმიზნები	სოფლის მაცხოველები	დაბალი მულტა რაოდენობა	გარღვეულითა რაოდენობა	ბუნებრივი ნამატი	შობალის სასერთო კულტურული წელი 1000 მაცხოველებულზე	სოფლის საერთო კულტურული წელი 1000 მაცხოველებულზე	ბუნებრივი ნამატი, (%)
1989	525 061								
2002				1 557	1 059	498	7,28	4,95	2,33
2003	214 016	96 125	117 891	1 816	1 142	674	8,47	5,33	3,14
2004	214 401 / 217 281*	96 230	118 171	1 919	1 233	686	8,94	5,75	3,20
2005	214 603 / 223 847*	96 246	118 357	1 669	1 533	136	7,73	7,10	0,63
2006	215 774 / 223 847*	96 789	118 985	1 715	1 493	222	7,94	6,91	1,03
2007	215 926 / 227 204*	96 845	119 081	1 772	1 761	11	8,24	8,19	0,05
2008	215 120 / 230 611*	96 748	118 372	1 990	1 553	437	9,23	7,20	2,03
2009	215 567 / 234 069*	97 127	118 440	2 207	1 699	508	10,18	7,84	2,34
2010	216 708 / 237 579*	97 942	118 766	2 156	1 699	457	8,88	7,00	1,88
2011	240 705	121 255	119 450	2 143	1 645	498	8,9	6,8	2,1
2012	241 414	121 633	119 781	2 258	1 723	535	9,3	7,1	2,2
2013	242 028	121 884	120 144	2 017	1 561	456	8,3	6,4	1,9
2014	242 756	122 309	120 447	2 004	1 467	543	8,2	6,0	2,2
2015	243 206	122 434	120 772	1 927	1 654	273	7,9	6,8	1,1
2016	243 564	122 547	121 017	1 768	1 465	303	7,2	6,0	1,2
2017	243 936	122 722	121 214						
2018	244 832	123 301	121 531						

**ნუართ:** Управление государственной статистики Республики Абхазия 2019.

<https://ugsra.org/ofitsialnaya-statistika.php?>

აფხაზეთის მოსახლეობის თანამედროვე ეთნიკური შემადგენლობა ჰქონის ულია: ტერიტორიაზე ცხოვრობენ აფხაზები (124.5 ათასი), სომხები (67 ათასი), რუსები (22 ათასი) და გენოციდისა და განდევნის შემდეგ დარჩენილი ქართველები (46,7 ათასი), ასევე, უკრაინელები, ბერძნები, ესტონელები, ებრაელები და სხვები. ამდენად, რუსეთის მიერ ამ ტერიტორიის ოკუპაციამ გამოიწვია დემოგრაფიული სურათის მნიშვნელოვანი ცვლა, რაც მე-20 საუკუნის მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა, ამ საუკუნის არც ერთ ომს არ მოჰყოლია ეთნიკური მოსახლეობის მასობრივი განდევნა საკუთარი ტერიტორიიდან, მისი გენოციდი. ეს არ მომხდარა არც საქართველოს მძიმე ისტორიულ წარსულში მურვან ყრუს (735-737 წწ) თუ შაჳ აბასის (1615-1625) შემოსევების დროს.

2011 წლის აღწერის მონაცემებით აფხაზები შეადგენენ მოსახლეობის 50,71%-ს - 122 069 ადამიანს, ქართველები - 46 367 ადამიანს (19.26%), სომხები - 41 864 ადამიანს (17.32%), რუსები - 22 077 ადამიანს (9,17%), ბერძნები - 1380 ადამიანს (0,57%).

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი N3 შედგენილია სხვადასხვა წლის ოფიციალური წყაროების მიხედვით.

**ცხრილი №3. აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური  
შემადგენლობა მე -19 საუკუნის პოლოდან 21-ე საუკუნის  
დასაწყისამდე (1887 და 1897 წლების მიხედვით - სოხუმის  
ოლქის ფარგლებში).**

შეფასება 2016	აღწერა 2011	აღწერა 2003	აღწერა 1989	ნუარო/ნელი
243 564	240 705	215 272	525 061	სულ
124 455	122 069	94 606	93 267	აფხაზი
51,10	50,71	43,95	17,76	%
46 773	46 367	45 953	239 872	ქართველი
19,20	19,26	21,35	45,68	%
41 875	41 864	44 870	76 541	სომეხი
17,19	17,32	20,84	14,8	%
22 320	22 077	23 420	74 913	რუსი
9,16	9,17	10,88	14,27	%
1351	1380	1486	14664	ბერძენი
0,55	0,57	0,69	2,79	%
1761	1743	1797	11655	უკრაინელი
0,72	0,7	0,83	2,22	%

**ნუარო:** Управление государственной статистики Республики Абхазия 2019  
<https://ugsra.org/ofitsialnaya-statistika.php?>

ამ მონაცემებიდან ჩანს, თუ როგორ ახორციელებდა რუ-სეთის იმპერია ქართველების რაოდენობის იძულებით შემ-ცირებას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

რუსეთ-საქართველოს 1992-1993 წლების ომის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა დემოგრაფიული სურათი აფხა-ზეთის რაიონების მიხედვით (იხ. ცხრილი N4).

**ცხრილი №4. აფხაზეთის და მისი რაიონების  
მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 2011 წლის  
აღწერით**

გულრიფეში	სოხუმი	გუდაუთა	გაგრა	ქ. სოხუმი	რაიონი
					სულ
				აფხაზი	%
18032	11531	36775	40217	62914	
6057	3505	30125	15482	42342	
33,6	30,4	81,9	38,5	67,3	%
833	235	506	1003	1755	ქართველი
3,6	1,3	1,4	2,7	2,8	%
8430	6467	36667	15422	6192	სომხეთი
46,8	56,1	10,0	38,3	9,8	%
2048	864	1838	6334	9288	რუსი
11,4	7,5	5,0	15,7	14,8	%
162	58	135	529	697	უკრაინელი
0,9	0,5	0,4	1,3	1,1	%
125	147	117	259	645	ბერძენი
0,7	1,3	0,3	0,6	1,0	%

სულ აფხაზეთი	გალი	ტყვარჩელი	ოჩამჩინი
240705	30356	16012	24868
122175	208	5128	19328
50,8	0,7	32,0	77,7
46499	29813	9987	2367
19,3	98,2	62,4	9,5
41907	26	56	1647
17,4	0,1	0,3	6,6
22064	188	537	967
9,2	0,6	3,4	3,9
1743	21	67	74
0,7	0,1	0,4	0,3
1382	11	20	58
0,6	0,0	0,1	0,2

**წყარო:** Управление государственной статистики Республики Абхазия 2019  
<https://ugsra.org/ofitsialnaya-statistika.php?>

ქართული მოსახლეობის იძულებითი გადინების მიუხედავად, აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი ქრისტიანია. ამასთანავე, მნიშვნელოვნად შემცირდა მართლმადიდებელი ქრისტიანების რაოდენობა რუსეთის მიერ ქართული მოსახლეობის განდევნის შედეგად და გაიზარდა გრიგორიანელთა რაოდენობა კრასნოდარის მხარიდან სომეხთა მიგრაციის შემდეგ. კვლევის მიხედვით, 2003 წელს კონფესიების გადანაწილება შემდეგნაირია: ქრისტიანები 60%, მუსულმანები 16%, აფხაზური რელიგიის მიმდევრები 3%, წარმართები 5%, ათეიისტები 8%, სხვა რწმენის წარომადგენლები 2%, გაუჭირდა პასუხის გაცემა 6% -ს.

აფხაზეთში ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სანაპირო ზოლია, სადაც მდებარეობს ყველა დიდი ქალაქი. ომის შემდეგ აქ გადმოსახლდა სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ძირითადად, აფხაზები, რომლებიც ჩასახლდნენ ქართვე-

ლების მიერ იძულებით მიტოვებულ საცხოვრისში. რესპუბლიკის მოსახლეობის დაახლოებით 93% კონცენტრირებულია ამ სარტყელში.

1989 წელს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობა იყო 247 543 ადამიანი (47.1%), მათ შორის 119 150 ადამიანი ცხოვრობდა სოხუმში, 24 061 ადამიანი - გაგრაში, 21 744 - ტყვარჩელში, 20 078 - ოჩამჩირეში, 15 763 გალაში, გუდაუთაში - 14 864, ბიჭვინთაში - 10 146, გულრიფში - 10 697, განთიადში - 7358, ახალ ათონში - 3235 და მიუსერაში - 447 ადამიანი [12].

1992-1993 წლების ომის შედეგად მოხდა გარკვეული დეურბანიზაცია. ქართველი მოსახლეობის მიერ აფხაზეთის იძულებითი დატოვების გამო, ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი 2-ჯერ შემცირდა, ცენტრალური ქალაქების მიხედვით ქართული მოსახლეობის იძულებით დანატოვარ სახლებში შესახლდა აფხაზი მოსახლეობა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ქალაქად მცხოვრები აფხაზების რიცხვი. კრასნოდარის მხარიდან მასობრივი მიგრაციის გამო, გაგრაში სომებთა რაოდენობა გაუტოლდა აფხაზებს, ხოლო გულრიფში გადააჭარბა კიდევაც. ამით არის მოტივირებული ის, რომ რუსეთმა აამოქმედა მისთვის კარგად ნაცადი ინსტრუმენტი: აფხაზეთის ტერიტორიაზე სომხური ავტონომიების მოხსოვნით აფხაზების შემდგომი დამორჩილების მექანიზმი. გულრიფშის რაიონში მიგრანტი სომხები დღესაც აქტიურად ითხოვენ კულტურულ ავტონომიას.

**ცხრილი №5. 2011 მოსახლეობის აღწერის საბოლოო  
მონაცემები**

რაიონი	სულ	ქალაქის მოს.	%	სოფლის მოს.	%
ქ. სოხუმი	62914	62914	100,0 %	0	0,0 %
გაგრა	40217	26451	65,8 %	13766	34,2 %
გუდაუთა	36775	10082	27,4 %	26693	72,6 %
გულრიფში	18032	3910	21,7 %	14122	78,3 %
ოჩამჩირე	24868	5280	21,2 %	19588	78,8 %
ტყვარჩელი	16012	5013	31,3 %	10999	68,7 %
გალი	30356	7605	25,0 %	22751	75,0 %
<b>სულ</b>	<b>240705</b>	<b>121255</b>	<b>50,4 %</b>	<b>119450</b>	<b>49,6 %</b>


**ნუართ:** Управление государственной статистики Республики Абхазия 2019

<https://ugsra.org/ofitsialnaya-statistika.php?>

## 2.2 მშპ და სახელმწიფო ბიუჯეტი

აფხაზეთის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, აფხაზეთის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2018 წელს შეადგენდა 31 872 მილიონ რუბლს. 2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 129 959 რუბლს [12] (იხ. დიაგრამა N1).

**დიაგრამა №1. აფხაზეთის მშპ-ს დინამიკა  
2012-2018 წლებში**



წყარო: [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)


აფხაზეთის სახელმწიფო ფინანსები მოიცავს:

1. სახელმწიფო ბიუჯეტს (რესპუბლიკური ბიუჯეტი და ადგილობრივი ბიუჯეტები - ქალაქი სოხუმი და რაიონები);
2. სახელმწიფო არასაბიუჯეტო სახელმწიფო სახსრებს.

აფხაზეთში მთავარ ფინანსურ დოკუმენტს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი. სახელმწიფო ბიუჯეტს განიხილავს, ამტკიცებს და მასზე კონტროლს ახორციელებს თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტი. აფხაზეთის რესპუბლიკის „2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი განი-

საზღვრა 10,221.4 მილიონი რუბლით, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის ფინანსური დახმარება აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის განისაზღვრა 3 149 მილიონი რუბლის ოდენობით, ასევე, რუსეთის ფედერაცია-ასთან ხელმოწერილი „აფხაზეთის რესპუბლიკის 2017-2019 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში“ საბიუჯეტო ინვესტიციებმა შეადგინა 1,681.1 მილიონი რუბლი, ხოლო ხარჯები განისაზღვრა 11,050.2 მილიონი რუბლის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში კონსოლიდირებული სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურაში საკუთარი შემოსავლების ოდენობის ზრდა შეინიშნება. მაგალითად, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები 2014 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში გაიზარდა 49.2% -ით. ეს შემოსავლები ძირითადად წარმოიქმნება დღგ-ის, საშემოსავლო, მოგების და საბაჟო გადასახადების ხარჯზე (იხ. დიაგრამა N2).

### **დიაგრამა №2. აფხაზეთის რესპუბლიკური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების დინამიკა 2013-2019 წწ.**



წყარო: [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)

რაც შეეხება აფხაზეთის კონსოლიდირებული სახელმწიფო ბიუჯეტის დანარჩენ ნაწილს, ის ფორმირდება ოკუპანტი რუსეთისგან მიღებული თანხების ხარჯზე და ისინი განსაზღვრულია, როგორც „ფინანსური დახმარება“ და განერილია „აფხაზეთის 2017-2019 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დახმარების საინვესტიციო პროგრამით“. რეალურად ეს არის ეკონომიკური ხარჯები, რომელიც განკუთვნილია ეკონომიკური ექსპანსიისთვის.

### **2.3 აფხაზეთის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა და სექტორული განვითარება**

აფხაზეთის ეკონომიკის წამყვან სექტორებს შორის დომინირებს შემდეგი დარგები:

- მრეწველობა;
- ტურიზმი;
- სოფლის მეურნეობა;
- ვაჭრობა;
- მომსახურება;
- მშენებლობა;
- ტრანსპორტი;
- საფინანსო სექტორი;
- კომუნიკაცია.

#### **მრეწველობა**


აფხაზეთის ოდესლაც მაღალგანვითარებულმა ინდუსტრიამ, რომელიც ჯამში 500-ზე მეტ სანარმოს შეადგენდა, 1992-93 წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ და დასთ-ს ქვეყნების ეკონომიკური სანქციების შედეგად გამოწვეული შვიდწლიანი ბლოკადის გა-

მო განიცადა ეკონომიკური დაცემა. ძირითადი ფონდები და ინფრასტრუქტურული ობიექტები გაიძარცვა, ტექნოლოგიურად გაჩანაგდა, ფიზიკურად და მორალურად გაიცვითა. განვლილი წლების განმავლობაში აფხაზეთის მრეწველობამ ვერ განიცადა რეანიმაცია. ქვემოთ მოყვანილია სამომხმარებლო საქონლის სამრეწველო სტრუქტურა (იხ. დიაგრამა N3), სადაც კარგად ჩანს, რომ აქ ძირითადად დომინირებს ღვინო და არაყი - 70%, მნირია საკვები პროდუქტების წარმოება - 9% და არასასურსათო საქონელი - 21%.

### **დიაგრამა №3. სამომხმარებლო საქონლის სამრეწველო სტრუქტურა 2018 წ.**

#### **სამომხმარებლო საქონლის სამრეწველო სტრუქტურა 2018 წ.**

- საკვები პროდუქტები
- არასასურსათო საქონელი
- ღვინო-არყის წარმოები



წყარო: [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)

აფხაზეთის სამრეწველო სექტორი ერთ-ერთია იმ სამი ძირითადიდან, რომელიც მშპ-ს ქმნის. სამრეწველო წარმოების მოცულობამ 2018 წელს შეადგინა 4,680.3 მილიონი რუბ-

ლი. დღეს აფხაზეთში დარეგისტრირებულია 100-მდე მცირე და საშუალო საწარმო, მათ შორის კერძო სექტორში 83, მათი დიდი ნაწილი არ ფუნქციონირებს. აფხაზეთის სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის 2018 წლის მონაცემებით, დარგში დასაქმებულია 2,006 ადამიანი. აფხაზეთის სამრეწველო საწარმოების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია ქალაქ სოხუმში.

სამრეწველო წარმოება წარმოდგენილია ისეთი ინდუსტრიებით, როგორიცაა:

- გადამამუშავებელი მრეწველობა (ხეტყის მასალების დამზადება, ავეჯის წარმოება, თევზის ფქვილისა და თევზის ზეთის წარმოება);
- სამთო (ინერტული მასალების, კირქვის, ქვანახშირის მოპოვება);
- მწარმოებელი (შავი და ფერადი ლითონების ჯართის დამუშავება, მოსაპირკეთებელი ფილების, ბლოკების, ბეტონის წარმოება);
- კვების (პურ-ფუნთუშეულის, ალკოჰოლური და უალ-კოჰოლო პროდუქტების, მურაბების, ჯემების, კომპოტების წარმოება);
- მსუბუქი (ტანსაცმლის წარმოება);
- ბეჭდვის ინდუსტრია (ნაბეჭდი პროდუქციის წარმოება).

კვების, სამთო მრეწველობა და სამშენებლო მასალების წარმოება ძირითადად ფუნქციონირებს რუსული კაპიტალ-დაბანდების ხარჯზე და ამ დარგებში ნაწილობრივ ჩაიდო თურქული კაპიტალიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტზე ორიენტირებული მეღვინეობა, ისევე როგორც თევზის გადამამუშავებელი საწარმოები, მნიშვნელოვანია აფხაზეთის ეკონომიკისთვის. მაგალითად, აფხაზეთიდან ყველაზე დიდი საექსპორტო პროდუქტი არის ღვინო, რომელიც 2018 წელს მოიცავს მთე-

ლი ექსპორტის 65% -ს. აფხაზეთი ღვინის პროდუქტებს აწვდის ძირითადად რუსულ ბაზარს. 2018 და 2017 წლებში აფხაზეთიდან რუსეთის ფედერაციაში, შესაბამისად, 3.3 და 2.7 მილიარდი რუბლის ღირებულების ღვინის პროდუქტი გაიყიდა.

აფხაზეთში მცირე მოცულობებით იწარმოება: თაფლი, ლუდი, აჯიკა, მინერალური წყლები და გამაგრილებელი სასმელები, რომლებიც ადგილობრივ მოთხოვნასაც კი ვერ აკმაყოფილებენ.

2012 წელს, აფხაზეთის 2010-2012 წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გეგმის ფარგლებში, ექსპლუატაციაში შევიდა სოხუმის რძის ქარხანა, იგეგმება სახელმწიფო ინვესტიციები გადამამუშავებელ ინდუსტრიაში.

სამშენებლო მოცულობის ზრდა მიმდინარეობს რუსეთის ფედერაციისთვის ფინანსური სახსრების ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალურ მშენებლობას და სოციალური ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციას, ოკუპანტებს მიაჩინიათ, რომ ამით გაიზრდება აფხაზეთის ტურისტული პოტენციალი, რაც ხელს შეუწყობს მის უფრო სწრაფ ინტეგრაციას რუსეთის ფედერაციაში.

აფხაზეთის მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილია ელექტროენერგიის წარმოება. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში წარმოებული მთელი ელექტროენერგია გამომუშავდება ენგურის ჰიდროელექტრო სადგურზე, რაც აფხაზეთის ჰიდროენერგიულს გათვალისწინებით 13.5 მილიონ კუბურ მეტრზე მეტია. ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, სხვადასხვა შეფასებით, აღემატება 3.5 მილიონ კილოვატს. რესპუბლიკაში ჰიდროენერგეტიკის განვითარება არის როგორც სტრატეგიული, ასევე ძალიან პერსპექტიული ამოცანა, რომელიც შეიძლება სრულყოფილად რეალიზდეს საქართველოს ამ ტერიტორიის დეოკუპაციის შედეგად. საქმე ისაა, რომ ენგურჰესის მართვის სისტემა საქართველოში რუსეთის სამ-

ხედრო შემოჭრის (ინტერვენციის) შედეგად აღმოჩნდა ოკუ-პირებულ ტერიტორიაზე და მას ემსახურებიან ქართველი სპეციალისტები.

აფხაზეთში ელექტროენერგიის მზარდი, გადაუხდელი მოხმარება საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დიდ პრობლემას წარმოადგენს. გარდა ენერგეტიკული და ფინანსური რესურსების გადინებისა, მზარდი მოხმარება აუ-არესებს ენგური-ვარდნილის კასკადის ტექნიკურ მდგომა-რეობას და მთლიანი ენერგოსისტემის ექსპლუატაციის პი-რობებს, ზრდის საქართველოს რუსეთსა და აზერბაიჯანზე ენერგეტიკულ დამოკიდებულებას და ქმნის დამატებით ეკო-ნომიკურ და პოლიტიკურ რისკებს, რაც ჯამში შეიძლება ენერგეტიკაში მიმდინარე მცოცავი ოკუპაციის ფორმად ჩა-ითვალის.

მდგომარეობა არასახარბიელოა რუსეთისთვისაც, რო-მელიც ნანილობრივ უზრუნველყოფს ზამთარში აფხაზეთში ელექტროენერგიის მფლარგველობით მოხმარებას. საფრთხე ექმნება მათი ენერგომომარაგების მთავარ წყაროს და სტა-ბილური განვითარების შესაძლებლობა არ ეძლევა აფხა-ზეთს.

აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარების ზრდას-თან ერთად მდგომარეობა ჩიხში შედის და არსებული სტა-ტუს-კვოს შენარჩუნება შეუძლებელი ხდება. ამავე დროს, არსებობს თანამშრომლობის შესაძლებლობები, რაც ყველა მხარისთვის სასარგებლო შედეგის მომტანი შეიძლება იყოს.

შექმნილი პრობლემის მოგვარება საქართველოს ენერ-გეტიკის სექტორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცა-ნაა. ოკუპაციის რეზიმის და საკითხის სენსიტიურობის გამო, მდგომარეობაზე ზემოქმედების ბერკეტები საკმაოდ შეზღუ-დულია.

ომის შემდეგ, როდესაც ენგურჲესის შენობა (სამანქანო დარბაზი), ქვესადგური და ვარდნილჲეს-1 მთლიანად რუს-აფხაზების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე დარჩა,

ხოლო კაშხალი, წყალსაცავი და დერივაციული გვირაბის ნახევარი გამყოფი ხაზის აქეთ, მოხდა არაფორმალური, ზეპირი შეთანხმება ენგურ-ვარდნილის კასკადის გამომუშავების განაწილების შესახებ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის პროპორციით 40:60, რაც იმ პერიოდისათვის გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს დარჩენილი აქტივების შეფასებულ ღირებულებას შეესაბამებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადგურის მთელი პერსონალი ქართულია.

მას შემდეგ აფხაზური მხარე ენგურჲესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას მოხმარს შეუზღუდავად, სადგურისათვის ყოველგვარი ფინანსური ანაზღაურების გარეშე, ხოლო სადგურის ოპერირების, კაპიტალური თუ მიმდინარე შეკეთების ფინანსურ ტვირთს საქართველოს დანარჩენი მომხმარებლები და ბიუჯეტი ანაზღაურებს. საქართველოს სახელმწიფო ახდენს აფხაზეთის ელექტროენერგიის მოხმარების სუბსიდირებას როგორც საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების, ასევე ელექტროენერგიის იმპორტის ხარჯებით. ფორმალურად, ენგურის ტარიფის შესაბამისად, აფხაზეთში წლიურად უფასოდ მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულება 36 მილიონი ლარია [27], თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ზამთარში გაზრდილ მოხმარებას და მისი თბოსადგურების ან იმპორტირებული ენერგიით ჩანაცვლების საჭიროებას, საქართველოსთვის ხარჯი, სულ მცირე, ორჯერ მეტია, კაპიტალური შეკეთებების გათვალისწინებით კი ეს რიცხვი კიდევ უფრო იზრდება. აღნიშნული ხარჯი, სავარაუდოდ, ნაწილობრივ მაინც აისახება დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის ელექტროენერგიის ტარიფებზე, რაც ფორმალურად ნიშნავს იმას, რომ ოკუპანტი ქართველების ხარჯზე ღებულობს ელექტროენერგიას.

განვლილ პერიოდში სადგურის რეაბილიტაციაში ჩადებულმა თანხებმა, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად შეცვალა აქტივების პირვანდელი განაწილება ქართული მხარის სასარგებლოდ. ამიტომ, იმავე პრინციპით, აფხაზური მხარის

წილი ელექტროენერგია ნაკლები უნდა იყოს და არცერთ შემთხვევაში უფასოდ არ უნდა მიეწოდებოდეს მას.

პრობლემის მასშტაბი მუდმივად იზრდება. 2010-2016 წლებში აფხაზეთში მოხმარების ზრდა 550 კვ/სთ-იყო, ხოლო 2017-წლის 5 თვეში 2016 წლის იგივე პერიოდთან შედარებით მოხმარება გაიზარდა 100 კვ/სთ-ით. ელექტროენერგიის წლიური დეფიციტი საქართველოში იზრდება, რაც 2017 წელს 1.3 მილიარდ კილოვატ-საათს უახლოვდება. მიუხედავად ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისა, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხი უარესდება [26].

ზამთარში აფხაზეთის ტერიტორიაზე ელ. ენერგიის მოხმარება უკვე აჭარებს ენგური/ვარდნილის კასკადის გამომუშავებას, რის გამოც საჭირო ხდება მეტი ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდან, რომლის სამხედრო ობიექტებიც ამ ენერგიას მოიხმარენ. შესაბამისად იზრდება რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი პოლიტიკური შედეგები მოიტანოს. ამასთან ერთად, ენგურპესზე გროვდება ტექნიკური პრობლემები (15 კმ სადაწევო გვირაბის რეაბილიტაცია, წყალსაცავის ნატანისგან განმენდა და სხვ,), რომელთა გადაჭრაც უდიდეს ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ამდენად, აფხაზეთის გადაუხდელი მოხმარების ზრდის გამო, ენგურის კასკადის სარგებლიანობა დანარჩენი საქართველოს ენერგოსისტემისათვის მცირდება, ხარჯები კი განუხრელად მატულობს.

არსებული მდგომარეობა არასახარბიელოა არა მხოლოდ დანარჩენი საქართველოსთვის, არამედ რუსეთის და თავად აფხაზეთის რეგიონისთვის: რუსულ-აფხაზური წყაროების მიხედვით, აფხაზეთში ენერგომოხმარების სუბსიდირებას რუსეთის მხარეც აკეთებს. რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, ინტერ-რაოს მიუღებელმა შემოსავალმა აფხაზეთის ენერგომომარაგებაზე 2016-2017 წლებში

დაახლოებით 750 მლნ რუბლი შეადგინა [26]. ამ ხარჯებს ინტერ-რაო-ს ნაწილობრივ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უფარავს.

აფხაზეთში ზამთარში ელექტროენერგიის მიწოდება არასტაბილურია. გადატვირთვის რეჟიმში ფუნქციონირებს თავად აფხაზეთის ელექტროგადამცემი და გამანაწილებელი სისტემები, რაც მათ საიმედოობას ამცირებს. ელექტროენერგეტიკული სისტემის მესვეურები შეშფოთებული არიან მომავალი ზამთრის პერსპექტივებით, შიშობენ რა, რომ ყირიმის მომარაგების გამო რუსეთმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს აფხაზეთისთვის საჭირო ელექტროენერგიის ექსპორტი. პრობლემების მთავარ მიზეზს წარმოადგენს აფხაზეთში ელექტროენერგიის განაწილების ტექნიკური და ორგანიზაციული მოუწესრიგებლობა და, აქედან გამომდინარე, მფლანგველობითი მოხმარება. როგორც ჩანს, აფხაზეთის ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ათწლეულობის განმავლობაში ვერ დააგროვა საკმარისი პოლიტიკური სიმწიფე და წონა, რომ ეს პრობლემა მოეგვარებინა, თუნდაც საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების სასარგებლოდ.

გარდა ფინანსური ზარალისა, აფხაზეთში ელექტროენერგიის მოუწესრიგებელი მზარდი მოხმარება მნიშვნელოვან ტექნიკურ სირთულებს აჩენს:

- მიუხედავად იმისა, რომ ენგურჰესი თბილისის ცენტრალურ სადისპეცტჩეროს ექვემდებარება, ზამთრის განმავლობაში მისი გამოყენება ვერ ხდება თავისი ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებით - ენერგოსისტე-მის რეჟიმების და პიკურ დატვირთვების დასაბალნ-სებლად, რაც სისტემის საიმედოობაზე უარყოფითად მოქმედებს. სისტემის მანევრულობის შეზღუდვით იზღუდება განახლებადი ენერგიის წყაროების (ქარი, მზე) განვითარებისა და ქსელში ინტეგრირების შესაძლებლობა. ასევე იკარგება შესაძლებლობა, რომ საქართველოს ენერგოსისტემამ მონაწილეობა მიი-

ლოს მეზობელ ქვეყნებში ელექტროენერგიის პიკური დატვირთვების დაფარვაში, რითაც რეგიონული თანამშრომლობის და შესაბამისი შემოსავლების მიღების პერსპექტივებიც იკარგება.

- საფრთხეს ნარმოადგენს ასევე წყალსაცავის არარეჟიმული დამუშავება, რამაც კაშხლის უსაფრთხოების პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს.
- გროვდება მასშტაბური ტექნიკური პრობლემები. ვინაიდან ენგურის ტარიფი ითვლება საერთო მისაღები შემოსავლებიდან, აფხაზეთიდან მიუღებელი შემოსავლები აკლდება თუნდაც სადგურის გრძელვადიანი კაპიტალური შეკეთების სარეაბილიტაციო ფონდებს. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ბოლო პერიოდში ენგურჰესის ტექნიკური მდგომარეობა უარესდება. ამასთან, იზრდება გრძელვადიანი მასშტაბური რეაბილიტაციის აუცილებლობა. ასეთი პრობლემებიდან აღსანიშნავია წყალსაცავის დალამვა, რაც მისაყრდნობი ფარების ოპერირებას, ეს კი წყალსაცავში წყლის დონის რეგულირებას უშლის ხელს, რაც თავისთავად თაღლვანი კაშხლის უსაფრთხოების პრობლემებს ქმნის; ასევე აღსანიშნავია სადერივაციო გვირაბის მოსახვის გაუარესებული მდგომარეობა, რაც წყლის ფილტრაციის გაზრდილი ხარჯებით გამოიხატება სადერივაციო გვირაბის გასწვრივ.

სპეციალისტების შეფასებით, სადანნევო-დერივაციული გვირაბის სრულ რეაბილიტაციას 1,5-2 წელიწადი დასჭირდება, რაც დამატებით 200 მლნ კვ/სთ ენერგიას მოიტანს. მაგრამ სადგურის სრული გაჩერების შემთხვევაში, მხოლოდ აფხაზეთისთვის ალტერნატიული ელექტროენერგიის შეძენის სავარაუდო ღირებულება 150-170 მილიონი დოლარი იქნება, რასაც თავად რეაბილიტაციის ხარჯები დაემატება. აღნიშნული სამუშაოების განხორციელება ნაკლებ ალბათურია დღევანდელი სტატუს კვოს პირობებში.

ზემოთ აღნერილი გარემოებების გამო, არსებული მდგომარეობა მუდმივად უარესდება. მისი მდგრად ტენდენციად შენარჩუნება შეუძლებელია და რაციონალურ გადაწყვეტას მოითხოვს. აუცილებელია აფხაზეთმა მონაწილეობა მიიღოს ენგურჰესის ფინანსური სტაბილურობის და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფაში.

საჯარო ინფორმაციის სიმწირის გამო ვერ ჩავუდრმავდებით აფხაზეთის და რუსეთის მხარეებთან ენგურივარდნილის კასკადის თაობაზე წლების განმავლობაში მიმდინარე ურთიერთობის დეტალებს. მხოლოდ მიმოვიხილავთ რამდენიმე გარემოებას, რაც პერიოდულად თავს იჩენდა საინფორმაციო საშუალებებში.

ოპერატიულ დონეზე ასევე მიმდინარეობდა ურთიერთქმედება აფხაზეთის ქსელის ოპერატორ „ჩერნომორენერგოსა“ და ენერგეტიკის სამინისტროს შორის. პერიოდულად იმართებოდა მოლაპარაკებები ენგურის ექსპლუატაციის, კაპიტალური შეკეთების (მათ შორის სადაწნევო გვირაბის) და სხვა ტექნიკურ საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონტაქტების შედეგად ჰესის შეკეთების სამუშაოებს რაიმე უსაფრთხოების პრობლემები და სერიოზული დაბრკოლებები არ შეჰქმნიათ. სავარაუდოდ, ამ შეხვედრებზე ასევე იყო საუბარი აფხაზური მხარისგან სადგურისთვის ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურების შესახებ, თუმცა შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მხარესთან გაიმართა მოლაპარაკებები ენგურჰესის ინტერრაოს მმართველობაში გადაცემის შესახებ. საბოლოო მოლაპარაკება ვერ შედგა აფხაზების ძლიერი პოზიციის გამო. თუმცა, სავარაუდოდ, აღნიშნული შეთანხმების სტრატეგიული შედეგები არც საქართველოს მხარისთვის იქნებოდა სახარბიელო. ოპერატიულ დონეზე გრძელდება ტექნიკური ხასიათის კონტაქტები, თუმცა ჩვენთვის უცნობია, არსებობს თუ არა

მდგომარეობის გამოსწორების ერთიანი სტრატეგია და თან-მიმდევრული ტაქტიკა.

დღევანდელი მდგომარეობით, ელექტროენერგიის და-ურეგულირებელი მოხმარება აფხაზეთში მრავალ ტექნიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოების, სოციალურ პრობლემას და არასტაბილურ, არამდგრად გარემოს ქმნის, რაც საზიანოა ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის მხრიდან ენერგეტიკული გამოძალვა ათწლეულებია გრძელდება და ტექნიკურად, პოლიტიკურად და ფინანსურად ჩიხში შეჰყავს როგორც აფხაზეთის ენერგომომარაგება, ასევე მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. უყალიბისათვის იყარება ელექტროენერგია, რომლის სასარგებლო გამოყენება შეიძლება ეკონომიკაში ან სულაც ექსპორტით შემოსავლის მისაღებად. ქართული მხარის ცალმხრივი ზრუნვა ენგური-ვარდნილი ჰესების კასკადზე სულ უფრო მეტი ხარჯის და ნაკლები სარგებლის მომტანია და დიდხანს ვერ გაგრძელდება. შესაბამისად, ურთიერთობა-თა არსებული სტატუსი არ იძლევა ენგურჰესის სრულფასოვანი ექსპლუატაციის და აფხაზეთის ენერგომომარაგების გაუმჯობესების სტიმულს და შესაძლებლობას.

მდგომარეობა არასახარბიელოა აფხაზეთისათვის, ვისი ენერგომომარაგებაც დამოკიდებულია ამ ძირითად წყაროზე და მისი ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება ენერგომომარაგების უსაფრთხოებაზე მოქმედებს, ხოლო მზარდი მოხმარება დეფიციტის პრობლემებს ქმნის. ეს ასევე დამატებითი ხარჯია რუსეთისათვის, რომლის სამხედრო ობიექტები, მართალია, სარგებლობენ ენგურჰესის უფასო ენერგიით, მაგრამ მას სამაგიეროდ დანარჩენი აფხაზეთის ენერგომომარაგების პრობლემები უდგება.

შესაძლებელია წარმოვიდგინოთ მოვლენათა განვითარების ორი ძირითადი სცენარი:

1) მცოცავი ოკუპაციის და ენერგეტიკული გამოძალვის გაგრძელების;

2) ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გზების მოძიების, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ აფხაზეთის დეოკუპაციის შემდეგ.

## ტურიზმი

აფხაზეთის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სექტორი ტურიზმია. რიგი კონკურენტუნარიანი უპირატესობის გამო (კლიმატი, ბუნება, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები და ა.შ.), აფხაზეთის ტურისტული პროდუქტები ძლიერ პოზიციებს იკავებდა აღნიშნული სერვისების ბაზარზე.

აფხაზეთის დეფაქტო ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, სამოგზაურო ინდუსტრიას, მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიებთან ერთად, ბიუჯეტში შემოაქვს საგადასახადო შემოსავლების მესამედი.

აფხაზეთში ტურიზმის ყველაზე პოპულარული სახეობა შემეცნებითია, რაც, საშუალოდ, მთლიანი ტურისტული ნაკადის 60% -ს შეადგენს. შემეცნებითთან ერთად წარმატებით ვითარდება რეკრეაციული ტურიზმი.

ტურისტების უმეტესობა დასასვენებლად ან სამკურნალოდ მიდის გაგრის რეგიონში, რადგან აფხაზეთის არსებული სანატორიუმ-საკურორტო ობიექტების 70% -ზე მეტი მდებარეობს გაგრასა და ბიჭვინთაში. ასევე, შეიძლება აღინიშნოს ტურისტების მზარდი მოთხოვნა ისეთი ქალაქების მიმართ, როგორებიცაა ახალი ათონი და გუდაუთა, სადაც ტურიზმის ინდუსტრია ბოლო წლების განმავლობაში სწრაფი განვითარებით ხასიათდებოდა.

სანატორიული მომსახურების და ტურისტულ-ექსკურსიის სერვისების მთლიანმა მოცულობამ 2018 წელს შე-

ადგინა 1969.8 მილიონი რუბლი. 2018 წელს 131.7 ათასი ადამიანი (ძირითადად რფრ-ის მოქალაქეები) მკურნალობდა და ისვენებდა აფხაზეთის სანატორიუმებსა და დასვენების ობიექტებში. 2018 წელს ექსკურსიებში მონაწილეთა რაოდენობამ 975,7 ათასი ადამიანი შეადგინა [28].

აფხაზეთში ტურისტული პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენება. ზემოთ ჩამოთვლილ კონკურენტულ უპირატესობებს შორის რესპუბლიკის ეკოლოგიური სისუფთავე არის მნიშვნელოვანი აფხაზეთის მიმზიდველობაში. ტურისტებს იზიდავთ ნოტიო თბილი კლიმატი, სუბტროპიკული მცენარეული სახეობები და საოცრად სუფთა ზღვა. აფხაზეთში არის მრავალი ტურისტული ცენტრი, სასტუმრო, დასასვენებელი სახლები და პანსიონატები, რომლებიც მდებარეობს სანაპირო ზონაში. მათი უმეტესი ნაწილი საბჭოთა პერიოდში აშენდა, ნაწილი თარიღდება რუსეთის ცარიზმის პერიოდით, ხოლო ომის შემდეგ ისინი პრაქტიკულად დანგრეული და მორალურად გაცვეთილია. აფხაზეთის ტურისტული სექტორი საბჭოთა კავშირში ჩარჩა და ოკუპაციის პირობებში მას განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია.

ამჟამად აფხაზეთში საკურორტო-დასასვენებელი კომპლექსის უმრავლესობა და სხვა დასასვენებელ-გასართობი დანიშნულების ობიექტთა უმეტესი ნაწილი გაცემულია გრძელვა-დიანი იჯარით ან შეძენილია რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ კერძო კომპანიების მიერ. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სუბიექტებთან აფხაზეთის მიერ დამყარებული პირ-დაპირი ეკონომიკური კავშირების შედეგად გუდაუთის რაიონში განლაგებული პანსიონატი „შიუსერა“ და გაგრის დასასვენებელი „ახლი აბრსკილი“ იჯარით გადაეცა ქ. ჩებოქსარის (მორდვეთის რესპუბლიკა) ფირმა „ბერიოზკას“. ასეთივე გზით ქ. ჩერკესის (ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა) ფირმების „ხარლი-სა“ და „კაგოვ გარანტის“ ხელში გადავიდნენ ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდლში განლაგებული დასასვენებელი სახლი „სოხუმი“ და სოხუმის დასასვენებელი სახლი „ტყვარჩელი“. დასასვე-

ნებელი სახლი „აგუძერა“ დროებით მფლობელობაში გადაეცა ქ. ნალჩიკის (ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა) ახალგაზრდობის სახლს. ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტის დასასვენებელი ბაზა ფუნქციონირებს ახალ ათონშიც. აქვე მდებარე ცენტრალური ტურბაზა 2002 წელს იჯარით აიღო სანქტ-პეტერბურგის შპს „სირენამ“. გულრიფშის რაიონის სოფ. ფშავში არ-სებული დასასვენებელი სახლი „ლაზური“ იჯარით გადაეცა სანქტ-პეტერბურგის ერთ-ერთ დახურულ სანარმო „როკადას“. რუსეთის ტურისტულმა ფირმამ „გლადიოლუსმა“ იჯარით აიღო სასტუმრო „აფხაზეთი“, „რინა“ და „ინტურისტის“ ხანძარს გადარჩენილი ნაწილი, ასევე ამ ფირმამ აამოქმედა სოჭუმში განლაგებული მე-15 ყრილობის სახელობის სანატორიუმი და გაგრაში მოქმედი სანატორიუმი „უკრაინა“. გაგრის ზონაში მდებარე სანატორიუმ „არმენიას“ დაერქვა „გაგრა“, რომელიც რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ 20 წლის იჯარით აიღო. სანატორიუმები „საქართველო“, „თბილისი“ (მათ დაერქვათ აფხაზური სახელები) და „მაიაკი“ იჯარით აიღეს რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა უწყებებმა. გაგრის პანსიონატი „კავკასია“ იჯარით გადაეცა სანარმო „იაროსლავნას“, რომელიც წარმოადგენს დნესტრისპირეთის მოლდოვას რესპუბლიკის ქ. ტირასპოლის რუსეთის თანამემამულეთა რუსული საზოგადოების შვილობილ სანარმოს. ქ. გაგრის დასასვენებელი სახლი „კაბარდეცი“ 50 წლის იჯარით აიღო მოსკოველმა ბიზნესმენმა. სანატორიუმები „უოკვარა“ და „ისკრა“ იჯარით გადაეცა როსტოვის ოლქის ორგანიზაცია დონტაბაკ-ს. სანატორიუმი „გაგრიფში“ 20 წლის ვადით იჯარით გადაეცა სოჭის ავიაკომპანია „ჩერნომორ ავიას“. ქ. აქსაის სააქციო საზოგადოება გემთმშენებელი-გემსარემონტო ქარხანა „მიდელიმ“, რომელსაც ხელმძღვანელობს აქსაელი მენარმე ვ. ვაგრადიანი, იჯარით აიღო გაგრის დასასვენებელი სახლი „ლიტფონდი“ (ამჟამად „მიდელ-გაგრა“), რომელიც მოკლე დროში შეკეთდა და დაინტერესი მისი ექსპლუატაცია

ცია. ამავე სააქციო საზოგადოების მიერ დაწყებულია სარემონტო სამუშაოები კომპლექს „გაგრიფშში“.

ზოგიერთი საკურორტო-დასასვენებელი კომპლექსები გა-დაცემულია დროებით სარგებლობაში ისეთი კომპანიებისათვის, როგორიცაა **Минтом-ი**, **Миноборона**, **Лукойл-ი** და **Газпромი**. **რუსულ-აფხაზურ** ერთობლივ სანარმო „ალიანს“ 25 წლის ვა-დით იჯარით გადაეცა სანატორიუმი „მშენებელი“ და სანატორიუმ „ალაშარას“ (ყოფილი „ვოლგა“) ერთ-ერთი კორპუსი.

თანდათანობით ვითარდება საქმიანი ურთიერთობები გუ-დაუთის რაიონსა და რ. ფ. ივანოვის ოლქის ქ. კინეშმის შორის. აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში მომზადდა ხელშეკრულება სანატორიუმ „ალაშარას“ (ყოფილი „ვოლგა“) ახალი კორ-პუსის იჯარით გადაცემის თაობაზე. გარდა ამისა, მომზადების სტადიაშია ანალოგიური დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს დასასვენებელი სახლის „ოქროს ნაპირის“ იჯარით გადა-ცემას ურალში განლაგებული რუსეთის ფედერაციის თავ-დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი სანარმოსთვის.

დაფიქსირებულია რუსეთის სამხედრო წრეების წარმო-მადგენელთა მხრიდან ვ. პუტინთან დაახლოებულ პირთა მიერ პრივატიზებული შენობა-ნაგებობების, დასასვენებელი სახლე-ბისა და პანსიონატების შესყიდვის მცდელობის ფაქტები. მაგა-ლითად, გაგრაში შეისყიდეს პანსიონატი „მოსკოვი“ (ყოფილი „უკრაინა“). განზრახული აქვთ დაბა განთიადში განლაგებული დასასვენებელი სახლის „ფირუზის“ შესყიდვა.

სანატორიუმი „უკრაინა“ 2003 წლის ბოლოს 30 წლის იჯარით გადაეცა რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს იჯარით აქვს აღებული ქ. გაგრაში კომსომოლსკაიას ქუჩაზე მდებარე ყოფილი სამ-ხედრო აგარაკი.

ერთობლივ რუსულ-აფხაზურ სანარმოს „მისტრალ-სუ-ხუმს“ იჯარით აქვს აღებული სოფ. მგუძირხუაში მდებარე პიო-ნერული ბანაკი „ძერუინეცი“.

2007 წლის ოქტომბერში აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, რუსულ მხარეს 15 წლის ვადის იჯარით გადაეცა დაბა ბიჭვინთაში განლაგებული დომ თворчествა და ლიტფონდ. აფხაზური მხარე ხელშეკრულების თანახმად ყოველწლიურად მიიღებს 100 ათას აშშ დოლარს.

2005 წლის 15 მაისს დაბა ბიჭვინთაში შედგა პანსიონატების ლიტფონდ-ისა და Kacatka-ს ექსპლუატაციაში შეყვანის პრეზენტაცია. აღნიშნული საკურორტო ობიექტების მოიჯარეს ზემოხსენებული რუსეთის ფედერაციის ატომური ენერგეტიკის სამინისტრო წარმოადგენს, რომლის საწარმოთა ასოციაციამ სოლიდური თანხები გამოყო სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად. პრეზენტაციას ესწრებოდნენ სეპარატისტთა ე.წ. ვიცე-პრემიერი და რუსეთის ფედერაციის ატომური ენერგეტიკის ასოციაციის პრეზიდენტი.

2005 წელს სეპარატისტთა პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად სახელმწიფო საწარმო სახელმწიფო აგარაკი „გაგრა“ 25 მლნ რუსულ რუბლად საკუთრებაში გადაეცა რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციას.

2003 წლის ნოემბერში პანსიონატი „ჩელუსკინელები“ 25 წლის იჯარით გადაეცა რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროს. პანსიონატის თანამშრომელთა თქმით, აღნიშნულ ობიექტთან გარკვეული ინტერესები გააჩნიათ რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატებს, რომელთა ხელშეწყობითაც მოხდა საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება. პანსიონატს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. მთლიანად დანგრეულია პირველი და მესამე კორპუსები, აღებულია პანსიონატის ტერიტორიაზე არსებული კემპინგები და სამეურნეო ნაგებობები.

2006 წელს სეპარატისტები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს რუსეთის ჰოლდინგურ კომპანია *Система инвест*-თან, რათა

ინვესტირება განხორციელებულიყო კომპლექს შეუნდა-ს რეკონსტრუქციისათვის. შეთანხმების მიხედვით, რუსულმა ფირმამ ხუთი წლის განმავლობაში განახორციელა 1 მილიონი დოლარის ინვესტირება.

2004 წლის გაგრაში იმყოფებოდა გენერალი ვლადიმიროვი, რომელმაც აფხაზ სეპარატისტულ ხელისუფლებასთან მიაღწია შეთანხმებას დასასვენებელი სახლის „არქონდის“ (მდებარეობს გაგრაში) რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ. რუსეთის სამხედრო უნიების წარმომადგენლები აფხაზურ მხარესთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ზემოაღნიშნული ობიექტებისა და სანატორიუმ გაგრას შესყიდვის თაობაზე.

2004 წლის მარტის დასაწყისში არძინბამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა დასასვენებელი სახლის Холოდная რечка-ს (სტალინის აგარაკი) გაყიდვის საკითხი. ინვესტორი მზად იყო, ამ ობიექტში გადაეხადა 9 მლნ ამერიკული დოლარი. გავრცელებული ინფორმაციით, ეს ინვესტორი რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი, კომპანია „საბაზო ელემენტის“ ხელმძღვანელი ოლეგ დერიპასკაა, რომელსაც ზურგს უმაგრებს ვ. პუტინი.

2006 წლის აპრილის დასაწყისში აფხაზეთში ჩასულმა რუსეთის ფედერაციის საგანგებო საქმეთა სამინისტროს დელეგაციამ დაბა განთიადში მდებარე დასასვენებელი სახლის „განთიადის“ იჯარით აღების თაობაზე მოლაპარაკება გამართა სეპარატისტული მთავრობის წევრებთან. მოლაპარაკება დადებითად დასრულდა.

2007 წლის 10 აგვისტოს ქ. სოხუმში იმყოფებოდა თათრეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია პრემიერ-მინისტრის რ. მინიხანოვის ხელმძღვანელობით. შეხვედრების დროს განიხილებოდა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები. სტუმრები დაინტერესდნენ აფხაზეთის ზოგიერთი საკურორტო ობიექტის პრივატიზების საკითხებით. კერძოდ, გამოითქვა სურვილი ქ. გაგრაში სანატორიუმ „გაგრიფშის“ (ყოფილი სანა-

ტორიუმი „გრუზია“) შესყიდვის შესახებ. რ. მინიხანოვის განცხადებით, მათი მთავრობა მზადაა სერიოზული ინვესტიციები ჩადოს ზემოთხსენებული სანატორიუმის რეკონსტრუქციაში და მზადაა განიხილოს სხვა ვარიანტებიც.

2008 წლის ზაფხულში რუსი ეროვნების ბიზნესმენის მიერ შესყიდულ იქნა ქ. სოხუმში არსებული სანატორიუმი „კომპოზიტორთა სახლი“.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ახალმა სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად რეკრეაციული სფეროს განვითარება გამოაცხადა.


## სოფლის მეურნეობა

აფხაზეთი ტრადიციულად აგრარული მხარეა. რუსეთ-საქართველოს ომამდე აფხაზეთის ტერიტორიაზე 1992-1993 წნ. სოფლის მეურნეობა ორიენტირებული იყო აფხაზეთის უნიკალური კლიმატური რესურსების გამოყენებით სსრკ-ს საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. სუბტროპიკულ კულტურებში ჭარბობდა: ციტრუსები (მანდარინი, ფორთოხალი), ჩაი, თამბაქო, კაკალი, თხილი, ტუნგი და ა.შ. ასევე, იზრდებოდა სიმინდი, ყურძენი და ბოსტნეული. ოკუპაციის შემდეგ დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობა შეწყდა და სოფლის მეურნეობა გადარჩენის პირასაა მისული. ძლიერ შემცირდა მსხვილი რქოსანი და წვრილი პირუტყვის სულადობა.

ამჟამად აფხაზეთის მიწის ნაკვეთები, რომელთაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით დაკავებული მიწის მომხმარებლები იყენებენ, 397.3 ათასი ჰაა. თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ მიმართულებებს შორის შეიძლება გამოვყოთ მეთევზეობა (ხამსა, სტავრიდა) და მეხილეობა (ციტრუსები, ფეიხოა, ხურმა - 7.1 ათასი ჰა; ვენახი - 2.6 ათასი ჰა; თხილი და ა.შ.). წარმოებული

სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი ნაწილი ექ-სპორტზე გადის რუსეთის ფედერაციაში, მცირე რაოდენობით — თურქეთში [28] (იხ. დიაგრამა N4).

#### **დიაგრამა №4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი აფხაზეთში 2018 წელს**



წყარო: [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)

### **მომსახურება**


მოსახლეობისთვის ფასიანი მომსახურების მაჩვენებელი სრულ სურათს იძლევა მოსახლეობის ცხოვრების რეალური სტანდარტის შესახებ და განზოგადებული ფორმით მოიცავს შემდეგ სერვისებს:

- საყოფაცხოვრებო მომსახურება;
- საბინაო და კომუნალური მომსახურება;
- სამგზავრო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო მომსახურება;

- განათლების სისტემის, კულტურის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სერვისები;
- სამედიცინო მომსახურება;
- ტურისტულ-ექსკურსიებისა და სანატორიუმების გაუმჯობესების მომსახურება;
- იურიდიული მომსახურება.

ბოლო წლების განმავლობაში ფასიანი მომსახურების მოცულობა მთელ ქვეყანაში სწრაფად იზრდება. აფხაზეთის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის 2018 წლის 12 თვის განმავლობაში მიღებული მონაცემებით, მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურებების მოცულობამ, ინდივიდუალური მენარმეების მიერ განეული მომსახურების შეფასების გათვალისწინებით, შეადგინა 7157.4 მილიონი რუბლი (იხ. დიაგრამა N5).

#### **დიაგრამა №5. აფხაზეთის მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურებების მოცულობა 2018 წელს**



წყარო: [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)

ფასიანი მომსახურების სტრუქტურაში ყველაზე მეტი წილი კომუნიკაციების მომსახურებასა და სანატორიულ სერვისებზე მოდის.

## მშენებლობა

მშენებლობას აფხაზეთის მშპ-ში წამყვანი ადგილი უჭირავს. მშენებლობის განვითარების ხელსაყრელი ფაქტორია მინერალური რესურსების დიდი და მრავალფეროვანი რეზერვების არსებობა, მათ შორის მარმარილო, დოლომიტი, გრანიტი, ქვიშა, აგურის თიხა და ა.შ. რომელთა ათვისება უსისტემოდ და ეკოლოგიისთვის საზიანოდ ხდება.

მშენებლობაში დასაქმებულია როგორც იურიდიული პირები, ასევე ინდივიდუალური მეწარმეები. მთლიანობაში, ამ დარღვი აღრიცხულია 490 სანარმო. ინდუსტრიაში დასაქმებულია 1,716 ადამიანი. სანარმოთა უმეტესი ნაწილი კერძო სექტორშია. 2018 წელს აფხაზეთის სამშენებლო ორგანიზაციების მიერ კონტრაქტით ჩატარებული სამუშაოს მოცულობამ შეადგინა 2 601.5 მილიონი რუბლი [29].

## ტრანსპორტი

აფხაზეთის რესპუბლიკაში ტრანსპორტის ყველა ძირითადი სახეობა მორალურად გაცვეთილია. მასში დასაქმებულია 1.3 ათასზე მეტი ადამიანი.

აფხაზეთში ძირითადი სახმელეთო ტრანსპორტია. 2018 წელს მასზე მოდიოდა გადაზიდული საქონლის მთლიანი მოცულობის 27.2% -ს. საგზაო ქსელის სტრუქტურა დერძულია: რესპუბლიკის თითქმის ყველა გზა მიბმულია მთავარ მაგისტრალთან, რომელიც გადის ზღვის სანაპიროზე. რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების სიგრძეა 473.8 კმ, ადგილობრივისა - 1830.9 კმ [28] (იხ. დიაგრამა N6).

**დიაგრამა №6. საერთო მოხმარების ყველა სახის  
ტრანსპორტის მიერ გადაზიდული საქონელი  
2010-2018 წ.წ.**



წყარო: [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)

რაც შეეხება სარკინიგზო ტრანსპორტს, აფხაზეთის რკინიგზის სიგრძეა 239 კმ. ეს არის ელექტრიფიცირებული ცალმხრივი სანაპირო სარკინიგზო ხაზი სოჭი-სოხუმი-გალი, ოჩამჩირე-ტყვარჩელის ფილიალით (გამოიყენება ექსპორტირებული ნახშირის მიწოდებისთვის ოჩამჩირის პორტში). აფხაზეთის გავლით ტრანსსასაზღვრო სარკინიგზო მიმოსვლა დაიხურა 1992 წლიდან. შიდა ქსელს მართავს „აფხაზეთის რკინიგზის კომპანია“. სსრკ-ს დროს რესპუბლიკიდან ტვირთბრუნვის მოცულობა წლიწადში 12-14 მილიონ ტონამდე აღწევდა. ყოველდღიურად ქ. სოხუმიდან 18-მდე სამგზავრო მატარებელი გადიოდა. რკინიგზის ყველა მონაკვეთი ელექტრიფიცირებულია 1950-60-იან წლებში. ამჟამად მატარებლები რეგულარულად გადიან სოხუმის რკინიგზის სადგურიდან სოხუმი-მოსკოვის, სოხუმი-სანქტ-პეტერბურგის, სოხუმი-სამარის მიმართულებით.

დეოკუპაციამდე აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის გახსნაზე საუბარი არარეალურია. აქ მრავალი წინააღმდეგობა იჩენს თავს, დაწყებული პოლიტიკური, საბაჟო და სავიზო ხასიათის სირთულეებით, დამთავრებული ჩვენი ქვეყნისათვის მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრის ჩათვლით. რთული იქნება მოლაპარაკება საბაჟო საკითხებზე, ვინაიდან საქართველო ევროპასთან ასოცირების რეჟიმით გათვალისწინებული წესებით ცხოვრობს, ხოლო სომხეთი ევრაზის ეკონომიკური გაერთიანების საბაჟო კავშირის (რუსეთი, ყაზახეთი, ბელორუსი) წევრია. საერთოდ, წარმოუდგენელია დღევანდელი გადასახედიდან სამგზავრო გადაზიდვებზე საუბარი რუსეთთან სავიზო რეჟიმის არარებობისა და აფხაზეთთან რაიმე ლეგალური სახის გადაადგილების მექანიზმის უქონლობის გამო. ცალკე გამოსაყოფია აზერბაიჯანის თემაც, რომელიც ამ ფაქტს მტკიცნეულად აღიქვამს და ეს ქმედება არაკეთილმეზობლურად მიაჩინია. ჩვენთვის ყველაზე მთავარი მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობის საკითხია.

რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი 1993 წლიდან არ ფუნქციონირებს. ამ პერიოდში სატრანსპორტო გადაზიდვებმა მოახდინეს ადაპტირება შექმნილი ვითარებისადმი. როგორც წესი, ამ საკითხის გაცოცხლება ხდება სომხეთის ოფიციალური პირების ქვეყანაში ვიზიტებისას, ან რეგიონში სამხედრო დაძაბულობის დროს სომხეთში განლაგებული რუსული ბაზების მომარაგების კონტექსტში. რკინიგზის ამ მონაკვეთის რეაბილიტაციას (190 კილომეტრი) რამდენიმე წელი დასჭირდება. ინგირიდან ოჩამჩირემდე (34 კილომეტრი), საერთოდ, არაფერია დარჩენილი. ოჩამჩირე-სოხუმის მონაკვეთი (54 კმ) რუსებმა სასწრაფოდ და უხარისხოდ აღადგინეს 2008 წლის აგვისტოს ომის წინ და ამას წმინდა სამხედრო მოტივი გააჩნდა. სოხუმი-ფსოუს მონაკვეთი რუსეთის საზღვრამდე (102 კმ) ექსპლუატაციაშია [27].

სხვადასხვა ექსპერტული გათვლით, მთლიანად ამ ხაზის აღდგენას 150 მილიონი დოლარიდან 250 მილიონ დოლარამდე დასჭირდება. რკინიგზის აღდგენაზე დახარჯული თანხების უკან ამოღებას კი ოპტიმისტური სცენარით მოუნდება 100 წელი, ხოლო პესიმისტურით — კიდევ უფრო მეტი.

დღეს საქართველოსთვის რკინიგზის ამ მონაკვეთს რაიმე სერიოზული პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი არ გააჩნია. ის სარგებლის მომტანია სომხეთისთვის. ეს ეფექტიც საეჭვოა, თუ სომხეთს მოუწევს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება. რუსეთთან სომხეთის ვაჭრობა არცთუ ისე დიდია და ტვირთების წონითი მოცულობაც ძალიან მცირეა. აფხაზეთის-თვის ეკონომიკური ეფექტი უმნიშვნელოა, ისევე როგორც რუსეთისათვის. ერთადერთი მიზანშეწონილობა რუსეთისათვის არის სომხეთში არსებული სამხედრო ბაზების სტაბილურად მომარაგების უზრუნველყოფა. თუმცა, წმინდა ეკონომიკური კუთხით, ამჟამინდელი არასახმელეთო მომარაგების გზა მაინც უფრო იაფია, ვიდრე ის ხარჯები, რაც რუსეთმა უნდა გასწიოს და შემდგომში მოუწევს. სხვა საკითხია წმინდა სამხედრო კომპონენტი რეგიონში სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში.

რაც შეეხება ზარალს, რომელიც შეიძლება განიცადოს საქართველომ: პირველ რიგში ზარალი მიადგება საავტომობილო გადაზიდვებს, ქვეყნის შავი ზღვის პორტებსა და ახალ, ბაქო-თბილისი - ახალქალაქი - ყარსის რკინიგზასაც. თვით ეს რკინიგზა, რომელიც ძალიან ძვირი დაჯდა და ჩვენი მონაკვეთი აზერბაიჯანის კრედიტით შენდება (დაახლოებით 775 მლნ დოლარი, 25 წლის ვადით, წლიური ერთი პროცენტი სარგებლით, დაფარვა მოხდება ამ რკინიგზის ექსპლუატაციით მიღებული შემოსავლებიდან), უფრო გეოსტრატეგიული მნიშვნელობისაა. მის ეფექტს უფრო შორეულ პერსპექტივაში უნდა ველოდიოთ. ის ქართული სახმელეთო, საზღვაო და სარკინიგზო გადაზიდვების კონკურენტია. თავიდან

იკლებს აზერბაიჯანიდან წამოსული ტვირთების ნაკადი შავი ზღვის პორტებისაკენ, შესაბამისად, რკინიგზის ძირითად მარშრუტსაც მოაკლდება ტვირთების გარკვეული ნაწილი. სამომავლოდ, მისი კომპენსირება უნდა მოხდეს აზერბაიჯანიდან და შეუა აზიდან ტვირთბრუნვის მატების შედეგად. მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, აზერბაიჯანიდან ნავთობის ექსპორტი გაიზრდება 2012 წელს არსებული 9,5 მილიონი ტონიდან 16 მილიონ ტონამდე 2018 წლისათვის [28].

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია წელიწადში 6,5 მილიონი ტონა ტვირთის ტრანსპორტირება და დაახლოებით ერთი მილიონი მგზავრის გადაყვანა. პერსპექტივაში მას შეეძლება 15 მილიონი ტონა ტვირთის გატარება.

იმ რაოდენობის ტვირთი, რომელმაც უნდა გაიაროს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიმართულებით, რომ აფხაზეთის მონაკვეთი რენტაბელური გახდეს, რეგიონში, ფაქტოპრივად, არ არსებობს და არც შორეულ პერსპექტივაში არის მოსალოდნელი მისი იმ მოცულობით ზრდა, რომელიც ამ მარშრუტს მიანიჭებს უპირატესობას და არა არსებულ, სხვა ალტერნატიულ მიმართულებებს.

1992 წლისათვის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე დღე-ღამეში მოძრაობდა 17 წყვილი სატვირთო და 16 წყვილი სამგზავრო მატარებელი. სატვირთო გადაზიდვების მაქსიმალური ოდენობა — 24 წყვილი მატარებელი მოდიოდა 1988 წელზე.

სამგზავრო მატარებლებზე ახლა რაიმე სახის მსჯელობა არასერიოზულია. მაშინ ბაქოდანაც მოძრაობდა მატარებელი, ერევნიდანაც, თბილისიდანაც მოსკოვისა და რუსეთის სხვა ქალაქების მიმართულებით. რაც შეეხება სატვირთო გადაზიდვებს, 1991-1992 წლებში მისი მოცულობა წელიწადში 10 მილიონი ტონა იყო [27].

თუ გავაანალიზებთ საქართველოს იმპორტ-ექსპორტს, მის გეოგრაფიას, ტვირთების სახეობასა და გამოყენებულ

ტრანსპორტს, დავინახავთ, რომ რუსეთში ან რუსეთის გავლით დასთ-ის სხვა ქვეყნებში მისი მოცულობა ძალიან მცირება და ახლო პერსპექტივაშიც ისეთი არსებითი ხასიათის ცვლილებები არაა მოსალოდნელი, რომლებიც ტვირთბრუნვაზე მნიშვნელოვნად შეიძლება აისახოს. ასეთივე ვითარებას სომხეთთან დაკავშირებითაც. ჩვენი საპროგნოზო გათვლებით, რკინიგზის ტვირთნაკადმა აფხაზეთის მონაკვეთის გავლით შეიძლება შეადგინოს წელიწადში ორი მილიონი ტონიდან საშუალოვადიან პერიოდში და მაქსიმუმ 3,5 მილიონ ტონამდე შორეულ პერსპექტივაში, ისიც ქართული პორტებისა და საავტომობილო გადაზიდვების კლების ხარჯზე. თეორიულად, შესაძლებელია ირან-სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზის აშენება და დამატებით დაახლოებით 0,5 მილიონი ტონა ტვირთის წამოსვლა საქართველოს მიმართულებით. თუმცა ეს ნაკლებად რეალისტური პროექტია. რუსეთს ეს არაფერში აწყობს (სომხეთის რკინიგზა რუსეთმა იყიდა და ამ მხრივ რაიმე დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება სომხეთს არ შეუძლია), რადგან უკვე დაინტერესერბა აზერბაიჯანი-ირანის დამაკავშირებელი სარკინიგზო პროექტის რეალიზება და პარალელური ხაზის აშენება მათვის აზრს კარგავს. ახლახან რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელის ვ. იაკუნინის განაცხადებით, რუსეთისთვის არ არის საინტერესო სომხეთ-ირანის დამაკავშირებელი ახალი რკინიგზის მშენებლობა, რადგან უფრო იაფი, მარტივი და მოკლე ვადაში რეალიზებადი სწორედ აზერბაიჯანის გავლით ირანთან დამაკავშირებელი უკვე დაწყებული პროექტია [28].

საუკეთესო ვარიანტში და ისიც შორეულ პერსპექტივაში 4 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვის შემთხვევაშიც კი ეს რკინიგზა (მისი აფხაზეთის მონაკვეთი) წამგებიანი იქნება.

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია საქართველოს და, ზოგადად, რეგიონის ეკონომიკის ზრდის ფაქტორი, რად-

გან ეს ტვირთების მოცულობასაც გაზრდის. მაგრამ აქ მთავარია ექსპორტ-იმპორტის რეგიონული თავისებურებების ასახვა და ტვირთების ნაირსახეობების გარკვევა. მაგალითად, თუ საქართველო გაიტანს მხოლოდ რკინიგზით 10 მილიონ ბოთლ ღვინოს წელიწადში (ამისთვის საჭიროა დაახლოებით 325 ვაგონი, ანუ მატარებლის 7- 8 შემადგენლობა), ეს ნიშნავს რკინიგზის ხაზის მთლიან დატვირთვას ერთი დღის განმავლობაში. თუ გაიტანს 50 მილიონ ბოთლს, შესაბამისად, ეს 5 დღის დატვირთვაა. თუ გავიტან 50 მილიონ ლიტრ მინერალურ წყალს, ეს ერთი კვირით დატვირთვას რკინიგზას და ასე შემდეგ [28]. ასევე მარტივად შეიძლება ხილის, ციტრუსებისა თუ სხვა საქონლის მიერ რკინიგზის დატვირთვის მაჩვენებლების გაანგარიშება ისევე, როგორც რუსეთიდან ხორბლის ან ნაკთობპროდუქტების შემოტანისას არაა ძნელი ამის დადგენა. მაგალითად, ტვირთბრუნვის თვალსაზრისით დიდი მოცულობის საქონლის, როგორიცაა საქართველოში წარმოებული მინერალური სასუქები ან ფეროშენადნობები, ტრანსპორტირება ხდება საზღვაო გზით, თანაც მსოფლიოს სხვა ბაზრებზე და არა რუსეთში, ამიტომ მათი გამოშვების ზრდა რკინიგზის ტვირთბრუნვაზე არავითარ გავლენას არ მოახდენს. იგივე შეიძლება ვთქვათ უამრავი დასახელების საქართველოში წარმოებულ სხვა საქონელზეც.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიძლება მოხდეს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე სხვა ქვეყნების გარკვეული კატეგორიის ტვირთების გადამისამართება საქართველოს შავი ზღვის პორტებიდან ან საავტომობილო გზებიდან აღდგენილი რკინიგზის მარშრუტზე, რაც, რა თქმა უნდა, დაეტყობა ქვეყნის შემოსავალს. ფინანსური დანაკარგები დიდი იქნება, ისევე როგორც მოხდება სამუშაო ადგილების შემცირება.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობა იყო და-

ახლოებით 20 მილიონი ტონა წელიწადში (მისი მაქსიმალური პოტენციალი შეადგენს 30 მილიონ ტონას, ახალი, ბაქო-თბილისი- ყარსის საქართველოს მონაკვეთის გარეშე). აქედან, თითქმის 65 პროცენტი არის ტრანზიტული ტვირთები, ძირითადად აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან წამოსული (დაახლოებით 12-13 მილიონი ტონა, რომლის უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 10 ტონა იყო ნავთობი და ნავთობპროდუქტები). სამომავლოდ აზერბაიჯანის ტვირთების გარკვეული ნაწილი გადაინაცვლებს ბაქო-თბილისი-ყარსის მიმართულებით, ისევე როგორც ქართული ტვირთების ნაწილიც. პოლიტიკური სირთულეების გამო მოხდება თუ არა სომხეთის მიერ ამ ახალი რკინიგზის გამოყენება, ძნელი სათქმელია. უფრო მოსალოდნელია, რომ სომხეთის ტვირთების საკმაო ნაწილი გადამისამართდეს ერევანი-თბილისი-სოხუმის მიმართულებით (ისევე, როგორც იმ ტვირთების ნაწილიც, რომელიც ამჟამად ავტომანქანებით გადაიზიდება რუსეთში საქართველოს გავლით).

რაც შეეხება საქართველოს რკინიგზით გადატანილი ტვირთების დანარჩენ 35 პროცენტს, აქედან დაახლოებით 15 პროცენტი მოდის ადგილობრივ გადაზიდვებზე (3 მილიონი ტონა), ხოლო დანარჩენი (დაახლოებით 4,5 მილიონი ტონა) — ესაა საქართველოს მიერ ექსპორტზე გატანილი და უცხოეთიდან იმპორტირებული ტვირთი. აქედანაც გარკვეული ნაწილი დააკლდება ნავსადგურებს რკინიგზის აღდგენისას. ზოგადად, მთლიანი სატვირთო გადაზიდვების მოცულობა საქართველოში საკმაოდ დაბალია (დაახლოებით 50 მილიონი ტონა, გადატანილი ყველა სახის ტრანსპორტის მიერ), და მათმა მკვეთრმა გადამისამართებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკაზე [28].

რკინიგზის გახსნა-არგახსნაში არის სტრატეგიული პოლიტიკური საკითხიც. სომხეთზე დიდია რუსეთის გავლენა როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სომხეთი

არ დაემორჩილა რუსეთის მოთხოვნას, გამოყენებული ყოფილიყო სომხეთში განლაგებული რუსეთის საჯარისო შენაერთები და ავიაცია საქართველოს წინააღმდეგ. სომხეთისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საქართველოს სატრანსპორტო (მათ შორის რუსეთთან დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენი) ინფრასტრუქტურა სერიოზული შემაკავებელი ფაქტორია სეპარატიზმისა და საქართველოს საწინააღმდეგო პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაძლო მიღების შემთხვევაში, პირველ რიგში, რუსეთის მხრიდან პროვოცირებული ქმედებების მხარდაჭერის კუთხით.

აფხაზეთში ორი აეროპორტია. სოხუმის აეროპორტი დადაქალაქიდან 25 კილომეტრში მდებარეობს, ასაფრენი ბილიკი, სიგრძით 4 კილომეტრი, გაანგარიშებულია ფართოფიუზელაჟიანი სამგზავრო ლაინერების და სპეციალური დანიშნულების თვითმფრინავების მისაღებად, რომლის ტევადობა 200 ტონამდეა; აეროპორტი ამინდის პირობების მიხედვით წელიწადში 364 დღე ფუნქციონირებს (ყველაზე ხელსაყრელი ამინდის პირობები ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე). ბომბორის აეროპორტი მდებარეობს სოხუმიდან 40 კილომეტრში, გუდაუთის მახლობლად. ასაფრენი ბილიკები განკუთვნილია სამხედრო-საზღვაო და სატრანსპორტო ავიაციისა და სამოქალაქო თვითმფრინავებისთვის და მას ექსპლუატაციას უწევს ოკუპანტის სამხედრო შენაერთები. ამჟამად რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე აეროპორტების მეშვეობით სამგზავრო კომუნიკაცია არ ხორციელდება.

აფხაზეთის აეროპორტები საერთაშორისო ფრენებს ვერ განახორციელებენ, რადგან ამას ესაჭიროება საქართველოს თანხმობა. რუსეთი ამას მხოლოდ თავისი ხაზებისთვის აკეთებს. ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალქვეყნებს შორის ყველას ეკრძალება სოხუმის აეროპორტში ფრენა.

რაც შეეხება თავად აეროპორტის შენობას, ომის შემდგომ რა მდგომარეობაშიც იყო, ისევეა ახლაც. სოხუ-

მის აეროპორტს URAS კოდი მიენიჭა, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთმა აეროპორტი როსტოკის საპაერო ზონის ნაწილად გამოაცხადა. აფხაზეთის დეფაქტო მინისტრთა კაბინეტმა 2018 წელს მიიღო დადგენილება „სოხუმის არძინბას სახელობის აეროპორტის სტატუსისა და აფხაზეთის საპაერო სივრცის გამოყენების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, იქ განთავსდება როგორც სამოქალაქო, ასევე სახელმწიფო ავიაცია (საგანგებო სიტუაციების სამსახური, სანიტარული ავიაცია).

სოხუმის აეროპორტი საქართველოს მხარის მიერ დაკეტილია 1993 წლიდან. ის არ არის სერტიფიცირებული საქართველოს საავიაციო ხელისუფლების მიერ. ამასთან, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO) აფხაზეთს საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარებს. ამდენად, სოხუმის აეროპორტიდან საერთაშორისო ფრენები ვერ განხორციელდება, რადგან ამისთვის აფხაზეთს სჭირდება საქართველოს ნებართვა. სოხუმის აეროპორტში ფრენებს ვერ განახორციელებენ ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნებიც. რუსები ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მეტი ტურისტი მოიზიდონ აფხაზეთში. კრემლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ორი მიმართულება დარჩა - ყირიმი და აფხაზეთი. შესაბამისად, საქართველოსთან ფრენების აკრძალვის გამო, უნდათ, რომ ეს ტურისტები გადაანაწილოს ყირიმსა და აფხაზეთში. რაც შეეხება თავად აეროპორტის ინფრასტრუქტურას, ის ტექნიკურად გაუმართავია.

აფხაზეთს აქვს სამი ნავსადგური, მათ შორის ოჩამჩირის პორტი, რომელიც ომის შემდეგ აშენდა ოკუპანტის სამხედრო საჭიროებისთვის. რუსეთი დღესაც ცდილობს შავზღვაზე ჰეგემონობას, ამიტომ არის ის ანაკლიის პორტის აშენების წინააღმდეგი. აფხაზეთის მთავარი ნავსადგური არის სოხუმი, საიდანაც, 1992-1993 წლების ომამდე, ტვირ-

თების და მგზავრების ბრუნვამ წელიწადში 290,000 ტონას მიაღწია. აფხაზეთის პორტები სახელმწიფო საკუთრებაშია, ისინი პრაქტიკულად არ ფუნქციონირებენ, ხოლო მათი ინფრასტრუქტურა გაძარცული და მოშლილია. პორტებს მართავს აფხაზეთის საზღვაო გადაზიდვების სახელმწიფო კომპანია.

აფხაზეთში არსებობს ამბიციური გეგმები, რომ ქვეყანა გადაიქცეს მთავარ სატრანსპორტო კერად ევროპასა და აზიას შორის. აქ არსებობს სატრანზიტო სარკინიგზო გზა როსტოვი - სოხუმი - ერევანის მიმართულებით, ახლა ის მოქმედებს მხოლოდ სოხუმამდე. აფხაზეთში სულ სამი ნავსადგურია, რუსეთის სამხედრო გემების მომსახურების მიზნით ერთი ნავსადგური აშენდება ოჩამჩირეში. აფხაზეთში მდებარეობს ორი აეროპორტი, რომელთაგან გუდაუთაში განთავსებული სამხედრო აეროპორტი აღჭურვილია 4-კილომეტრიანი ასაფრენი ბილიკით, რომელსაც შეუძლია მიიღოს ფართო ტანის თვითმფრინავი, რომლის ტევადობა 200 ტონამდეა. აფხაზეთის სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა მთავარი პრობლემაა, რომელიც მის განვითარებას აფერხებს.

ღია „საზოგადოებამ „Краснодарский центр транспортной логистики“-მ და ფირმა „Абхазтоп“-მა დადეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით „Краснодарский центр транспортной логистики“ თავის თავზე იღებს აფხაზეთიდან ტვირთების გადაზიდვების ორგანიზებას საერთაშორისო საავტომობილო კომუნიკაციებით და მათი საექსპედიციო მომსახურების განხორციელებას საკუთარი ძალებით ან სხვა პირების მოზიდვით. „Абхазтоп“-ი ანგარიშსწორებას ახორციელებს ქ. კრასნოდარის „Югбанк“-ში.

აფხაზურმა ხელისუფლებამ რუსი ბიზნესმენების დამარებით 2004 წლის ზაფხულში გახსნა სოხუმი-მოსკოვი და სოხუმი-როსტოვის საავტობუსო მიმოსვლა. რეისებს ემსახურება „იკარუსის“ და უცხოური მარკის ავტობუსები.

გარდა ამისა, სოხუმიდან ყოველდღიურად ხორციელდება რეისები კრასნოდარის, მინერალური წყლების, ნოვოჩერკასკის, კისლოვოდსკის, სოჭის, ნოვოროსიისკისა და ნალჩიკის მიმართულებებით. ზოგიერთ შემთხვევაში ავტობუსების მოძრაობის განრიგი არ არის მუდმივი და დამოკიდებულია მგზავრთა სიმრავლეზე.

2003 წლის 26 ივნისს გაიხსნა საზღვაო მიმოსვლა სოჭსა და სოხუმს შორის, რაც შესაძლებელი გახდა კომერციულ ფირმათა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

აფხაზეთის ნავსადგურებში სისტემატურად შედიან თურქული გემები: „ALFAOL, YLDIZLI-1, ABCHASIA, SHELI-1, SHELI-2, LUKOL-2, SUPER CAPITAN HAK, OLUG, ESTRA CANBAZ, GUNERLEN-1, GUNERLEN -2, GUGLU-1, MITHAT EREGLI, RUSTEN OGLU, ALI KARNA-2, ABAL BALIKGILIK, BIZAT KAPTAN, MUSTAFA“. აღნიშნული გემებით აფხაზეთში სისტემატურად შემოაქვთ კონტრაბანდული სიგარეფი და სხვადასხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო საქონელი. გააქვთ ხეტყე, ჯართი, ქვანახშირი.

2004 წელს რუსული მხარის ხელშეწყობით აღდგენილ იქნა ლესელიძე-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთი, გარემონტებულია ქართული წარმოშობის VL-ა და VL-10 ტიპის სარკინიგზო ვაგონები.

2004 წლის 10 სექტემბერს გაიხსნა სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთსა და აფხაზეთში. ვაგონების რაოდენობა მერყეობს 4-დან 6-მდე. ქ. ადლერში ვაგონები ებმება ადლერი-მოსკოვის რეისის სწრაფ მატარებელს. მანძილს ადლერიდან სოხუმამდე მატარებელი ანდომებს დაახლოებით 3 საათს.

გარდა ამისა, სისტემატურად მოძრაობს სოხუმი-სოჭის ელექტრომატარებელი, რომელიც ეკუთვნის ქ. სოჭის სატრანსპორტო კომპანიას.

ზემოთ მოყვანილი ფაქტოლოგიური მასალა ადასტურებს იმას, თუ რაოდენ დიდია აფხაზეთის ტერიტორიაზე რუ-

სეთის სახელმწიფოს აგრესიული ზრახვები და იქ აშკარად ჩანს, თუ რით იყო მოტივირებული 1992-93 წლებში რუსეთის, როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს, აგრესია საქართველოს მიმართ და მისი ტერიტორიის ფაქტობრივი ოკუპაცია.

## საფინანსო სექტორი

აფხაზეთის რესპუბლიკის ოფიციალური ვალუტა აფხაზეთის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის შესაბამისად არის რუსული რუბლი. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთს არ გააჩნია საკუთარი ვალუტა, ქვეყნის ფულის მასის დაგროვების მთავარი წყარო რუსეთის ფედერაციის მხრიდან საგადამხდელო ბალანსის დადგებითი სალდო და ფინანსური დახმარებებია.

აფხაზეთის ერთიანი სახელმწიფო მონეტარული პოლიტიკა შემუშავებულია და ხორციელდება აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტთან თანამშრომლობით, აფხაზეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ. აფხაზეთის ეროვნული ბანკი არის იმ ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების ზედამხედველი, რომლებსაც აქვთ აფხაზეთის ეროვნული ბანკის ლიცენზია. აფხაზეთის ეროვნული ბანკის სამართლებრივი სტატუსი და ფუნქციები განისაზღვრება აფხაზეთის რესპუბლიკის კანონით „აფხაზეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ (აფხაზეთის ბანკი)“.

აფხაზეთის ბანკის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, არის:

- აფხაზეთის ბანკის რეფინანსირების განაკვეთი - 12%;

- საპროცენტო განაკვეთი აფხაზეთის ბანკის სესხების რეფინანსირებისთვის - 18%

- საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრა რუსულ ბანკებში, გაიცემა 22%-ის ოდენობით;

აფხაზეთის რესპუბლიკის საპანკო სისტემას 2019 წლის დასაწყისში წარმოადგენდნენ აფხაზეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკი და 10 არსებული საკრედიტო ორგანიზაცია (მათ შორის 9 კომერციული ბანკი და 1 საანგარიშსწორებო არასაპანკო საკრედიტო ორგანიზაცია). ბოლო წლების განმავლობაში, ახალი პოლიტიკური კურსის თანახმად, რესპუბლიკის საპანკო სისტემა აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკის აღდგენის პროცესში. იგი უფრო სოციალურზე ორიენტირებული გახდა. მხოლოდ 2015 წელს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა რამდენიმე სპეციალიზებული ინსტრუმენტი ეკონომიკის გარკვეული სეგმენტების მხარდასაჭერად:

1. აფხაზეთის ბანკმა, რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, შექმნა დამხმარე მექანიზმი მცირე ბიზნესისათვის, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ბანკის სახსრების გაცემას, გირაოდ მცირე საწარმოებზე, რომლებიც შერჩეულ იქნა აფხაზეთის ეროვნული ბანკის დებულების შესაბამისად „მცირე ბიზნესის დაკრედიტების შესახებ“. სესხის საბოლოო მიმღები იყო ინდივიდუალური მეწარმეები და იურიდიული პირები, რომლებიც ჩართული იყვნენ ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, - სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მრეწველობა, მშენებლობა და ა.შ. სოფლის მეურნეობის საქმიანობით დაკავებული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის განისაზღვრა საპროცენტო განაკვეთი 6% წლიურად, სხვა სექტორებში დასაქმებულთათვის - წლიური 12% -ით.

2. პენსიებისა და სოციალური შეღავათების ელექტრონული საშუალებით გადახდის პროგრამის განხორციელებასთან ერთად, აგრეთვე საკრედიტო ორგანიზაციების მიერ რესპუბლიკის საბიუჯეტო და კომერციულ ორგანიზაციებში

საკრედიტო ორგანიზაციების მიერ „სახელფასო პროექტების“ დანერგვის პროგრამის განხორციელებასთან ერთად, 2015 წლის ოქტომბერში, აფხაზეთის ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა სპეციალიზებული სესხი საკრედიტო ორგანიზაციების რეფინანსირებისთვის, შემდგომში ფიზიკურ პირთა დაკრედიტებისთვის. ხელფასებისა და პენსიების გადახდა წარმოებს „აპრას“ ტიპის საკრედიტო ბარათებით.

3. 2015 წლის დეკემბერში აფხაზეთის ეროვნულმა ბანკმა დაიწყო სავაჭრო ორგანიზაციების მიზნობრივი დაკრედიტების პროგრამის რეალიზაცია. ამ პროგრამით გათვალისწინებული სესხების საბოლოო მიმღები პირები არიან ინდივიდუალური მენარმეები და იურიდიული პირები, რომლებიც დაკავებული არიან საცალო ან საბითუმო ვაჭრობაში. სავაჭრო ორგანიზაციების საპროცენტო განაკვეთი არ აღემატება 18% -ს წელიწადში.

რაც შეეხება აფხაზეთში საკრედიტო ორგანიზაციების საგარეო- ეკონომიკურ საქმიანობას, აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტის ფართო აღიარების არარსებობის გამო, ისინი ამას ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის ბანკებში საკორესპონდენტო ანგარიშების საშუალებით. შესაბამისად, სხვა ქვეყნებში ანგარიშებზე გადატანა და შემდგომი გადაცემა ხორციელდება ზემოთ მოცემულ ანგარიშებზე, წინასწარი მოთხოვნით. ეს პროცედურა საშუალოდ იკავებს არაუმეტეს ერთ საბანკო დღეს.

2018 წელს რუსეთის ფედერაციასთან ხელი მოეწერა შეთანხმებას ეროვნული საგადასახდო სისტემების MIR და APRA ინტეგრაციის შესახებ. საგადასახადო ინფრასტრუქტურის გაერთიანება ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა აფხაზეთის რესპუბლიკის საბანკო სისტემისთვის, რაც საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს, გამოიყენონ APRA ბარათები რუსეთის ფედე-

რაციოს ტერიტორიაზე და, მეორე მხრივ, „მირი“ ბარათების მომსახურებაზე აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ბანკისა და აფხაზეთის ეროვნული ბანკის თანამშრომლობა ფართოვდება. აფხაზეთში საგადასახადო საშუალება რუსული რუბლია. ქვეყნის მთლიანი საპანკო აქტივების დაახლოებით მეოთხედი კონცენტრირებულია სამ საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციაში:

სააქციო საზოგადოება „აფხაზეთის შემნახველ ბანკში“;

შპს გრანტ-ბანკში;

შპს გაგრა ბანკში.

შემნახველი ბანკის გარდა, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის დაფუძნებული, დანარჩენი 14 ბანკის დამფუძნებლად გამოდიან კომერციული ორგანიზაციები და კერძო პირები, მათ შორის რუსეთიდან. აფხაზეთის რესპუბლიკის კანონების თანახმად, უცხოური კაპიტალის წილი ბანკის წესდებაში არ შეიძლება აღემატებოდეს 49 პროცენტს. წამყვანმა აფხაზურმა ბანკებმა გახსნეს საკორესპონდენტო ანგარიშები რუსულ ბანკებთან, ისინი აქტიურად მუშაობენ ბანკების დაკრედიტების ბაზაზე. ხელი მოეწერა შეთანხმებას აფხაზეთის ეროვნულ ბანკსა და რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბანკს შორის საკორესპონდენტო ანგარიშის გახსნის შესახებ, აგრეთვე სხვა დოკუმენტებს, რომლებიც შესაძლებლობას ქმნიან აქტიური ინტერაქციისთვის. ბოლო ორი წლის განმავლობაში, აფხაზეთის ბანკების 60-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგები და სტაჟირება რუსეთის ფედერაციაში. აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არ არსებობს ბანკომატები. ამ პროცესს აფერხებს აფხაზეთის რესპუბლიკის აღიარების არარსებობა დასავლეთის ქვეყნების მიერ, რომლებიც არიან Visa, Mastercard და სხვა ბარათების ემიტენტები.

ამჟამად აფხაზეთში ფუნქციონირებს ერთი სახელმწიფო, შემნახველი და კომერციული ბანკები. ესენია:

- აფხაზეთის ეროვნული ბანკი;
- შემნახველი ბანკი;
- „სოხუმ ბანკი“;
- „ტიკო“;
- „უნივერსალბანკი“;
- „ინვესტბანკი“;
- „გაგრა ბანკი“;
- „ეშერა ბანკი“;
- „აგრობანკი“;
- „გუდაუთა ბანკი“;
- „გარანტ-ბანკი“;
- „გალ-ბანკი“;
- „სოჭოს ბანკი“;
- „ლეონ-ბანკი“;
- „პრესტიული“;
- „ოჩამჩირის ბანკი“.

აღნიშნულ ბანკებს საქართველოს ეროვნული ბანკის სათანადო ლიცენზია არ გააჩინათ და, ამდენად, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არ აქვთ საბანკო საქმიანობის უფლება. აღნიშნული ბანკები ფულად-საკრედიტო ოპერაციებს ახორციელებენ რუსეთის ფედერაციის ანალოგიურ სტრუქტურებთან.

აფხაზურმა ბანკებმა აამოქმედეს რუსეთთან ელექტრონული ანგარიშს სწორების მექანიზმი და ჩართული არიან სრულიად რუსეთის საფინანსო-საკრედიტო სისტემა ზოლთა კორონა-ში. ამჟამად რუსეთის ფედერაციიდან აფხაზეთში და პირიქით შესაძლებელია ნებისმიერი თანხის გადარიცხვა, რისი მომსახურებაც 1-2%-ს შეადგენს.

სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლები რუსეთის ფინანსთა სამინისტროს გარკვეული პროტექციით ცდილობენ შეღავათიანი კრედიტების მიღებას რუსეთის ცენტრალური, საგარეო-ეკონომიკური და ნაციონალური ბანკებიდან. კრედიტების გამოყოფისას გარანტიების სახით ხდება სასტუმროების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ჩადება.

2007 წელს სოჭში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „საბანკო სექტორი და მსოფლიო ფინანსური სისტემა, ურთიერთქმედებებისა და თანამშრომლობის პერსპექტივები“. აღნიშნული ფორუმი ორგანიზებული იყო რუსეთის ფედერაციის ბანკთა ასოციაციის მიერ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ცნობილი ფინანსისტები და საბანკო დაწესებულებების ხელმძღვანელები, მათ შორის აფხაზეთის „შემნახველი ბანკისა“ და „გარანტიბანკის“ გამგეობის თავმჯდომარეები.

დღეისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ და ჯერ კიდევ ფუნქციონირებად ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ანგარიშები გახსნილი აქვთ რუსეთის ფედერაციის ბანკებში. მაგალითად:

✓ სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტს საბანკო ანგარიში გახსნილი აქვს „მოსკოვის ბიზნესბანკის“ ქ. სოჭის ფილიალში;

✓ სეპარატისტთა ე.წ. ნაციონალური ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს კრასნოდარის კრაინვესტბანკ-თან და ამ ბანკში მას რამდენიმე ანგარიში გააჩნია.

✓ სეპარატისტთა სახელმწიფო კომპანიები საბანკო ოპერაციებს რუსეთის ფედერაციაში ძირითადად ახორციელებენ ქ. კრასნოდარის კრაინვესტბანკისა და ბანკ მლსკვეს-ის ქ. სოჭის ფილიალის მეშვეობით.

✓ Сოხუმში მოქმედ აფხაზურ გარანტ ბანკ-ს ანგარიში გააჩნია და საკრედიტო-საფინანსო საქმიანობაში დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს მოსკოვში არსებულ СДМ-БАНК-თან. ბანკი ასევე თანამშრომლობს РУССЛАВБАНК-თან. აფხაზურ „გარანტ-ბანკს“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენების შესახებ კუБАНТОРБАНК-თან, АЗЯУНИВЕРСАЛБАНК-თან და НОВОСИБИРСКВНЕШТОРБАНК-თან.

✓ ქ. მოსკოვის სააქციო კომერციულმა ბანკმა ИНТЕРКООПБАНК-მა აფხაზეთის „შემნახველი ბანკი“ ჩართო ფულადი გზავნილების მომსახურების სისტემა „ინტერექსპრეს“-ში.

დღეს აფხაზური კომერციული თუ სახელმწიფო სტრუქტურები სარგებლობენ შემდეგი რუსული ბანკების მომსახურებით: Донбанк (ქ. დონის როსტოვი), Кавказиromстройбанк (ქ. ჩერკესკი), Внешагробанк (ქ. კოლომნა), Ситибанк (ქ. მოსკოვი), Югобанк (ქ. კრასნოდარი), Уральский комерческий банк внешней торговли (ეკატერინბურგი), Смоленский банк (ქ. სმოლენსკი), Москомприватбанк (ქ. სოჭი), Московский частный банк (ქ. მოსკოვი), Юго западний банк (დონის როსტოვი), Северо западний банк (სანკტ-პეტერბურგი), Северо-Кавказский банк (ქ. სტავროპოლი), Банк Северная Казна (ქ. ეკატერინბურგი), Связь-банк (ქ. მოსკოვი), Юниаструм банк (ქ. მოსკოვი), РОСБИЗНЕСБАНК (ქ. მოსკოვი), დამოუკიდებელი საინვესტიციო ბანკი АТОН (ქ. მოსკოვი) და სხვა.

აფხაზურ და რუსულ სანარმოებსა თუ კომპანიებს შორის განეული სამუშაოების და ურთიერთმომსახურების ან-

გარიშსწორება და საბანკო ოპერაციები ხორციელდება შემ-  
დეგი ბანკების მეშვეობით:

რუსეთის კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსე-  
ბულმა საწარმო სვაზეკსპერტიზა-მ და აფხაზურმა სახელმწი-  
ფო კომპანიამ ახასიათება 2006 წელს დადეს ხელშეკრუ-  
ლება, რომლის მიხედვით სვაზეკსპერტიზა-ს აფხაზეთში სამ-  
შენებლო სამუშაოები უნდა შეესრულებინა. ანგარიშსწორე-  
ბა განხორციელდა ვაჟეკსპერტიზა-ში.

გაგრის მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიურომ  
სვერდლოვსკის მოგზაურობების ბიუროსთან დადო ხელ-  
შეკრულება, რომლის მიხედვით გაგრის ბიუროს შეთავაზე-  
ბული ტურისტული საგზურების გარკვეული რაოდენობა  
დაჯავშნა სვერდლოვსკის მოგზაურობების ბიურომ. ანგა-  
რიშსწორება მხარეებს შორის განხორციელდა Банк Северная  
Казна-ს მეშვეობით.

რუსეთის ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია  
МЕГАФОН-ის დახურული სააქციო საზოგადოება მინისტრი  
კავკაზი ციფრული სატელეფონო არხით ემსახურება დასას-  
ვენებელ სახლ Питиус-ს. ანგარიშსწორება ხორციელდება  
Югобанк-ში.

ღია სააქციო საზოგადოება Павловское оптово-  
розничное предприятие—ს კრასნოდარის „კრაიპოტრებსოი-  
უზმა“ აფხაზეთის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის  
სამინისტროსთან დადო ხელშეკრულება ციფრუსების შეს-  
ყიდვასთან დაკავშირებით. ანგარიშსწორება ხორციელდება  
РУССЛАВБАНК-ის მეშვეობით.

შპს კუბან-მოდულ-მა და აფხაზთა საბაზო კომიტეტმა  
დადეს ხელშეკრულება, რომლის თანახმად კუბან-მოდულ-მა  
შემკვეთს უნდა დაუმზადოს მობილური შენობები (მესაზ-

ღვრის კაბინა, საბაჟო კაბინა). შემკვეთმა ანგარიშსწორება განახორციელა იუბანკ-ში.

ღია საზოგადოება კონდიტერსკი კონცერნ ბაბავსკის და შპს გდ სუხუმ-ბაბაევსკის საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ დახურული სააქციო საზოგადოება სიტიბანკ-ის მეშვეობით (ქ. მოსკოვი).

დახურული საზოგადოება სტავროს-აგრო და აფხაზური სახელმწიფო კომპანია აბხაზხლებ-ი საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ ცენტრო-კავკასიური ბანკ-ის მეშვეობით.

ასოციაცია იუნიკსან-სა და შპს ვინა და ვодები აფხაზეთის შორის, საბანკო ოპერაციები ხორციელდება სერბია-ბანკ-ის მეშვეობით (ქ. მოსკოვი).

რუსეთის კომერციული და სამთავრობო სტრუქტურები აფხაზეთში მოქმედ ბანკებში ნერგავენ უახლეს ტექნოლოგიებს. კერძოდ, რუსულმა კორპორაციამ ცენტრ ფინансовых технологий, რომელსაც საკორესპონდენტო ანგარიში გააჩნია ნიუ-იორკის ბანკში, გარანტ-ბანკ-თან გააფორმა რამდენიმე ხელშეკრულება, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტურად წარმართოს თავისი საქმიანობა.

შპს სმარტ-სიფტ-მა და აფხაზეთის ინვალიდთა ასოციაციის რეაბილიტაციის ცენტრმა დადეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით რეაბილიტაციის ცენტრს საშუალება ექნება ისარგებლოს გარკვეული კომპიუტერული პროგრამით. აღნიშნული ორგანიზაციები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ბანკების მეშვეობით. კერძოდ, რეაბილიტაციის ცენტრი გარანტ-ბანკ-ის, ხოლო სპს სმარტ-სიფტ-ი — ვნეშაგრიბანკ-ის მეშვეობით.

აფხაზეთის საზღვაო სანაოსნომ ღია სააქციო საზოგადოება ხოლომაშ-ისაგან შეიძინა ხომალდებისათვის საჭირო

სათადარიგო ნაწილები. ანგარიშსწორება მოხდა  
კავკაზპრომსტრიბუნის მეშვეობით.

შპს გლავაგენსტვო-სერვის-სა და აფხაზური საერთაშორისო საინვესტიციო-სამრეწველო კომპანია აბაზა-მექიკ-ს შორის საბანკო ოპერაციები ხორციელდება გუთა-ბანკ-ის მეშვეობით.

სააქციო საზოგადოება სუხუმპრიბორ-ი და რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს ფედერალური სახელმწიფო უნიტარული საწარმო სნაბრეჭფლოტ-ს მჯიდრო ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნიათ და ერთმანეთთან დებენ ხელშეკრულებებს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის. საწარმო სნაბრეჭფლოტ-ი ანგარიშსწორებას ახორციელებს სერბია-რუსეთის მეშვეობით.

შპს სტორა ენსი პაკადჯინგ ბბ-ს (ქ. ბალაბანოვი) და შპს ვინა ი ვოდე აბხაზია-ს დადებული აქვთ ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ. შპს სტორა ენსი პაკადჯინგ ბბ ანგარიშსწორებას ახორციელებს მოსკოვის მუნიციპალიტეტის მეშვეობით.

ლია საზოგადოება სმოლენსკის სამუშაოების დაწყებული სააქციო საზოგადოება სუხუმპრიბორ-სგან ღებულობს შეკვეთებს სხვადასხვა სახის დეტალების დასამზადებლად. საბანკო ოპერაციები სმოლენსკის ბანკ-ის მეშვეობით ხორციელდება.

კურორტ პიცუნდა-ს პანსიონატების გაერთიანებასა და შპს ტურისტული ფირმა გრანტურ-ს მორის დადებულია ხელშეკრულება დასვენებისა და ტურისტული უქსკურსიული მომსახურების შესახებ. ანგარიშსწორებას როსინტურ-ი ახორციელებს ვაკე-ურალსკის ბანკ სერბია-რუსეთის მეშვეობით. ასევე ფირმა როსინტურ-ს ანალოგიური ხელშეკრულება დადებული აქვს შპს სამშიტო რეზიდენცია. ან-

გარიშსწორებას აღნიშნული ფირმები ახორციელებენ შპს სამშითო რივერი - Сочинский филиал Банка Москвы-ს მეშვეობით.

ელექტრონაგებობების სოხუმის სამმართველოსა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ლენინგრადის საბინაო-საექსპლუატაციო განყოფილებას შორის დაიდო ხელშეკრულება ელექტრონური მომარაგების შესახებ. ანგარიშ-სწორება ხორციელდება Отделение 1 Московского Банка России-ს მეშვეობით (ქ. მოსკოვი).

დახურული სააქციო საზოგადოება Аквадон-GSV-ი საბანკო ოპერაციებს რუსულ კომპანია Мобиком Кавказ-თან ახორციელებს Юგбанკ-ის პრიკუბანსკის ფილიალში.

აფხაზურ შპს Солнечный-სა და შპს Фортэтур-ს შორის დაიდო ხელშეკრულება დამსვენებელთა მომსახურების თაობაზე. 2006 წლის განმავლობაში ანგარიშ-სწორებას Фортэтур-ი აწარმოებდა ქ. პეტროგრადსკის Сбербанк-ის ფილიალის მეშვეობით.

ადილეს რესპუბლიკის ქ. მაკოპის დახურულ სააქციო საზოგადოება Картонтара-ს ეკონომიკური ურთიერთობა გააჩნია სოხუმის თევზის კომბინატთან, ეს უკანასკნელი ანგარიშ-სწორებას ახორციელებს Сочинский филиал Банка Москвы-ის მეშვეობით.

დახურულ სააქციო საზოგადოება Интерфакс-ი თანამშრომლობს აფხაზეთის ტელე-რადიო კომპანიასთან. საბანკო ოპერაციები ხორციელდება Сбербанк России-ს საკორესპონდენტო ანგარიშზე.

რუსეთის სატელეფონო კომპანია MTC-სა და გაგრის დასასვენებელ სახლ „ფსოუ“-ს შორის დადებულია ხელშეკრულება. დასასვენებელი სახლი კომპანიის მიერ შეთავა-

ზებული სერვისის მოხმარებისთვის ყოველთვიურად იხდის შესაბამის გადასახადს იუგბანკ-ში.

რუსეთის შპს ВАЛЕЦ-ი სოხუმის პურკომბინატთან თანამშრომლობს ჩარხების შეკეთების, რემონტისა და მომსახურების დარღვი. შპს ВАЛЕЦ-თან ანგარიშსნორება ხორციელდება ღია საზოგადოება ვნეშთორბანკ-ის ქ. ვორონეჟის ფილიალში.

დახურული სააქციო საზოგადოება სადაზღვევო კომპანია Сибирский Спас-სა და კურორტ „პიცუნდა“-ს პანსიონატების გაერთიანებას შორის დაიდო ხელშეკრულება დაზღვეული პირების სტაციონარულ სამედიცინო დახმარებისა და სარეაბილიტაციო მკურნალობის შესახებ. საბანკო ოპერაციები ხორციელდება ღია სააქციო საზოგადოება Новокузинский Муниципальный Банк-ის მეშვეობით.

სეპარატისტთა ტელერადიოკომპანია თანამშრომლობს რუსეთის ღია სააქციო საზოგადოება ტელერადიოკომპანია Московия-სთან. ანგარიშსნორება ხორციელდება შპს Международный промышленный банк-ის მეშვეობით.

რუსეთის დახურული სააქციო საზოგადოება ЕР-Стаил Софтлаб-მა აფხაზეთის ეროვნულ ბანკს დაუმონტაჟა პროგრამული კომპლექსი RS-Payments Pro. ანგარიშსნორება განხორციელდა რუსეთის ელიტარულ ბანკ-ისა და შპს Банк Москвы-ს სოჭის ფილიალის მეშვეობით.


### **კომუნიკაცია**

რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის რესპუბლიკის უკანონო აღიარების შემდეგ, 2009 წელს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს კომუნიკაციების სფეროში. მისი პირობების თანახმად, აფხაზეთმა მიიღო მეშვიდე მსოფლიოს ნუმერაციის ზონის ტერიტორიული სატელეფონო კოდი, რომელშიც რუსეთი მდებარეობს. ახლა ფიქ-

სირებული ოპერატორისთვის განსაზღვრულია გეოგრაფიული კოდი ABC - 840; მობილური ოპერატორებისთვის გათვალისწინებულია კოდი DeF - 940.

2019 წლის დასაწყისში აფხაზეთში 61 საკომუნიკაციო საწარმო იყო, მათ შორის — მათი დანაყოფები. 2018 წელს ამ ინდუსტრიაში პროდუქციის გაყიდვებიდან მთლიანმა შემოსავალმა 2,653 მილიონი რუბლი შეადგინა (იხ. დიაგრამა N7).

### **დიაგრამა №7. შემოსავლები კომუნიკაციებიდან აფხაზეთში 2011-2018 წლებში**



წყარო: [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)

1. სატელეფონო კავშირი (ხელმისაწვდომია ყველა რაიონული ცენტრისთვის) გამოიყენება:

- ციფრული ტელეფონია;
- ანალოგური ტელეფონია.

2. ფიქური კომუნიკაცია (ხელმისაწვდომია რესპუბლიკის 96% -ში):

- AQUAFON GSM
- A-MOBILE

3. ფართოზოლოვანი ინტერნეტი (ხელმისაწვდომია ყველა უბნის ცენტრში).

### **ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია და მოპოვებითი მრეწველობა**

აფხაზეთი ბუნებრივი რესურსების საშუალებით არის მდიდარი. რესპუბლიკას აქვს ნახშირის მარაგი (5.3 მილიონ ტონაზე მეტი), ტორფის, მარმარილოს, გრანიტის, კირქვის, გაბრო-დიაბაზზების, ცარცის, ტუფის, ბარიტის, დოლომიტის, ტყვიის საბადოები. აფხაზეთის ზღვის შელფში არის ნავთობისა და გაზის მცირე საბადოები. მონაცემებით, ნავთობის მარაგი 300-დან 500 მილიონ ტონამდეა. ნავთობის მარაგების უმეტესი ნაწილი სანაპირო ზოლიდან 10 კილომეტრზეა განთავსებულია. ასევე არის მცირე რაოდენობით გაზის საბადოები. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართობია 421.6 ათასი ჰა [22].

წყლის მარაგებით თვალსაზრისით, აფხაზეთი რევიონში ერთ - ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში: 1.7 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი კვადრატულ კილომეტრზე. 120 მდინარის საერთო სიგრძე 5 ათას კილომეტრზე მეტია, რაც ნარმოადგენს მცირე პიდროენერგეტიკის განვითარების პოტენციალს, დღევანდელი მდგომარეობით, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, ეს პოტენციალი არ არის ათვისებული.

ტყით დაფარულია ტერიტორიის 57% (497 ათასი ჰა); წყის საერთო მარაგი 114.5 მილიონი კუბური მეტრია.

აფხაზეთის რეკრეაციული რესურსების დიდი რაოდენობა აქვს. დაახლოებით 200 პანსიონატი, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები, სასტუმროები, ბავშვთა ცენტრები განლაგებულია ყველა კლიმატურ ზონაში - სუბტროპიკულიდან ალპურამდე, მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მთავრობა რესურსების სიმწირის გამო ვერ ახდენს მათ აღდგენა

ექსპლუატაციას. აქ 120-ზე მეტი თერმული და მინერალური წყაროა, რომელთა ინდუსტრიული გადამუშავება ვერ ხდება [21].

სეპარატისტული რეჟიმისა და საოკუპაციო ძალის მიერ აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეების მიმართ არარაციონალური, მომხმარებლური დამოკიდებულებისა და გარემოს დაბინძურების პროცესების მიმართ უყურადღებობის შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე წლების განმავლობაში საგანგაშო ეკოლოგიური ვითარება ყალიბდება.

უკონტროლო ტერიტორიაზე შექმნილ ვითარებაში ლომის წილი მიუძღვის რუსეთის ფედერაციას, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეები, გააჩანაგოს აფხაზეთის უნიკალური ბუნება, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის არა მარტო აღნიშნულ რეგიონსა და იქ მცხოვრებ ადამიანებს, არამედ მიმდებარე სივრცეებსაც. რუსეთის ფედერაციამ, ოკუპირებული ტერიტორიების “დამოუკიდებლობის” აღიარების შემდეგ ეკოშეტევა დაიწყო აფხაზეთის სანაპირო ზოლსა და მდინარეებზე, საიდანაც დაუგეგმავად, გარემო პირობების გათვალისწინებისა და მოფრთხილების გარეშე, ბარბაროსულად ხდება ინერტული მასალების მოპოვება და ექსპორტი.

აფხაზეთიდან ინერტული მასალების ინტენსიური გატანა 2008 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდში სოჭის ოლიმპიური ქალაქის მშენებლობისთვის რუსულ მხარეს სოხუმის პორტიდან ყოველდღიურად დიდი ოდენობით ინერტული მასალა გაპქონდა. ეკოექსპერტების აზრით, აფხაზეთის სანაპირო ზოლში ინერტული მასალების ბარბაროსული მოპოვება შავი ზღვის ეკოსისტემას რეალური საფრთხის ქვეშ აყენებს, რაც გამოიწვევს სანაპიროების-პლაჟების დეგრადაციას და ახალი პრობლემური კერების ნარმოქმნას.

როგორც ცნობილია, შავი ზღვის სანაპირო 315 კილომეტრს შეადგენს, აქედან 1961 წლისათვის 145 კილომეტრი მოირეცხა, რაც განპირობებული იყო ჰესების მშენებლობი-

თა და მდინარეების კალაპოტებში ქვა-ლორლის გაუმართლებელი მოპოვებით. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჟართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში 1960-1980-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობდა ინტენსიური ნაპირგამაგრებითი სამუშაოები, იქმნებოდა ხელოვნური პლაჟები, რაც 90-იანი წლების დასაწყისში შეჩერდა [3].

თავად აფხაზებიც აცნობიერებდნენ იმ საშიშროებას, რაც შეიძლებოდა მოცყოლოდა აფხაზეთის მდინარეებიდან ინერტული მასალების დაუგეგმავ, არარაციონალურ ამოღებას. აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის იმდროინდელმა ე.წ. ხელმძღვანელის ა. ანქვაბის მიერ 2012 წლის 6 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებაში აღინიშნა, რომ აფხაზეთის მდინარეებში ინერტული მასალების მოპოვება რეგიონის ეკოლოგიას სერიოზულად დააზიანებს, ამიტომ აფხაზური მხარე სოჭის ოლიმპიადის ობიექტების ასაშენებლად ინერტულ მასალებს შეუზღუდავად ვერ გასცემს. ანქვაბის განცხადებით, აფხაზეთის ეკოლოგიისათვის უსაფრთხოდ ინერტული მასალების ამოღება მხოლოდ მდინარე კოდორიდან შეიძლება.

2011 წლის ოქტომბერში რუსეთის სარკინიგზო ხაზებმა განაახლეს ოკუპირებული რეგიონიდან ინერტული მასალების (ქვიშა, ხრეში) ექსპორტი სოჭის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის, რის გამოც საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა შესაბამისი შეფასება მიეცათ რუსეთის უკანონო ქმედებებისათვის.

მიუხედავად გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების მხრიდან გამოთქმული პროტესტისა, სოჭის ოლიმპიური ქალაქის ასაშენებლად აფხაზეთის ტერიტორიაზე ინერტული მასალების მოპოვების პროცესი არ შეწყვეტილა. საპროტესტო ნოტა საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც არაერთხელ გაიგზავნა. თუმცა ამ განცხადებებს რეაგირება არც კრემლის და არც სეპარატისტების

მხრიდან არ მოჰყოლია. ამასობაში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ზღვის ნაპირმა 2 მეტრით გადმოიწია [3].

2017 წლის ოქტომბერში მე-8 რუსულ-აფხაზური საქმიანი ფორუმის ფარგლებში აფხაზეთის შპს „გაერთიანებულმა გადამუშავებელმა კომპლექსმა“ და რუსულმა კომპანიამ შპს „ტეხნოლოგიმ“ შეთანხმება გააფორმეს რუსეთის ფედერაციისათვის 600 ათასი ტონა ქვიშისა და ქვა-ლორლის მინოდების თაობაზე.

2018 წლის 11 ივნისს ოკუპირებული აფხაზეთიდან ყირიმში „ორმხრივი შეთანხმების“ თანახმად ქვა-ლორლის პირველი პარტია გაიგზავნა. ინერტული მასალების პირველი პარტიის გაგზავნიდან ორი კვირის შემდეგ აფხაზეთიდან ყირიმში მეორე სატვირთო გემით 2,5 ათასი ტონა ქვა-ლორლი გაიგზავნა გზების მშენებლობისთვის [3].

აფხაზური მხარე ამტკიცებს, რომ ინერტული მასალების მოპოვება „აფხაზეთის ეკოლოგიისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და აფხაზეთის ბუნებას და ეკოლოგიურ სიტუაციას ზიანს არ მიაყენებს. თუმცა აფხაზეთში შექმნილ ეკოლოგიურ სიტუაციაზე განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ ექსპერტებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ბუნებრივი სიმდიდრეების ხელალებით და ბარბაროსულად მოხმარება რეგიონს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს.

„1986-2013 წლების დაკვირვების მონაცემებით, ამ პერიოდში სოხუმის კონცხის დასავლეთ სანაპირო ხაზმა ხმელეთისკენ 61 მეტრით გადაინაცვლა (წლიური გადაადგილება 2013 წლამდე შეადგენს 1,6 მეტრს. ჩვეულებრივ პირობებში სანაპირო ხაზის ხმელეთისაკენ გადაადგილების (45მ/საუკუნე) პროგნოზული სიდიდე წელიწადში 0,45 მ-ია. მდინარე გუმისთის ნატანის რეგულირების შემდეგ ამ სიდიდემ დაახლოებით წელიწადში 1 მ შეადგინა. 1976-2013 წლების მონაცემიც 1 მეტრი უნდა ყოფილიყო, რომ არა მდ. გუმისთის ჭალიდან ინერტული მასალის ინტენსიური მოპოვება, რის შედეგადაც წლიურმა მონაცემმა 1,6 მეტრი შეადგინა, ხოლო

2013-2017 წლებისთვის სანაპირო ხაზმა ხმელეთისაკენ გადაინაცვლა 9 მეტრით, ე.ი. წელიწადში 1,8 მეტრით.

1986-2017 წლებში სანაპირო ხაზის ხმელეთისაკენ გადაადგილებამ 70 მეტრი შეადგინა. წლიურმა საშუალო გადაადგილებამ კი — 2,25 მეტრი. ასეთი ზრდა გამოწვეულია იმითაც, რომ გამოზიდვის კონუსი გროვდება გუმისთის კანიონის წვერზე და მის ფერდებზე. სანაპიროს გასწვრივ ნაკადში მოქცეული მყარი ნატანი ძლიერ დეფიციტურია” [3].

„მდინარე ბზიფი მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 4 კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით. აქ არსებული სანარმოს წარმადობა შედგენს 200-დან 400 კუბ/მეტრამდე დღეში, საშუალოდ 300 კუბ/მეტრამდე დღეში. წლიურად უშვებს 86 000 კუბურ/მეტრ სამშენებლო ქვიშას, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 632 000 აშშ დოლარს;

ბზიფი 2 მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 8 კილომეტრში აღმოსავლეთით. წარმადობა — 400-დან 600 კუბ/მეტრამდე დღეში, საშუალოდ 500 კუბ/მეტრამდე დღეში. წლიურად უშვებს 144 000 კუბ/მეტრ სამშენებლო ქვიშას, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1 058 400 აშშ დოლარს. ქარხანაში შემოდის რკინიგზის ჩიხი და პროდუქციის ტრანსპორტირება ხდება ძირითადად რკინიგზის ვაგონებით. ორივე ქარხანა ინერტულ მასალებს იღებს მდინარე ბზიფის კალაპოტიდან წელიწადში 230000 კუბ/მეტრის მოცულობით.

მდინარე კოდორის ჭალიდან მოპოვებული ინერტული მასალა მუშავდება ორ ქარხანაში. ერთი მდებარეობს უშუალოდ კოდორის ჭალაში, კოდორის საავტომობილო ხიდის მიმდებარედ, მეორე კი — დრანდის რკინიგზის სადგურთან, საიდანაც ხდება პროდუქციის ტრანსპორტირება.“

„იმისთვის, რომ აღნიშნულ სანაპირო ხაზზე პლაუამგები ნაშალი მასალის ბიუჯეტის დაბალანსება მომხდარიყო,

1982-90 წლებში, სანაპიროს გასწვრივ 9 კმ სიგრძეზე, 10 ჰა ფართობზე, ხელოვნურად იქნა შემოტანილი 1,6 მლნ კუბ/მეტრი ინერტული მასალა.“ - აღნიშნულია კრებულში.

გარდა ინერტული მასალების მოპოვებისა, აფხაზეთის უნიკალურ ბუნებას დიდ ზიანს აყენებს ხეტყის უკანონოდ და დაუგეგმავად გაჩეხა, დაცული ტერიტორიების შესახებ კანონის უგულებელყოფა. ეს პროცესი ჯერ კიდევ აფხაზეთში ე.წ. „მშვიდობისმყოფელების“ ყოფნის დროიდან დაიწყო, რომლებიც მფარველობას უწევდნენ და ხელს უწყობდნენ ადგილობრივ კრიმინალებს აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების გაჩანაგებასა და რეგიონის ფარგლებს გარეთ გატანაში. სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ე.წ. “ცისფერჩაფხუტიანების“ ნებართვის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელი იყო ხეტყის გატანა. ისინი აკონტროლებდნენ როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო მარშრუტებს. ხეტყის უკანონო ჩეხის ბიზნესში აქტიურად იყვნენ ჩართულები რუს „მშვიდობისმყოფელთა“ მაღალჩინოსნებიც. მათ მიერ გატანილ ხეტყის ნედლ მასალას არავითარი დაბრკოლება არ ექმნებოდა არც აფხაზეთის ე. წ. საბაჟოზე და არც რუსეთში.

აფხაზეთის უნიკალურ ბუნებაზე ეკოლოგიურმა შეტევამ ინტენსიური ხასიათი მიიღო სოჭის ოლიმპიადისათვის მზადების პერიოდში.

ინერტულ მასალებთან ერთად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ინტენსიურად გაედინება ხეტყის მასალა. უსისტემოდ, ყოველგვარი მოფრთხილების გარეშე იჩება საქართველოსა და საერთაშორისო “წითელ წიგნებში“ შეტანილი იშვიათი ჯიშის ხეები, ნადგურდება და მეჩერდება ტყის საფარველი, რაც ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის წინაშე აყენებს არა მარტო უნიკალური ჯიშის მცენარეებით მდიდარ აფხაზეთის ბუნებას, მის უნიკალურ ფლორას, არამედ ფაუნასაც“.

ბუნების დამცველები მიუთითებდნენ, რომ აფხაზეთში

საგანგაშო ხასიათი მიიღო წითელ წიგნში შეტანილი, იშვიათი ჯიშის ხეების - ბიჭვინთის ფიჭვის, უთხოვარის, ქართული ნეკერჩხლის, ბზის, წაბლის, მუხის, კაკლის, თელის, ძელქვის და სხვა ძვირფასი ჯიშის ხეების მოჭრამ და აფხაზეთის ფარგლებს გარეთ გატანამ, რასაც საქართველოს ხელისუფლებისა და ექსპერტების მხრიდან საპროტესტო განცხადებები მოჰყვა. მაგრამ მიუხედავად არაერთგზის გამოხატული პროტესტისა სეპარატისტებს ოკუპანტი ძალის ხელშეწყობითა და მონაწილეობით აფხაზეთის უნიკალური ფლორისა და ფაუნის განადგურების პროცესი არ შეუწყვეტიათ. ისინი ცინიკურად უგულებელყოფდნენ დაცული ტერიტორიების შესახებ კანონებს და საქართველოსა და საერთაშორისო “წითელ წიგნებში” შეტანილ იშვიათ სახეობებზე ძირითადად სწორედ დაცულ ტერიტორიებსა და ნაკრძალებში ნადირობდნენ.

ცალკე თემაა რუსული კომპანია “როსნეფტის” მიერ შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთზე ნავთობსაძიებო სამუშაოების დაწყების საკითხი, რამაც შეიძლება ოკუპირებული აფხაზეთის ეკონისტემას გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენოს. 2009 წლის 24 დეკემბერს რუსულ კომპანია “როსნეფტსა” და აფხაზეთის კოლაბორაციონისტულ მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რუსულ კომპანიას გეოლოგიური-დაზერვითი სამუშაოების ჩატარებისა და შემდგომში ნავთობის მოპოვების უფლება ეძლეოდა საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში, შავი ზღვის შელფზე. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, სამუშაოების ჩატარება დაიგეგმა აფხაზეთის სანაპიროდან 11-12 კილომეტრში, ტუაფსედან 37 კილომეტრში, 800 მეტრის სიღრმეზე. გასაწმენდი მოწყობილობებისათვის აფხაზურ ბიუჯეტში ჩადებულ იქნა 780 მილიონი რუბლი, რაც უკვე იმას მოწმობდა, რომ თავიდანვე იყო გათვლილი ეკოლოგიური დაბინძურების საფრთხე.

შეთანხმებაზე ხელმოწერის პარალელურად ოკუპირე-

ბული აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ეკოლოგიურ-დაზერვით სამუშაოებს „როსნეფტი“ 3,9 კვადრატული კილომეტრის ფართობზე ჩაატარებს. ამისთვის რუსული კომპანია აპირებს 15 მილი-არდი რუბლის ინვესტიციის გათვალისწინებას, თუმცა არა აფხაზურ ბიუჯეტში, არამედ მის მიერ მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურებისა და სხვა ტექნიკური საჭიროებისათვის.

ზოგიერთი ქართველი ექსპერტის მოსაზრებით, აფხაზეთში „როსნეფტის“ შესვლის ყველაზე გახმაურებული საბაბი გახდა საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორიაში არსებული ნავთობის მარაგის მოპოვება, მაგრამ ეს იმთავითვე ავანტიურა იყო, რადგანაც „როსნეფტის“ მიზანს წარმოადგენს არა ნავთობის ძიება და მოპოვება, არამედ თავისი ბენზინგასამართი სადგურების ქსელის განვითარება ამ რეგიონში, საიდანაც მას შეუძლია რეალური მოგება მიიღოს.

სპეციალისტების თქმით, „საბჭოთა პერიოდში შავი ზღვის ფსკერზე მართლაც ხორციელდებოდა ნავთობსაძიებო სამუშაოები. თუმცა მათი შესწავლა მხოლოდ ზედაპირულად მოხდა. მეცნიერები მხოლოდ ვარაუდობდნენ ნავთობის არსებობას, მაგრამ ამასთან დაკავშირებით რამე დამადასტურებელი საბუთი მოპოვებული ვერ იქნა. აფხაზეთის აკვატორიის სიღრმის შესწავლისას აღმოაჩინეს გარკვეული ადგილები, რომელთაც ქვაბულის ფორმები გააჩნიათ და სადაც, სავარაუდოდ, ნავთობი შეიძლება იყოს. მათ ვარაუდებს ამყარებს ნავთობის გარკვეული მოცულობების არსებობა ტუაფსესა და ფოთის აკვატორიაში“.

შავ ზღვაში ნავთობის მოძიებისა და მოპოვების წინა-აღმდეგ აქტიურად გამოდიოდნენ ქართველი გარემოს-დამცველები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ შავ ზღვას ნავთობსაძიებო სამუშაოების დაწყება სამომავლოდ კარგს არაფერს უქადის.

„არსებობს კიდევ საბურლი ხსნარების პრობლემა, რომ-ლითაც ფსკერზე ბურღვას ახორციელებენ. ეს საბურლი ხსნარები ძალიან ტოქსიკურია და შედეგად ზღვის ბიომრავალფეროვნებას სრულიად სპობს. ესეც ერთ-ერთი რთული პრობლემაა.

ამერიკის ეკოლოგიის სააგენტომ დაადგინა, რომ ეს ჩაღვრები საერთოდ არ უნდა ხდებოდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს რეგიონში მოქმედი სტანდარტებით ეს ჩაღვრები დაშვებულია. ერთი მომენტია საბურლი ხსნარების პრობლემა, მეორე მომენტი კი ის, რომ როცა ნავთობი ამოაქვთ, ის ამოაქვთ წყალთან ერთად. ამ დროს ნავთობს თანმდევი წყალი მოჰყვება. ძალიან ხშირად ამ თანმდევი წყლების ზღვაში გადაღვრა ხდება, რაც ასევე ყოვლად დაუშვებელი პრაქტიკაა. უნდა მოხდეს ამ წყლის უკან, გეოლოგიურ ფორმაციაში ჩაბრუნება, რასაც „რეინჯექციას“ უწოდებენ. მაგრამ ეს „რეინჯექცია“ საკმაოდ ძვირი პროცესია. ამიტომ, რასაკვირველია, ამას ყველა კომბანია არც აკეთებს. ასე რომ, ეს არის ის ორი განსაკუთრებული მომენტი, რომლის დროსაც ზღვის ბიომრავალფეროვნება უაღრესად ზარალდება.“

გავრცელებული ინფორმაციით, ნავთობს აფხაზეთში საბჭოთა პერიოდიდან ეძებენ. გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან სოხუმსა და გაგრას შორის ზღვის შელფის 22 მონაკვეთი იქნა დაზვერილი, თუმცა, ერთი მხრივ, მოპოვების არარენტაბელობის, მეორე მხრივ კი, ეკოლოგიური მოსაზრებებით, ეს სამუშაოები შეჩერდა. დღეისათვის შავი ზღვის აფხაზეთის შელფზე ნავთობის პოვნის ალბათობა 14 პროცენტით არის შეფასებული.

სხვადასხვა ექსპერტული გათვლით, შესაძლებელია, შავ ზღვაში ხუთ მილიარდამდე ბარელი ნავთობი არსებობდეს, თუმცა ტექნოლოგიურად შავი ზღვის შელფზე მუშაობა იმდენად რთული და ძვირადლირებულია, რომ ჯერჯერობით ბურღვის ეტაპამდე შავი ზღვის აუზის არც ერთი ქვეყანა არ მისულა. თურქეთი, უკრაინა და რუსეთი მხოლოდ დაზ-

ვერვით სამუშაოებს აწარმოებენ.

შემდგომ წლებში ოკუპირებული აფხაზეთის შელფზე ნავთობის აღმოჩენისა და მოპოვების საქმე გაიყინა. აფხაზეთის ე.ნ. პარლამენტმა საკითხი ეკოლოგიური რისკებისა და საზოგადოებაში ატეხილი ხმაურის გამო ჩააგდო და რუსული და აფხაზური მხარეების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება რამდენიმე წლით შეჩერდა.

ბოლო ხანებში ისევ აქტუალური გახდა „როსნეფტის“ მიერ შავი ზღვის აფხაზეთის შელფზე ნავთობის მოძიებისა და მოპოვების თემა რუსეთსა და აფხაზეთში მისი პოლიტიკისა და ინტერესების გამზიარებელი ჯგუფების მონაწილეობითა და მხარდაჭერით.

ოკუპირებულ აფხაზეთში ბოლო პერიოდში ნავთობის მოპოვების თემის ირგვლივ ვნებათალელვა განახლდა. ამის მიზეზად ოკუპირებული აფხაზეთის ე.ნ. ხელისუფლების მხრიდან ორი ნავთობკომპანიისთვის — „როსნეფტისა“ და „აფსინი ოილისთვის“ ნავთობის საძიებო სამუშაოების წარმოების ლიცენზიის გახანგრძლივება იქცა. პირველთან ხელშეკრულება 2009 წელს დაიდო, მეორესთან — 2014 წელს.

„აფსინ ოილი“ რეალურად იგივე „როსნეფტია“ და მოქმედი აფხაზი ჩინოსნები ამ მორიგი აფიორით დიდ ფულს შოულობენ.

ეკონომიკის სამინისტროსა და „აფსინ ოილს“ შორის შეთანხმება 2014 წელს, სულ ცოტა ხნით ადრე დაიდო მანამ, სანამ იმდროინდელი ე.ნ. მმართველი გუნდი შეიცვლებოდა. გარდა ამისა, მათი შეფასებით, აფხაზურმა ე.ნ. პარლამენტმა საინვესტიციო საქმიანობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ნავთობკომპანიებს გადასახადებისგან ათავისუფლებდა, სწორედ „აფსინ ოილის“ ინტერესებს მიუსადაგა.

აღსანიშნავია, რომ ე.ნ. ეკონომიკის ექს-მინისტრი დავით ირადიანი, რომელიც 2014 წლის შეთანხმებას აწერს ხელს, 5 წლის შემდეგაც არ ასახელებს კომპანიის დამ-

ფუძნებლების ვინაობას და ნავთობის მოპოვებაზე მორატორიუმის გამოცხადების ინიციატორებს უმაღლეს დეფაქტო ხელმძღვანელობასთან ამისამართებს“, - აღნიშნავს სააგენტო.

აფხაზური საზოგადოება უნდობლად უყურებს რუსული კომპანიის მიერ აფხაზეთში ნავთობის საძიებო და მოპოვების სამუშაოების წარმოებას, რადგან მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნავთობი იქნება აღმოჩენილი, ეს ხალხს არაფერს არ მოუტანს და თანხები, რომლებიც იქიდან შემოვა, მხოლოდ ცალკეული ჩინოვნიკების ჯიბეებში „დაილექტა“ ნავთობის მოპოვებით კი იზარალებს აფხაზეთის უნიკალური ბუნება, განადგურდება ეკოსისტემა, საბოლოოდ, გადაშენდება ისედაც გადაშენების პირას მყოფი და წითელ წიგნში შეტანილი იშვიათი სახეობის წყლის ბინადრები, ფლორა და ფაუნა.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია უკონტროლო ტერიტორიიდან რადიოაქტივური ნივთიერებების გადინების შესახებ. ამ მხრივ პოტენციური საფრთხის წყაროდ სახელდება სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც 1945 წელს შეიქმნა. „ის ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ გასაიდუმლობულ ობიექტს წარმოადგენდა და არასტაბილურ იზოტოპებს ამზადებდა. როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ მერაბ ბოკუჩავამ რამდენიმე წლის წინ განაცხადა, მასში საბჭოთა ატომური ბომბის შექმნაზე მსოფლიო მასშტაბის გერმანელი ფიზიკოსები, ნობელის პრემიის ლაურეატი გუსტავ პერცი და პროფესორი მანფრედ ფონ არდენე მუშაობდნენ“ (რადიო თავისუფლება, 08.09.2005).

გერმანელმა ფიზიკოსებმა დასახულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს. მეტიც, მათი ხელმძღვანელობით შეიქმნა მსოფლიოში პირველი მასპექტორმეტრი, თუმცა ამ

მოვლენებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა. დღეის მდგომარეობით ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ინსტიტუტი მხოლოდ ფორმალურად ფუნქციონირებს. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტთა ჯგუფი კი ინსტიტუტის ლაბორატორიებში არსებული რადიოაქტიური გამოსხივების წყაროების შენახვისა და დაცვის პირობებით არის შეშფოთებული. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსის იოსებ კაკუშაძის თქმით, რადიოაქტიური ნივთიერებები ინსტიტუტის ტერიტორიაზე სახელდახელოდ მოწყობილ ბუნკერშია განთავსებული [31].

სოხუმის დაცემამდე ორი თვით ადრე ინსტიტუტის რადიაციული უსაფრთხოების სამსახურმა სრულად აღწერა ყველა ის რადიოაქტიური მასალა და ნარჩენები, რომელიც ამ დროისათვის არსებობდა ლაბორატორიებში, აგუძერის და სინოპის საცავებში. 1993 წლის 21 ივნისით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, ინსტიტუტის განკარგულებაში იყო 244 დასახელების რადიოაქტიური მასალა, მათ შორის - გამდიდრებული ურანი (რადიო თავისუფლება, 22.06.05).

მასალების სრული ჩამონათვალი და აღწერილობა სოხუმში ინახება. „აგუძერის სპეციალურ საწყობში ინახებოდა 90-96 პროცენტამდე გამდიდრებული „ურან-235“-ს ტაბლეტები, დაახლოებით 655 გრამის ოდენობით. სხვა ლაბორატორიებსა და საცავებში მეტი ურანი არ იყო დაფიქსირებული“ [30].

9 წლის შემდეგ ინსტიტუტი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტებმა შეამოწმეს. სააგენტოსათვის საინტერესო 250 ნივთიერებიდან, დაკარგულია ყველაზე მნიშვნელოვანი - გამდიდრებული ურანის აბები: „ნივთიერებებს შორის იყო 655 გრამი გამდიდრებული ურანი, აბების სახით. საყურადღებოა ის, რომ 2002 წელს აფხაზეთში ჩასული იყვნენ „მაგატეს“ ნარმომადგენლები. მათ აღწერაში

ყველა ნივთიერება მოხვდა, გარდა ამ გამდიდრებული ურანის აპებისა“ [31].

ამ ფაქტების გათვალისწინებით, საოცარი არაფერია იმაში, რომ წინა წლებში სხვადასხვა წყაროი ადასტურებს აფხაზეთში რადიაციული ნარჩენების არსებობის ფაქტებს. მეტიც, პეტერბურგელ მეცნიერთა ჯგუფმა აფხაზეთში ჩატარებული რადიაციული გამოკვლევების მასალებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ გუდაუთა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე დაბინძურებული ადგილია და რადიაციული დაბინძურების დონით მხოლოდ ჩერნობილს ჩამოუვარდება. ინფორმაციის სიმწირის გამო, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი მეცნიერები კომენტარს არ აკეთებდენ. თუმცა ის ფაქტი, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს აფხაზეთის ტერიტორიაზე რადიოაქტიურ ნივთიერებათა სამარხის მშენებლობას, უდავოდ, პრობლემის სიმწვავეზე მიანიშნებს. მოგვიანებით გაჩნდა ვერსიები იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული მასალები, შესაძლოა, საერთაშორისო ტერორისტთა განკარგულებაში აღმოჩნდეს და რომ 2002 წლის მაისში სოხუმში მოიპარეს ცეზიუმი, რომლის მოძებნაში აფხაზურ მხარეს რუსი სპეციალისტები ეხმარებოდნენ. 2004 წელს ბრიტანული პრესა იუწყებოდა, რომ აფხაზეთში უკვალოდ გაქრა 2 კილოგრამი ურანი, შემდგომში კი სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს მიერ დასახელებულმა რაოდენობამ ხუთ კილოგრამს გადააჭარბა. როგორც გურამ ბოკუჩავა აღნიშნავდა, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში დაცული ურანის რაოდენობა ერთ კილოგრამსაც ვერ აღწევდა და საეჭვოა, რომ ეს მოცულობა მოგვიანებით გაზრდილიყო: “93 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით, სანამ ჩვენ იქ ვიყავით, ასეთი რაოდენობის გამდიდრებული ურანი ინსტიტუტში არ ყოფილა. რასაკვირველია, თუ მას ვინმე არ შეიტანდა იქ. შეტანა კი რუსეთის მხრიდან უნდა მომხდარიყო.“ თუმცა მეცნიერი ამაში

ვერავითარ ლოგიკას ვერ ხედავს [3].

ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, 1993 წლიდან მოყოლებული, დადგენილია რუსეთიდან გამდიდრებული ურანისა და პლუტონიუმის კონტრაბანდის 18 ფაქტი.

„ექსპერტების მიერ საქართველოში დაფიქსირებულია რუსეთის საჯარისო ფორმირებების მიერ თავიანთი ბაზირების ადგილებში რადიოაქტიური მასალების დატოვების 197 შემთხვევა. კონტრაბანდისტებმა ურანის პირველი პარტია ოკუპირებული აფხაზეთიდან იმ პერიოდში გაიტანეს, როცა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიდან ორი კილოგრამი აღნიშნული ნივთიერება გაქრა. საქართველოს სპეცსამსახურების მონაცემებით, ინსტიტუტის სამარხში ინახებოდა 258-მდე სახეობის რადიოაქტიური ნივთიერება გამდიდრებული ურანის ჩათვლით. სხვადასხვა წყარო აღნიშნავს, რომ მოგვიანებით კონტრაბანდისტები პოლონეთში დააკავეს. ის პირები, რომლებსაც კონტრაბანდული ურანი გადაჰქონდათ, რამდენიმე წლის წინათ ბელორუსიაშიც დააპატიმრეს. ქართულმა სპეცსამსახურებმა 2005 წელს კონტრაბანდისტებისაგან ამოიღეს გამდიდრებული ურანის კიდევ ერთი პარტია, რომელიც რუსეთიდან ახლო აღმოსავლეთის შავ ბაზარზე სარეალიზაციოდ გადაჰქონდათ [3].

ოკუპირებულ ტერიტორიაზე რადიოაქტიური მასალების არსებობისა და მათი შემდგომი ბედის თემა მომდევნო წლებშიც გაჟღერდა. ქართული მხარე თვლიდა, რომ რადიოაქტიური ნარჩენების საკითხი აფხაზეთში დახურული არ იყო. კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა ამ ნივთიერებების ნარჩენების სამარხების დაცულობის, ხოლო 2008 წლის შემდეგ — მათი აფხაზეთიდან გატანის ნამდვილობის საკითხი.

2017 წელს მიუნხენში უსაფრთხოების თემაზე გამართულ კონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონები ტერორიზმისა და ნარკომოვაჭ-

რეების დერეფნებად იქცა [31].

ცხადია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული განუკითხაობა და უკონტროლო ვითარება დამშვიდების საფუძველს არ იძლევა, ამიტომ რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მათი ნარჩენების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა არ შეიძლება, ის მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, მითუმეტეს, რომ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ამ საშიში ნივთიერებების გადმოტანის შემთხვევები 2008 წლის შემდეგაც დაფიქსირდა, მას შემდეგ, რაც აფხაზური მხარის მტკიცებით რუსეთმა რადიოაქტიური მასალების სამარხები თავის ტერიტორიაზე გადაიტანა და მათი უტილიზაცია მოახდინა. ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული საგანგაშო ეკოლოგიურ სიტუაციასთან დაკავშირებით მოყვანილი ფაქტები და მასალები ძირითადად ლია წყაროებიდან და ექსპერტების გამოსვლებიდან არის აღებული. იმის გამო, რომ დღეისათვის აკუპირებული ტერიტორიიდან ადრე მოქმედი ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია განვეულია და მათი წარმომადგენლები იქ შესვლას ვერ ახერხებენ, თავისთავად, კონტროლის და მონიტორინგის მექანიზმიც არ არსებობს.

2009 წლის დეკემბრის ბოლოს, რუსეთისა და აფხაზეთის მთავრობის დონეზე გაფორმდა შეთანხმებები გუდაუთის რაიონში ნავთობის შელფის შესწავლისა და განვითარების შესახებ.

ქ. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების დამუშავებას აწარმოებს თურქელი ფირმა „კარალალმასი“ და „ტომსაში“. ფირმა „კარალალმასი“ ქ. ტყვარჩელის ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს ქვანახშირის მოპოვებას. მისი ცენტრალური ოფისი მდებარეობს თურქეთში. ქ. ტყვარჩელში ფირმის ოფისი განთავსებულია მაღაროთა სამმართველოს ყოფილ შენობაში. ტყვარჩელში ფირმის წარმომადგენლები არიან იზამ ზოსტანი და მაჰმუდ ქარაბაისამ-ოლლი, რომლებიც თურქეთიდან ჩამო-

სულ სხვა სპეციალისტებთან ერთად (12-15 კაცი) ცხოვრობენ ყოფილ ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე 2-სართულიან საცხოვრებელ სახლში.

ხელშეკრულების თანახმად, ფირმას ევალება 50-60 ათასი ტონა ქვანახშირის მოპოვება ყოველწლიურად, რასაც ვერ ასრულებს ზამთრის პერიოდში ბუნებრივი პირობების გაუარესების გამო.

ქ. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს „ჯიგიტი“-ს კარიერის დამუშავებას აწარმოებს თურქული ფირმა „ტომსაში“, რომელიც არის თურქული პოლდინგური კომპანია „ოკან“-ის (პრეზიდენტი ბეკირ ოკანი) შვილობილი ფირმა. „ტომსაშის“ გენერალური დირექტორია ირფან კურტ-ოლლი.

2003 წლის 9 აგვისტოს ქ. სოხუმში აფხაზეთის ე. ნ. პრე-მინისტრს შეხვედრა ჰქონდა „ოკან“-ისა და „ტამსაშ“-ის ხელმძღვანელობასთან. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას პოლდინგის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მათ მიერ ტყვარჩელის საბადოების დამუშავებასა და ტრანსპორტირებაში ჩადებულია დიდი თანხები და სთხოვა, რომ აფხაზურ მხარეს გადაეწყვიტა თურქული გემების უსაფრთხო მოძრაობის საკითხი, რადგან ქართველ მესაზღვრეებს არაერთხელ დაუკავებიათ თურქული გემები, რომელსაც აფხაზეთიდან გაჰქინდათ ქვანახშირი.

2003 წლის 12 აგვისტოს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის ე. ნ. პრემიერ-მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური კავშირების მინისტრმა, თურქული პოლდინგის „ოკანი“-ს და „ტომსაში“-ს წარმომადგენლებმა მოინახულეს ოჩამჩირის ნავსადგური, სადაც აგებულია ბუნკერი და ტრანსპორტიორი, რომელიც საათში 200 ტონა ქვანახშირის გადატვირთვის საშუალებას იძლევა. ოჩამჩირის პორტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით, თურქულმა ფირმამ დააპროექტა და დააფინანსა მხოლოდ ტრანსპორტიორის მონტაჟი, სხვა დანარჩენი სამუშაოები, კერძოდ, ფსკერის გაღრმავება (ოჩამჩირის ნავ-

სადგურის აკვატორიაში უკვე 3 ათას ტონამდე ტვირთამწეობის გემებს შეუძლიათ შესვლა), ნავმისადგომის ნაგებობათ ხელსაწყოებით უზრუნველყოფა და მისასვლელი გზების რემონტი განახორციელა აფხაზურმა კომპანიამ „აფხაზეთის საზღვაო სანაოსნომ“.

ბოლო პერიოდში ტყვარჩელის ქვანახშირით დაინტერესებას იჩენენ რუსი ბიზნესმენები. მათ სურთ ტყვარჩელში ქვანახშირის მოპოვების სამუშაოებს ჩამოაშორონ თურქი ბიზნესმენები, რისი განხორციელების შემთხვევაშიც ამ სფეროში ინვესტიციების დაბანდებას გეგმავენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვანახშირის მოპოვების საკითხების შესასწავლად რუსი სპეციალისტები მ. წ. მარტში ქ. ტყვარჩელში ჩასვლას გეგმავენ.

2018 წელს სეპარატისტული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა წერილობით მიმართა ღია სააქციო საზოგადოება MMK-Холдинг-ის ხელმძღვანელობას მოსკოვის სამშენებლო კომპლექსისათვის მოსაპირკეთებელი მასალის მიწოდების შესახებ. აფხაზური მხარე სთავაზობდა კოდორის ქვიშის და ხრეშის, მარმარილოს ახალშენის მარმარილოსებრი კირქვის, ტბეთის მარმარილოს, ჩედემის კირქვისა და კელასურის გრანიტის საბადოებიდან სამშენებლო მასალების მიწოდებას. რუსულმა მხარემ სიტუაციაში გასარკვევად აფხაზეთში მიავლინა ექსპერტთა ჯგუფი. მათი მხრიდან დაინტერესება გამოითქვა მხოლოდ ტბეთის მარმარილოს საბადოს მიმართ.

2019 წლის დასაწყისში რუსეთის ფედერაციის ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თხოვნით მიმართა აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს, რათა გაუნიონ დახმარება აფხაზეთის ტერიტორიაზე გეოთერმული ჭაბურღილების შესახებ ტექნიკური დოკუმენტაციისა და ანგარიშის მოსამზადებლად, შემდგომში სათანადო სამუშაოების ჩასატარებლად.

## 2.4 აფხაზეთში ბიზნესის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები

უკანასკნელ წლებში აფხაზეთში შემუშავებული და განხილულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების სხვა-დასხვა კონცეფცია და სტრატეგია, განსაზღვრულია სამ-თავრობო ორგანობსა და ბიზნესსატრუქტურებს შორის ურ-თიერთობის პრაქტიკული ასპექტები. თუმცა, მიუხედავად ამ მცდელობებისა, ბიზნესსა და მთავრობას შორის ურთიერ-თქმედების ეკონომიკური და სოციალური შედეგები ვერ აკ-მაყოფილებს საზოგადოების მოლოდინს. ისინი არ უწყობენ ხელს ეკონომიკის რეალურ სექტორში ბიზნესის ეფექტიან განვითარებას, ხოლო სამენარმეო სტრუქტურების საქმია-ნობიდან მიღებული შემოსავლები არსებით გავლენას ვერ ახდენენ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასა და საზოგა-დოების სოციალური პრობლემების გადაჭრაზე.

თანამედროვე ეტაპზე აფხაზეთში არ არის შექმნილი ბიზნესის განვითარებისთვის მამოტივირებელი პირობები და ბიზნესის საზოგადოება არ იზიარებს სოციალური კე-თილდღეობის ამაღლების სახელმწიფოს წინაშე მდგარ პასუ-სისმგებლობას.

თვითრეგულირების საბაზრო მექანიზმებს აფხაზეთში არ შეუძლიათ:

- უზრუნველყონ ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციო-ნირების ძირითადი პირობები;
- შექმნან ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი;
- ეფექტიანად დაიცვან კერძო საკუთრება;
- გაზარდონ კონკურენცია და შეზღუდონ მონოპო-ლური საქმიანობა.

ამ ამოცანების განსახორციელებლად მენარმეობის სა-ხელმწიფო რეგულირების ასეთი მეთოდებისა და ინსტრუ-

მენტების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქონ-ლისა და მომსახურების წარმოების სტიმულირებას როგორც საკუთარი კომერციული მიზნების, ასევე საზოგადოების ეკონომიკური ინტერესებისთვის, შეუძლებელი გახდა. მთავ-რობასა და ბიზნესს შორის არსებულ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, აფხაზეთის მოსახლეობას დღემდე არ შეუძლია სამართლებრივად დაიცვას მისი კანონიერი ეკონომიკური ინტერესები. ამ თვალსაზრისით სამოქალაქო საზოგადოების სუსტი განვითარების გამო, შეზღუდულია ამ პროცესებზე მისი ზეგავლენის შესაძლებლობა. ამავე დროს, ხაზებისმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დანარჩენი საქართვე-ლოსგან განსხვავებით, სადაც დაგროვდა მდიდარი გამოც-დილება საპაზრო ურთიერთობათა ფორმირების სფეროში, აფხაზეთში ბიზნესსა და საზოგადოებას შორის ურთიერ-თქმედების პროცესი განვითარების სასტარტო ეტაპზეა.

აფხაზეთში ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანია:

- კონკურენციისა და ეკონომიკური დაბალანსების აუცილებელი მექანიზმის შექმნა;
- მენეჯერული, სამართლებრივი, მარეგულირებელი, ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური მექანიზ-მების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის სტაბილურობას.

შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ზოგადი კანონზომიე-რება, რომლებიც ობიექტურად არის დამახასიათებელი პოს-ტსაბჭოთა ქვეყნების ტრანსფორმაციული სოციალურ-ეკო-ნომიკური სისტემებისთვის, მათ შორისაა:

- 1) ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის არსებობა;
- 2) ტრანსფორმაციული სტაგნაციის დასაძლევად ახა-ლი ეფექტიანი მესაკუთრეებისა და მეწარმეების ფენის არსებობა;

- 3) საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნათა ადეკვატური ეკონომიკური და ინსტიტუციური პირობების ჩამოყალიბება;
- 4) თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნის აუცილებლობა, საფონდო ბირჟის, ვაჭრობისა და საშუამავალო ინფრასტრუქტურის ჩათვლით, რაც იძლევა რესურსების გადაადგილების შესაძლებლობას არაეფექტურიანიდან ეფექტურიან დარგებში;
- 5) აფხაზეთის ეკონომიკის, როგორც ინტეგრირებული, ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურის, განუვითარებლობა, უკავშირდება მისი ძირითადი რეპროდუქციული ელემენტების შეზღუდულობას;
- 6) განვითარების ალტერნატიული პროცესების არსებობა, რაც გამოიხატება მომავალი ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წინასწარ განსაზღვრულ მოდელებში, რაც საშუალებას იძლევა განვახორციელოთ არსებული მოდელის ცვლილებები ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების შესაბამისად;
- 7) აფხაზეთის, როგორც ოკუპირებული რეგიონის, ეკონომიკური ავტარკია და იზოლაციონიზმი;
- 8) რუსეთის მიერ აფხაზი ხალხისადმი თავსმოხვეული დანარჩენ საქართველოსთან ეკონომიკური და პოლიტიკური დეზინტეგრაციის პროცესი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გარდამავალი პერიოდის პრაქტიკა მეტყველებს იმაზე, რომ საბაზრო ტრანსფორმაციის შედეგებზე გავლენას ახდენს არა იმდენად რომელიმე ქვეყნის მიერ არჩეული ტრანსფორმაციის მოდელი, არამედ საწყისი ეკონომიკური პირობები, მათ შორის მნიშვნელოვანია:

- ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა;
- მისი ღიაობა გლობალური ეკონომიკის მიმართ;

- მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის განვითარების დონე;

- უსისტემო ეკონომიკური პოლიტიკა;

- წინასწარ გაუთვლელი ეკონომიკური პრიორიტეტები და სხვ.

ზოგიერთი პირობა ხელს უწყობს ბაზრის ტრანსფორმაციას, ზოგი კი ზღუდავს მას.

გარდამავალი ეკონომიკის მოდელების შესწავლა აჩვენებს, რომ ეკონომიკური მენეჯმენტისა და რეგულირების მეთოდის თვალსაზრისით, ტრანსფორმაციული ეკონომიკა შეიძლება დაიყოს ორ მთავარ ტიპად:

- პირველს ახასიათებს რესურსების ცენტრალიზებული დაგეგმვის დემონტაჟი და მის ნაცვლად საბაზრო მართვის სისტემის ძირითადი ელემენტების ფორმირება, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვს ბაზრის სუბიექტების საქმიანობაზე. მსგავს მიდგომას იზიარებს საქართველო.

- მეორე ტიპის ეკონომიკაში, რომელიც ჩინეთის, ბელორუსის და ზოგიერთი სხვა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, იქმნება ორი დარგობრივი მოდელი. ამ მოდელის ერთ სექტორში დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნებულია სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ რესურსების პირდაპირი ცენტრალიზებული განაწილების მეთოდები, ხოლო მეორეში საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმები მოქმედებს სახელმწიფო რეგულირების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

აფხაზი ეკონომისტების დაუსაბუთებელი მოსაზრებით [13,15], მეორე მოდელის პრაქტიკული გამოყენება უფრო მისაღებია აფხაზეთის სპეციფიკური პირობებისთვის.

ეკონომიკური რეფორმები აფხაზეთში და სამენარმეო სექტორის ჩამოყალიბება ხორციელდება სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაციით, რომლის პირობებში წარმოიქმნება საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოები, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური (ძირითადად რუსული)

კაპიტალის მონაწილეობით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაცია და მეწარმეობის ფორმირება აფხაზეთში ხორციელდება შემდეგ პირობებში:

- საბაზრო ტრანსფორმაცია დაიწყო ეროვნული ეკონომიკის პრაქტიკულად განადგურებულ ან დანგრეულ მდგომარეობაში, რაც გამოწვეულია ეკონომიკური კავშირების რღვევით, ასევე 1992-1993 წლების რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების შედეგებით აფხაზეთის ტერიტორიაზე;
- ოკუპირებულ აფხაზეთს არ გააჩნია საერთაშორისო-ეკონომიკური თანამშრომლობის გამოცდილება;
- ოკუპაციის პირობებში ვერ ჩამოყალიბდა ლია, საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა და ბიზნესის თავისუფალი კონკურენციის პირობები;
- ბაზრის ტრანსფორმაცია ხორციელდება სპონტანურად, რეფორმირების მკაფიოდ ჩამოყალიბებული, პერსპექტივაზე ორიენტირებული პროგრამის, სამეწარმეო გარემოს ფორმირების გარეშე;
- დაფიქსირდა კრიზისის ფენომენი ადგილობრივი ეკონომიკის ყველა სექტორში, რაც გამოიხატა მასობრივი უმუშევრობით, სამომხმარებლო ბაზრის დისბალანსით, მოსახლეობის დაბალი შემოსავლების დონით, წარმოების დაცემით, სახელმწიფო რეკეტით, კორუფციითა და კრიმინალით და სხვა ნეგატიური ეკონომიკური და სოციალური მოვლენებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გადალახული;
- საკუთარი ფინანსური რესურსების უკმარისობა საბაზრო რეფორმების განსახორციელებლად და წარმოების მოდერნიზაციის თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების არარსებობა არ იძლევა ეკონომიკის სწრაფი განვითარების შესაძლებლობას. ეკო-

ნომიკური სისტემა მთლიანად არის მიბმული ოკუ-  
პანტის, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკურ სურ-  
ვილზე, ის არაავტონომიური და არათვითკმარია.

სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობა, კორუფ-  
ცია, ნეპოტიზმი, კრიმინალი ნეგატიურად ზემოქმედებს  
ეკონომიკურ ზრდაზე. ეს ობიექტური მიზეზები, დსტ-ს ზო-  
გიერთი ქვეყნის მიერ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა  
სანებში გამოცხადებულ ეკონომიკურ სანქციებთან ერთად,  
იყო ეკონომიკური განვითარების წარუმატებელი სახელმწი-  
ფო ეკონომიკური პოლიტიკის, აფხაზეთში ეროვნული ეკო-  
ნომიკის და მენარმეობისთვის განვითარების დამაბრკოლე-  
ბელი ფაქტორები.

90-იანი წლების ბოლოდან რუსეთმა უკვე ცალმხრივად  
დაიწყო ეკონომიკური სანქციების რეჟიმის შემსუბუქება,  
რაც დასტურდება რუსეთის მთავრობის ორი გადაწყვეტი-  
ლებით (1998 და 1999), გარკვეული კვოტების საფუძველზე  
აფხაზეთში პროდუქციის მიწოდებისა და მისი ტერიტორიი-  
დან პროდუქციის ექსპორტის შესახებ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრე-  
ზიდენტმა ვ. არძინბაშ 2000 წლის დასაწყისში ადგილობრივ  
პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „ერთ-ერთი  
მთავარი სტრატეგიული მიზანი რუსეთთან ეკონომიკური და  
სხვა ურთიერთობების აღდგენაა. აფხაზეთის რესპუბლიკის  
საგარეო პოლიტიკის ყველაზე პერსპექტიული პრიორიტეტი  
ამ ამოცანის შესრულებაა, რუსეთის ფედერაციის შემადგე-  
ნელ ერთეულებთან ურთიერთობების განვითარება რო-  
გორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების და  
სხვადასხვა ბიზნეს-სუბიექტის დონეზე [14].“

აფხაზეთში პოლიტიკურ პარტიებს, მოძრაობებსა და სა-  
ზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფებს აქვთ განსხვავებული  
მოსაზრებები ეკონომიკური განვითარების შესახებ. ამასთან,  
ოკუპანტის პოლიტიკური ზეწოლით, დომინირებს მოსაზრება,  
რომ აფხაზეთის ეკონომიკა ვერ განვითარდება ეფექტიანად

რუსეთის ეკონომიკური სისტემების პიზნეს-სუბიექტების ფართომასშტაბიანი მონაწილეობის გარეშე. საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, რუსეთის მიერ აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებამ 2008 წელს შექმნა ხელ-საყრელი პირობები მისი ეკონომიკური ანექსიისთვის.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ოცნებუთი წლის პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ ავტოკრატიულმა განვითარებამ, რომელიც მოხდა ამ ქვეყნებში, არ მისცა მათ სტაბილური და ეფექტური განვითარების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, 2008-2009 და 2014-2015 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისები ცხადყოფს ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებას და მათი იზოლირებული განვითარების შეუძლებლობას. ამავე დროს, რუსი მეცნიერებისა და ექსპერტების აზრით, ეკონომიკური კრიზისი ახდენს პოსტისაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციის პროცესების კაპიტალიზაციას.

აფხაზი მეცნიერების [15, 14], აზრით, რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური სტრატეგიის მიხედვით აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნება:

- ა) ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვა;
- ბ) საზოგადოების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების სტიმულირება რუსეთის ფედერაციის სუბიექტებთან და სხვა ქვეყნებთან, რომლებმაც აღიარეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

რუსეთის ზენოლით 2009-2018 წლებში აფხაზეთის მარიონეტულმა რეჟიმმა დადო 120-ზე მეტი შეთანხმება აფხაზეთსა და რუსეთს შორის, რითაც საბოლოოდ იურიდიულად გაფორმდა აფხაზეთის ანექსიისა და ოკუპაციის პროცესი, ის საბოლოოდ ამოვარდა საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებიდან.

აფხაზეთის ეკონომიკური საქმიანობა რუსეთთან ხორციელდება შემდეგი ძირითადი ფორმებით:

- ა) საგარეო ვაჭრობა;
- ბ) ინვესტიციების მოზიდვა და ერთობლივი საწარმო;
- გ) სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა;
- დ) რუსეთის და მისი რეგიონების მონაწილეობა აფხაზეთში სხვადასხვა სოციალური და ჰუმანიტარული პროექტის განხორციელებაში და ა.შ.

კერძოდ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის წილი აფხაზეთთან საგარეო ვაჭრობაში შეადგენს: ექსპორტს — 20% და იმპორტს — 80%. რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქტების სტრუქტურაში დომინირებს: საკვები პროდუქტები - 33.7%, მინერალური პროდუქტები - 33.1%, ქიმიური პროდუქტები - 11.6%, ტექნიკა და მანქანები - 6.8%, ლითონები და ლითონის პროდუქტები - 5.4%.

აფხაზეთიდან რუსეთში ექსპორტის სტრუქტურა არ არის დივერსიფიცირებული და წარმოდგენილია 2-3 ძირითადი სასაქონლო პოზიციით: ალკოჰოლურ სასმელებს მთლიანი ექსპორტის 93% უკავია, ციტრუსებს — 4% და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს — დაახლოებით 3%.

ოკუპანტი სახელმწიფო აქტიურად აბანდებს ინვესტიციებს აფხაზეთში. მხოლოდ 2018 წელს დარეგისტრირდა 237 საწარმო, რომელთა შემადგენლობაში რუსეთის კაპიტალის 100%-ია, 240 აფხაზურ-რუსული ერთობლივი საწარმო. 2018 წელს რუსეთიდან აფხაზეთში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 3.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

აფხაზეთის სახელმწიფო სტატისტიკის ოფისის ოფიციალური მონაცემების თანახმად, საწარმოთა ყველა სამართლებრივი ფორმიდან 2015-2018 წლებში (იხ. ცხრილი N6) დომინანტური პოზიცია უჭირავს შეზღუდული და დამატებითი პასუხისმგებლობის მქონე კომპანიებს, რომელთა მთლიანი წილი 2018 წელს შეადგენდა 95.2% -ს.

**ცხრილი №6. საწარმოთა და ორგანიზაციათა  
იურიდიული ფორმები 2015-2018 წწ.**

დასახელება/წელი	2015	2016	2017	2018	ზრდის ტემპი, %
სულ საწარმოები მ.შ.	3027	3714	4173	4352	143,8
იურიდიული პირები, კო- მერციული ორგანიზაციები	2257	2720	3056	3265	144,7
სააქციო საზოგადოება	33	34	37	39	118,2
შპს	2121	570	2891	3108	146,5
საწარმოო კოოპერატივები	2	2	2	1	50,0
უნიტარული საწარმოები	96	109	121	112	116,7
არაკომერციული იურიდი- ული პირები	747	963	1068	1031	138,0
არასამთავრობო საერთა- შორისო ორგანიზაციები	1	1	1	1	100,0
ორგანიზაციები იურიდიუ- ლი პირის გარეშე	22	30	48	55	250,0

წყარო: „აფხაზეთი ციფრებში„. აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო  
სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. <http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php>  
<http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php>

[1] ზრდის ტემპი გაანგარიშებულია 2018 წლის მაჩვე-  
ნებლების 2015 წელთან შედარებით.

კერძო სექტორის განვითარებას აფხაზეთში ახასია-  
თებს ცხრილი N7-ში ნარმოდგენილი მონაცემები, რომლე-  
ბიც მიუთითებს ბაზრის ტრანსფორმაციებზე ეკონომიკის  
რეალურ სექტორში. 2015-2018 წლებში კერძო სექტორის წი-

ლი იზრდება სამრეწველო წარმოებაში და შეადგენს 96.5%, საცალო ვაჭრობაში - 99.6%, მოსახლეობისთვის ფასიანი მომსახურების მთლიან მოცულობაში - 77.1%. ამავე დროს, დასაქმების წილი მცირდება 0.4 პროცენტით [1].

### **ცხრილი №7. აფხაზეთის სექტორების წილი მთლიან ეკონომიკაში 2015-2018 წლებში (პროცენტულად)**

	<b>2015</b>	<b>2016</b>	<b>2017</b>	<b>2018</b>
<b>1. სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში:</b> — სახელმწიფო სექტორი — არასახელმწიფო სექტორი	5,5 94,5	3,4 96,6	4,0 96,0	3,5 96,5
<b>2. საცალო საქონელბრუნვაში:</b> — სახელმწიფო სექტორი — არასახელმწიფო სექტორი	0,7 99,3	0,6 99,4	0,5 99,5	0,4 99,6
<b>3. მოსახლეობის ფასიანი მომსახურება:</b> — სახელმწიფო სექტორი — არასახელმწიფო სექტორი	20,6 79,4	20,3 79,7	22,8 77,2	22,9 77,1
<b>4. დასაქმებულთა წილი:</b> — სახელმწიფო სექტორი — არასახელმწიფო სექტორი — სხვა ორგანიზაციები	75,1 23,7 1,2	75,7 23,0 1,2	75,2 23,7 1,1	73,4 23,3 1,3

წყარო: „აფხაზეთი ციფრულში.. აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. <http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php> <http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php>

ამავე პერიოდის საშუალო თვიური ხელფასი აფხაზეთის ეკონომიკის სექტორებში მოცემულია ცხრილ N8-ში და აჩვენებს მის არათანაბარ ზრდას ეკონომიკის სხვადასხვა სექ-

ტორში, ხოლო 2015 წელთან შედარებით, 2018 წელს არათანაბარზომიერი დინამიკაა.

**ცხრილი №8. საშუალო თვიური ხელფასი  
აფხაზეთში 2015-2018 წლებისთვის, ათასი რუბლი**

ეკონომიკის სექტორები	2015	2016	2017	2018	ზრდის ტემპი, %
სულ ეკონომიკაში	9,1	10,1	10,3	10,8	118,7
სახელმწიფო საწარმოები არასახელმწიფო საწარ- მოები	10,3 9,4	12,9 10,3	13,1 10,5	13,0 10,9	126,2 115,9
სხვა ორგანიზაციები	13,4	13,1	12,0	14,4	107,5

წყარო: „აფხაზეთი ციფრებში“. აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო  
სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. <http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php>  
<http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php>

[1] ზრდის ტემპი განაგარიშებულია 2018 წლის 2015 წლის  
მონაცემებთან შედარებით.

ამ მონაცემებიდან აშკარად ჩანს კერძო სექტორში  
ხელფასების დაბალი დონე (10.9 ათასი რუბლი) საჯარო სექ-  
ტორთან მიმართებაში (13.0 ათასი რუბლი).

შეიძლება ითქვას, რომ ახლა აფხაზეთის ეკონომიკაში  
იქმნება ეროვნული ეკონომიკის ორსექტორიანი დარგობრი-  
ვი მოდელი, ე.ი. რესპუბლიკაში მიზანმიმართულად და ნაწი-  
ლობრივ სპონტანურად საქმიანობის და პასუხისმგებლობის  
სფეროები იყოფა სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის. ამ  
პირობებში, სახელმწიფოს ხელში პრაქტიკულად რჩება ყვე-  
ლა ძირითადი ტიპის საზოგადოებრივი საქონლისა და მომსა-  
ხურების წარმოების პირობები.

ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება ყველაზე სრულად აისახება ფისკალური სისტემის საშუალებით მობილიზებული სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობაზე, რომელიც უზრუნველყოფენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის საფუძვლებს (იხ. ცხრილი 9).

**ცხრილი №9. აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტის  
2015-2018 წლების შესრულების პარამეტრები,  
ფაქტობრივი ფასებით, მილიარდი რუბლი.**

	2015	2016	2017	2018	ზრდის ტემპი, %
შემოსავლები	6,3	10,1	10,2	9,2	146,0
გასავლები	6,7	9,8	9,8	8,8	131,3
დეფიციტი	-0,4	—	—	—	—
პროფიციტი	—	+0,3	+0,4	+0,4	—

წყარო: „აფხაზეთი ციფრულში“. აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. <http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php> <http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php>

[1] ზრდის ტემპი გაანგარიშებულია 2018 წლის 2015 წლის მონაცემებთან შედარებით.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2016-2018 წლების ფინანსური დახმარების მთლიანმა თანხამ შეადგინა 15,2 მილიარდი რუბლი, რაც მიზნად ისახავდა აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ დაკაბალებას.

ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია სახელმწიფოს ფულად პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი ინსტიტუტის - საბანკო სისტემის

ფორმირებასა და განვითარებაზე. აფხაზეთის ბანკების ფულადი სახსრების მიღების და ხარჯების დინამიკა 2015-2018 წწ. მოცემულია მე - 10 ცხრილში.

**ცხრილი №10. აფხაზეთის ბანკების ფულადი სახსრების  
მიღების და ხარჯების დინამიკა 2015-2018 წწ.  
(მიღიარდი რუბლი)**

	2015	2016	2017	2018	ზრდის ტემპი
1. ფულადი სახსრების შემოსვლა	28,3	28,6	28,8	28,9	102,1
2. ხარჯება	26,3	28,8	25,5	24,1	91,6
3. ნაშთი	+2,0	-0,2	+3,3	+4,8	—

წყარო: „აფხაზეთი ციფრულში“. აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019. <http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php> <http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php>

[1] ზრდის ტემპი გაანგარიშებულია 2018 წლის 2015 წლის ინდიკატორებთან შედარებით.

ერთ-ერთი მთავარი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონეს, არის ქვეყნის მშპ, რომელიც 2015 წელს შეადგენდა 28.6 მიღიარდ რუბლს, ხოლო 2018 წელს - 31.9 მიღიარდ რუბლს.

ფულადი მიწოდების შედარება მშპ-სთან 2018 წლისთვის არის 90.6%. ამასთან, რესპუბლიკაში ფულადი სახსრების დეფიციტია.

„2025 წლამდე აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით“ [1], აფხაზეთის ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში შეიძლება განისაზღვროს

გარკვეული მეთოდოლოგიის გამოყენებით, შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე:

**1. საწარმოო ძალების განვითარების დონის მიხედვით,** აფხაზეთის ეკონომიკა შეიძლება მივაკუთვნოთ მრავალფენოვან ეკონომიკას, რომელსაც ახასიათებს მეწარმეობის წინა ინდუსტრიული ტიპი, სადაც თანაარსებობს მეურნეობის სხვადასხვა მეთოდები, დაწყებული ნატურალური მეურნეობიდან (სოფლის მეურნეობაში) და დამთავრებული ინოვაციურ წარმოებამდე (ინფორმაციული მომსახურების სფეროში), რომელიც დაკავშირებულია პოსტინდუსტრიულ სისტემასთან;

**2. ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის ხარისხით,** აფხაზეთი შეიძლება მივაკუთვნოთ ღია ეკონომიკის ყველაზე დაბალ ჯგუფს, იმ საფუძველზე, რომ ექსპორტის წილი ქვეყნის მშპ-ში (2018 წელი) არის 16.3% (მინიმალური 10% და მაქსიმუმ 35% -ზე მეტია);

**3. განვითარების მიმართულებით,** აფხაზეთი გულისხმობს სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკას.

ეს დასკვნა შემდეგი კომპონენტებიდან გამომდინარეობს:

- 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების (8.8 მილიარდი რუბლი) 38,6% (3.4 მილიარდი რუბლი) გამოიყო ხელფასებისთვის, სოციალური და კულტურული ღონისძიებებისთვის (განათლება, ჯანდაცვა, კულტურა, სპორტი და ა.შ.) - 35.2% (3.1 მილიარდი რუბლი);

- 2018 წელს არასაბიუჯეტო სოციალური ფონდების მეშვეობით გამოიყო 1.3 მილიარდ რუბლზე მეტი, საზოგადოების სოციალური საჭიროებებისათვის;

- მთლიანობაში, 7,8 მილიარდი მანეთი გამოიყო რესპუბლიკის მოქალაქეების სოციალური საჭიროებებისთვის, ანუ მთავრობის მთელი ხარჯების 88.6%.

**4. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის მიხედვით,** როგორც იზომება მშპ-ს მაჩვენებლით

მოსახლეობის ერთ სულზე, აფხაზეთი მიეკუთვნება სუსტად განვითარებად ეკონომიკურ სისტემებს, რადგან 2018 წელს მშპ შეადგენდა 31.9 მილიარდ რუბლს, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა 130.1 ათასი რუბლი (დაახლოებით 2.1 ათასი დოლარი).

აფხაზეთის ეკონომიკის მოდელი ინერციული განვითარების სცენარით განაგრძობს ფუნქციონირებას და ხასიათდება გარკვეული უარყოფითი ტენდენციებით:

- 1) ეკონომიკის რეალურ სექტორში განვითარების ინდიკატორების დაბალი ზრდის ტემპები, რაც გამოწვეულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით, მათ შორის წარმოების მენეჯმენტის სუსტი დონითა და მისი ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის სისუსტით;
- 2) რეგიონული დისპალანსის ზრდა;
- 3) დასაქმების დაბალი დონე;
- 4) სახელმწიფო ადმინისტრირების სისტემისა და ბიუროკრატიის ზრდა;
- 5) მნიშვნელოვანი სხვაობა მოსახლეობის შემოსავლებში;
- 6) დამწყები მენარმებისთვის საბანკო სესხებზე ხელმისაწვდომობის არქონა;
- 7) საგადასახადო სისტემაში არსებული ხარვეზები, რაც ფისკალური ხასიათისაა და არ უწყობს ხელს მენარმებს ბიზნესის გაფართოებაში;
- 8) საბიუჯეტო ხარჯების დამოკიდებულება რუსეთის ბიუჯეტიდან ფინანსურ ინექციებზე და ა.შ.

ამ პირობებში, ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე, რომელიც განსაზღვრავს ყველა ბიზნეს-ორგანიზაციის აქტიური, მრავალფეროვანი სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგიულ მიზანს, შეუძლებელია მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება.

აფხაზეთისთვის რთულ შიდა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებსა და შეზღუდულ საგარეო ურთიერთობებში, საჭიროა სტრატეგიული მენეჯმენტის და დაგეგმვის არსებობა, რომლებიც:

ა) აფართოებს რესპუბლიკის მიზნობრივი ორიენტირების სისტემას;

ბ) ასტიმულირებს განვითარების რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან თვისებრივ მახასიათებლებზე გადასვლას;

გ) საშუალებას იძლევა, მობილიზებულ იქნეს არსებული ყველა რესურსი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად.

ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტიანი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების ეროვნულ ინტერესებს, ხოლო განვითარების სტრატეგია მიიღებს აქტიურ მხარდაჭერას მოსახლეობის ყველა საზოგადოებრივი ფენისგან.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სტრატეგიული კვლევების ცენტრმა გამოაქვეყნა რესპუბლიკის 2009-დან 2018 წლამდე ეკონომიკის მდგრმარეობის ანალიზის შესახებ ანგარიში. სტრატეგიული კვლევების ცენტრის ეკონომიკის სექტორის ხელმძღვანელმა ხ. შატ-იპამ განმარტა, თუ რამ გამოიწვია აფხაზეთში შიდა წარმოების ვარდნა, რატომ შემცირდა დასაქმებულთა ოდენობა და გაიზარდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი.

მისი დასკვნით, აფხაზეთის ეკონომიკა არ მუშაობს, მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად პრაქტიკულად არაფერი კეთდება, მცირდება წარმოების მოცულობა და ჭარბობის იმპორტი. ბოლო ათი წლის განმავლობაში აფხაზეთში იმპორტი გაიზარდა 12,5 მილიარდი რუბლით, ხოლო ექსპორტი — მხოლოდ ოთხი მილიარდი რუბლით. იმპორტი სამჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ექსპორტი

[41]. არსებულმა პრობლემებმა ადგილობრივი ეკონომიკა ისეთ ნიშნულში დაიყვანა, სადაც ინდიკატორებმა დაიწყეს მიუღებელი ბარიერების გადალახვა, რაც საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ და ეროვნულ უსაფრთხოებას. მაგალითად, ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხის მასალების წარმოება შემცირდა ცხრიდან შვიდი ათას კუბურ მეტრამდე, ცაცხვისა-130-დან 18 ტონამდე, პურ-ფუნთუშეულისა-ექვსი ათასიდან 3,700 ტონამდე. მაგრამ ასევე დადებითი ტენდენცია არსებობს ლვინის, ლუდის და მინერალური წყლის წარმოებაში. ეს არის იმის გამო, რომ ამ სეგმენტში განვითარდა ექსპორტი.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დასაქმების დონე მნიშვნელოვნად შემცირდა. 140 ათასი შრომისუნარიანი ადამიანიდან ოფიციალურად დასაქმებულია 42 ათასზე მეტი ადამიანი. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საშუალოდ, 454 ადამიანი იყო დასაქმებული აფხაზეთის შრომის ბაზარზე. განსაკუთრებით დაფიქსირდა შემცირება სამშენებლო და სავაჭრო სექტორებში [41].

ჩრდილოვან ეკონომიკაზე რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის 53% -ზე მეტი მოდის, დაახლოებით 15-დან 18 მილიარდ რუბლამდე. მოსახლეობის ფულადი ხარჯები აჭარბებს ფულად შემოსავლებს. ეს ტენდენცია 2016 წლიდან გამოჩნდა. ამ სამი წლის განმავლობაში საყოფაცხოვრებო ხარჯები აღემატებოდა შემოსავალს 30 მილიარდი რუბლით, რაც მეტყველებს არაფორმალური ეკონომიკის ზრდაზე. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მშპ ნომინალური თვალსაზრისით გაიზარდა ოთხი მილიარდ 300 მილიონი რუბლით, ანუ 15% -ით, ანუ საშუალოდ წელიწადში 3%-ით. საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 8-9% -ს შეადგენს. მშპ-ს სტრუქტურა ასევე ბევრ კითხვას ბადებს. მაგალითად, საჯარო სექტორის წილი არის 30%, ხოლო საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი — დაახლოებით 17%. მომუშავეთა საერ-

თო რაოდენობის 75% დასაქმებულია რესპუბლიკის სახელმწიფო სექტორში [41].

2018 წელს აფხაზეთის საკუთარი შემოსავალი შეადგენდა ოთხ მილიარდ რუბლს. საკუთარი შემოსავლის საფუძველია საშემოსავლო გადასახადი და დამატებული ღირებულება, რაც სამი მილიარდი რუბლია. ეს თანხები იხარჯება ეროვნული უსაფრთხოების და სამართალდამცავების დაფინანსებისთვის. 2018 წელს სოციალური პოლიტიკის ხარჯებმა მხოლოდ 230 მილიონი შეადგინა - ეს არის პენსიები, მოსახლეობისთვის სოციალური სერვისები. პროცენტული თვალსაზრისით, ეს ბიუჯეტის მხოლოდ 2.7% -ს შეადგენს [41].

რუსული ინვესტიციები აფხაზეთში 2014-2018 წლებში შეადგენდა 22 მილიარდ რუბლს. მიუხედავად ამისა, ეს ინვესტიციები არ გახდა ეკონომიკური განვითარების მამორავებელი. წინა ხუთწლიან პერიოდში ნაკლები ინვესტიცია იყო - 18,5 მილიარდი, მაგრამ შრომის ანაზღაურება გაიზარდა. დასაქმებულთა რიცხვი თითქმის ხუთი ათასი ადამიანით გაიზარდა, ხოლო მშპ-9 მილიარდი რუბლით. რა არის დაბალი ინვესტიციების მიზეზი? მარიონეტული მთავრობისა და ოუპანტის პოლიტიკა, რომელიც იზოლაციონიზმში ამყოფებს აფხაზეთის ერს, არ აძლევს მას ავტონომიური განვითარების საშუალებას. ინვესტიციების მოცულობამ გააუარესა მშპ-ს დარგობრივი სტრუქტურა. 2014 წელს პირველი ორი პოზიცია დაიკავეს მშენებლობამ და ვაჭრობამ, რომლებიც ერთად მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ, 2019 წელს კი ვაჭრობა მშპ-ს 40% -ს შეადგენს. ეს გამოწვეულია იმით, რომ აფხაზეთს არ აქვს ეკონომიკური პროცესების დამოუკიდებელი მართვის შესაძლებლობა.

აფხაზეთის ეკონომიკა შეიძლება მხოლოდ ერთი ფრაზით დახასიათდეს: ის „დაპაუზებულია“. 2018 წელს აფხაზეთის ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 3 მილიარდ 140 მილიონი რუბლი, ანუ 50 მილიონ დოლარზე ნაკლები [27].

აფხაზეთში ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკა ვერ განხორციელდა, მშპ-ის 50—53% ჩრდილოვანია, რუსეთი პოლიტიკური მიზნით იყენებს ფინანსურ ინექციებს და ის ძირითადად გამოიყენება ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. ამის სანცვლოდ კი აფხაზეთის მთავრობისაგან ითხოვს ამ რეგიონის რუსეთში სრულ ინტეგრაციას, ამ ინექციების მნიშვნელობა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არის გადაჭარბებული.

საინვესტიციო პროგრამა, რომელსაც რუსეთი ახორციელებს, 2017—2019 წლებში არის 5,8 მილიარდი რუბლი. ზოგადად, თუ გვსურს გავაანალიზოთ აფხაზეთის ეკონომიკა, ობიექტურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განხილვის საგანი არ არსებობს. არასერიოზულია, თუ ვინმე თვლის, რომ აბსოლუტურად უიმედო სიტუაციაში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მენეჯერული მანიპულირებით.

დღეს სამი ძირითადი შეზღუდვა არსებობს აფხაზეთის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით:

კერ ერთი, ეს არის ძალიან სუსტი ეკონომიკური წარმონაქმნი, რომელსაც არ შეუძლია შექმნას ეკონომიკური აქტივობის საკუთარი უნივერსალური წესები და საკუთარი იურიდიული ველი. ამის გამო, აფხაზეთში ყოვლისმომცველია ეკონომიკური დანაშაული, რომელმაც შეაღწია ცხოვრების ყველა სფეროში. აქედან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან სოციალურ ჯგუფს შეუძლია შექმნას ეკონომიკურ ურთიერთობათა საკუთარი წესები.

მეორე, დღეს აფხაზეთი დარჩა საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი და გაუარესებული ინფრასტრუქტურული პოტენციალით. შეუძლებელია თანამედროვე განვითარება ამ ნანგრევებზე, ენერგოსისტემის ნარჩენებსა და არსებულ კომუნიკაციებზე. აქ არის ფუნდამენტური წყალგამყოფი, რომელიც დღეს ოკუპირებულ აფხაზეთს ყოფს დანარჩენი საქართველოსგან. XXI საუკუნეში, იქ, სადაც არ არსებობს დამოუკიდებელი ენერგეტიკული სისტემა, სატრანსპორტო

კვანძები, გზები, დახურულია საზღვრები, სადაც არ არსებობს თანამედროვე ელექტრონული ეკონომიკა, განვითარების პერსპექტივა არ არსებობს.

მესამე, ბუნებრივი შეზღუდვები. ომის შემდგომი დეპოპულაცია, სტრუქტურის ნგრევა, საშინაო ბაზრის არარსებობა. სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურის ამჟამინდელ არქიტექტურას შეიძლება ეწოდოს „დიდი რუსეთის ჩიხი“.

პრობლემების დიდი რაოდენობა წარმოიშობა სახელმწიფო მმართველობის სისუსტის გამო — კორუფცია, ინვესტორების გაძარცვა, მათი აქტივების მითვისება.

დღეს აფხაზეთის მდგრადი ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია მკვეთრი ცვლილებების გარეშე. ამჟამინდელი პოლიტიკური სისტემის რეორგანიზაცია, ფართო მასშტაბის ანტიკრიმინალური ოპერაცია არის აფხაზეთის განვითარების საწინდარი. იზოლაციონისტური, ეკონომიკური ავტარკიის პოლიტიკა არის ეკონომიკური კატასტროფის, ოკუპანტ რუსეთზე მისი სრული დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი.

ამჟამინდელი გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო რუსეთის ინტერესი აფხაზეთის მიმართ შეიცვალა და ის აფხაზეთის პრობლემის მანიპულირებით ვერ ახდენს აქტიურ ზეგავლენას საქართველოს დასავლურ ორიენტაციაზე, აფხაზეთის მიმართ რუსეთის ეკონომიკური დახმარება შესუსტდა, რის გამოც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება მისი ეკონომიკა. 2018 წელს რუსეთიდან ინვესტიციების მოცულობა შემცირდა 1 მილიარდ 700 მილიონი რუბლით, ხოლო ექსპორტი დაეცა 1 მილიარდ 800 მილიონით რუბლამდე [27].

## 2.5 საინვესტიციო აქტივობა აფხაზეთში

თანამედროვე პირობებში აფხაზეთის საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობა ოკუპანტ რუსეთთან ხორციელდება შემდეგი ძირითადი ფორმებით:

- ა) საგარეო ვაჭრობა;
- ბ) რუსული ინვესტიციების დაბანდება აფხაზეთის ეკონომიკაში;
- გ) სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა;
- ე) რეგიონული ეკონომიკური ასოციაციების მუშაობაში მონაწილეობა და ა.შ.

ზემოაღნიშნულ საგარეო-ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საინვესტიციო ურთიერთქმედება, ვინაიდან სწორედ ის აღადგენს და ავითარებს აფხაზეთის ეკონომიკის რეალურ სექტორს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

რუსული პროპაგანდისტული მანქანა ინვესტიციებს აფხაზეთში წარმოაჩენს, როგორც ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების, სანარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, ეკონომიკის რეალურ სექტორში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და წარმოების ორგანიზებასა და მართვაში ინოვაციური მეთოდების ათვისების ძირითად ფაქტორს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი მეწარმეების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ამოქმედებას და აქტივობას უცხოურ ბაზრებზე. სინამდვილეში კი რუსეთის პოლიტიკა მოიწერებულია საქართველოს ამ რეგიონის ეკონომიკურ დაკაბალებაზე. აფხაზებს აჩვევენ იმ მოსაზრებას, რომ რუსეთის გარეშე მათ განვითარების პერსპექტივა არ გააჩნიათ, ამ მიზნით რუსეთის მიერ მიმდინარეობს აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ინტენსიური მოსყიდვის პროცესი. რუსული ინვესტიციები პირდაპირ თუ ირიბად ილექტა სეპარატისტული ლიდერების

ჯიბეებში, მოსახლეობა კი კვლავინდებურად უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება.

საინვესტიციო ურთიერთქმედება არის განვითარებადი პროცესი, რომლის დროსაც მის მონაწილეებს შორის წარმოიქმნება შედარებით სტაბილური, საწარმოო-სტრუქტურული ხასიათის ეკონომიკური ურთიერთობები, რისგანაც შორს არის რუსულ-აფხაზური ურთიერთობები.

აფხაზეთში ჯერ კიდევ არ არსებობს საბაზრო სუბიექტების სრულფასოვნად ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობები, საბაზრო რეფორმების პროცესში ფორმირებული ეკონომიკური სტრუქტურების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზეა და მათი შესაძლებლობები შეზღუდულია კონკურენტუნარიანი საინვესტიციო პროცესის განხორციელებისთვის. ასეთ პირობებში, აფხაზეთის სახელმწიფო საინვესტიციო სტრატეგია საინვესტიციო რესურსების განაწილებასა და გამოყენებაზე უნდა იყოს მიმართული, ის უნდა შედგებოდეს საბაზრო მექანიზმებისა და სახელმწიფო რეგულირების მეთოდების ნაზავისაგან. სახელმწიფო საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებით ხელს უწყობს ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას მასპინძელ სუბიექტებში საინვესტიციო საქმიანობის განსახორციელებლად, რომლებიც ფუნქციონირებენ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე კი, ფაქტობრივად, იქმნება საინვესტიციო საქმიანობის ილუზია.

სახელმწიფო ორგანოებმა საინვესტიციო პროცესში მონაწილეობისას ძირითად მიზნად უნდა დაისახონ ისეთი ორგანიზაციულ-მმართველობითი მექანიზმის შექმნა, რომელიც არსებული საინვესტიციო რესურსების გამოყენების ყველაზე მომგებიანი ვარიანტების შერჩევას უზრუნველყოფს, რისგანაც შორს დგას აფხაზეთში საინვესტიციო აქტივობის პროცესი. საინვესტიციო საქმიანობაში მთავრობის მონაწილეობა სახელმწიფოს მხრიდან ყოველთვის ინვევს გარკვეული სახის ფინანსურ დანახარჯებს, რის გამოც ჩნდე-

ბა მათი მოსალოდნელ შედეგებთან შედარების აუცილებლობა. ამასთანავე, ამგვარი მონაწილეობა მოითხოვს ხშირ გადამოწმებას მიზანშენონილობისა და ეფექტიანობის დასადასტურებლად, რაც აფხაზეთში არ ხდება და ვერც მოხდება, რაც გახდა კორუფციის მასაზრდოებელი წყარო.

აფხაზეთის მარიონეტულ ხელისუფლებას შეუძლია უცხოურ საინვესტიციო საქმიანობაზე გავლენის მოხდენა სხვა-დასხვა გზებით, როგორიცაა საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმება, საინვესტიციო საქმიანობაზე შეიდა მარეგულირებელი კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა, ინდივიდუალური საინვესტიციო პროექტების სუბსიდირება, ეფექტიანი საინვესტიციო პროექტების შერჩევა და სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური მეთოდების გამოყენება საინვესტიციო საქმიანობაზე, ყველა ამ გზას და მათი რეალიზაციის ძირითად მიმართულებებს ირჩევს ოკუპანტი სახელმწიფო მარიონეტულ რეჟიმთან შეთანხმებით.

ინტეგრაციული კავშირების დამყარებას, რომელსაც საფუძვლად უდევს აფხაზეთსა და ოკუპანტ რუსეთს შორის საინვესტიციო საქმიანობის გაფართოება, განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

1) რუსეთის რეგიონების სამენარმეო სტრუქტურების ტექნიკური აღჭურვილობის, კონკურენტუნარიანობისა და საინვესტიციო აქტივობების მაღალი ხარისხი აფხაზეთთან შედარებით;

2) აფხაზეთის და რუსეთის სამხრეთ რეგიონების ტერიტორიული სიახლოვე, რომელიც განაპირობებს სამენარმეო სტრუქტურების თანამშრომლობის ხარისხს;

3) სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო მარშრუტების არსებობა, რომელიც ხელს უწყობს ოკუპანტ რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას ლოგისტიკის სფეროში;

4) ენერგოსისტემების ერთობლივი ექსპლუატაცია, კერძოდ, ენგურჰესის ერთობლივი მართვა, რომელსაც ახორციელებენ „ინტერ რაო აესი“ და აფხაზური სახელმწიფო კომპანია „ჩერნომორენერგო“;

5) ერთიანი მონეტარული სისტემის, რუსული რუბლის არსებობა ოკუპირებული აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ინტეგრირებული ბაზრის ფორმირებისთვის [13].

საინვესტიციო საქმიანობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს საინვესტიციო კლიმატი ქვეყანაში, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის ინსტიტუციური სისტემის ნაწილს და წარმოადგენს პოლიტიკური, ფინანსური, კულტურული, ორგანიზაციული, სამართლებრივი, ბუნებრივ-გეოგრაფიული და სხვა ფაქტორების ერთიანობას, რომელთა მდგომარეობაც ინვესტიციების მოზიდვაზე უარყოფითად ან დადებითად მოქმედებს. საინვესტიციო კლიმატი უარყოფითია, მისი ცვლილება დამოკიდებულია აფხაზეთში არსებულ რეალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაზე, რუსეთის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენის ფაქტორებზე.

ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების და საინვესტიციო საქმიანობის გახორციელების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს და ბუნებრივი პირობების არსებობა. ამ გაგებით, აფხაზეთის უნიკალური კლიმატური პირობები იძლევა სამეურნეო საქმიანობის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობას, საუბედუროდ, ეს რესურსები ეკონომიკური ინტეგრაციის საფარქვეშ რუსული კომპანიების მიერ იძარცვება.

შრომითი პოტენციალი და შრომის ბაზარი წარმოადგენს აფხაზეთში მნიშვნელოვან საინვესტიციო რესურსს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმება და მისი ჩართვა კვლავწარმოების სფეროში (იხ. ცხრილი N11).

**ცხრილი №11. შრომითი პოტენციალი აფხაზეთში  
2013-2016 წწ. (ათასი კაცი)**

მაჩვენებელი	2013	2014		2015		2016	
		მნიშვნელი	ზრდის ტემპი %	მნიშვნელი	ზრდის ტემპი %	მნიშვნელი	ზრდის ტემპი %
1. შრომისუნარიანი მოსახლეობა	143,8	144,1	100,2	144,3	100,1	243,9	100,3
2. დასაქმებულების სამუალო წლიური რიცხოვნება	41,5	40,6	97,8	42,3	104,2	144,5	110,1
3. არა-საჯარო სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნება	11,0	10,4	94,5	10,0	96,1	41,4	97,9
4. საჯარო სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნება	30,2	29,8	98,7	31,7	106,4	9,5	95,0
5. დასაქმების ნილი შრომისუნარიან მოსახლეობა-ში %	28,8	28,2	—	29,3	—	28,6	22,9

წყარო: Шалашаа 3. Инвестиции — основа экономической интеграции. Абхазии и России Вестник РУДН. Серия: Экономика 2018 Vol. 26 No. 3 429—438

აფხაზეთის ეკონომიკა ხასიათდება ძირითადი აქტივების მაღალი ხარისხით ცვეთით. ეკონომიკის რეალური სექ-

ტორის განვითარება, სტრუქტურული გადალაგება და მო-  
დერნიზაცია შეუძლებელია მნიშვნელოვანი მოცულობის ინ-  
ვესტიციის მოზიდვის გარეშე. ამ თვალსაზრისით, ოკუპანტი  
რუსეთის მიერ აფხაზეთისთვის ხორციელდება ფსევდოფი-  
ნანსური დახმარება, მათ შორის ინვესტირების სფეროში,  
რაც სინამდვილეში ეკონომიკურ ანექსიას წარმოადგენს.

2015 წელს ხელი მოეწერა აფხაზეთის მარიონეტული  
რეჟიმის ეკონომიკის სამინისტროსა და ოკუპანტი რუსეთის  
საინვესტიციო სააგენტოს შორის თანამშრომლობის რეგლა-  
მენტს საინვესტიციო პროცესების ხელშესაწყობად აფხაზე-  
თის ტერიტორიაზე.

2015 წლის აპრილში, რუსეთის ფედერაციასა და აფხა-  
ზეთის მარიონეტულ რეჟიმს შორის სოციალური და ეკონო-  
მიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის  
სხდომაზე ხელი მოეწერა ოქმს, რომელშიც განისაზღვრა აფ-  
ხაზეთის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დაფინანსება  
9,3 მილიარდი რუბლის ოდენობით.

ამასთან, ცხრილი N2-ის მონაცემები მიუთითებს, რომ  
აფხაზეთში რუსეთის ინვესტიციების მოცულობა ეტაპობრი-  
ვად მცირდება.

### **ცხრილი №12. საინვესტიციო პროგრამა აფხაზეთის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად 2015-2017 წწ მდრდ. რუბლი**

წელი	რუსული ინვესტიციე- ბის მოცულობა	აფხაზეთის მშპ მოცულობა	რუსული ინვესტიციე- ბის წილი მშპ-ში
2015	3,8	28,6	13,3
2016	3,3	30,3	10,9
2017	2,2	32,0	6,9
2018	2,0	3,3	6,7

წყარო: Шалашаа 3. Инвестиции — основа экономической  
интеграции. Абхазии и России Вестник РУДН. Серия: Экономика 2018 Vol. 26

No. 3 429—438

ბოლო წლებში ოკუპანტის საინვესტიციო პროგრამის სახსრები ძირითადად მიმართულია აფხაზეთის ეკონომიკის რუსეთისათვის საინტერესო სექტორების საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად (იხ. ცხრილი N13).

**ცხრილი №13. რუსული ინვესტიციების სტრუქტურა  
აფხაზეთში 2015-2017 წნ.**

ეკონომიკის მიმართულებები და საქმიანობის სახეები	ინვესტიციების საერთო მოცულობა 2015-2017 წლებში მლნ. რუბლი	2015	2016	2017
საგზაო ქსელის რეაბილიტაცია	995,0	610,94	154,3	229,76
ენერგეტიკული სექტორი	733,0	572,0	161,0	—
საცხოვრებელი ფონდების რემონტი და კეთილმოწყობა	1806,99	340,0	846,83	620,16
წყალმომარაგება და წყალარინება	1675,7	389,2	740,8	545,7
ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების რემონტი	452,2	452,2	—	—
ჯანდაცვა	738,3	447,7	290,6	—
კულტურა	25,0	25,0	—	—
საწარმოო ნარჩენების გადამუშავება	340,0	—	100,0	240,0
რეალური ეკონომიკური სექტორის სახელმწიფო თანადაფინანსება	944,6	400,0	424,6	120,0

წყარო: Шалашаа 3. Инвестиции — основа экономической интеграции. Абхазии и России Вестник РУДН. Серия: Экономика 2018 Vol. 26 No. 3 429—438

2016 წლის ნოემბერში რუსეთ-აფხაზეთის მე-7 საქმიანი ფორუმის მიმდინარეობისას დაიდო რამდენიმე გარიგება, რომელიც ორიენტირებული იყო საფინანსო-საკრედიტო რესურსების მოზიდვაზე აფხაზეთში საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად. ფორუმზე გაფორმდა ჯამში 6 შეთანხმება, რომელთაგან 4 იყო საინვესტიციო კუთხით, ხოლო 2 მოიცავდა ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ ინდუსტრიებს.

პირველი შეთანხმება ეხება კომპანიების „აფხაზსტროის“ და „სლავიანსკი მირის“ ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც დაკავშირებულია სამშენებლო კლასტერის განვითარებასთან.

მე-2 შეთანხმება დაკავშირებულია საწარმოო ნარჩენების გადამუშავებასთან და მოიცავს მყარი ნარჩენების გადამუშავებელი ქარხნის მშენებლობას.

ოთხი შეთანხმება, რომელიც დაიდო საინვესტიციო სააგენტოს კუთხით, ნარმოადგენს შეთანხმებებს - სესხებს ბიზნეს-პროექტების ინიციატორებსა და მოსკოვის საინვესტიციო სააგენტოს შორის, რომელიც სთავაზობს საკრედიტო რესურსებს. ხელმოწერილი შეთანხმებების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 500 მლნ. რუბლი.

აფხაზეთში რუსული საინვესტიციო საქმიანობის ზემოთ მოვანილი ფაქტიური მაჩვენებლები ადასტურებენ ამ პროცესში ოკუპანტი სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას. ცხადია ისიც, რომ ინვესტიციებს ესაჭიროებათ, როგორც სახელმწიფო, ისე სამართლებრივი დაცვა. ამასთანავე, აფხაზეთის კანონმდებლობა განსაზღვრავს საინვესტიციო საქმიანობის სახელმწიფო მმართველობის მექანიზმებს, რომლებიც ორიენტირებულია მხოლოდ ოკუპანტ რუსეთზე და ისინი არ მოიცავენ სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის ინსტრუმენტებს საინვესტიციო საქმიანობაში და მისი განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხერხებს.

აფხაზეთში არსებობს გარკვეული საინვესტიციო რისკები, რომელიც დაკავშირებულია ინვესტორების საკუთრების უფლებების დაცვასთან, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ერთობლივი საწარმოების შემოსავლების ეკონომიკურ კონტროლთან და მასთან დაკავშირებული მოსალოდნელი მოგების და ქონების დაკარგვის შესაძლებლობასთან დასხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელობა ენიჭება ოკუპანტი რუსეთისა და აფხაზეთის მთავრობებს შორის შეთანხმებას ინვესტიციების წახალისებისა და საპასუხო დაცვის შესახებ, რომელიც ორიენტირებულია რუსეთ-აფხაზეთის საინვესტიციო აქტივობების განვითარებაზე, ასტიმულირებს კაპიტალის ნაკადს მხოლოდ რუსეთიდან.

საერთო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაცია არის აფხაზეთის ერთადერთი საინვესტიციო პარტნიორი და უჭირავს პირველი ადგილი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობით აფხაზეთის ეკონომიკაში. უფრო მეტიც, ყოველწლიურად იზრდება რუსულ-აფხაზური საწარმოების რაოდენობა, 2017 წელს დარეგისტრირდა 237 საწარმო 100%-ით რუსული კაპიტალით და დაახლოებით 240 ერთობლივი საწარმო. 2016 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ რუსეთიდან აფხაზეთში შეადგინა 3,9 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო აფხაზეთიდან რუსეთში - 0,15 მლნ. აშშ დოლარი [13].

სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი, აფხაზეთში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირებაში, შესაძლებელია განვაზოგადოთ შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტებში:

- პირველ რიგში, საინვესტიციო საქმიანობა უნდა განვითარდეს ზოგადად მიღებულ საერთაშორისო ნორმებთან და პრაქტიკასთან პარმონიზაციისა და გაერთიანების მიმართულებით და არა მხოლოდ რუსეთის სამრეწველო სისტე-

მასთან ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისა და გან-მტკიცების ინტერესებიდან გამომდინარე;

- მეორე, რუსული ინვესტიციები აფხაზეთის ეკონომიკა-ში არის ოკუპაციის და ეკონომიკური დაკაბალების შედეგი;

- მესამე, აფხაზეთსა და ოკუპანტ რუსეთს შორის საინ-ვესტიციო კლიმატის შესაქმნელად უკვე ჩამოყალიბდა გარ-კვეული წინაპირობები. მაგალითად, აფხაზეთის ტერიტორი-აზე აფხაზი და რუსი მენარმეების ერთობლივი საინვესტი-ციონ საქმიანობის განხორციელების მარეგულირებელი ჩარ-ჩოს არსებობა, რომელიც კაბალურია და არ შეესაბამება გლობალურ ტენდენციებს;

- მეოთხე, აფხაზეთის საინვესტიციო სტრატეგია უნდა მდგომარეობდეს ინვესტიციების სახელმწიფო მართვის მე-თოდებისა და ბაზრის თვითრეგულირების მექანიზმების უპირატესობებს ინტეგრაციაში, რეალურად კი ის ორიენტი-რებულია ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკურ დაკაბა-ლებაზე.


## 2.6 აფხაზეთის საგარეო ვაჭრობა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა

აფხაზეთის სახელმწიფო საბაზო კომიტეტის მონაცე-მებით, 2018 წლის აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის მოცულო-ბამ შეადგინა 23 მილიარდ 704.8 მილიონი რუბლი, რაც 2 მი-ლიარდ 260,7 მილიონ რუბლით მეტია 2017 წლის მაჩვენე-ბელთან შედარებით (ზრდა 10.5%) (იხ. დიაგრამა N8).

მათ შორის:

- ექსპორტი - 5 მილიარდ 161.8 მილიონი რუბლი; ზრდა 2017 წელთან შედარებით იყო 43.6%;
- იმპორტი - 18 მილიარდ 543.0 მილიონი რუბლი; ზრდა 2017 წელთან შედარებით 3.9% იყო;

## დიაგრამა №8. საგარეო-სავაჭრო ბრუნვა 2009-2018 წწ.



წყარო: [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)


აფხაზეთის ყველაზე დიდი საგარეო-სავაჭრო პარტნიორია ოკუპანტი რუსეთი, რომლის წილი მთლიან ბრუნვაში 70% -ზე მეტია. შემდეგ მოდის თურქეთი და სომხეთი.

აფხაზეთიდან ექსპორტირებული პროდუქციის ჩამონათვალში რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის ბაზრებზე ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, მათ შორის:

- ღვინო და ღვინის პროდუქტები;
- თევზი და თევზის პროდუქტები;
- ციტრუსები;
- კაკალი.

## დიაგრამა №9.

**ჯანმრთელობის სტრუქტურა 2018წ.**



წყარო: [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)

იმპორტის სტრუქტურაში მნიშვნელოვანია:

- სამშენებლო მასალები,
- მინერალური პროდუქტები,
- საყოფაცხოვრებო ტექნიკა,
- ავტოტრანსპორტი,
- მოწყობილობები და სხვა.

ოკუპირებულ აფხაზეთში ვაჭრობა მშპ-ს მიხედვით პირველ ადგილს იკავებს, ის მთლიანი დამატებული ღირებულების თითქმის 40% -ს შეადგენს. 2018 წელს საბითუმო ვაჭრობის ქსელში საქონლის გაყიდვებმა ოკუპირებულ აფხაზეთში შეადგინა 17,989.4 მილიონი რუბლი, ხოლო საცალო საქონებრუნვის მთლიანი მოცულობა, მათ შორის საზოგადოებრივი კვების ობიექტების ჩათვლით - 18,889.7 მილიონი რუბლი. აფხაზეთის საქონებრუნვაში ჭარბობს საქონლის შემდეგი ჯგუფები:

- ბენზინი,
- სამშენებლო მასალები,
- პური და პურპროდუქტები,

- ხორცი და ფრინველი,
- რძე და რძის პროდუქტები,
- ბოსტნეული,
- ხორბლის ფქვილი,
- საკონდიტრო ნაწარმი.

დასაქმებულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 6% მუშაობს ეკონომიკის ამ სექტორში.

ოკუპირებული აფხაზეთის საბაჟო კომიტეტის მონაცემებით, 2019 წელს საგარეო ვაჭრობამ შეადგინა 25 მილიარდ 989 მილიონი რუბლი. თუ რომელი ინდუსტრიები იყო ყველაზე მომგებიანი და როგორი იყო საქონლის იმპორტისა და ექსპორტის დინამიკა, წარმოდგენილია გრაფიკებში (იხ. დიაგრამა N10, N11, N12).


2019 წელს აფხაზეთის საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ 9,5% -ით გადააჭარბა 2018 წლის მაჩვენებლებს და მთლიანობაში შეადგენდა 25 მილიარდ 989.4 მილიონი რუბლი. 2019 წელს იმპორტის მოცულობა 20 მილიარდი რუბლის ოდენობით იყო, რაც 29% -ით მეტია წინა წელთან შედარებით. მცირე ზრდა შეინიშნება ექსპორტში. თუ 2018 წელს აფხაზეთმა ექსპორტზე გაიტანა 5 მილიარდ 162 მილიონი რუბლის ღირებულების საქონელი, 2019 წელს ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 5 მილიარდ 935.4 მილიონი რუბლი, რაც 13%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ეს შესაძლებელი გახდა საზღვარგარეთ, თევზის ფქვილის, თევზის ქონის და ტყის ნაჭუჭიანი თხილის გაყიდვით. თუმცა, ახალი და გაყინული თევზის, აგრეთვე ციტრუსის ექსპორტი, პირიქით, შემცირდა შესაბამისად 70% და 37%-ით.

- აფხაზეთიდან ექსპორტირებული საქონლის დიდწილს იკავებს აგროსამრეწველო კომპლექსი - მთლიანი მოცულობის 54%, თევზი და თევზის პროდუქტები - 22%, ციტრუსი - 6%. ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება თხილის ექსპორტი - 0.5%.

- სავაჭრო ბალანსის სალდო (ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ოპერაციებზე შემოსავალსა და ხარჯებს შორის სხვაობა) ბოლო ორი წლის განმავლობაში უარყოფითია - 2018 წელს შეადგინა 13 მილიარდ 393.1 მილიონი რუბლი, ხოლო 2019 წელს 14 მილიარდი 119 მილიონი რუბლი. აფხაზეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი ამას განმარტავს იმპორტირებულ საქონელზე, მათ შორის, მედიკამენტების, საკვების, სამშენებლო მასალების და საწვავ-საპოხი მასალების მოთხოვნის გაზრდით (დიაგრამა 10).

2019 წელს აფხაზეთის მთავარი სავაჭრო სპარტნიორი იყო ოკუპანტი რუსეთი, რომელთან სავაჭრო ბრუნვამ მთლიანი მოცულობის 70% შეადგინა. თანხობრივად ეს 18 მილიარდზე ოდნავ მეტია და 3% -ით აჭარბებს 2018 წლის შედეგებს. 2019 წელს რუსეთიდან საქონლის იმპორტმა შეადგინა 13 მილიარდ 495 მილიონი რუბლი, ხოლო ექსპორტმა - 4 მილიარდ 499 მილიონი რუბლი (დიაგრამა 11).

## დიაგრამა №10.



ნუარო: Плюс на минус: внешняя торговля Абхазии в 2019 году

<https://sputnik-abkhazia.ru/infographics/20200310/1029610168/Plyus-na-minus-vneshnyaya-torgovlya-Abkhazii-v-2019-godu.html>

**დიაგრამა N 11.**  
**საქონელბრუნვა რუსეთთან 2019 წ.**

**საქონელბრუნვა რუსეთთან**

ექსპორტი 2018 ● 4 364 000 000  
2019 ● 4 499 000 000

+3.1%

რუსეთთან ექსპორტის მოცულობა საქონლის მიხედვით, %




82	●	აღკითხოლი და საკვები პროდუქტები
8	●	ციტრუსი
5	●	სხვა სასოფლო-სამურნეო პროდუქცია
5	●	სხვა საქონლი

იმპორტი 2018 ● 13 495 000 000  
2019 ● 13 655 000 000

+1.2%

რუსეთიდან იმპორტის მოცულობა საქონლის მიხედვით, %




30	●	საკვები პროდუქტები
24	●	მინერალური პროდუქტები
9	●	ქიმიკომოების პროდუქტები
7	●	მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები
5	●	აღკითხოლური, უაღკითხოლო და თამაშის პრიდუქცია
5	●	იაფეთისანი ლითონი
20	●	სხვა საწარმოო საქონლი

ნუარო: Плюс на минус: внешняя торговля Абхазии в 2019 году  
<https://sputnik-abkhazia.ru/infographics/20200310/1029610168/Plyus-na-minus-vneshnyaya-torgovlya-Abkhazii-v-2019-godu.html>

იზრდება სავაჭრო ურთიერთობები თურქეთთან. 2019 წელს იმპორტის მოცულობამ შეადგინა 780000000 რუბლი, ექ-სპორტი გაიზარდა 1374000000 რუბლამდე (დიაგრამა №12.).

### დიაგრამა №12. საქონელბრუნვა თურქეთთან 2019 წ.



წყარო: Плюс на минус: внешняя торговля Абхазии в 2019 году

<https://sputnik.abkhazia.ru/info/graphics/20200310/1029610168/Plyus-na-minus-vneshnyaya-torgovlya-Abkhazii-v-2019-godu.html>

**თავი III**  
**აფხაზეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობა:**  
**პრიმიტიული პუნქტები**

**3.1 აფხაზეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობა:  
მითი და რეალობა**

2014 წლის გაზაფხულზე რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მოხდა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტის ა. ანჯვაბის წინააღმდეგ ოპოზიციის დესტრუქციული მოქმედებების ორგანიზება, რომლის უშუალო ხელმძღვანელი იყო რუსეთის კვბ-ს პოლკოვნიკი რ. ხაჯიმბა. რუსეთის მხრიდან ამ გამოსვლებს უშუალოდ კურირებდა პუტინის პირადი მრჩეველი და მისი გარემოცვის უახლოესი წევრი, კრემლის პოლიტტექნოლოგი ვ. სურკოვი [41].

**სურათი №1. კრემლის პოლიტტექნოლოგი ვ. სურკოვი**




ამ არეულობის მიზანი იყო აფხაზეთის მიერ რუსეთთან სამოკავშირეო და ინტეგრაციის ხელშეკრულების იძულებითი ხელმოწერა. 2014 წლის 14 ივნისს ვ. სურკოვის აპარატის უფროსის მოადგილე, აფხაზეთთან ურთიერთობის კურატორი მიხაილ მამონოვი „ეხო კავკაზის“ საინფორმაციო პორტალის ხელმძღვანელს მიუთითებდა ა. ანქვაბის დისკრედიტაციის მიზნით წერილების გამოქვეყნების აუცილებლობაზე [41].

სურათი №2. ვ. სურკოვის აპარატის უფროსის მოადგილე, აფხაზეთთან ურთიერთობის კურატორი მიხაილ მამონოვი




2014 წლის მაისში მ. მამონოვი, ვ. სურკოვსს წერდა, რომ ანქვაბი აფხაზეთისა და რუსეთის უფრო ფართო ინტეგრაციის წინააღმდეგი იყო.

## სურათი №3. სურველის და მამობოლის მიმოხერა




2014 წლის 14 მარტს კრემლმა შეიმუშავა გეგმა, რომ-  
ლის პირობითი დასახელება იყო „აღგორითმი“ [41].

## სურათი №4. კრემლის გეგმა „აღგორითმი“



გეგმა შემუშავდა სურკოვის აპარატის მიერ, რომლის შესაბამისად, ოკუპირებული აფხაზეთის რუსეთან სრული ინტეგრაციის ინიციატივა უნდა გაფლერებულიყო უშუალოდ აფხაზების მიერ.

### სურათი №5.




ამისთვის შეიძრა რუსეთში მოღვაწე აფხაზი სეპარატიზმის იდეოლოგი ტარას ბამბა, რომელიც გამოირჩეოდა ქართველებისადმი სიძულვილით და კრემლის მიმართ ლოიალურობით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში.

## სურათი №6. აფხაზი ტარას შამბა



ამ იდეას უმუალოდ აფხაზეთში აქტიურად მხარს უჭერდნენ ოზგანი, ჯერგენია და ტანია.

## სურათი №7.



1. Начало июня – в Москве в рамках работы межпарламентской группы приезжает делегация проверенных депутатов парламента Абхазии во главе с В.Бгабой, с ней – А.Миквабия. На встрече с членами ГД и СФ ФС парламентарии РА еще раз уже в структурированном виде (**договор об ассоциации**) предлагают российским коллегам предпринять совместные усилия для углубления стратегического партнерства. А.Миквабия становится главным адвокатом идей в российских СМИ (он не раз хотел публичности); другим медийным лицом может стать Б.Бутба. **Таким образом, добиваемся раскола оппозиции.**
2. **Парламент Абхазии обращается к Президенту России и Президенту РА с просьбой заключить договор об ассоциации.**
3. Президенты двух стран рассматривают обращение и дают поручение своим МИДам в кратчайшие сроки составить подпись такой договор. Как целевой ориентир можем избрать дату 18 сентября – дату заключения Договора о дружбе сотрудничестве.

2020 წლის ივნისის დასაწყისში რუსეთ-აფხაზეთის პარ-ლამენტთაშორისი ურთიერთობის ჯგუფში მოსკოვში ჩავიდნენ კრემლისათვის სანდო აფხაზი დეპუტატები, აფხაზეთის სეპარატისტული იდეოლოგიის ლიდერის კ. ოზგანის ხელ-მძღვანელობით.

**სურათი №8. აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგი  
კონსტანტინე თბგანი**



მათ წარმოადგინეს აფხაზეთის ოკუპანტ რუსეთთან სრული ინტეგრაციის გეგმა, რომლის მიხედვით, აფხაზეთის პარლამენტს უნდა მიერთოთა რუსეთის პრეზიდენტის და ფე-დერაციის საბჭოსთვის რუსეთის ფედერაციის ასოცირებულ წევრად მიღების თაობაზე. საქართველოს ძირძველი მიწის - აფხაზეთის მომავალი წყდებოდა კრემლში (სურკოვის კაბინეტში).

მოგვიანებით, კრემლმა იმის შიშით, რომ ასეთი უხეში მიერთება აფხაზებში გამოიწვევდა უკმაყოფილებას, მოახდინა ამ გეგმაში კორექტივების შეტანა. ამ გეგმის რეალიზა-

ცია დაევალა რ. ხაჯიმბას. ამ გეგმის მიხედვით, აფხაზეთში „ტვინების გამორეცხვის“ მიზნით უნდა ჩატარებულიყო ძლიერი საინფორმაციო კამპანია. ამ პროპაგანდის ძირითადი მიზანი იყო აფხაზების დარწმუნება რუსეთთან სრული ინტეგრაციის აუცილებლობაში. ამ მიზნით კრემლმა შეადგინა იმ პირების სია, რომლებიც ლოიალურები იყვნენ მის მიმართ ( ა. ჯერგენია ა. მიქვაბია, მ. ქიშმარია. ი. ტანია და სხვები). ეს პირები დახასიათებულ იქნენ თავიანთი სუსტი მხარეების მიხედვით (მაგ. ა. მიქვაბიას შვილი მუშაობს მოსკოვის მთავრობაში, მერაბ ქიშმარიას - აფხაზეთის თავდაცვის მინისტრს დაპირდნენ რუსეთის გმირის წოდებას და გენერლის პენსიას. აფხაზეთის პრეზიდენტის აპარატის უფროსი ასტამურ ტანია მოისყიდეს ქრთამით, ფული ასევე გადაეცათ დეპუტატ ბესლან ბუთბას და პოლიტიკოს ლეონიდ ძიაფშბას, ვეტერანთა ორგანიზაციის ხელმძღვანელს ვიტალი გაბნიას. ამ სიაში შევიდა აფხაზეთის დეპუტატების უმრავლესობა, ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელები, სომხური დიასპორის ლიდერები, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, უურნალისტები. შეიქმნა აფხაზი დეპუტატების მოსყიდვის ფონდი 960 ათასი რუბლის ოდენობით, ოპოზიციის მოსყიდვა დაჯდა 300 ათასი, სომხური დიასპორისა — 120 ათასი, აფხაზეთის ტელევიზიისა და მასმედიისა — 120 ათასი. სულ წელიწადში რუსეთს ეს დაუჯდა 1 მილიონ 806 ათასი რუბლი [41].

## სურათი №9.

для Абхазии | Легион информационной обороны

	общественный деятель, оппозиционер	2001-2002 г. занимался с абхазской стороны вопросами заключения об ассоциации
3.	Миквабия Артур Артемович, член комитета по экономической политике	как медийное лицо, адвокат ассоциации; побудительный мотив: сын работает в Правительстве Москвы, жаждет славы, денег – присоединился к оппозиции лишь когда лишился бизнеса
4.	Кишмария Мераб Ильич, министр обороны РА	Воздействовать через Минобороны РФ. Можно предложить Героя России

## სურათი №10. დეფაქტო აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია

ісьма для Абхазии | Легион информационной обороны




სურათი N 11. ასტამურ ტანია



სურათი N 12. ლეონიდ დზაპშბა

Письма для Абхазии | Легион информационной обороны



სურათი №13.

3.	<b>Создание и поддержка собственного абхазского СМИ (сайт + печатное двухязычное издание 2000 экземпляров + доставка по деревням)</b>	10 00 30 00 150 0
<b>ИТОГО: 1 806 000 в год</b>		


Мамонов МВ

კრემლი ირწმუნებოდა, რომ საქართველოს შესვლა ნატოში დროის საკითხია და რუსეთი ვალდებული იყო უზრუნველეყო აფხაზების სამხედრო და ეკონომიკური უსაფრთხოება. სურკოვის გეგმაში უმთავრესი საკითხი იყო ოკუპანტის ჯარების კონტიგენტის ზრდა აფხაზებში. გეგმაში მითითებულია, რომ ოკუპანტი რუსეთის ძირითადი მიზანი რეგიონში არის:

1. რუსეთ-აფხაზეთის კავშირისა და ინტეგრაციის ახალი ხელშეკრულების დადება;
2. რუსეთის ფედერაციის ჯარების განთავსება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე;
3. სამხრეთ კავკასიის რკინიგზის გახსნა (სომხებთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან, დერეფნის შექმნა);
4. აფხაზეთის კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა, რითაც რუსეთის მენარმეები და მოქალაქეები შეისყიდიან ადგილობრივ ქონებას, ანუ მოხდება აფხაზეთის ეკო-

ნომიკური ექსპანსია და კრემლის მიერ რუსების დაკანონებული მიგრაცია საქართველოს ამ რეგიონში.

## სურათი №14.



2014 წლის 24 ნოემბერს სოჭში ვ. პუტინმა და რ. ხაჯიმბამ ხელი მოაწერეს დოკუმენტს რუსეთთან კავშირისა და სტრატეგიული ურთიერთობის შესახებ, რომელიც მიმართული იყო საერთო ეკონომიკური, თავდაცვითი და სტრატეგიული სფეროების ფორმირებაზე. ხელშეკრულების მომზადებაში აქტიურ როლს თამაშობდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. კარასინი.

**სურათი №15. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის  
მოადგილე გრიგორი კარასინი**



ამ ხელშეკრულებით მოხდა ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის დაკაბალება და გაღარიბება, სამშობლოს გამყიდველი აფხაზური ელიტის შემდგომი გამდიდრება კორუფციისა და მოსყიდვის გზით, რაც სურდა რუსეთს. დღევანდელი აფხაზეთი არის საქართველოს რეგიონი, რომელიც ჩარჩა საბჭოთა იმპერიაში, სადაც თარეშობს რუსულ-აფხაზური კრიმინალი, უზომოდ გაზრდილია კორუფცია და ჩრდილოვანი ეკონომიკა.

აფხაზეთში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა კრიმინალური ეკონომიკა, რომელიც აწყობს იმპერიალისტურ რუსეთს, რომლის ძირითად მიზანს შეადგენს აფხაზი მოსახლეობის გაღარიბება და მისი სრული ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური დამორჩილება, მისი ლოიალობის მოპოვება არა საკუთარი, თვითკმარი ეკონომიკური სისტემის ფორმირებით, არამედ რუსეთის ეკონომიკური ინექციების ხარჯზე,

რომლებიც კრიმინალური ბუნებისაა და რუსეთის მიერ გა-  
მოიყენება, როგორც აფხაზებზე პოლიტიკური ზეწოლის ინ-  
სტრუმენტი. მიზანი ერთია: რუსეთს სურს აფხაზეთის მო-  
სახლეობის გაღარიბება, მისი ეკონომიკური ექსპანსია პო-  
ლიტიკური ელიტის მოსყიდვის გზით, ადგილობრივი მოსახ-  
ლეობის მხსნელის როლის თამაში.

### **3.2 ფულის გათეთრების წინაღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმი**

აფხაზეთის დღევანდელი ეკონომიკა კრიმინალური ხა-  
სიათისაა, ხოლო ამ პირობებში პოლიტიკურის გარდა რუ-  
სეთს გააჩნია ეკონომიკური ინტერესებიც, რომელთა შორის  
უმთავრესია რუსული ფულის გათეთრება და უკანონო შემო-  
სავლების ლეგალიზება. ფულის გათეთრებისა და უკანონო  
შემოსავლების ლეგალიზების პრობლემის შესწავლა ერთობ  
აქტუალურია როგორც მსოფლიოში, ასევე ცალკეული ქვეყ-  
ნების ოკუპირებული ტერიტორიების მიხედვით. ამ თვალ-  
საზრისით მნიშვნელოვანია ამ საკითხების შესწავლა რუსე-  
თის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოში უკანონო შემოსავ-  
ლის ლეგალიზების (ფულის გათეთრების) ბრძოლის მიმარ-  
თულებით განხორციელდა ეფექტური საქმიანობა. ტრან-  
სფორმაცია განიცადა კრიმინალური სამყაროს მიერ მიზნის  
მიღწევისათვის გამოყენებულმა მეთოდებმა და ფორმებმა.  
საგრძნობლად გაფართოვდა და მრავალფეროვანი გახდა ამ  
მეთოდების რეალიზების გეოგრაფიული არეალი.

ფულის გათეთრების წინაღმდეგ ბრძოლის ეფექტია-  
ნობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სა-  
კანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ამ მიმართულებით ცი-  
ვილიზებული სახელმწიფოების საქმიანობის კოორდინაცია.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზება უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მოვლენაა, რომლიც მსოფლიო ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან იქნა გაცნობიერებული. დაისახა ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი მექანიზმები. განვითარებული სახელმწიფოების ერთობლივი საქმიანობის შედეგად ამ მიმართულებით მიღებულ იქნა არაერთი საკანონმდებლო აქტი. მათ შორისაა:

- „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ ევროპის საბჭოს წევრი და სხვა სახელმწიფოების 1990 წლის სტრასბურგის კონვენცია;
- „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ~ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების 1977 წლის სტრასბურგის ევროპული კონვენცია;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1999 წლის „საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“;
- „ტერორიზმთან, სეპარატიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ“ შანხაის 2001 წლის კონვენცია და სხვ.

ამავე პერიოდში მსოფლიო თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მიერ, გადაიდგა ისეთი ქმედითი ნაბიჯები, როგორიცაა:

- დიდი შვიდეულის (აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა) ქვეყნებისა და ევროკუმისის 1989 წლის შეხვედრაზე მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილება ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force) შექმნის შესახებ;

- ფინანსური დაზვერვის (მონიტორინგის სამსახურების) არაფორმალური გაერთიანებისა და ე.წ. EGMONT-ის ჯგუფის შექმნა (1995 წ.);
- ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტის MOMEYVAL-ის ჩამოყალიბება;
- კარიბის აუზის ქვეყნების ფინანსურ ქმედებათა ჯგუფის დაფუძნება;
- აზია-წყნარი ოკეანისა და აფრიკის ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი რეგიონული ჯგუფების შექმნა.
- ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა (ბელორუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ FATF-ის ტიპის რეგიონული ორგანიზაციის „ევრო-აზიური გაერთიანების“ შექმნა;

ამ ძალისხმევის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა უკანონო შემოსავლების ლეგალიზების ფორმებში. მსოფლიოს ახალი ეპიცენტრები ჩამოყალიბდა იმ რეგიონებში, სადაც რიგი გარემოებების გამო (ოკუპაცია, კანონგარეშე ეკონომიკური მმართველობა და სხვა) შესაძლებელი გახდა უკანონო ფინანსური პარტნერების თავისუფალი განხორციელება. მათ შორისაა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია — აფხაზეთი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უაღრესად აქტუალურია ფულის გათეთრების და კრიმინალური ეკონომიკის ფორმირების თავისებურებების შესწავლა აფხაზეთში, რეგიონში, რომელიც წარმოიშვა რუსეთის მიერ ინსპირირებული სეპარატისტული მოძრაობის, შეიარაღებული კონფლიქტის, მოსყიდული და არალეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურების ფორმირების, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნის შედეგად.

### **3.3 ფულის გათეთრების პირობები რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში**

XX საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა პროცესებმა გამოიწვია 1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის დაშლა და მის ნაცვლად 15 დამოუკიდებელი და 4 თვითგამოცხადებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

1985 წლიდან მ. გორბაჩივმა დაიწყო „გარდაქმნის პოლიტიკა“, რის შედეგად გაიზარდა მოსახლეობის პოლიტიკური აქტიურობა, ჩამოყალიბდა მასობრივი, მათ შორის ეროვნული მოძრაობები და ორგანიზაციები. ქვეყანაში საბჭოთა სისტემის რეფორმაციის მცდელობამ მოახდინა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის გაღრმავება. საბჭოთა კავშირის დაშლა მიმდინარეობდა უმწვავესი ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული პრობლემების ფონზე. საბჭოთა კავშირმა დაკარგა კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაში, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაჩაღდა რამდენიმე ეთნიკური კონფლიქტი, მათ შორის აფხაზეთში. ამ ტერიტორიაზე ზეგავლენის ფორმალური შენარჩუნების მიზნით რუსეთის იმპერიალისტური ძალების მიერ ინსპირირებული შეიარაღებული დაპირისპირებების შედეგად მოხდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების იურისდიქციას დაუმორჩილებელი სეპარატისტული რეჟიმის ფორმირება, სადაც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ფულის გათეთრებისათვის.

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ექსტრემისტული და სეპარატისტული მოძრაობების შედეგად შექმნილი, ე.წ. თვითგამოცხადებული „სახელმწიფოების“ არსებობა, არა მარტო ცალკეულ რეგიონებში, არამედ მთელ მსოფლიოში არასტაბილური და არაკონტროლირებადი ვი-

თარების ჩამოყალიბების ერთგვარი კატალიზატორის როლის მატარებელია. რადგან ასეთი ტერიტორიები კრიმინალური საქმიანობის გააქტიურების, დანაშაულებრივი მიზნებისათვის განკუთვნილი ფინანსური სახსრების თავისუფალი ბრუნვისა და სხვა უკანონო ქმედებათა ეპიცენტრებად არის ტრანსფორმირებული. აღნიშნულს ადასტურებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვ. პუტინის 2006 წლის 10 მაისს ფედერალური კრების წინაშე გამოსვლისას ნარმოთქმული სიტყვა, რომლის შესაბამისად: „Весьма значительной остается террористическая угроза, причем существенной подпиткой для террористов, источником их вооружений и полем для практического применения сил остаются локальные конфликты, зачастую на этнической почве“.<sup>1</sup>

კრიმინალური ეკონომიკის შედეგების დაძლევის პრევენციისთვის, მნიშვნელოვანია ფინანსურ ქმედებათა საერთაშორისო ორგანიზაციის FATF-ის მიერ იმ ქვეყნებში, სადაც დამნაშავეთა სამყარო აქტიურად ახორციელებს უკანონო შემოსავლების ლეგალიზების პროცესს, არსებული რეალობის შესწავლა და მათი შედეგების აღმოფხვრა. ამ მიზნით FATF-ის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან შეთანხმებით შემუშავებულია მეთოდიკა, რომლის გამოყენებითაც დგინდება ე.წ. არაკონტროლირებადი ზონების ჩამონათვალი. ამ მეთოდიკის გამოყენების ეფექტიანობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ აღნიშნული ჩამონათვალის „შავ სიაში“ ბოლო პერიოდებში მხოლოდ ორი ქვეყანა: მიანმარი (ბირმა) და ნაურუ შევიდა. აღბათ ესეც არის იმის ერთ-

---

<sup>1</sup> В. Путин. Послание Федеральному Собранию Российской Федерации. 10 мая 2006 года. Москва, Кремль, Мраморный зал. <http://president.Kremlin.ru/text/appears/2006/05/105546.shtml>.

ერთი მოტივი, რომ ნაურუმ აღიარა მისთვის ეკონომიკურად მონათესავე კრიმინალური აფხაზეთი.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რიგი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე იმპერიის შენარჩუნების-თვის მებრძოლი ძალების მიერ ინსპირირებულ იქნა შეიარა-ღებული კონფლიქტები, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურები და შეიარაღებული ძალები. შედეგად აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და საქარ-თველოს ტერიტორიებზე კრემლის სამხედრო-შეიარაღებუ-ლი და ეკონომიკური შეჭრის შედეგად ჩამოყალიბდნენ თვითგამოცხადებული ე.ნ სახელმწიფოები.

საბჭოთა იმპერიის ნგრევის პროცესში უმძიმეს მატე-რიალურ და ფინანსურ მდგომარეობაში მყოფმა საბჭოთა გე-ნერალიტეტის, პოლიტიკური ავანტიურისტებისა და კრიმი-ნალური ორიენტაციის პირვენებათა ინტერესების სრულმა თანხვედრამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები შეუქმნა კრი-მინალური ორიენტაციის მქონე პირებსა და მათ დაჯგუფე-ბებს, გამოყენებინათ საკუთარი ინტერესების რეალიზები-სათვის აფხაზეთის ეკონომიკა. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ამ თვითგამოცხადებულ სახელმწიფოებში მართულმა მოვლენებმა შესაძლებელი გახადა პოლიტიკური კონ-ფლიქტების შენარჩუნება და გაღვივება, რაც ქმნის ფინან-სური დანაშაულებების მკვებავ გარემოს.

ზემოაღნიშნული ძალების მიერ საქართველოს ისტო-რიულ ტერიტორიაზე ინსპირირებულ საომარ მოქმედებებში აფხაზეთის მოსახლეობის ჩაბმამ აღნიშნული რეგიონი იარა-ღითა და დევნილი მოსახლეობის ქონებით უკანონო ვაჭრო-ბის, ტერორისტთა თავშესაფრად, ნარკოტიკების ტრანზი-ტის, კონტრაბანდის და უკანონო შემოსავლების ლეგალიზე-ბის (ფულის გათეთრების) ეპიცენტრად ჩამოყალიბა.

საწარმოო ინფრასტრუქტურის ნგრევისა და ტრადი-ციული ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების მოშლის შე-

დეგად განადგურებული ეკონომიკის, აგრეთვე კვალიფიცი-  
რებული შრომითი რესურსების უდიდესი ნაწილის იძულები-  
თი დეპორტირებისა და სხვა ნეგატიური ფაქტორების ზე-  
მოქმედებით ეკონომიკური კოლაფსის მდგომარეობაში  
მყოფი აფხაზეთის კორუმპირებულ ხელისუფლებას რეგიონ-  
ში დარჩენილი მოსახლეობის ელემენტარული მოთხოვნილე-  
ბების<sup>2</sup> დაკამაყოფილების არც შესაძლებლობა და არც სურვი-  
ლი არ გააჩნია. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აფ-  
ხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი, საერთაშორისო თანამე-  
გობრობის შეცდომაში შეყვანისა და საკუთარი ინტერესების  
შენიღბული ფორმით რეალიზების მიზნით, ქმნის და აფიქსი-  
რებს ფსევდოსახელისუფლებლო სტრუქტურებს. კერძოდ,  
რეგიონებიდან მკვიდრი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის  
იძულებით დეპორტირების პირობებში ყოვლად უკანონოდ  
და ციინიკურად ცდილობს შექმნას საპრეზიდენტო და საპარ-  
ლამენტო არჩევნების იმიტაცია, იღებს კანონებს, ნიშნავს  
მინისტრებს და სხვა ფუნქციონერებს, რომელთა უმთავრეს  
მიზანს სეპარატისტული რეჟიმების არსებობის შენარჩუნება  
და საკუთარი მიზნების დასაკამაყოფილებლად რუსეთიდან  
მეტი ოდენობის ფინანსური სახსრების მობილიზება წარმო-  
ადგენს.

სეპარატისტული რეჟიმების ხელმძღვანელების აღ-  
ნიშნული მისნრაოება, ერთი შექედვით, სავსებით ლოგიკუ-  
რად შეიძლება მივიჩინოთ. თუმცა თუ მხედველობაში მივი-  
ღებთ აღნიშნული რეგიონების გეოგრაფიულ მდებარეობას,  
კერძოდ ტერორიზმისა და ტერორისტების მოქმედების არე-  
ალად ქცეულ, რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ

<sup>2</sup> აფხაზეთში ყველაზე სერიოზული პრობლემაა სპეციალისტების, კერძოდ, ექიმების ნაკლებობა ტყვარჩელის, ოჩამჩირის, გალის რაიო-  
ნებში. სოხუმში არის ერთი ნეიროქირურგი და ოტოლარინგოლოგი,  
რომლებიც ატარებენ ოპერაციებს. 1880 ქალიდან, რომლებმაც იმშო-  
ბიარეს 2009 წელს, პრაქტიკულად 500-მდე ქალმა მშობიარობამდე არ  
მიაკითხა ქალთა კონსულტაციას. <http://www.apsnypress.info/archiv.htm>

კავკასიის რეგიონებთან ტერიტორიულ სიახლოვეს და ამ რეგიონებში არსებულ საერთო ეკონომიკურ სიტუაციას, მაშინ ცხადი გახდება ფულის გათეთრების თვალსაზრისით რაოდენ დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ისინი.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების მოპოვება და ანალიზი თვით რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისათვისაც პრაქტიკულად შეუძლებელია, რის გამოც სეპარატისტულ რეგიონებში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ კანონმდებლობაზე იქნება აქცენტირებული.

### 3.4 რუსეთის მიერ აფხაზეთის ექსპანსიის ეკონომიკური საფუძვლები

აფხაზეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ექსპანსიას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და მისი საფუძველი ჩაიყარა 1783 წელს, მაშინ როდესაც რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და დაიწყო საქართველოს ტერიტორიების ანექსია, მათ შორის 1810 წელს — აფხაზეთისა. ჯერ კიდევ 1864 წელს კავკასიაში მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხელ რომანოვმა შეადგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც ტერიტორია მდინარეების ყუბანის სათავეებიდან ენგურამდე კაზაკთა და რუსთა სტანიცებით უნდა დასახლებულიყო. საბჭოთა პერიოდში, 1921 წელს ცკ-ს ბიუროს მდივანი ს. კიროვი მოითხოვდა, რომ „არ არის საჭირო გახსნილად დავესხათ თავს საქართველოს, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთსა და აჭარაში, შევუქმნათ საქართველოს შიდა პრობლემები, რომლებიც წელში გაწყვეტენ მას“<sup>3</sup>. 1961 წელს ცკ-ს მდივანი მ. სუსლოვი მოითხოვდა:

<sup>3</sup> С. Лакоба. Крилилис дни в Сухум-Кале. 1988.

„ქართველებთან ბრძოლა აფხაზეთით უნდა დავიწყოთ, უნდა დავარწმუნოთ ყველა, რომ ქართველები აფხაზეთში ჩამოსახლებულები არიან. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთ საქართველოს“<sup>4</sup>.

აფხაზებსა და ქართველებს ერთობლივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. საუკუნეების განმავლობაში ისინი თანაბრად იზიარებდნენ გარეშე და შინაური მტრების მიერ მიყენებულ ტკივილს თუ საერთო გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს. ქართველი და აფხაზი ხალხის თანაცხოვრებისა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლის არაერთი მაგალითი არსებობს.

ყოველივე ეს აისახა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ეხება ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობას. კერძოდ, კონსტიტუციის მეთერთმეტე თავში გამოცხადებულია ავტონომიური მმართველობა „აფხაზეთში (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოში (ბათუმის მხარე) და ზაქათალაში (ზაქათალას ოლქი)“, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებადა აღიარებული (მუხლი 107).

ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები ყოველთვის იყო გათვალისწინებული საქართველოში. ამაზე მეტყველებს ჯერ კიდევ 1918 წლის 13 სექტემბერს მიღებული კანონი „საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც აფხაზებს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის გათვალისწინებული 26 ადგილიდან ჰქონდათ 3 ადგილი.

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია. იმავე წლის 4 მარტს

<sup>4</sup> ЦИАГ, Ф. 1874. оп. 1, д. 4. лл 1-7 об

შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; 16 დეკემბერს აფხაზეთის სსრ-მ მიიღო ე.წ. ხელშეკრულებითი რესპუბლიკის სტატუსი და, ფაქტობრივად, შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. 1931 წელს საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილებით აფხაზეთი იქცა ავტონომიად საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, სამართლებრივი მდგომარეობა ფიქსირებულ იქნა სსრ კავშირის 1936 წლის, საქართველოს სსრ 1937 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1937 წლის კონსტიტუციებში, შემდეგ კი — სსრ კავშირის 1977 წლის, საქართველოს სსრ 1978 წლისა და აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციებში. ამიტომ უსაფუძვლოა აფხაზი სეპარატისტების ცდები, ბოლშევკიური მანიპულაციების შედეგად რამდენიმე წლის განმავლობაში აფხაზეთისათვის ავტონომიის სტატუსის შეცვლის ფაქტის საფუძველზე გამოაცხადონ აფხაზეთი ისტორიულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ჩამოაშორონ საქართველოს მისი განუყოფელი ნაწილი.

აფხაზური სეპარატიზმი საბჭოთა წლებში იძენს ორგანიზებულ ხასიათს. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ერთ-ერთი სერიოზული გამწვავება ემთხვევა სსრკ-ის 1978 წლის კონსტიტუციის მიღების პერიოდს და მისი საბაბი ხდება აფხაზეთის სტატუსის საკითხი. 1985 წლიდან დაწყებულმა „პერესტროიკად“ წოდებულმა პროცესებმა ქართველ ერს საშუალება მისცა ეწარმოებინა ღია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ცხადია, მას მკვეთრად დაუპირისპირდა ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურება.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოუკიდებლობა. 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მიიღო დეკლარაცია საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საქართველო იყო პირველი რესპუბლიკა, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა რუსული აგრესია. ამ აგრესის მეტ-ნაკლებად შეკავებისა და გამოსავლის პოვნის მიზნით, ქართული მხარე მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა: 1991 წლის 9 ივლისს მიღებულ იქნა აფხაზეთის ახალი საარჩევნო კანონი. ამ კანონის მიხედვით აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა დაეთმო უმცირესობას:

- მოსახლეობის 47 % (ქართველები) პარლამენტში წარმოდგენილ იქნა 26 დეპუტატით;
- 17 % (აფხაზები) - 28 დეპუტატით;
- დანარჩენი (სხვადასხვა ეთნიკური მოსახლეობა) - 11 დეპუტატით;

ამავე კანონით განისაზღვრა, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო აფხაზი, რომელსაც ეყოლებოდა ორი მოადგილე - ერთი ქართველი და ერთი სხვა ეროვნებისას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კი დაინიშნებოდა ქართველი.

ამ დათმობების მიუხედავად, აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობა უამრავ არაკანონიერ ქმედებას ახორციელებდა, იღებდა ანტიკანონსტიტუციურ სამართლებრივ აქტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის ტერიტორიაზე იურიდიული ძალის არმქონედ და გაუქმებულად გამოცხადდა საქართველოს კანონები. სეპარატისტული „კანონშემოქმედებითი“ საქმიანობის უკანასკნელი გამოვლინება იყო 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახ-

მადაც შეწყდა აფხაზეთის ასარ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღდგენილ იქნა აფხაზეთის სასრ 1925 წლის კონსტიტუციია.

ალსანიშნავია, რომ ამ ე.წ. კონსტიტუციის ამოქმედება საბჭოთა რეჟიმის პირობებშიც კი არ მომხდარა. თავის დროზე აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობამ გადაწყვიტა, დაესრულებინა წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი და შესაბამისობაში მოეყვანა საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებთან. კონსტიტუციის ტექსტი, რომელიც განხილულ იქნა აფხაზეთის საბჭოების მესამე ყრილობის მიერ, არ გამოქვეყნებულა.

1925 წლის კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთის სსრ მოსახლე ყველა ეროვნებისათვის უზრუნველყოფილი იყო მშობლიური ენის თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების უფლება როგორც თავის ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო-სახელმწიფო დაწესებულებებში, აფხაზეთის სსრ სახელმწიფო დაწესებულებათა ენად კი აღიარებულ იქნა რუსული. აფხაზეთის 1994 წლის კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის სახელმწიფო ენად გამოცხადდა აფხაზური, ხოლო რუსული ენა აფხაზურის თანაბრად იქნა აღიარებული სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ენად. ქართული ენა ფაქტობრივად აიკრძალა. მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში კვლავ აისახა საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციის პრინციპი, რომელიც დარჩა ამ კონსტიტუციის მოქმედების დასრულებამდე და აფხაზეთში, ქართულთან ერთად, სახელმწიფო ენად გამოცხადდა აფხაზური ენა.

90-იანი წლების დასაწყისში არსებულმა დაძაბულმა სიტუაციამ მიგვიყვანა იქამდე, რომ 1992 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე დაიწყო საომარი მოქმედებები ქართულ და აფხაზურ, ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულ მებრძოლებსა და რუსეთის რეგულარულ შენაერთებს შორის. შედეგად

მივიღეთ საქართველოს ოკუპაცია და ანექსია, საზღვარი მდ. ენგურთან და აფხაზეთიდან გაძევებული 250 ათასამდე ქართველი. 1993 წელს შეწყდა აქტიური საომარი მოქმედებები, მაგრამ ეთნიკური წმენდა და გენოციდი დღემდე გრძელდება.

ეუთო-ს შეხვედრებზე მონაწილე სახელმწიფოებმა არაერთხელ გამოთქვეს თავიანთი ღრმა შეშფოთება „ეთნიკური წმენდის“, მოსახლეობის, განსაკუთრებით ქართველთა, თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და უდანაშაულო მოქალაქეთა დიდი რაოდენობით მოსახლეობის გამო (ეუთო-ს 1994 წლის 6 დეკემბრის ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუცია; 1996 წლის 3 დეკემბრის ლისაბონის შეხვედრის დეკლარაცია; 1999 წლის 17-18 ნოემბრის სტამბოლის შეხვედრის დეკლარაცია). კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 10 ათასზე მეტი მშვიდობიანი ქართველი და ასეულობით უგზო-უკვლიდ დაიკარგა. დაიჭრა და დასახირდა 10 ათასამდე კაცი-გაძევებულ იქნა 300 ათასზე მეტი ადამიანი, აქედან, 50-60 ათასი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. დაიწვა, გაიძარცვა და განადგურდა 25 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, მრავალი სკოლა, ბაგა-ბაღი, კულტურის ცენტრი, ეკლესია, ხუროთმოძღვრებისა და ისტორიული ძეგლი, საავადმყოფო, საწარმო და ა.შ.

რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიამ და იქ განხორციელებულმა ეთნიკურმა წმენდამ კარდინალურად შეცვალა ამ კუთხის დემოგრაფიული სურათი. დღეს სეპარატისტული რეჟიმი არსებობს მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის ხარჯზე და პრობლემის მოუგვარებლობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სწორედ ამ ქვეყანას, რომელსაც არ სურს და არც შეუძლია შუამავლის ფუნქციების შესრულება.

საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობა-

რი ქვეყნების როლის მნიშვნელოვან გაზრდას, სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლას და აფხაზურ მხარესთან პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოებას. ამდენად, ის, რაც დაიწყო მეფის რუსეთმა და საბჭოთა იმპერიამ, დააგვირგვინეს ელცინმა და პუტინმა 1993 და 2008 წლებში საქართველოს ტერიტორიის -აფხაზეთის ოკუპაციითა და მათი ფაქტობრივი ანექსით.

სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის შემდეგ ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთმა დაიწყო მათი ეკონომიკური და-კაბალება, ისტორიულად შორეული გეგმის ფართო მასშტაბით რეალიზაცია, რაც აფხაზეთის ეკონომიკის ცალკეული სფეროების მიხედვით აისახა დღეს უკვე არსებულ რეალობაში.

### **3.5 ფულის გათეთრების ინსტიტუციური საფუძვლები ოკუპირებულ აფხაზეთში**

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზების (ფულის გათეთრების) შესაძლებლობათა არსებობის უმთავრეს ობიექტს საფინანსო სფერო და ამ სფეროს მარეგლამენტირებელ კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით უაღრესად, საყურადღებოა აფხაზეთის თვითგა-მოცხადებული რესპუბლიკის ე. წ. სახალხო ყრილობის მიერ 1998 წლის 28 დეკემბერს მიღებული ე. წ. კანონი “აფხაზეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ”. სეპარატისტული რეჟიმის მიერ შექმნილი ეროვნული ბანკის (აფხაზეთის ბანკის) ფორმალურ და “კურიოზულ” ხასიათს ცალსახად ადასტურებს აღნიშნული კანონის ისეთი დებულებები, რომელთა თანახმად, აფხაზეთის ბანკის ძირითად მიზნებს მხოლოდ ფულის მიმოქცევის მდგრადობის უზრუნველყოფა-დაცვა,

საბანკო სისტემის გაძლიერება და ანგარიშსწორების სისტემის ეფექტური და უწყვეტი ფუნქციების უზრუნველყოფა განეკუთვნება.

აფხაზეთის ბანკი, როგორც ცენტრალური-საემისიო ბანკი, არის სუროგატი<sup>5</sup>. აფხაზეთის კანონით, ამ ბანკს არ ევალება კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საქმიანობაზე საერთაშორისო სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისი მოთხოვნების დაწესება, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანნობად განაპირობებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესაძლებლობების თვალსაზრისით რეგიონში შექმნილი მეტად სახიფათო სიტუაციის არსებობას.

შექმნილ სიტუაციას კიდევ უფრო აბსურდულს ხდის აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და 29-ე მუხლების დებულებები, რომელთა შესაბამისად, აფხაზეთის ბანკის ერთ-ერთ ფუნქციას ნაღდი ფულის ემისიისა და მისი მიმოქცევის ორგანიზება წარმოადგენს<sup>6</sup>, მაშინ როდესაც კანონის 27-ე მუხლით აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის ოფიცია-

---

<sup>5</sup> Surogatus - სხვის ნაცვლად მოთავსებული, რამის შემცვლელი, რომელსაც ნამდვილი საგნის მხოლოდ ზოგიერთი თვისება აქვს, ყალბი, ფალსიფიცირებული რამ.

<sup>6</sup> «Банк Абхазии выполняет следующие функции: 2) осуществляет эмиссию наличных денег и организует их обращение» (Статья 4); «Эмиссия наличных денег, организация их обращения и изъятия из обращения на территории Республики Абхазия может быть осуществлена исключительно Банком Абхазии или с его согласия» (Статья 29). Закон Республики Абхазия. О Национальном банке Республики Абхазия (Банке Абхазии). (С изменениями и дополнениями от 3 июня 2000 г., №577-с-XIII, 18 января 2002 г., №666-с- XIII, 6 февраля 2003 г., №750-с-XIV) г. Сухум 4 января 1999 г. №475-с- XIII.

ლურ ფულად ერთეულად (ვალუტად) ერთდროულად რუსული რუბლი და ამერიკული დოლარი არის გამოცხადებული<sup>7</sup>.

სრულიად გაურკვეველია, როგორ უნდა მოახერხოს აფხაზეთის ბანკმა მისთვის კანონით დაკისრებული ნაღდი ფულის, ანუ რუსული რუბლისა და აშშ დოლარის ემისიის ორგანიზება. მით უმეტეს, მაშინ როდესაც “რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის (რუსეთის ბანკის) შესახებ” რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რუსული რუბლის ემისია რუსეთის ბანკის მონოპოლიურ უფლებათა კატეგორიას არის მიკუთვნებული.<sup>8</sup>

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ხელისუფლების მიერ მიღებული ამ ე. წ. კანონის დებულებები არა მარტო გაუმართავი და უსაფუძვლო, არამედ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის “ხელმძღვანელობის” სტილისათვის დამახასიათებელი - სუვერენული სახელმწიფოების (ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის) კომპეტენტურ ორგანოთა პრეროგატივას მიკუთვნებულ საკითხთა სრულიად უაპელაციოდ ხელყოფის ნიშნითაც გამოირჩევა, რაც სხვა გარემოებებთან ერთად არის იმის მანიშნებელი, რომ ამ ტერიტორიაზე კანონების მიღება ხდება არაპროფესიონა-

---

<sup>7</sup> «Официальной денежной единицей (валютой) Республики Абхазия являются российский рубль и доллар США. Один рубль состоит из 100 копеек, один доллар США — из 100 центов». (Статья 27). Закон Республики Абхазии “ О Национальном Банке Республики Абхазия (Банке Абхазии)”.

<sup>8</sup> «Банк России выполняет следующие функции: 2) монопольно осуществляет эмиссию наличных денег и организует наличное денежное обращение» (Статья 4). Российская Федерация. Федеральный Закон и Центральном банке Российской Федерации (банке России). (в ред. Федеральных законов от 10.01.2003 №5-фз, от 23.12.2003 №180-фз, от 29.06.2004 №58-фз, от 29.07.2004 №97-фз).

ლურად, რაც ხელს უწყობს ბანკების თავისუფალ, უკონტროლო საქმიანობას.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებთან ერთად, დოკუმენტის რიგი დებულებები იმდენად ურთიერთსანინააღმდეგო ხასიათისაა, რომ აბსოლუტურად გამორიცხავს ამ ე.ნ. კანონის პრაქტიკული გამოყენების ყოველგვარ შესაძლებლობას. აღნიშნულს ადასტურებს დოკუმენტის თუნდაც 27-ე და 30-ე მუხლების დებულებათა ურთიერთშედარება, კერძოდ, 27-ე მუხლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ აშშ დოლარი რუსულ რუბლთან ერთად მიკუთვნებულია გადახდის კანონიერ საშუალებათა კატეგორიას. ეს კანონი კრძალავს მისი გადახდის საშუალებად გამოყენებას საცალო ვაჭრობაში.

საცალო და საბითუმო ვაჭრობის ფორმების ურთიერთგამიჯვნის სრულ გაურკვევლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, აღნიშნული მუხლი სავსებით ეწინააღმდეგება ამავე დოკუმენტის 30-ე მუხლის დებულებას, რომლის თანახმადაც, რუსეთის ბანკის ბანკნოტები (საბანკო ბილეთები) და აშშ დოლარები წარმოადგენენ გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებას და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადახდის ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში ნომინალური ღირებულებით.<sup>9</sup>

შექმნილ სიტუაციას კიდევ უფრო გაურკვეველს ხდის დოკუმენტის 51-ე მუხლისა და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“ ე. ნ. აფხაზეთის კანონის მე-5 მუხლის ფორმულირებები, რომელთა თანახმად, აფხაზური ბანკის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს აფხაზეთის რესპუბლიკის

---

<sup>9</sup> При этом доллар США не может быть использован в качестве средства платежа в системе розничной торговли (Статья 27). Закон Республики Абхазия. О Национальном банке Республики Абхазия (Банке Абхазии) (с изменениями и дополнениями от 3 июня 2000 г., №577-с XIII, 18 января 2002 г., №666-с XIII, 6 февраля 2003 г., №750-с XIV) г. Сухум 4 января 1999 г., №475-с XIII.

ოფიციალურ ვალუტის უცხოურ ვალუტებთან კოტირების შედეგების გავრცელება.<sup>10</sup>

აფხაზეთის ე. წ. ეროვნული ბანკის კანონმდებლობით, ყველა საბანკო და სხვა გარიგებები ხორციელდება აფხაზეთის რესპუბლიკის ოფიციალური ვალუტით, ხოლო აფხაზეთის ბანკის სათანადო ლიცენზიის არსებობისას — უცხოური ვალუტით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ ე. წ. კანონების ტექსტებში საერთოდ არ არის განმარტებული, რა ითვლება ან რა შეიძლება ჩაითვალოს „აფხაზეთის რესპუბლიკის“ ოფიციალურ ვალუტად და იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის ეროვნული ბანკის შესახებ ე.წ. კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად აშშ დოლარი და რუსული რუბლი მხოლოდ გადახდის კანონიერ საშუალებებად და არა აფხაზეთის ოფიციალურ ვალუტად არიან მიჩნეულნი, სრულიად გაურკვეველია აფხაზეთის რომელ ოფიციალურ ვალუტასთან კოტირებას გულისხმობს კანონის ეს დებულება.

ზემოაღნიშნულ ე. წ. კანონის ტექსტში არსებული სხვა მრავალი აბსურდული დებულებებისა და ნაკლოვანებების განხილვის გარეშეც აბსოლუტურად ცხადია ის გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტის არსებობა მხოლოდ შორსმიმავალი, ყოვლად უსაფუძვლო პოლიტიკური და გარკვეული წრეების ეკონომიკური მიზნებით არის მოტივირებული და ის ისევე, როგორც სეპარატისტული ხელისფლებების მიერ მიღებული სხვა კანონები, გადაწყვეტილებები თუ ხელმოწერილი შეთანხმებები, ფორმალურ დოკუმენტად არის ქცეული, აბსოლუტურად არ შეესაბამებიან აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ რეალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოცია-

<sup>10</sup> «Банкноты (банковские билеты) и монета Банка России, а также доллары США являются единственным законным средством платежа на территории Республики Абхазия. Они обязательны к приему по нарицательной стоимости при всех видах платежей». (Статья 30). Закон Республики Абхазия. О Национальном Банке Республики Абхазия (Банке Абхазия).

ლურ სიტუაციას და არ შეიძლება მარეგულირებელ ნორმად იქნეს მიჩნეული.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, აფხაზური მხარის მიერ მათი მიღების (ხელმოწერის) უმთავრეს დანიშნულებას სეპა-რატისტული რეჟიმის არსებობის გახანგრძლივება და მაქსი-მალურად დიდი ოდენობის ფინანსური რესურსების მობილი-ზება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, აფხაზეთის ეროვნუ-ლი ბანკის ე.ნ. კანონის ერთადერთ მოქმედ ნორმად მე-19 მუხლის დებულება უნდა მივიჩნიოთ, რომლის თანახმადაც, აფხაზეთის ბანკი მონაწილეობს აფხაზეთის მთავრობის მი-ერ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში.<sup>11</sup> თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აფხაზეთის რეჟიმი ახორციე-ლებს პოლიტიკას, რომელიც არ შეესაბამება ტერორიზმის დაფინანსებისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს და სტანდარტებს, მაშინ ადვილია იმის აღიარებაც, რომ აფ-ხაზეთის ბანკები და მათ შორის აფხაზეთის ე. ნ. ცენტრალუ-რი ბანკი თავისუფლად არიან ჩართული ასეთი პოლიტიკის განვითარებაში.

**აფხაზეთში ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლე-ბისა და ინვესტირების მოზიდვის ინსტიტუციური საფუძ-ვლები**

შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად რეგიონიდან ქართველი მოსახლეობის იძულებითი დეპორტირების შემ-დგომ, ინტელექტუალური, მატერიალური და სხვა საწარმოო

---

<sup>11</sup> «Банк Абхазии распространяет официальные котировки иностранных валют по отношению к официальной валюте Республики Абхазия». (Статья 51). Закон Республики Абхазия. О Национальном банке Республики Абхазия (Банке Абхазии). (с изменениями и дополнениями от 3 июня 2000 г., №577-с-XIII, 18 января 2002 г., №666-с-XIII, 6 февраля 2003 г., №750-с-XIV, г. Сухум 4 января 1999 г. №475-с-XIII).

პოტენციალისგან მნიშვნელოვნად დაცლილი რეგიონისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა ეკონომიკური კოლაფსის თავიდან აცილება. შექმნილ სიტუაციაში თვითმარქვია ხელისუფლების მიერ რეგიონში ეკონომიკური აქტივობის გამოცოცხლებისა და ინვესტირების მოზიდვის მიზნით გადადგმულ იქნა გარკვეული ნაბიჯები, რისთვისაც მიღებულ იქნა ეკონომიკური სფეროს მარეგლამენტირებელი დოკუმენტები, რომელთა უმთავრეს მიზანს უკანონო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მაქსიმალურად ლიბერალური, პრაქტიკულად უკონტროლო სამეწარმეო გარემოს დეკლარირება წარმოადგენდა. აღნიშნულს ადასტურებს სეპარატისტული ხელისუფლების მიერ მიღებული ზოგიერთი ისეთი სამართლებრივი დოკუმენტები, როგორიცაა: „უცხოური ინვესტიციების შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“ და „პრივატიზების შესახებ“ ე. წ. კანონები.

აღნიშნულ აქტებში არსებული დებულებების თანახმად რეგიონში მეწარმედ რეგისტრირების უფლება აქვთ „აფხაზეთის რესპუბლიკის“ და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს<sup>12</sup>, რისთვისაც საკმარისია სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილის მქონე პირის ან პირთა ჯგუფის განცხადება, დამფუძნებელთა ხელშეკრულება, წესდება, რომელშიც დაფიქსირებული უნდა იყოს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფირმა, სა-

<sup>12</sup> Субъекты предпринимательства: Субъектами предпринимательской деятельности в Республике Абхазия могут являться — граждане Республики Абхазия и других государств, а также лица без гражданства» (Статья 2) Закон Республики Абхазия “ О предприятии и предпринимательской деятельности” (текст печатается в новой редакции с изменениями и дополнениями от 30 июня 1992 г., №99-XII-с, 5 января 1995 г., №198-с, 29 сентября 1995 г., №227-с, 23 октября 1997 г., №380-с-XIII, 29 июня 1998 г., №443-с-XIII, 13 апреля 1999 г., №499-с-XIII, 30 декабря 2002 г., №736-сXIV) г. Сухуми 17 апреля 1992 г., 63-XII-с.

ხელწოდება, მისამართი, მართვისა და კონტროლის ორგანოები, მოგების განაწილებისა და საწარმოო ფონდების შექმნის წესი, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პირობები და სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი<sup>13</sup>. აღნიშნული გარემოება, ერთი შეხედვით, არ წარმოადგენს განსაკუთრებული განსჯის ობიექტს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ რეგიონში მოქმედი ეს ე.წ. კანონი სამეწარმეო საქმიანობის მსურველ პირებს არ ავალდებულებს, რეგისტრაციისას მარეგისტრირებულ ორგანოში დააფიქსირონ უკანონო შემოსავლის ლეგალიზებასთან ბრძოლის თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი მონაცემები, როგორიცაა: ყოველი დამფუძნებელი (პარტნიორი) ფიზიკური პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია - საწესდებო კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ, აგრეთვე ყველა დირექტორის, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას — სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე მისი წარმომადგენლ(ებ)ის მონაცემე-

<sup>13</sup> Для регистрации предприятия учредитель представляет следующие документы: заявление; устав предприятия, решение о создании предприятия или договор учредителей, квитанцию об уплате государственной пошлины. Статья 30. В уставе определяются организационно-правовая форма предприятия, его название, адрес, органы управления и контроля, порядок распределения прибыли о образования фондов предприятия, условия реорганизации и ликвидации предприятия (Статья 31). Закон Республики Абхазия „О предприятии и предпринимательской деятельности“ (текст печатается в новой редакции с изменениями и дополнениями от 30 июня 1992 г., №99-XII-с, 5 января 1995 г., №198-с, 29 сентября 1995 г., №227-с, 23 октября 1997 г., №380-с-XIII, 29 июня 1998 г., №443-с-XIII, 13 апреля 1999 г., №499-с-XIII, 30 декабря 2002 г., №736-сXIV) г. Сухуми 17 апреля 1992 г., 63-XII-с.

ბი. ეს კი შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს ინკოგნიტოდ დაიწყოს ამ ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის პარალელურად, უკანონო შემოსავლების ლეგალიზების საკმაოდ ხელსაყრელ შესაძლებლობათა არსებობის თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ რეგიონში მოქმედი დოკუმენტის ტექსტში არსებული დებულებები, რომელთა თანახმადაც, უცხოური ინვესტორის სტატუსის მინიჭება ნებადართულია პრაქტიკულად ნებისმიერი მსურველისათვის - უცხოეთის სახელმწიფოებისათვის, უცხოეთის იურიდიული პირებისათვის, უცხოელი მოქალაქეებისათვის, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის. ამ დოკუმენტის თანახმად, რამდენადაც საწარმოს რეგისტრაციისას რეგიონში მოქმედი ე. წ. კანონი „მეწარმეთა შესახებ“ არ ითვალისწინებს მოთხოვნას ყოველი დამფუძნებლის, დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში მყოფი პირების საიდენტიფიკაციო მონაცემების სავალდებულო დაფიქსირების თაობაზე, პრაქტიკულად ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებთან სრულიად შეუსაბამო პირობებში მოახდინონ საწარმოთა რეგისტრაცია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ „კანონი“ დეკლარირებულად მოითხოვს საწესდებო კაპიტალის არსებობას<sup>14</sup>, რეალურად რეგისტრაციისას წარსადგენ დოკუმენტებში ასეთი სავალდებულო მოთხოვნა არ არსებობს, რაც ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ პრაქტიკულად დანახარჯების გარეშე მოხდეს საწარმოს რეგისტრაცია. ამდენად, რეგიონში პიროვნე-

<sup>14</sup> «При регистрации юридических лиц с иностранными инвесторами уставной фонд должен составлять не менее суммы, эквивалентной 2000 долларов США» (Статья 15). Закон Республики Абхазия “Об иностранных инвестициях в Республике Абхазия”.

ბისა და ფირმების იდენტიფიკაციისა და დანახარჯების გარეშე საწარმოს რეგისტრაციით იქმნება მეტად სასურველი წინაპირობები უკანონო შემოსავლების შემდგომი ლეგალიზაციისათვის.

არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ სეპარატისტული ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი აფხაზეთის ტერიტორია პრაქტიკულად თავისუფალ ეკონომიკურ ზონას წარმოადგენს ნებისმიერი არარეზიდენტისათვის (მათ შორის უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ფულის გათეთრების თვალსაზრისით მეტად საეჭვო „ინვესტორებისათვის“), რადგან აღნიშნული დოკუმენტის თანახმად:

- საწარმოები, რომელთა საწესდებო ფონდის 30 და მეტი პროცენტი მიეკუთვნება უცხოურ ინვესტიციებს, თავისუფლდებიან საკუთარი პროდუქციის (სამუშაოების მომსახურების) ექსპორტ-იმპორტისათვის დაწესებული სალიცენზიონ ვალდებულებებისგან;<sup>15</sup>
- უცხოელი ინვესტორის მიერ ერთობლივ ან მთლიანად მის საკუთრებაში არსებული საწარმოს საწესდებო ფონდში შესატანი ქონება თავისუფლდება საიმპორტო გადასახადისა და საბაჟო მოსაკრებლის გადახდისაგან.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები, რომელთა საწესდებო კაპიტალის 30 პროცენტზე მეტი შექმნილია უცხოური ინვესტიციებით, აღნიშნული დოკუმენტის

<sup>15</sup> «Предприятия с иностранными инвестициями, в уставном фонде в котором иностранные инвестиции составляют 30 и более процентов, вправе без лицензий экспортirовать продукцию (работы, услуги) собственного производства. Предприятие с иностранными инвестициями вправе без лицензий осуществлять импорт продуктов (работ, услуг) для собственной хозяйственной деятельности» (Статья 23); Закон Республики Абхазия. Об иностранных инвестициях в Республике Абхазия.

თანახმად, სარგებლობენ რიგი საკმაოდ მნიშვნელოვანი სხვა საგადასახადო შეღავათებით.

უკანონო ხელისუფლების მიერ მიღებული ზემოაღნიშნული და სხვა „საკანონმდებლო აქტები“ მეტყველებენ რეგიონში ფინანსური ნაკადების მოზიდვის, ერთი შეხედვით, მიზანდასახულ მისწრაფებაზე. თუმცა თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის ე.წ. ხელისუფლების მიერ მიღებული „ლიბერალური“ ნორმები სცილდება აღიარებულ სამართლებრივ მოთხოვნებს და ხელს უწყობს კრიმინალურ, ფარულ მეწარმეობას, ამიტომ ეს რეგიონი ჩამოყალიბდა დანაშაულებრივი ხასიათის მეწარმეობის ტერიტორიად, რაც საშიშროებას უქმნის საქართველოს და მსოფლიო საზოგადოებას რეგიონში შექმნილი სრულიად უკონტროლო სიტუაციის გამო.

### **აფხაზეთში უკანონო შემოსავლების ლეგალიზების ხელსაყრელი პირობები**

რეგიონის დემილიტარიზაციისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღების თაობაზე რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების მიუხედავად, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ხელმძღვანელობა ქმნის და აიარაღებს პრაქტიკულად კრიმინალურ დაჯგუფებებს<sup>16</sup>. შექმნილ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრირება-

<sup>16</sup> «В усдщвиях, в которых в настоящее время находится Абхазия, не может быть речи о ее демилитаризации», - считает вице-президент Раул Хаджимба, «Четыре тысячи резервистов будут призваны на учения, которые пройдут с 21 по 24 марта». Об этом «Апсныпресс» сообщил начальник Генерального штаба Вооруженных Сил генерал-лейтенант Анатолий Зайцев; «Сегодня, 23 февраля, состоялись учения войск военно-воздушных сил и противовоздушной обороны Абхазия» - Как сообщил «Апсныпресс» начальник Генштаба Генерал-лейтенант Анатолий Зайцев. <http://www.apsnypress.info/archuv.htm>.

ზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსის საპირისპიროდ, საქართველოს ჩრდილოელი მეზობლის მიერ მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებები ასტიმულირებს რეგიონში შექმნილი კრიმინოგენული სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმებას და აძლიერებს სეპარატისტული ხელისუფლების დაუსჯელობის სინდრომს. აღნიშნულს ადასტურებს რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოსთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა შორის გამოვყოფთ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებას. აღნიშნული გადაწყვეტილების უმთავრეს მიზეზად საქართველოდან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ტერორისტების გადასვლა სახელდებოდა. ამ ფონზე უაღრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ გადაწყვეტილების პარალელურად რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის კონტექსტში ასევე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის რეგიონის მცხოვრებ მოქალაქეებზე სავიზო რეჟიმის მოთხოვნების არგავრცელების შესახებ.<sup>17</sup> ეს იმ დროს, როდესაც აღნიშნულ რეგიონებში (განსაკუთრებით აფხაზეთში) სრულიად თავისუფლად და უკონტროლოდ გადაადგილდებიან კრიმინალები. ამას ადასტურებს თუნდაც უახლოეს წარსულში აფხაზეთის რეგიონში ჩრდილო კავკასიაში შექმნილი მილიტარისტული ორგანიზაციის ერთ-ერთი იდეოლოგის, ცნობილი ტერორისტის მუსა

<sup>17</sup> Исключения из режима 06.12.2005 Жители Абхазии и Южной Осетии могут ездить в Российскую Федерацию без виз. Как отмечается в сообщении МИД РФ, со вчерашнего дня въезд в Россию «всех категорий граждан Грузии» разрешается лишь через пограничные КПП для международного сообщения и только по российским визам в национальных паспортах. Такой шаг, подчеркивают в Москве, продиктован необходимостью залатать дыру на российско-грузинской границе, через которую иностранные наемники пробираются в Чечню (Они проникают в Грузию через приграничные азербайджанские села, добираются в район на стыке Чечни и Дагестана и по горным тропам — в Ведено. (<http://www.apsny.ru>).

შანიბოვის სრულიად საჯაროდ, ოფიციალურ დონეზე მიღების ფაქტი.<sup>18</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნული აბსოლუტურად ცხადყოფს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ოკუპირებული რეგიონები, რომელთა არსებობა თავისთავად წარმოადგენდა ძალადობის შედეგს, სადაც სრულიად იგნორირებული იყო და არის მკვიდრი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კანონიერი ინტერესები, სადაც საშიშ მასშტაბებსა აღნევს კონტრაბანდა, აქტიურად მიმდინარეობს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მომზადება და აქედან გამომდინარე - იარაღით ვაჭრობა, რეგიონები, რომელთა გეოგრაფიული მდებარეობა და დაუცველი საზღვრები რუსეთის ხელისუფლების მიერვე ტერორიზმის ეპიცენტრად არის აღიარებული ჩრდილო კავკასიაში, საქართველოს უკონტროლო რეგიონებთან ერთად წარმოადგენ განსაკუთრებული საშიშროების ზონებს, სადაც პრაქტიკულად დაუბრკოლებლად გადაადგილდებიან სხვადასხვა ჯურის კრიმინალები და მათი დაჯგუფებები.

---

<sup>18</sup> On October 2, 1992, Chechen and other North Caucasian volunteers blasted their way into the Abkhaz city of Gagra, on the frontline in Georgia's burgeoning civil war. Basayev was at their lead and, indeed, was soon de facto commander of the volunteer army of the Confederation of the Peoples of the Caucasus, the ideological brainchild of intellectual Musa Shanibov. Forces under Basayev's Control soon outnumbered even the Abkhaz. The volunteers saw action in nearly every major battle in the Abkhaz War, hardened into what Basayev called his "Abkhaz Battalion." The troops would later make up the nucleus of the Chechen armed forces (<http://www.diacritica.com>).

«19 января. Премьер-министр Республики Абхазия Александр Анкваб встретился в бывшим руководителем Конфедерации горских народов Кавказа Мусой Шанибовым». Об этом «Апсныпресс» сообщил в пресс-службе правительства. Муса Шанибов планирует посетить районы, провести ряд встреч в общественностью республики, студентами Абхазского госуниверситета ([www.apsny.ru](http://www.apsny.ru))

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ აღნიშნული რეგიონები სადღეისოდ:

- იმყოფებიან ღრმა ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში;
- უკანონო ხელისუფლებას საკუთარი არსებობის ვადის გასახანგრძლივებლად (მათ შორის შეიარაღებული ფორმირებების უზრუნველყოფისათვის) ესაჭიროება სოლიდური ფინანსური სახსრები;
- ფსევდოეროვნული ბანკებისა და ეკონომიკური სფეროს მარეგლამენტირებელი აპსოლუტურად არაქმედითი, ხშირად კურიოზული (უცხო ქვეყნის ეროვნული ვალუტის ემისიის საკუთარ ფუნქციად მიჩნევა და სხვა ფაქტი)<sup>19</sup> კანონმდებლობისა და მიღებული გადაწყვეტილებების პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია ეკონომიკური აღმავლობის უზრუნველყოფა.

აბსოლუტურად ცხადია, რამდენად საშიშია აღნიშნული ვითარება უკანონო შემოსავლების დაფინანსებისათვის ხელსაყრელი ნიადაგის შესაქმნელად, მით უმეტეს, მაშინ როდესაც, მთელი რიგი გარემოებების (რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა) ზემოქმედებით აღნიშნულ რეგიონებში

<sup>19</sup> საქართველოში 2008 წელს გამოვლენილ იქნა რამდენიმე ფაქტი ცხინვალის (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) რეგიონიდან ყალბი ამერიკული დოლარის გავრცელების შესახებ როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა ე. წ. სამხრეთ ოსეთის სავაჭრო კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც სისტემატურად ავრცელებდა ყალბ მონეტებს. სამინისტროს ინფორმაციით, აშშ-ში ქ. ბალტიმორში და ლოს-ანჯელესში 2008 წელს გამოვლენილ იქნა ცხინვალური წარმომადის ყალბი ფული. ეს ფული ვრცელდებოდა ისრაელშიც. ცხინვალი უნინდებურად არის და რჩება დივერსიული და ტერორისტული აქტების, ნარკოტიკების და ყალბი ფულის გავრცელების ტერიტორიად (МВД Грузии. В Цхинвали имеется более 1 миллиона фальшивых долларов. [www.regnum.ru](http://www.regnum.ru)).

(კერძოდ აფხაზეთის რეგიონში) შექმნილი სიტუაცია სავსებით შესაძლებელია კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების მიერ გამოყენებულ იქნეს ფულის გათეთრების საერთაშორისო დერეფნის სახით.

### **3.6 ოკუპირებული აფხაზეთი, როგორც ფულის გათეთრების საერთაშორისო დერეფნა**

უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის და სხვა ზემოაღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებით აფხაზეთის რეგიონში წლების მანძილზე თითქმის საყოველთაო სახე ეძლეოდა და ეძლევა დანაშაულებრივ ეკონომიკურ საქმიანობას: თვითნებურად მოპოვებული ბუნებრივი რესურსებით, მიტაცებული საწარმოო სიმძლავრეებით, კონტრაბანდული საქონლით, იარაღითა და ნარკოტიკული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობას. თუმცა არსებული რესურსების ამონტურვისა და უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტრაბანდასთან ბრძოლის თვალსაზრისით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გარკვეულწილად შეიცვალა სიტუაცია, მაგრამ უკანონო ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ გაკეთებული განცხადებებისა და აღებული ვალდებულებების საპირისპიროდ, განსაკუთრებული ინტენსივობით განვითარდა დევნილი მოსახლეობის კუთვნილი ქონებით უკანონო ვაჭრობა.

აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ დევნილი მოსახლეობის კუთვნილი ბინების, საკარმიდამო ნაკვეთებისა და მათზე არსებული შენობა-ნაგებობების ექსპროპრიაციის კამპანიას თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ „სახელისუფლებლო“ დონეზე გაკეთე-

ბული განცხადებები და მიღებული გადაწყვეტილებები უმაგრებენ ზურგს.<sup>20</sup>

ასეთი განცხადებების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთის რეგიონში ფართოდ გაშლილი უკანონო ვაჭრობა რეგიონიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის კუთვნილი ქონებით. აღნიშნული ვითარება არის ადამიანთა დიდი ნაწილის კანონიერი უფლებების მასიური დარღვევის ფაქტი. ქონების გაყიდვის თაობაზე განცხადებები კეთდება სრულიად საჯაროდ ინტერნეტის მეშვეობით.<sup>21</sup> განცხადებე-

<sup>20</sup> На пресс-конференции премьер-министр Александр Анкваб Глава правительства опроверг слухи о том, что лицам, ранее выехавшим за пределы республики, возвращают утерянное жилье. Он назвал «парадоксальной» ситуацию с жилищными спорами. По его словам, только в минувшем году в судах разной инстанции было рассмотрено более 100 гражданских дел, где ответчиками выступали близкие родственники беженцев. «Руководители самоуправлений не заинтересованы в наведении порядка с жильем. Это для них — серьезный источник доходов». Суды Абхазии прекращают принимать иски о спорах, возникших из права собственности на жилые помещения, ранее принадлежащие гражданам, покинувших территорию РА до начала, в период или после окончания Отечественной войны народа Абхазии 1992-1993 г.г. и переданных в собственность иди бессрочное пользование гражданам РА. Об этом говорится в постановлении парламента «О регулировании жилищных отношений в целях обеспечения прав граждан Абхазии жильем» Парламент постановил проистановить находящиеся в производстве судов гражданские дела по искам о спорах по данной категории дел, а также исполнение решения судов по искам о спорах по данной категории дел. Администрации городов и районов не должны принимать к рассмотрению документы, поданные непосредственно или по доверенности на оформление жилья лицам, покинувшим Абхазию до начала в период или после окончания войны. (<http://www.apsnypress.info/archiv.htm>).

<sup>21</sup> Продажа Недвижимости: Продажа домов, квартир и земельных участков в Абхазии. Предлагаем широкий спектр услуг по преобретению и законному оформлению (в том числе и иностранным гражданам). Недвижимость в Абхазии Предлагается к продаже любая недвижимость в Абхазии за очень умеренные деньги. Легально (Пицунда, Гагра, Сухуми). (<http://www.apsny.ru>).

ბი კეთდება იმ რეგიონიდან, სადაც საქართველოს იურის-დიქციის გაუვრცელებლობის გამო არ მოქმედებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზების წინააღმდეგ მიმართული კანონ-მდებლობა და, რაც უაღრესად საყურადღებოა, რეგიონი უკიდურეს ეკონომიკურ სირთულეებს განიცდის. ასეთი ვი-თარება კი მიმზიდველი შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა ქვეყნის კრიმინალებისათვის უკანონო შემოსავლის ლეგა-ლიზების თვალსაზრისით.

შექმნილ სიტუაციას მნიშვნელოვნად ამძიმებს აფხაზე-თის რეგიონში ჩამოყალიბებული ფინანსური მომსახურების ისეთი სისტემის არსებობა, რომლის მეშვეობითაც მეტად ხელსაყრელი პირობები იქმნება ფინანსური სახსრების უკანტროლო მოძრაობისა და, აქედან გამომდინარე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებისათვის.

საქმე ისაა, რომ რეგიონის ტერიტორიაზე არ მოქმე-დებს საქართველოს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმები (მათ შორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული ნორმები), ხოლო თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მიერ მიღებულ ე. წ. კა-ნონებს შორის არ გვხვდება უკანონო შემოსავლის ლეგალი-ზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და გა-მოვლენის შესახებ სპეციალური კანონი. აღნიშვნას იმსახუ-რებს ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დეფაქტო ხელისუფლების მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალის ახვევის და შეცდომაში შეყვანის მიზნით მიღებული იქნება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზ-მის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული სპეციალური „კანონი“, მისი სრულფასოვნად აღსრულების შესაძლებლო-ბა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან უაღრესად მძიმე კრიზისში მყოფ რეგიონში წლების მანძილზე ჩამოყალიბე-ბული კრიმინალური ეკონომიკის (უკანონო პრივატიზება, დევნილი მოსახლეობის კუთვნილი ქონებით, იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა და სხვ.)

მნიშვნელოვან სეგმენტთან ბრძოლა პრაქტიკულად სრულ ფინანსურ კრიზისსა და სეპარატისტული ხელისუფლების სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფას ნიშნავს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის არსებულ ხელსაყრელ გარემოსთან ერთად რეგიონებში შექმნილია ტე-რორიზმის დაფინანსებისათვის ხელსაყრელი გარემოც, რადგან აღნიშნულ რეგიონებში სადღეისოდ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს ნებისმიერი დანაშაულებრივი გზით მიღებული და ასევე დანაშაულებრივი მიზნებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გადაგზავნა ან მიღება.

ამჟამად, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში შექმნილია და ფუნქციონირებს საბანკო სისტემა, რომლის შემადგენლობაში შედის აფხაზეთის ე. წ. ცენტრალური ბანკი და 15 კომერციული ბანკი.

მართალია, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ტერიტორიული მთლიანობა დაფიქსირებულია ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორიცაა: გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის 2 იანვრის N1036, 1993 წლის 19 ოქტომბრის N876, 1994 წლის 31 იანვრის N896 და სხვა რეზოლუციები, აგრეთვე ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCD) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CID) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, აბსოლუტურად ცხადია, რომ აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონებში უნდა მოქმედებდეს საქართველოს კანონმდებლობა და მისი მოთხოვნების აღსრულება სავალდებულოა ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის, თვითმმართველობის ორგანოსა თუ სამენარმეო სტრუქტურისათვის. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, სეპარატისტული რეჟიმები არ ემორჩილებიან ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას და სხვა პრობლემებთან ერთად განსაკუთრებულ პი-

რობებს ქმნიან მათ მიერ მართულ რეგიონებში ფულის გა-  
თეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესაძლებლობა-  
თა არსებობის თვალსაზრისით.

საქმე ისაა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-7  
მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტის შესაბამისად,  
ქვეყნის საბანკო და საკრედიტო კანონმდებლობა მიეკუთ-  
ვნება მხოლოდ საქართველოს სფეროს. ამავე დოკუმენტის  
68-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ფულად-საკრედიტო  
სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს  
ეროვნული ბანკი, რომლის საქმიანობა რეგულირდება 2009  
წლის 12 ოქტომბრის ორგანული კანონით „საქართველოს  
ეროვნული ბანკის შესახებ“. აღნიშნული კანონის 48<sup>3</sup> მუხლის  
შესაბამისად, არავის არ აქვს უფლება ეროვნული ბანკის ლი-  
ცენზიის გარეშე მიიღოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით  
გასცეს კრედიტები (ანუ განახორციელოს საბანკო საქმია-  
ნობა). მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ე. წ. აფხაზური  
ბანკები ფუნქციონირებენ საქართველოს ეროვნული ბანკის  
მიერ გაცემული ლიცენზიების გარეშე, არ ემორჩილებიან სა-  
ქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილ პრინცი-  
პებს, მათ შორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის და-  
ფინანსების აღკვეთის საკითხებთან დაკავშირებულს, და  
არაკანონიერ სამეწარმეო სტრუქტურებს წარმოადგენენ.

აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საბანკო დაწესებუ-  
ლების მიერ მათთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება  
არა მხოლოდ ენინააღმდეგება FATF-ის რეკომენდაციებს და  
სხვა საერთაშორისო ნორმებს, არამედ საქართველოს ტერი-  
ტორიული მთლიანობის უგულებელყოფის, საქართველოს  
კანონმდებლობის იგნორირების და დანაშაულებრივი  
რეჟიმის მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭე-  
რის ტოლფას ქმედებას წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, რუსეთის ფედერაციაში რეგისტრი-  
რებული საბანკო დაწესებულებები აქტიურად თანამ-  
შრომლობენ აფხაზეთის საბანკო სტრუქტურებთან და ფაქ-

ტობრივად ფულის გათეთრების საერთაშორისო დერეფანს ქმნიან რეგიონში.<sup>22</sup> აფხაზეთის ბანკებს დამყარებული აქვთ მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები რუსეთის ფედერაციის საბანკო და საფინანსო სტრუქტურებთან,<sup>23</sup> რომლის მეშვე-

---

<sup>22</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის FATF-ის თავმჯდომარისადმი ბატონ ჟან ლუ ფორს Jeam-Llui Fort-ისადმი მიწერილ წერილში მითითებულია, რომ აფხაზეთში მოქმედებს საანგარიშსნორებო სისტემა „Golden Crown“. რუსეთის ფედერაციიდან შეიძლება ნებისმიერი თანხის გადარიცხვა აფხაზეთში და პირიქით. ე. წ. აფხაზეთის ცენტრალური ბანკი თანამშრომლობს რუსეთის ფედერაციის ისეთ ბანკებთან, როგორიცაა „Krainvestbank“ (კრასნოდარი, რუსეთის ფედერაცია) და აქვს ამ ბანკში ანგარიშები გახსნილი. აფხაზეთის სახელმწიფო დაწესებულებებს აქვთ ანგარიშსნორება „Krainvestbank“ ან/და „Moscow Bank“-თან (სოჭის ფილიალი, რუსეთის ფედერაცია).

„Garant Bank“ (აფხაზეთი) თანამშრომლობს რუსეთის ისეთ ბანკებთან, როგორიცაა: SDM-Bank (Moscow), Ruslavbank (Moscow); Kubantorgbank (Krasnodar) Novosibirskvneshtorgbank (Novosibirsk). აფხაზეთის სახელმწიფო დაწესებულებები იყენებენ რუსეთის შემდეგი ბანკების მომსახურებას: Donbank (Rostov); Vneshagrobank (Kolomna); Citybank (Moscow); Ural Commerce Bank of Foreign Trade (Yekaterinburg); Ugbank (Krasnodar); Moskomprivatbank (Sochi); Moscow Private Bank (moscow0; South-West Bank (Rostov); North-West Bank (Saint-Petersburg); North-Caucasus Bank (Stavropol); Bank North Treasury (Yekaterinburg); Sviaz Bank (Moscow); Uniastrum Bank (Moscow); Rosbusinessbank (Moscow); Aton Bank (Moscow); Mejprombank (moskow); Kavkazpromstroibank (Cherkessk); Smolenski Bank (Smolensk); Savings Bank of Russian Federation; Novokuznecki Municipality Bank (Novokuznezk); International Industrial Bank (Russian Federation); Russian Elite Bank (Russian Federation); West-Ural Bank of the Savings Bank of Russian Federation (Perm, Russian Federation).

<sup>23</sup> მაგალითად, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კომერციული ბანკის „გარანტ-ბანკის“ სარეკლამო ბიულეტენში ვკითხულობთ: „КБ «Гарант-банк» является учредителем: платежной системы «Contact», «Золотая Корона», «VIP Money Transfer», «Inter-Exspress»“. ეს ბანკი ემსახურება კლიენტებს ისეთი საერთაშორისო პლასტიკური ბარათებით, როგორიცაა: Master Card, Union Card, STB Card, Continent Card,

ობით აფხაზეთის რეგიონში იქმნება იდეალური პირობები უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისათვის. რუსეთის ბანკებს საშუალება ეძლევათ, აფხაზეთის რეგიონში არსებული ბანკები გამოიყენონ საკუთარი მიზნების შესანილბავად და საერთაშორისო ნორმებით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობისაგან თავის ასარიდებლად. სხვადასხვა ფულადი გზავნილების სისტემებისა და რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული საბანკო დაწესებულებების მეშვეობით აფხაზეთის არაკონტროლირებადი რეგიონიდან შესაძლებელია ფინანსური ოპერაციების წარმოება პრაქტიკულად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასეთი საქმიანობა ეწინააღმდეგება დასთ-ს წევრ სახელმწიფოთა მიერ 1995 წლის 10 თებერვალს დადებულ მემორანდუმს „დსთ-ში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის შესახებ“ და დასთ-ს წევრ სახელმწიფოთა 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებას „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების ზომების შესახებ“, რომელთა თანახმად, ხელმომწერი მხარეები (მათ შორის რუსეთის ფედერაცია) აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ვალდებულებას იღებენ, საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე არ აწარმოონ სავაჭრო-ეკონომიკური, ფინანსური, სატრანსპორტო და სხვა სახის ოპერაციები აფხაზეთის არალეგიტიმურ სახელისუფლებლო სტრუქტურებთან. ამ ხელშეკრულებების დარღვევა და საწინააღმდეგო ქმედება კი,

---

«Золотая Корона». Амасстан, „გარანტ-ბანკის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მას დამყარებული აქვს საკორესპონდენტო ურთიერთობები რუსეთის ფედერაციის ცხრა ბანკთან (Коммерческий ипотечно-инвестиционный банк «Сочи», сочинский филиал банка Москвы, КБ «СДМ-Банк», АКБ «Руссланбанк», АКБ «Межпромбанк», КБ «Меритбанк», ОАО «Краснодарский краевой инвестационный банк», ОАО «ВИП-Инк», ОАО «Европроминвест»), რომელთა მეშვეობით ასევე შესაძლებელია საერთაშორისო საბანკო ოპერაციების განხორციელება. (<http://www.garantbank.com>).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქმნიან პირობებს უკანონო შემოსავლისა და ტერორიზმის დაფინანსებისათვის.

საქმე ისაა, რომ აფხაზეთის ბანკებიდან რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ საბანკო დაწესებულებებსა და საანგარიშსწორებო ცენტრებში გადარიცხული თანხები არ ექვემდებარებიან ფინანსური მონიტორინგის მოთხოვნებს. რუსეთის ფედერაციის 2004 წლის 28 ივნისის კანონის „О противодействии легализации (отмыванию) доходов, полученных преступным путем, и финансированию терроризма“ №-6 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სავალდებულო კონტროლს (ფინანსურ მონიტორინგს) ექვემდებარება 600 000 რუსული რუბლის ტოლი ან მასზე მეტი (მათ შორის უცხოურ ვალუტაში) ოდენობის ფულადი სახსრებით განხორციელებული ოპერაციები. კერძოდ:

- იურიდიული პირის ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა ან გამოტანა, თუ ეს განპირობებული არ არის სამეურნეო საქმიანობის ხასიათით;
- ფიზიკური პირის მიერ უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით;
- ფიზიკური პირის მიერ ფასიანი ქაღალდების შესყიდვა-გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით;
- არარეზიდენტი პირის მიერ ფიზიკური პირისათვის გაცემული საბანკო (წარმომდგენზე) ჩეკით ფულის მიღება;
- ერთი ნომინალის ბანკნოტის სხვა ნომინალის ბანკნოტზე გადაცვლა;
- ფიზიკური პირის მიერ საწარმოს საწესდებო კაპიტალში ფულადი სახსრების ნაღდი ფორმით შეტანა.

ფულადი სახსრების ანგარიშზე ჩარიცხვა ან ანგარიშიდან გადარიცხვა, კრედიტის გაცემა ან მიღება, აგრეთვე ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები თუ აღნიშნული ოპერაციების ერთ-ერთ მონაწილე წარმო-

ადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია, ცხოვრობს ან იმყოფება ქვეყანაში (ტერიტორიაზე), რომელიც არ მონაწილეობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში; ან ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს პირი, რომელსაც ანგარიში გახსნილი აქვს აღნიშნულ სახელმწიფოში (ტერიტორიაზე). აღნიშნული სახელმწიფოების (ტერიტორიების) ჩამონათვალი დგინდება და ქვეყნდება, რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ დადგენილი წესით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო ორგანიზაციათა მიერ მომზადებულ ჩამონათვალზე დაყრდნობით.

საბანკო ანგარიშებთან (ანაბრებთან) დაკავშირებული ოპერაციები:

- ფულადი სახსრების ანაბრებზე (დეპოზიტზე) განთავსება, შესაბამისი დოკუმენტების წარმომდგენზე გაფორმების პირობით;
- ანგარიშის (დეპოზიტის) გახსნა მესამე პირის სასარგებლოდ და მასზე ფულადი სახსრების ნალი ანგარიშსწორების ფორმით განთავსება;
- სხვა სახელმწიფოში ანონიმური პირის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვა ან სხვა სახელმწიფოში არსებული ანონიმური საბანკო ანგარიშიდან თანხის გადმორიცხვა;
- იურიდიული პირის რეგისტრაციიდან სამი თვის განმავლობაში, ან აღნიშნული ანგარიშის გახსნის შემდგომ თანხის პირველად ჩარიცხვა, ან ამ ანგარიშიდან გადარიცხვა.<sup>24</sup>

---

<sup>24</sup> О противодействии легализации (отмыванию) доходов, полученных преступным путем, и финансированию терроризма. Федеральный закон №115-ФЗ. Принят Государственной думой 13 июля 2001 года Одобрен

ამ კანონმდებლობის თანახმად, აფხაზეთის ბანკებიდან რუსეთის ფედერაციის მოქმედ საბანკო სისტემაში გადარიცხული თანხები პრაქტიკულად არ ექვემდებარება ფინანსური მონიტორინგის მოთხოვნებს, რადგან რუსეთის ფედერაციის ბანკებში მათი განთავსება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსნორების ფორმით და მათზე არ ვრცელდება რუსეთის ფედერაციის ზემოაღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, როგორც საბანკო დაწესებულებებში ნაღდი ანგარიშსნორების ფორმით მოხვედრილ თანხაზე არსებული მოთხოვნები.

აღნიშნულ ტრანზაქციებზე ასევე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები, რადგან რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ აფხაზეთი არ არის შეყვანილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში არამონანილე ტერიტორიების ჩამონათვალში.

ზემოაღნიშნულთან ერთად შექმნილ სიტუაციას წლების მანძილზე კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე 2010 წლის 25 აპრილამდე არ მოქმედებდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული არც ერთი ნორმატიული აქტი და რეგიონში დაფუძნებულ უკანონო საბანკო დაწესებულებებს არ გააჩნდათ არავითარი სამართლებრივი ვალდებულებები, სათანადო რეაგირება მოეხდინათ თუნდაც აშკარად საეჭვო და/ან საეჭვო პირის მიერ შეთავაზებულ საბანკო გარიგებაზე (ოპერაციაზე).

---

Советом федерации 20 июля 2001 года (в ред Федеральных законов от 25. 07. 2002 №112\_ФЗ, от 30. 10. 2002 №131-ФЗ). Статья 6. Операции в денежными средствами или иным имуществом, подлежащие обязательному контролю.

აღნიშნულ სიტუაციას, სამწუხაროდ, არ ცვლის აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის მიერ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შექმნის შესახებ 2010 წლის აპრილში მიღებული ბრძანებულება.<sup>25</sup> აფხაზური მხარის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შექმნილი სიტუაციის დაძლევისათვის განხული ძალისხმევის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.<sup>26</sup> თუმცა მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში მყოფი რეგიონისათვის უკანონო შემოსავლის ლეგალიზების (ფულის გა-

<sup>25</sup> «Как сообщает корреспондент ИА REGNUM В Сухуми, Президент Абхазии Сергей Багапш подписал указ Президент подписал указ «О предотвращении легализации (отмывания) преступных доходов и финансирования терроризма». Настоящим указом при Национальном банке Абхазии создается Служба финансового мониторинга, утверждены правила финансового мониторинга» (<http://www.Regnum.ru/news/629495.html>. 10:50. 25. 04. 2010).

<sup>26</sup> მაისის დასაწყისში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა MONEYVAL—ის მისიას სთხოვა, შეესწავლა აფხაზეთის საფინანსო ინსტიტუტებისა და მათთან თანამშრომელი ბანკების საქმიანობა. მანამდე, 2006 წლის თებერვალში ეროვნულმა ბანკმა მიმართა ფულის გათეთრების სპეციალურ ქმედებათა ჯგუფს (FATF) აფხაზეთში რუსული კომერციული ბანკების უკანონო საქმიანობის შესახებ. საინტერესოა, რომ რუსულმა საბანკო წრეებმა დაადასტურეს საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციის სისწორე. მაგალითად, „ვზგლიადის“ კორესპონდენტთან საუბარში „ბანკ მოსკოვის“ სოჭის ფილიალის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ ხსენებულ ბანკს საკორესპონდენტო ურთიერთობა აქვს ათ აფხაზურ ბანკთან, მათ შორის სოხუმში განლაგებულ „გარანტ-ბანკსა“ და ე.წ. „აფხაზურ შემნახველ ბანკთან“. იგივე გაზეთი ბეჭდავს კიდევ ერთი მსხვილი რუსული ბანკის „ალფა-ბანკის“ წარმომადგენლის მაქსიმ ტოპერის კომენტარს, რომელიც უარყოფს „ალფა-ბანკის“ საქმიანობას ე. წ. აფხაზეთის ბანკებთან. თუმცა ამავე ბანკის მთავარი ეკონომისტი ნატალია ორლოვა აღნიშნავს, რომ აფხაზეთში რუსული კომერციული ბანკების საქმიანობამ შეიძლება რუსეთს პრობლემები შეუქმნას და ეს საკითხი სწორედ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის განვირიანების წინ წამოიწევს (საქართველოს ეროვნული ბანკი. საბანკო ბიულეტენი. 6-13 მარტი, 2007. #7(100). [www.nbg.gov.ge/macne.htm](http://www.nbg.gov.ge/macne.htm)).

თეთრების) ფაქტების გამოვლენა და ამ ფაქტებზე სათანადო რეაგირება რადიკალურად ენინააღმდეგება რეგიონის „ხელისუფლებისა“ და აფხაზეთში მოქმედი საბანკო დაწესებულებების კომერციულ ინტერესებს. აბსოლუტურად ცხადი ხდება ასეთი ბრძანებულების ფორმალური ხასიათი. პრაქტიკულად ეს მკვდრადშობილი ბრძანებულებაა, რომლის განხორციელების პოლიტიკური ნება, ინსტრუმენტი და კადრები სეპარატისტულ რეჟიმს არ გააჩნია.

აქედან გამომდინარე, ასევე სავსებით ნათელია, შექმნილ სიტუაციაში რაოდენ ხელსაყრელი პირობები (პრაქტიკულად უსაფრთხო „დერეფანი“) ექმნებათ დანაშაულებრივი გზებით მიღებული შემოსავლების მქონე პირებს „აფხაზეთის ბანკების“ მეშვეობით მსოფლიოს საბანკო სისტემაში ნაღდი ფულის კონტროლის გარეშე განთავსებისა და გადანაწილებისათვის.

რუსეთის ფედერაციის კომერციული ბანკების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ საბანკო სტრუქტურებთან თანამშრომლობისა და უკანონო საქმიანობის აღკვეთის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკისადმი წაყენებული არაერთი მოთხოვნის მიუხედავად სიტუაცია პრაქტიკულად უცვლელი რჩება.

ამ თვალსაზრისით, აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ არსებული პრობლემის დაძლევის ერთ-ერთ გზად რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის რეგიონის (ტერიტორიის) უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში არმონაწილე „არაკოპერირებად“ ტერიტორიათა ჩამონათვალში დაფიქსირება წარმოადგენს.

თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთის ფედერაციის 2004 წლის 28 ივნისის კანონის - „О противодействии легализации (отмыванию) доходов, 210

полученных преступным путем, и финансированию терроризма“ №-6 Муеблиს №-2 პუნქტის შესაბამისად, „არა-კოოპერირებადი“ ქვეყნების (ტერიტორიების) ჩამონათვალი რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ დადგენილი წესით განისაზღვრება და მტკიცდება რუსეთის ფინანსური მონიტორინგის ფედერალური სამსახურის მიერ სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით, FATF-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხოლო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ FATF-ის მიერ არათანამშრომელი ქვეყნების (ტერიტორიების) ჩამონათვალში სადღეისოდ (2005 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნებულ) მხოლოდ მიანმა და ნიგერია არის დაფიქსირებული, რუსეთის ფინანსური მონიტორინგის ფედერალური სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული წესით დამტკიცებულ ჩამონათვალში აფხაზეთის ტერიტორიის არშეყვანა გარკვეულწილად „წაყრუებად“ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამას აქვს თავისი პოლიტიკური ახსნაც. გარდა იმისა, რომ აფხაზეთის რეგიონი ფულის გათეთრების საერთაშორისო დერეფნად შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირებისა და კრიმინალური დაჯგუფებების მიერ, რომლებსაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის მონაწილე სხვა ქვეყნებსა და ტერიტორიებზე მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნებოდათ აღნიშნული ქმედების განხორციელების პროცესში, ამ ტერიტორიაზე ხორციელდება რუსეთის მხრიდან ფარული ანექსია, რაც ქმნის დამატებით სტიმულს იმისა, რომ ეს ტერიტორიები არ იყოს აღიარებული ფულის გათეთრების ზონად.<sup>27</sup>

<sup>27</sup> რუსი ოფიცირები ეხმარებიან საქართველოში არსებულ სეპარატისტულ რეჟიმებს სამხედრო შეიარაღებასა და წვრთნაში. ამასთან, მეთაურობენ მათ სამხედრო შენაერთებს. ამ რეჟიმების პოლიტიკური ლიდერები ღებულობენ დახმარებას რუსეთის კრიმინალური ელიტისაგან იარაღის, ნარკოტიკების, სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლის,

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით პრობლემის უახლოეს მომავალში აღმოფხვრის აუცილებლობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია იმ არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა, რომელთა შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე აფხაზეთის პრობლემა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ განიხილებოდა, როგორც მეორეხარისხოვანი ლოკალური კონ-

---

რითადად თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების კონტრაბანდაში. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოქალაქეებს აძლევენ რუსულ პასპორტებს და იმის საშუალებას, რომ მიიღო მონანილეობა რუსეთის არჩევნებში (Теневая империя России. После окончания холодной войны российские лидеры создали теневую империю на территории суверенных соседей России. [www.apsnsy.ge](http://www.apsnsy.ge)).

გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლება უხდის 26 ათასამდე რეგისტრირებულ პენსიონერს აფხაზეთის ტერიტორიაზე პენსიებს, რომელშიც აქტიურად მონაბილეობს აფხაზეთის მოსაზღვრე რაიონის (კრასნოდარის მხარის) საპენსიო ფონდები, რისთვისაც ისინი თხოულობენ რუსული პასპორტების შეძენას.

«Процедура оформления и перерегистрации российских граждан, проживающих на территории Абхазии, обсуждались на встрече премьер-министра Александра Анкваб с заместителем начальника управления Пенсионного Фонда РФ по Краснодарскому краю Натальей Маньковой, а также представителями фонда в Южном Федеральном округе Игорем Борисенко и Александра Бирюковым, заместителем начальника Адлерского управления Пенсионного фонда Борисом Жирым. По данным на 1 марта в Абхазии зарегистрировано 26 тысяч пенсионеров, получающих российскую пенсию. Представители российского пенсионного фонда сообщили в правительстве, что если в ближайшие два месяца пенсионеры не пройдут перерегистрацию, выплата пенсий будет приостановлена. Правительство Абхазии обратилось к представителям Пенсионного фонда России организовать дополнительные пункты регистрации и приема документов для оформления пенсии. Во встрече приняли участие вице-премьер Леонид Лекербая и министр социального обеспечения Ольга Колтухова» (<http://www.cbr.ru>).

ფლიქტი, რაც ასტიმულირებდა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მიერ საერთაშორისო ნორმებისა და მიღწეული შეთანხმებების პერმანენტულ დარღვევასა და შეუსრულებლობას. ამის შედეგად სეპარატისტთა „ხელისუფლებაში“ მყარად მკვიდრდება დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც სულ უფრო ვითარდება გარკვეული გარე ძალების მხარდაჭერის ფონზე.

რუსეთის ფედერაციის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები, რომლებიც თანამშრომლობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ არალეგიტიმურ ბანკებთან, აგრეთვე რუსეთის ცენტრალური ბანკი და რუსეთის მთავრობა, რომლებიც თვალს ხუჭავენ მათი ზედამხედველობის სფეროში მყოფი სტრუქტურების კონტაქტებზე აფხაზეთის სახელისუფლებლო, სამეურნეო და საფინანსო სუბიექტებთან, ფაქტობრივად, უგულებელყოფენ როგორც საერთაშორისო კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ისე თვით რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასა და რუსეთის ცენტრალური ბანკის დებულებით გათვალისწინებულ ნორმებსაც. ამით რუსეთის ფედერაციის საბანკო დაწესებულებები თავიანთი ქმედებით, ფაქტობრივად, უგულებელყოფენ ბაზელის კომიტეტის მიერ განსაზღვრული ეფექტური საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს, საბანკო ანგარიშების მფლობელების სათანადო შესწავლის დებულებებს (Customer due diligence for banks), რომელთა თანახმად, ბანკებმა უნდა დაამყარონ საკორესპონდენტო ურთიერთობები მხოლოდ იმ ბანკებთან, რომლებიც ექვემდებარება სათანადო კონტროლს შესაბამისი ორგანოების მხრიდან. აფხაზეთის ბანკებთან მიმართებაში კი ასეთ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები უხეშად არღვევენ თვით რუსეთის ფედერაციის კანონ-

მდებლობას და რუსეთის ცენტრალური ბანკის მითითებებს.<sup>28</sup>

შექმნილი სიტუაციის დაძლევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force)-სადმი შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების მიერ მიწოდებულ იქნეს ინფორმაცია აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების შესახებ და დაისვას საკითხი რუსეთის ფედერაციის მიმართ შესაბამისი მითითებების შემუშავების, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სათანადო სანქციების გამოყენების თაობაზე;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოეთის სახელმწიფოთა ცენტრალურ ბანკებთან მუშაობა დაიწყოს მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საბანკო დაწესებულებების მიერ აფხაზეთისა და

---

<sup>28</sup> “Банк России информирует, что 2008 году Группа разработки финансовых мер борьбы с отмыванием денег (ФАТФ) призводила своих членов усилить контроль за операциями с резидентами государств и территорий, не сотрудничающих и не предпринимающих мер в области борьбы с отмыванием денег, - Руководствуясь Федеральным законом «О Центральном банке Российской Федерации (Банке России)» (Собрание законодательства Российской Федерации, 2002, №28, ст. 2790) и Федеральным законом «О противодействии легализации (отмыванию) доходов, полученных преступным путем, и финансированию терроризма» (Собрание законодательства Российской Федерации, 2008, №33, (част 1), ст. 3418; 2002, №30, ст. 3029; 2002, №44, ст. 4296), Банк России рекомендует кредитным организациям воздерживаться от установления корреспондентских отношений с банками, - не имеющими физического присутствия в какой-либо стране, и рассмотреть возможность прекращения ранее установленных с ними корреспондентских отношений» (Об усилении контроля при установлении корреспондентских отношения с кредитными организациями — нерезидентами. Письмо №12-Т. 24. 01. 2008). (<http://www.cbr.ru>).

ე.ნ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოქმედ საბანკო დაწესებულებებთან, როგორც უკანონო სტრუქტურებთან ურთიერთობის აღკვეთის თაობაზე;

- ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (Financial Action Task Force)-ის მიმართ დაისვას საკითხი აფხაზეთისა და ე.ნ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებს დაქვემდებარებული ტერიტორიების არათანამშრომელი ქვეყნების (ტერიტორიების) ჩამონათვალში შეყვანის თაობაზე და მათ მიმართ, როგორც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების განსაკუთრებული საშიშროების მატარებელი რეგიონებისადმი, კონტროლის განსაკუთრებული ზომების შემუშავების თაობაზე;
- საქართველოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებში აისახოს აფხაზეთისა და ე.ნ. სამხრეთ ოსეთის რეგიონებში არსებულ უკანონო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებთან და არალეგიტიმურ საბანკო სტრუქტურებთან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების თანხმობის გარეშე ნებისმიერი (მათ შორის სამეწარმეო დონეზე) თანამშრომლობის მაქსიმალური შეზღუდვის აუცილებლობა;
- მუმაბა დაინტენს რუსეთის ფედერაციის ბანკებთან, ე. ნ. აფხაზურ ბანკებთან თანამშრომლობის შეწყვეტის თაობაზე.

## დასკვნები

- აფხაზური სეპარატიზმი საბჭოთა წლებში იძენს ორგანიზებულ ხასიათს. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ერთ-ერთი სერიოზული გამწვავება ემთხვევა სსრკ-ის ახალი — 1978 წლის კონსტიტუციის მიღების პერიოდს და მისი საბაბი ხდება აფხაზეთის სტატუსის საკითხი. 1985 წლიდან დაწყებული „პერესტროიკის“ შემდეგ საქართველოში დაიწყო ღია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რასაც მკვეთრად დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა. ამან, თავის მხრივ, რუსეთის მიერ აფხაზთა სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია.
- მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში აფხაზეთი აგრარული რეგიონი იყო, ამიტომ, ტრადიციული უნიკალური პრაქტიკითა და ტექნოლოგიით, სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ ადგილს იკავებდა მის ეკონომიკაში.
- ეკონომიკის სფეროს რეანიმაციის მიზნით შემუშავებული „2000—2020 წლების აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია“ და „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამა“ დამტკიცებულია აფხაზეთის ე.ნ. პრეზიდენტის მიერ. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები გულისხმობენ აფხაზეთის საბაზო ურთიერთობებზე გადასვლას.
- აფხაზეთში ჯერ არ მომხდარა სრული პრივატიზაცია, თუმცა შემუშავებულია და ძალაშია „კანონი პრივატიზების შესახებ“. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის პრივატიზებას, საკურორტო რაიონებში მისი ძალიან მაღალი ღირებულების პირობე-

ბის გათვალისწინებით. მიღებული კანონი „იჯარის შესახებ“ საფუძველს იძლევა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის იჯარით გაიცეს საკურორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები სოხუმში, გაგრასა და ბიჭვინთაში.

- დეფაქტო აფხაზეთის არსებული სტატისტიკის მიხედვით, აფხაზეთში მუშაობს დაახლოებით 40 ათასი ადამიანი, ხოლო 53 ათასი პენსიონერია (აქედან მხოლოდ 36 ათასამდე ადამიანი იღებს ასაკის პენსიას) ყოველწლიურად დაახლოებით 53-70 მილიონი რუბლი გამოიყოფა ბიუჯეტიდან აფხაზეთის 53 ათას პენსიონერზე. საპენსიო ფონდის წლიური ბიუჯეტი 1 მილიარდ 100 მილიონ რუბლს აღნევს. ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, აფხაზ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ამ სფეროში ნორვეგიული გამოცდილების გამოყენება.
- ტყის რესურსებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთიდან უპირატესად რუსეთში ხის ძვირფასი ჯიშების ექსპორტი ხორციელდება უსისტემოდ, ყოველგვარი გარემოსდაცვითი რეგულაციების გარეშე, ნადგურდება ტყის მასივი და მასთან ერთად ფლორა და ფაუნა, რაც, საბოლო ჯამში, ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიგვიყვანს.
- დღეისათვის აფხაზეთის დეფაქტო მთავრობა რუსეთის ეკონომიკასთან ინტეგრაციას ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ სფეროდ მიიჩნევს, რასაც ხელი შეუწყო რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ.
- ოკუპირებული აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს:

- ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის მიხედვით, აფხაზეთი მიეკუთვნება გარდამავალ ეკონომიკას;
  - საწარმოო ძალების განვითარების დონით - მისწრაფის ინდუსტრიულისკენ;
  - ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის ხარისხით - ნაწილობრივ ღიაა;
  - განვითარების სფეროთი - განუვითარებელია;
- ქართველი და აფხაზი ხალხების ერთიან ისტორიაზე, მათ საერთო ბედზე, რუსეთის ცარიზმის ისტორიულ ზრახვებსა და მისწრაფებაზე სამხრეთ კავკასიაში მეტყველებს მუჰაჯირობის პოლიტიკა. რუსეთი მე-18 საუკუნეში ცდილობდა, გადასახლების გზით გაექრო აფხაზები, როგორც ერი, რის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები გ. წერეთელი, ს. მესხი, გ. გურიელი და სხვები. იგივე პოლიტიკა ხორციელდება დღეს, როდესაც ხდება აფხაზთა სრული ასიმილაცია, მათი ეთნიკური ნიშნების გაქრობა. ცივილიზებული სამყარო ვალდებულია, გაილაშქროს რუსეთის ამ მეტად საშიში იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რადგან აფხაზები გაიზიარებენ მათი მონათესავე შაფსუგების ბედს, რომლებმაც განიცადეს იმპერიალისტურ რუსეთში სრული ასიმილაცია, დაკარგეს ენა, თვითმყოფადობა, კულტურა.
- აფხაზეთის მოსახლეობის თანამედროვე ეთნიკური შემადგენლობა ჰეტეროგენიულია: ტერიტორიაზე ცხოვრობენ აფხაზები (124,5 ათასი), სომხები (67 ათასი), რუსები (22 ათასი) და გენოციდისა და განდევნის შემდეგ დარჩენილი ქართველები (46,7 ათასი), ასევე უკრაინელები, ბერძნები, ესტონელები, ებრაელები და სხვები. ამდენად, რუსეთის მიერ ამ ტერიტორიის

ოკუპაციამ გამოიწვია დემოგრაფიული სურათის მნიშვნელოვანი ცვლა, რაც მე-20 საუკუნის მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა, ამ საუკუნის არც ერთ ომს არ მოჰყოლია ეთნიკური მოსახლეობის მასობრივი განდევნა საკუთარი ტერიტორიიდან, მისი გენოციდი. ეს არ მომხდარა არც საქართველოს მძიმე ისტორიულ წარსულში მურვან ყრუს (735-737 წწ) თუ შაჰ აბასის (1615-1625) შემოსევების დროს.

- აფხაზეთში ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია სანაპირო ზოლია სადაც მდებარეობს ყველა დიდი ქალაქი. ომის შემდეგ, აქ გადმოსახლდა სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ძირითადად აფხაზები, რომლებიც ჩასახლდნენ ქართველების მიერ იძულებით მიტოვებულ საცხოვრისში. რესპუბლიკის მოსახლეობის დაახლოებით 93% კონცენტრირებულია ამ სარტყელში.
- 1992-1993 წლების ომის შედეგად მოხდა გარკვეული დეურბანიზაცია. ქართველი მოსახლეობის მიერ აფხაზეთის იძულებითი დატოვების გამო, ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი 2-ჯერ შემცირდა, ცენტრალური ქალაქების მიხედვით ქართული მოსახლეობის იძულებით დანატოვარ სახლებში შესახლდა აფხაზი მოსახლეობა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ქალაქად მცხოვრები აფხაზების რიცხვი. კრასნოდარის მხარიდან მასობრივი მიგრაციის გამო გაგრაში სომებთა რაოდენობა გაუტოლდა აფხაზებს, ხოლო გულრიფშში გადააჭარბა კიდევაც. ამით არის მოტივირებული ის, რომ რუსეთმა აამოქმედა მისთვის კარგად ნაცადი ინსტრუმენტი: აფხაზეთის ტერიტორიაზე სომხური ავტონომიების მოთხოვნით აფხაზების შემდგომი დამორჩილების მექანიზმი. გულრიფშის რაიონში მიგრანტი სომხები დღესაც აქტიურად ითხოვენ კულტურულ ავტონომიას.

- ენგურპესიდან აფხაზეთში ელენერგიის მოუწვესრიგებელი მზარდი მოხმარება მნიშვნელოვან ტექნიკურ სირთულეებს აჩენს:
  - მიუხედავად იმისა, რომ ენგურპესი თბილისის ცენტრალურ სადისპეტჩეროს ექვემდებარება, ზამთრის განმავლობაში მისი გამოყენება ვერ ხდება თავისი ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებით
  - ენერგოსისტემის რეჟიმებისა და პიკური დატვირთვების დასაბალანსებლად, რაც სისტემის საიმედოობაზე უარყოფითად მოქმედებს. სისტემის მანევრულობის შეზღუდვით იზღუდება განახლებადი ენერგიის წყაროების (ქარი, მზე) განვითარებისა და ქსელში ინტეგრირების შესაძლებლობა; ასევე იკარგება შესაძლებლობა, რომ საქართველოს ენერგოსისტემამ მონაწილეობა მიიღოს მეზობელ ქვეყნებში ელექტროენერგიის პიკური დატვირთვების დაფარვაში, რითაც რეგიონული თანამშრომლობის და შესაბამისი შემოსავლების მიღების პერსპექტივებიც იკარგება.
  - საფრთხეს წარმოადგენს ასევე წყალსაცავის არარეჟიმული დამუშავება, რამაც კაშხლის უსაფრთხოების პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს.
  - გროვდება მასშტაბური ტექნიკური პრობლემები. ვინაიდან ენგურის ტარიფი ითვლება საერთო მისაღები შემოსავლებიდან, აფხაზეთიდან მიუღებული შემოსავლები აკლდება თუნდაც სადგურის გრძელვადიანი კაპიტალური შეკეთების სარეაბილიტაციო ფონდებს. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ბოლო პერიოდში ენგურპესის ტექნიკური მდგომარეობა უარესდება, ამასთან იზრდება გრძელვადიანი მასშტაბური რეაბილიტაციის აუცილებლობა. ასეთი პრობლემებიდან აღსანიშნავია მასშტაბური რეაბილიტაციის აუცილებლობა.

ვია წყალსაცავის დალამვა, რაც ართულებს მისაყრდნობი ფარების ოპერირებას, ეს კი წყალსაცავში წყლის დონის რეგულირებას უშლის ხელს, რაც, თავისთავად, თაღოვანი კაშხლის უსაფრთხოების პრობლემებს ქმნის; ასევე აღსანიშნავია სადერივაციო გვირაბის მოსახვის გაუარესებული მდგომარეობა, რაც წყლის ფილტრაციის გაზრდილი ხარჯებით გამოიხატება სადერივაციო გვირაბის გასწვრივ.

- რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის მხრიდან ენერგეტიკული გამოძალვა ათწლეულებია გრძელდება და ტექნიკურად, პოლიტიკურად და ფინანსურად ჩიხში შეჰყავს როგორც აფხაზეთის ენერგომომარაგება, ასევე მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. უყაირათოდ იკარგება ელექტროენერგია, რომლის სასარგებლო გამოყენება შეიძლება ეკონომიკაში ან სულაც ექსპორტით შემოსავლის მისაღებად. ქართული მხარის ცალმხრივი ზრუნვა ენგური-ვარდნილი ჰესების კასკადზე სულ უფრო მეტი ხარჯის და ნაკლები სარგებლის მომტანია და დიდხანს ვერ გაგრძელდება. შესაბამისად, ურთიერთობათა არსებული სტატუსი არ იძლევა ენგურჰესის სრულფასოვანი ექსპლუატაციისა და აფხაზეთის ენერგომომარაგების გაუმჯობესების სტიმულად და შესაძლებლობას.
- რკინიგზის გახსნა-არგახსნაში არის სტრატეგიული პოლიტიკური საკითხიც. სომხეთზე დიდია რუსეთის გავლენა როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სომხეთი არ დაემორჩილა რუსეთის მოთხოვნას, გამოყენებული ყოფილიყო სომხეთში განლაგებული რუსეთის საჯარისო შენაერთე-

ბი და ავიაცია საქართველოს წინააღმდეგ. სომხეთი-სათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საქართველოს სატრანსპორტო (მათ შორის რუსეთთან დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენი) ინფრასტრუქტურა სერიოზული შემაკავებელი ფაქტორია სეპარატიზმისა და საქართველოს საწინააღმდეგო პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაძლო მიღების შემთხვევაში, პირველ რიგში, რუსეთის მხრიდან პროვოცირებული ქმედებების მხარდაჭერის კუთხით.

- სოხუმის აეროპორტი საქართველოს მხარის მიერ დაკეტილია 1993 წლიდან. ის არ არის სერტიფიცირებული საქართველოს საავიაციო ხელისუფლების მიერ. ამასთან, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO) აფხაზეთს საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარებს. ამდენად, სოხუმის აეროპორტიდან საერთაშორისო ფრენები ვერ განხორციელდება, რადგან ამისთვის აფხაზეთს სჭირდება საქართველოს ნებართვა. სოხუმის აეროპორტში ფრენებს ვერ განახორციელებენ ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნებიც. რუსები ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მეტი ტურისტი მოიზიდონ აფხაზეთში. კრემლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ორი მიმართულება დარჩა - ყირიმი და აფხაზეთი. შესაბამისად, საქართველოსთან ფრენების აკრძალვის გამო უნდა, რომ ეს ტურისტები გადაანაწილოს ყირიმსა და აფხაზეთში.
- აფხაზეთში არსებობს ამბიციური გეგმები, რომ ქვეყანა გადაიქცეს მთავარ სატრანსპორტო კერად ევროპასა და აზიას შორის. აქ არსებობს სატრანზიტო სარკინიგზო გზა როსტოკი - სოხუმი - ერევნის მიმართულებით, ახლა ის მოქმედებს მხოლოდ სოხუმამდე. აფხაზეთში სულ სამი ნავსადგურია, რუსეთის

სამხედრო გემების მომსახურების მიზნით ერთი ნავ-სადგური აშენდება ოჩამჩირეში. აფხაზეთში მდებარეობს ორი აეროპორტი, რომელთაგან გუდაუთაში განთავსებული სამხედრო აეროპორტი აღჭურვილია 4-კილომეტრიანი ასაფრენი ბილიკით, რომელსაც შეუძლია მიიღოს ფართო ტანის თვითმფრინავი, რომლის ტევადობა 200 ტონამდეა. აფხაზეთის სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა მთავარი პრობლემაა, რომელიც მის განვითარებას აფერხებს.

- ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ბანკისა და აფხაზეთის ეროვნული ბანკის თანამშრომლობა ფართოვდება. აფხაზეთში საგადასახადო საშუალება რუსული რუბლია. ქვეყნის მთლიანი საბანკო აქტივების დაახლოებით მეოთხედი კონცენტრირებულია სამ საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციაში.
- სეპარატისტული რეჟიმისა და საოკუპაციო ძალის მიერ აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეების მიმართ არარაციონალური, მომხმარებლური დამოკიდებულებისა და გარემოს დაბინძურების პროცესების მიმართ უყურადღებობის შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე წლების განმავლობაში საგანგაშო ეკოლოგიური ვითარება ყალიბდება.
- გარდა ინერტული მასალების მოპოვებისა, აფხაზეთის უნიკალურ ბუნებას დიდ ზიანს აყენებს ხეტყის უკანონოდ და დაუგეგმავად გაჩეხა, დაცული ტერიტორიების შესახებ კანონის უგულებელყოფა. ეს პროცესი ჯერ კიდევ აფხაზეთში ე.წ. „მშვიდობისმყოფელების“ ყოფნის დროიდან დაიწყო, რომლებიც მთარველობას უწევდნენ და ხელს უწყობდნენ ადგილობრივ კრიმინალებს აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების გაჩანაგებასა და რეგიონის ფარგლებს გარეთ გატანაში.

- საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ამ საშიში ნივთიერებების გადმოტანის შემთხვევები 2008 წლის შემდეგაც დაფიქსირდა, მას შემდეგ, რაც, აფხაზური მხარის მტკიცებით, რუსეთმა რადიოაქტიური მასალების სამარხები თავის ტერიტორიაზე გადაიტანა და მათი უტილიზაცია მოახდინა. ოკუპირებულ აფხაზეთში არსებულ საგანგაშო ეკოლოგიური სიტუაციასთან დაკავშირებით მოყვანილი ფაქტები და მასალები ძირითადად ღია წყაროებიდან და ექსპერტების გამოსვლებიდან არის აღებული. იმის გამო, რომ დღეისათვის ოკუპირებული ტერიტორიიდან ადრე მოქმედი ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია გაწვეულია და მათი წარმომადგენლები იქ შესვლას ვერ ახერხებენ, თავისთავად, კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმიც არ არსებობს.
- სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობა, კორუფცია, ნეპოტიზმი, კრიმინალი ნეგატიურად ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. ეს ობიექტური მიზეზები, დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის მიერ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში გამოცხადებულ ეკონომიკურ სანქციებთან ერთად, იყო ეკონომიკური განვითარების წარუმატებელი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის, აფხაზეთში ეროვნული ეკონომიკისა და მეწარმეობისთვის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორები.
- აფხაზეთში პოლიტიკურ პარტიებს, მოძრაობებსა და საზოგადოების სხვა სოციალურ ჯგუფებს აქვთ განსხვავებული მოსაზრებები ეკონომიკური განვითარების შესახებ. ამასთან, ოკუპანტის პოლიტიკური ზენოლით, დომინირებს მოსაზრება, რომ აფხაზეთის ეკონომიკა ვერ განვითარდება ეფექტიანად რუსეთის ეკონომიკური სისტემების ბიზნეს-სუბიექტების ფართომასშტაბიანი მონაწილეობის გარეშე. საერთაშო-

რისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით რუსეთის მიერ აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებამ 2008 წელს შექმნა ხელსაყრელი პირობები მისი ეკონომიკური ანექსიისთვის.

- რუსული პროპაგანდისტული მანქანა ინვესტიციებს აფხაზეთში წარმოაჩენს, როგორც ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, ეკონომიკის რეალურ სექტორში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და წარმოების ორგანიზებასა და მართვაში ინოვაციური მეთოდების ათვისების ძირითად ფაქტორს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი მეწარმეების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ამოქმედებას და აქტივობას უცხოურ ბაზრებზე. სინამდვილეში კი რუსეთის პოლიტიკა ორიენტირებულია საქართველოს ამ რეგიონის ეკონომიკურ დაკაბალებაზე. აფხაზებს აჩვევენ იმ მოსაზრებას, რომ რუსეთის გარეშე მათ განვითარების პერსპექტივა არ გააჩნიათ, ამ მიზნით რუსეთის მიერ მიმდინარეობს აფხაზეთის პოლიტიკური ელიტის ინტენსიური მოსყიდვის პროცესი. რუსული ინვესტიციები პირდაპირ თუ ირიპად ილექტება სეპარატისტული ლიდერების ჯიბეებში, მოსახლეობა კი კვლავინდებურად უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება.
- აფხაზეთის ყველაზე დიდი საგარეო სავაჭრო პარტნიორია ოკუპანტი რუსეთი, რომლის წილი მთლიან ბრუნვაში 70% -ზე მეტია. შემდეგ მოდის თურქეთი და სომხეთი.
- აფხაზეთში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა კრიმინალური ეკონომიკა, რომელიც აწყობს იმპერიალისტურ რუსეთს, რომლის ძირითად მიზანს შეადგენს აფხაზი მოსახლეობის გაღარიბება და მისი სრული ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური დამორჩი-

ლება, მისი ლოიალობის მოპოვება არა საკუთარი, თვითკმარი ეკონომიკური სისტემის ფორმირებით, არამედ რუსეთის ეკონომიკური ინექციების ხარჯზე, რომლებიც კრიმინალური ბუნებისაა და რუსეთის მიერ გამოიყენება, როგორც აფხაზებზე პოლიტიკური ზენოლის ინსტრუმენტი. მიზანი ერთია: რუსეთს სურს აფხაზეთის მოსახლეობის გაღარიბება, მისი ეკონომიკური ექსპანსია პოლიტიკური ელიტის მოსყიდვის გზით, ადგილობრივი მოსახლეობის მხსნელის როლის თამაში.

- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული რეგიონები, რომელთა არსებობა წარმოადგენდა პოლიტიკური კონფლიქტების შედეგს, სადაც სრულიად იგნორირებული იყო და არის მკვიდრი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კანონიერი ინტერესები, სადაც საშიშ მასშტაბებს აღნევს კონტრაბანდა, აქტიურად მიმდინარეობს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მომზადება და იარაღით ვაჭრობა, რომელთა გეოგრაფიული მდებარეობა და დაუცველი საზღვრები, რუსეთის ხელისუფლების მიერვე ტერორიზმის ეპიცენტრად აღიარებულ ჩრდილო კავკასიასთან ერთად წარმოადგენენ განსაკუთრებული საშიშროების ზონებს, სადაც პრაქტიკულად დაუბრკოლებლად გადაადგილდებიან კრიმინალები, იმყოფებიან ღრმა ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში;
- უკანონო ხელისუფლებას ხელისუფლებაში საკუთარი ყოფნის ვადის გასახანგრძლივლებლად (მათ შორის შეიარაღებული ფორმირებების უზრუნველყოფისათვის) ესაჭიროება სოლიდური სახსრები;
- ფსევდოეროვნული ბანკებისა და ეკონომიკური სფეროს მარეგლამენტირებელი არაქმედითი და უკონტროლო საქმიანობის ინტერესებისადმი დაქვემდებარებული კანონმდებლობისა და მიღებული დადგენი-

- ლებების პირობებში პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკურ აღმავლობას;
- ე. წ. აფხაზეთის ბანკები ფუნქციონირებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიების გარეშე, არ ემორჩილებიან საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილ პრინციპებს, მათ შორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ნორმებს და, აქედან გამომდინარე, არაკანონიერ სამეწარმეო სტრუქტურებს წარმოადგენებ;
  - რეგიონში მოქმედი ფულადი გზავნილების არალეგიტიმური სისტემა პრაქტიკულად გამორიცხავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა გატარების შესაძლებლობას, რითაც რეგიონს მეტად მიმზიდველს ხდის კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებისათვის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებისათვის;
  - აფხაზეთის რეგიონი ფულის გათეთრების საერთაშორისო დერეფნად შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირებისა და კრიმინალური დაჯგუფებების მიერ, რომლებსაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის მონაწილე სხვა ქვეყნებსა და ტერიტორიებზე მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნებოდათ აღნიშნული ქმედების განხორციელების პროცესში;
  - საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი აფხაზეთის რეგიონში შექმნილი სიტუაცია უდიდეს საშიშროებას ქმნის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების თვალსაზრისით.

## გამოყენებული ლიტერატურა და ინტერვეტ-რესურსები

1. „აფხაზეთი ციფრებში“. აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი. სოხუმი, 2019.  
<http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2018-god.php>
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო. „აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მასზე ანტროპოგენული ზემოქმედების შედეგების ანალიზი“. თბ., 2019
3. აფხაზეთის მთავრობის აპარატის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველოს მასალები. <http://abkhazia.gov.ge/uploads/analytic/15543618941088799851.pdf>
4. 6. ბჟანია „აფხაზთა ეკონომიკისა და კულტურის ისტორიიდან.“ სოხუმი 1984.
5. История Абхазской АССР (1917 - 1937). Сухум, 1983. 390 с.
6. Кривенюк А. Экономики Абхазии не будет без кардинальных изменений <https://eadaily.com/ru/news/2019/04/06/anton-krivenyuk-ekonomiki-abhazii-ne-budet-bez-kardinalnyh-izmeneniy>
7. Лакоба С. Крилилис дни в Сухум-Кале. 1988.
8. Очерки истории Абхазской АССР, ч. I. Сухум, 1960. 311 с.
9. Стратегия социально-экономического развития Республики Абхазия до 2025 г. Сухуми, 2015. — С. 188-192.  
<http://ru.abkhaziastategic.org/wp-content/uploads/2015/12/Strategia-Abkhazia-2025.pdf> <http://iepana.org/2019/11/19/%D0%>

10. Плюс на минус: внешняя торговля Абхазии в 2019 году  
<https://sputnik-abkhazia.ru/infographics/20200310/1029610168/Plyus-na-minus-vneshnyaya-torgovlya-Abkhazii-v-2019-godu.html>
11. Путин В. Послание Федеральному Собранию Российской Федерации. 10 мая 2006 года. Москва, Кремль, Мраморный зал.  
<http://president.Kremlin.ru/text/appears/2006/05/105546.shtml>
12. Управление государственной статистики Республики Абхазия 2019. <https://ugsra.org/ofitsialnaya-statistika.php?>
13. Шалашаа З. Инвестиции — основа экономической интеграции
14. Абхазии и России Вестник РУДН. Серия: Экономика 2018 Vol. 26 №. 3 429—438
15. Фейзба Я.Р., Шамба О.Б. Национальная экономика Абхазии. Сухум, 2002. 290 с.
16. ЦИАГ, Ф. 1874. оп. 1, д. 4. лл 1-7 об.
17. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98?veaction=edit&section=6>
18. <http://abkhazinform.com/tochka-zreniya/item/8448-abkhaziya-segodnya-chto-delat-chast-vi-ekonomika>
19. [http://www.perspektivy.info/osobaya\\_tema/iuzhnaya\\_osetiya/ekonomiceskoe\\_polozhenie\\_abkhazii\\_i\\_juzhnoj\\_osetii\\_2009-11-17.htm](http://www.perspektivy.info/osobaya_tema/iuzhnaya_osetiya/ekonomiceskoe_polozhenie_abkhazii_i_juzhnoj_osetii_2009-11-17.htm)
20. <http://www.kavkazoved.info/news/2013/11/20/ekonomika-abhazii-sostojanie-i-vozmozhnosti-razvitiya.html>

21. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90>
22. [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/)
23. <https://eadaily.com/ru/news/2017/10/02/chast-zatrat-inter-rao-na-elektrichestvo-dlya-abhazii-mogut-kompensirovat>
24. <https://eadaily.com/ru/news/2017/10/26/energopotreblenie-abhazii-rastet-ezhegodno-na-9-prognoziruyutsya-pereboi>
25. <https://eadaily.com/ru/news/2017/10/30/rossii-mozhet-ne-hvitat-elektroenergii-i-dlya-kryma-i-dlya-abhazii-ekspert>
26. <https://data.worldbank.org/indicator/EG.USE.ELEC.KH.PC>
27. <https://eadaily.com/ru/news/2017/10/30/rossii-mozhet-ne-hvitat-elektroenergii-i-dlya-kryma-i-dlya-abhazii-ekspert>
28. <https://forbes.ge/news/392/afxazeTze-gamavali-rkinigzis-SesaZlo-amoqmedebis-Sesaxeb>
29. [http://presidentofabkhazia.org/respublika\\_abkhazia/economy/?print=Y](http://presidentofabkhazia.org/respublika_abkhazia/economy/?print=Y)
30. <http://sevastopol.press/2018/06/11/v-krym-vezut-scheben-iz-abhazii/>      <https://crimea.kz/329422-V-Krym-vezut-sheben-iz-Abhazii.html>
31. <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180618/1024246722/abxaziya-otpravit-morem-v-krym-novyj-gruz-shhebnya.html>
32. [Abkhaz auto.ru](http://Abkhaz auto.ru)
33. [Abkhazia inform](http://Abkhazia inform)
34. [http://greenalt.org/old/index\\_next.php?filename=ge\\_16\\_11\\_2009\\_07\\_12\\_32.new&pathm=webmill/data/news/inmedia\\_archive/&lng=ge\\_&more=1&c=inmedia\\_archive](http://greenalt.org/old/index_next.php?filename=ge_16_11_2009_07_12_32.new&pathm=webmill/data/news/inmedia_archive/&lng=ge_&more=1&c=inmedia_archive)

35. <https://jamnews.net/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A%E1%83%90%E1%83%96%E1%83>
36. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1541900.html>  
<https://www.radiotavisupleba.ge/a/1543176.html>
37. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=14409>
38. <http://saqinform.ge/news/6713/saqarTvelo+da+ashsh+sazRvrис+dacvis+gasaumhobeseblad+Tanamsh romlobas+agrZeleben+.html>
39. [http://expertclub.ge/portal/cnid\\_4521/alias\\_Expertclub/lang\\_kag/GE/tabid\\_2546/default.aspx](http://expertclub.ge/portal/cnid_4521/alias_Expertclub/lang_kag/GE/tabid_2546/default.aspx)
40. <http://www.accentnews.ge/ge/news/details/67042>
41. <https://sputnik-abkhazia.ru/interview/20191025/1028682337/Ugroz-natsionalnoy-bezopasnosti-TsSI-otsenil-sostoyanie-ekonomiki-Abkhazii.html>
42. [https://www.youtube.com/watch?v=3dL3MRiH6Aw&feature=share&fbclid=IwAR1E\\_a1-WpIazyqK1b9V2uICYlxMxZ6WiW-A3edJFBbf9QaGuok\\_5G6\\_S5Iw](https://www.youtube.com/watch?v=3dL3MRiH6Aw&feature=share&fbclid=IwAR1E_a1-WpIazyqK1b9V2uICYlxMxZ6WiW-A3edJFBbf9QaGuok_5G6_S5Iw)

## პროექტში მონაცემლე ავტორების შესახებ

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ-ს პროფესორი  
თემურაზ შენგელია



2005 წლიდან — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის გამგე, სრული პროფესორი. 2018 წლიდან არჩეულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად.

2006-2012 წლებში — საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულია საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად.

2012 წლიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრია.

1993-2005 წლებში — საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

2004-2005 წლები — ფინანსთა სამინისტროს, ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი.

1993-2005 წლები — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, მენარმეობის ეკონომიკისა და მართვის კათედრის გამგე.

1999-2002 წლებში — ეკონომიკური მეცნიერების დარგში მიღწევებისათვის დაენიშნა საქართველოს პრეზიდენტის | სარისხის სტიპენდია.

2015-2018 წლებში არჩეულია ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (რომი, იტალია), მენეჯმენტის სა-

ერთაშორისო აკადემიის (აშშ-ი), საერთაშორისო ბიზნესის აკადემიის (აშშ) წევრად, 2009 წლიდან საქართველოს ეკონომიკურ, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრად.

აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური მიღწევებისათვის დაჯილდოვებულია: 2002 წელს „ღირსების მედლით“, 2018 წელს აკადემიკოს პ.გუგუშვილის მედლით.

1986 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1998 წელს – სადოქტორო დისერტაციები. 1999 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ აირჩია პროფესორად, 2005 წლიდან ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორია.

პროფესორმა თემურაზ შენგელიამ სტაჟირება გაიარა აშშ-ში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ჩეხეთსა და პოლანდიაში. სამეცნიერო მოხსენებები გაკეთებული აქვს ვენის, ბარსელონას, ამსტერდამის, რომის, პარიზის, ნიუ-იორკის, სტამბულის, პრაღის, თეირანის, უენევის, ბუდაპეშტის, ბრიუსელის, ბერლინის და სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში.

შურნალების „ეკონომიკის“, „ახალი ეკონომისტის“, „ეკონომიკისა და ბიზნესის“, „ბიზნესისა და კანონმდებლობის“, „ეკონომისტის“, „თსუ უნივერსიტეტის“, „გადასახადებისა და საგადასახადო საქმის“, „კავკასია: გარემო და საზოგადოების“, „ინტელექტის“, „Global World“ -ის სარედაქციო საბჭოების წევრია.

მისი კვლევის სფეროებია: გლობალიზაციის, ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის, საერთაშორისო, გლობალური ბიზნესის, საერთაშორისო მარკეტინგის, ინოვაციათა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემები.

არის 160 -ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 7 მონოგრაფიისა და 14 სახელმძღვანელოს ავტორი ქართულ, ინგლისურ, პოლონურ, უკრაინულ და რუსულ ენებზე.

**პიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,  
თსუ-ს მოწვეული პროფესორი  
ბონდო გასვიანი**



2019 წლიდან - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო პიზნესის“ კათედრის მოწვეული ლექტორი.

2019 წლიდან – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი.

2020 წლიდან – სსიპ თბილის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

2019-2020 წლები აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრის მოადგილე.

2014-2019 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე (აუდიტორ-ასისტენტი, უფროსი აუდიტორი, წამყვანი აუდიტორი).

2010 – 2013 წლებში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ მუშაობდა სხვადასხვა (მათშორის ხელმძღვანელ) თანამდებობებზე (სპეციალისტი, განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის უფროსი).

2019 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საერთაშორისო პიზნესის სამენარმეო სტრუქტურების განვითარების ძირითადი მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში“ და მიენიჭა პიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მისი კვლევის სფეროებია: საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო მეწარმეობა, ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო მენეჯმენტი, აღრიცხვა- ანგარიშება აუდიტი.

არის 10 - მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, სტატიების და სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი, ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

**ეკონომიკის დოქტორი,  
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ხათუნა ბერიშვილი**



2012 წლიდან - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის ასოცირებული პროფესორი.

2009 - 2012 წლები — სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2006-2012 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის მოწვეული მასწავლებელი (კონტრაქტით).

1997-2006 წლები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის, კომერციის, სასაქონლო ექსპერტიზისა და ტურიზმის ბიზნესის მიმართულების მასწავლებელი.

2015-2018 წლებში არჩეულია ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (რომი, იტალია), საერთაშორისო ბიზნესის აკადემიის (აშშ) წევრად, 2018 წლიდან საქართველოს მეცნიერთა საბჭოს წევრად, 2009 წლიდან საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 2008 წლიდან საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

2008 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის დოქტორის წოდება.

ასოცირებულ პროფესორს ხათუნა ბერიშვილს სამეცნიერო მოხსენებები გაკეთებული აქვს ამსტერდამის, ბარსე-

ლონას, ვენის, რომის, პარიზის, ნიუ-იორკის, ჰარვარდის, სტამბულის, პრაღის, თეირანის, უენევის, ბუდაპეშტის, ბრიუსელის, ბერლინის და სხვა უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში.

უურნალების „ახალი ეკონომისტის“, „ბიზნეს-ინჟინერინგის“ და „ეკონომისტის“ სარედაქციო საბჭოების წევრია.

მისი კვლევის სფეროებია: საერთაშორისო ბიზნესის მართვის, საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის, ელექტორნული ბიზნესის, ტურიზმის ბიზნესის, ბიზნეს-ეთიკის და ბიზნესის ორგანიზაციის პრობლემები.

არის 120 -ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 4 მონოგრაფიისა და 5 სახელმძღვანელოს ავტორი, ასევე 12 სახელმძღვანელოს თანაავტორი ქართულ, ინგლისურ, უკრაინულ, რუსულ, პოლონურ ენებზე.

**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ლალი ხიხაძე**



2005 წლიდან — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ კათედრის ასაოცირებული პროფესორია, 2019 წლიდან აკადემიური საბჭოს მიერ არჩეულია — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის ასოცირებული

პროფესორად.

2016-2018 წლებში სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის ფაკულტეტის სრული პროფესორია.

2010-2016 წლებში --საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორია.

1999 წელს ლ. ხიხაძემ დაიცვა დისერტაცია და საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ მიანიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2002 წელს თსუ-ს პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა დოკუმენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება მსოფლიო ეკონომიკაში.

1994-2005 წლებში-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე „საერთაშორისო ბიზნესისა და საგარეო ვაჭრობის“ კათედრის დოკუმენტის აკადემიურ თანამდებობაზეა.

ლ.ხიხაძემ სტაჟიორება გაიარა აშშ-ში (ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსისა და ნეშვილის შტატში), შვეიცარიაში(ციურიხში), გა-მოქვეყნებული აქვს სამეცნიერო მოხსენებები კიევში, კი-შინოვში, ვარშავაში, პრაღაში, ათენსა და თესალონიკში.

უურნალების „ახალი ეკონომისტის“ და „ეკონომიკისა და ფინანსების“ სარედაქციო საბჭოს წევრია.

პროფესორ ლ.ხიხაძის სამეცნიერო კვლევის სფეროებია: ეკონომიკური და კულტურული გლობალიზმის ტენდენ-ციები, საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკა და სამართლებ-როვი რეგულირება, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გლობალიზაციის ეპოქაში, კროსკულტურული კომუნიკაციე-ბის გამოწვევები საერთაშორისო ბიზნესში, განახლებადი ენერგეტიკული რესურსების პოტენციალის კვლევა და შე-ფასება, საინვესტიციო პოლიტიკა და სხვა.

გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრო-მი, 2 მონოგრაფია, სალექციო კურსები, სახელმძღვანელოე-ბი ქართულ, ინგლისურ, უკრაინულ და რუსულ ენებზე.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com